ვეხვნენ ქვანია

ხელოვნება
1989 თბილისი 6

ავტორისაგან

ცნობილ ქართველ იურისტთა პროფესიული მოღვაწეობის ასპექტში მათი საზოგადოებრივი როლის გაშუქება და ქართული სამოსამართლო ორატორული ხელოვნების ისტორიის შესწავლა უდავო ინტერესის მქონე საკითხებია. რომლებიც ღღემდე ელოდებიან ამ დარგში არსებული ფაქტიური მასალების შეკრებას და მათ საფუძვლიან გამოკვლევას.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ავტორის ცდას გადაიდგას პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით.

თავისთავად ცხადია, რომ შრომას არ გააჩნია დიდი პრეტენზიები მის მეცნიერულ სრულყოფილობაზე ან საკითხის ღრმად შესწავლაზე, ვინაიდან მოკლე ნარკვევებში ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია. ავტორს ჯერჯერობით მიზნად აქვს დასახული მხოლოდ საკითხის დაყენება, რათა იგი შემდგომში უფრო ღრმად და ყოველმხრივად იქნეს გამოკვლეული.

შრომის სათაური — „ქართველი იურისტები" და „ნარკვევები ქართული სამოსამართლო მეცნიერების ისტორიიდან" — პირობითია. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ შრომაში მოცემულია საქართველოს მთელი სამოსამართლო ისტორია, რადგან ეს უკანასკნელი, მოიცავს ისეთ კარდინალურ პრობლემებს, როგორიცაა ქართული იურიდიული აზროვნებისა და ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარება, საქართველოში ადვოკატურის განვითარებისა და სამოსამართლო მეცნიერების ისტორიის მიმოხილვა-ბიბლიოგრაფია და სხვა.

ავტორი იმედოვნებს, რომ მკითხველთა სამართლიანი შენიშვნები დახმარებას გაუწევს, როგორც მას, ისე ყველას, ვინც შემდეგში ხელს მოჰკიდებს ქართული სამოსამართლო მეცნიერების ისტორიის სრულყოფილად შესწავლა-გამოკვლევის კეთილშობილ საქმეს.

უნდა ითქვას, რომ ავტორს რაიმე სისტემატიზირებული წყაროები, სპეციალური ლიტერატურა ან საარქივო მასალები არ გააჩნდა. მასალების შეკრებაში მას დიდი დახმარება აღმოუჩინეს მთელმა რიგმა ამხანაგებმა, რომელთა მადლიერების გრძნობით მოხსენება ავტორს თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია. ესენი არიან: პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილი; ადვოკატები: დიმიტრი დიდებულიძე, ბორის ამირაღოვი, დავით ლორთქიფანიძე; თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მუშაკები: თამარ მაჭავარიანი და თინათინ ბაქრაძე; საქართველოს ისტორიული არქივის მეცნიერ-მუშაკი ი. ბ. იოვიძე; საქ. პროფსაბჭოს მუშაკი ივანე არჯევანიძე; ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის მუშაკები: პ. ბოგომოლოვა, ი. ფროლოვა და ი. პეტროვა; ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივის მუშაკები: ვ. ბედინი და ალექსანდროვი; გამოჩენილი ქართველი იურისტის — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შვილები — ირაკლი და ელეფთერ ანდრონიკაშვილები.

ქართველი და საქართველოს სინამდვილეში მოღვაწე სხვა ეროვნების იურისტები, ყოველთვის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს წარმოადგენდნენ და მათ შორის ბევრი ისეთი მოღვაწე იყო, რომლებიც ფართო საზოგადოებრიობის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ და ღირსეულად იმსახურებდნენ გამოჩენილი იურისტის სახელს.

ქართველ იურისტებს დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელებაში, მეფის თვითმპყრობელური წყობილებისა და მენშევიკური ნაციონალისტური სელისუფლების წინააღმდეგ შებრძოლი რევოლუციონერების დაცვის საქმეში.

მრავალი ქართველი პროგრესულად მოაზროვნე იურისტი თვით ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას, დიდი წვლილი შეჰქონდა მმრომელთა განთავისუფლების საქმეში და თვით განიცდიდა შავრაზმული ოხრანკის, მეფის ჟანდარმერიის, პოლიციისა და მენშევიკური „განსაკუთრებული განყოფილების" დევნა-შევიწროებას არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ცნობილია ბევრი მაგალითი, როდესაც ქართველ იურისტებს საიმპერიო სასამართლოები, სამხედრო ტრიბუნალები ასამართლებდნენ და ისინი წლობით ატარებდნენ დროს პატიმრობაში ან იძულებული იყვნენ სამშობლოდან შორს გადახვეწილიყვნენ, არალეგალურ მდგომარეობაში ეცხოვრათ და ებრძოლათ თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ.

მტკიცე მეგობრობა და ურთიერთგაგება იყო დამყარებული ქართველ იურისტებსა და რუსეთის მოწინავე, პროგრესულ ინტელიგენციას შორის.

ქართველი იურისტები, როგორც წესი, პოლიტიკურ პროცესებში უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ.

დიდია ქართველ იურისტთა მონაწილეობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, საბჭოთა იუსტიციის ორგანოების —

სასამართლოს, პროკურატურის და ადვოკატურის განმტკიცებისა და საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეში. საბჭოთა იუსტიციის ორგანოები მტკიცედ იცავენ სოციალისტურ კანონიერებასა და მართლმსაჯულებას, იცავენ მოქალაქეთა უფლებებს, რომლებიც მათ მიანიჭა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ. ისინი აწარმოებენ ბრძოლას საზოგადოებრივად საშიშ ქმედების—დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის სოციალისტურ სახელმწიფოს წინსვლასა და განვითარებას. საბჭოთა სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეთ, არამედ მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას, მოქალაქეთა აღზრდას სოციალიზმის საქმისათვის თავდადების სულისკვეთებით. პროკურატურა და ადვოკატურა მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ სასამართლო ორგანოებს მათი მაღალი სახელმწიფოებრივი ფუნქციის-მართლმსაჯულების განხორციელებაში.

იუსტიციის ორგანოები სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და მათი არსებობა უშუალოდ სახელმწიფოს არსებობასთან არის დაკავშირებული.

ბრავალი ქართველი იურისტი კეთილსინდისიერად ემსახურება საბჭოთა იუსტიციის ორგანოებს და პირნათლად ასრულებს სახელმწიფო მოღვაწეობის მაღალ ვალდებულებას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის ორგანოებში მოღვაწეობს ბევრი ისეთი მუშაკი, რომლებიც თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით და შემოქმედებით საბჭოთა კავშირში მოწინავეთა რიგებში დგანან. მაგალითებს ჩვენ არ მოვიყვანთ, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ამის შესახებ მრავალჯერ აღნიშნულია საკავშირო პრესაში, ჟურნალებში „საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი", „საბჭოთა იუსტიცია", „სოციალისტური კანონიერება" და სხვა.

საქართველოს ადვოკატურა თავისი შემადგენლობით კავშირში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. დიმიტრი დიდებულიძე, ბორის ამირაღოვი, გიორგი თარხნიშვილი, ძველი თაობის ადვოკატებია, რომლებიც დამსახურებულად ითვლებიან დიდი გამოცდილების და ცოდნის მქონე ადვოკატებად. მათ არ ჩა-

მორჩენიან მომდევნო თაობის ადვოკატთა ისეთი წარმომადგენლები, როგორიც არიან: გურამ უგრეხელიძე, ალექსანდრე საგინაშვილი, ანდრო გელოვანი, ბიძინა ბარათაშვილი და სხვები. უადგილო არ იქნება დავასახელოთ ადვოკატის უანგარობის და თავისი პროფესიული ვალდებულებისადმი განსაკუთრებული კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ისეთი ფაქტი, როგორიც გამოავლინა ადვოკატმა კლეოპატრა კალანდაძემ. პროკურატურის დავალებით მას მოუსდა ეწარმოებინა არასრულწლოვანი ილზა სუნა-ს საქმე, რომელმაც ქურდობა ჩაიდინა. ილზამ, სამამულო ომის დროს, როდესაც იგი მცირეწლოვანი იყო, დაკარგა მშობლები და ქუჩაში აღმოჩნდა. 1959 წელს იგი თბილისში ჩამოვიდა, სადაც დანაშაული ჩაიდინა. ადვოკატი კალანდაძე დაინტერესდა 17 წლის გოგონას პედით და დაადგინა, რომ მისი დედა ცოცხალია და ყაზახეთის რესპუბლიკაში ცხოვრობს. ადვოკატმა იგი თბილისში გამოიძახა. სასამართლო პროცესზე შეხვდა დედა თავის ქალიშვილს, რომელსაც დაღუპულად სთვლიდა. ადვოკატმა შეძლო მიეღწია გზიდან აცდენილი ილზას პატიმრობიდან განთავისუფლებისათვის და იგი მშობლიურ ოჯახში დააბრუნა. ყოველივე ეს კ. კალანდაძემ ყოველგვარი მატერიალური დაინტერესების გარეშე გააკეთა, მხოლოდ მოიხადა საბჭოთა ადვოკატის პროფესიული ვალდებულება[1].

საქართველო უძველესი სახელმწიფოა. ხანგრძლივი ისტორიის მქონეა ქართული სამართლის ინსტიტუტი და ძველთაგან ცნობილია ქართველი იურისტები. საკმარისია გავიხსენოთ ბაგრატ IV (XI საუკუნე) კარზე მოღვაწე სამართლის დარგის სპეციალისტები. უფრო გვიან XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე სამართლის ისეთი დიდი მცოდნეები, როგორიც იყვნენ ვახტანგ VI (კანონმდებელი), ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, სულხან-საბა, დავით ორბელიანი, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ქართული სამართლისა და ქართველ იურისტთა მოღვაწეობის დიდი ისტორია.

როდესაც საკითხი შეეხება იურისტებს, არ შეიძლება წარ-

---

[1]. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი" № 3, 1960 წ.

მოვიდგინოთ იურისტთა ვიწრო წრე, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა მხოლოდ იუსტიციის ორგანოებში ან იურისპრუდენციისადმი სამსახურით ამოწურა, უშუალოდ ამ დარგს მიუძღვნა. იურისტებს მოღვაწეობის უფრო ფართო ასპარეზი აქვთ, ვიდრე სხვა დარგის სპეციალისტებს და შემთხვევითი არ არის, რომ ხშირად იურისტები სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი ხდებიან; ფილოსოფიურ, ეკონომიურ, ისტორიულ და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებას ეუფლებიან; საუცხოოდ ერკვევიან ხელოვნების სხვადასხვა დარგში; კარგად იცნობენ მშობლიურ და უცხოურ მხატვრულ ლიტერატურასა და თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალი მხატვრული ლიტერატურის შექმნისა და განვითარების საკითხში.

მრავალი ქართველი მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე სპეციალობით იურისტები იყვნენ და მთელ მათ მოღვაწეობას წითელ ზოლად გასდევს ამ დარგის ზედმიწევნით კარგად ცოდნა და ზეგავლენა.

ცნობილი დრამატურგი სუმბათა'შვილი (სუმბათოვ-იუჟინი), მწერალი და შექსპირის ქართულად მთარგმნელი ივ. მაჩაბელი, ბელეტრისტი და დრამატურგი ია ეკალაძე და მრავალი სხვა, სპეციალობით იურისტები იყვნენ. სამართლის დარგს ეუფლებოდა ვაჟა-ფშაველა. მწერალი ანტონ ფურცელაძე დიპლომირებული იურისტი არ იყო, მაგრამ მან კარგად შეისწავლა სამართლის დარგი და თვითგანვითარებით მიღებული ცოდნა ფართოდ გამოიყენა გლეხთა ინტერესების დასაცავად თავად-აზნაურობასთან მათი სასამართლო დავების განხილვის დროს. დიდი სასალხო მოღვაწე და მგოსანი აკაკი წერეთელიც არ ყოფილა დიპლომირებული იურისტი, მაგრამ მის მიერ 1876 წელს წარმოთქმული დაცვითი სიტყვა სვანეთის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესზე ქართული მკვერმეტყველების და სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური დაცვის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ნიკო ნიკოლაძეს სამართლის დარგის ცოდნა დიდ დახმარებას უწევდა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში და საშუალებას აძლევდა ადვილად დაეცვა თავი რეაქციული ხელისუფლების მიერ არა ერთხელ წამოყენებული ბრალდებებისაგან.

იურიდიული განათლება აქვს ცნობილ ქართველ კრიტიკოსს ბესარიონ ჟღენტს. იურისტი იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. თაყაიშვილი, რომელსაც ამ დარგში პრაქტიკული მოღვაწეობის ისტორიაც გააჩნდა. იურისტი იყო ცნობილი საბჭოთა თეატრალური მოღვაწე სერგო ამაღლობელი და ბევრი სხვ.

არ შეიძლება მოკლედ არ შეეხოთ დიდ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს, რომლის მოღვაწეობა, როგორც იურისტის, მეტად საყურადღებოა. ილია—როგორც ნაფიცი ნექილი, ილია—როგორც მოსამართლე, ილია—როგორც ბრალდებული, ილია—სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბებრძოლი, ქართველი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი თემებია, მაგრამ თემები გარკვეული და ქართული ეროვნული კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე.

ილია ლიდი იურისტი იყო, სამართლის დარგის ზედმიწევნით მცოდნე და მისი ღრმად გამგები. ილიას სამართლის დარგით თავიდანვე დაინტერესება და მისი სრულყოფილად დაუფლება ძემეხვეევითობას არ წარმოადგენდა. ილიას ნიჭის მრავალფეროვნება, შემოქმედების მრავალსახეობა ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა და ივი ვერ გახდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი, თუ კარგად არ ექნებოდა შესწავლილი ერის ისტორია, კულტურა. ცხოვრება, სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები და მისი მდგომარეობა არსებულ პოლიტიკურ სისტემის პირობებში, ან თუ როგორ იყენებდა ეს პოლიტიკური სისტემა მოქმედ კანონმდებლობას თავისი ბატონობის გასამტკიცებლად, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

ილია 1861 წლის სტუდენტთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, სადაც ის იურიდიული ფაკულტეტის უკანასკნელ კურსის მსმენელად ირიცხებოდა. 70-იან წლებში იგი რამოდენიმე წელი დუშეთში მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობდა. როგორც თვით ილია აღნიშნავდა, მან მოსამართლედ იმუშაა, რათა „განთავისუფლებულ“, ფაქტიურად კი მოტყუებულ გლეხთა ხვედრი შეემსუბუქებინა. „განთავისუფლების პირველი დროის სცენები“

ილიამ დუშეთში შექმნა. იქვე შეკრიბა მასალები „ოთარაანთ ქვრივისათვის" და სხვა ნაწარმოებებისათვის.

ილიას მოღვაწეობა, როგორც მოსამართლის, მეტად საინტერესო და ორიგინალურია. მის მიერ გამოტანილი თვითეული განაჩენი თუ გადაწყვეტილება (ასეთი კი ორასზე მეტია) მის ფართო განსწავლულობას ადასტურებს. ცხოვრების ღრმა ცოდნით და სწორი გაგებით, მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით ნოყნილად გამოყენებით, ილიამ სამართლის მაღალი პრინციპები დაადგინა და კანონის დაურღვეველად სრულიად უბრალო საკითხებიც კი დიდი გონიერებით გადაჭრა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პატარა ნარკვევს, რომელიც დოკუმენტალურ მასალაზეა აგებული და ზუსტად გადმოსცემს ილიას მოსამართლედ მუშაობის ერთ ეპიზოდს:

„ქიმბარიანთ კარიდან დუშეთამდე კარგი მოსიარულისათვის ერთ დღეზე მეტი სავალია. იმ დროს დუშეთი სამაზრო ქალაქი იყო და თუ კაცს სასამართლოში საქმე ჰქონდა, იძულებული ხდებოდა აქ ჩამოსულიყო. მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე და ბოქაული—ყველანი დუშეთში იმყოფებოდნენ.

სოფელში ბევრი უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ ამისათვის მაზრის უფროსს არავინ აწუხებდა. მარტიამ კი ვერ მოითმინა. ან კი როგორ უნდა მოეთმინა, როდესაც მისი ხელით გამოზრდილი, ხატისათვის სამსხვერპლოდ შესაწირი ხარი ჩაფარმა მის თვალწინ დაჭრა. იმ დღეს გიგია მამასახლისი ღალას აგროვებდა და ხალხის დასაშინებლად ჩაფრები ამოიყვანა; მარტია იქნებ მოითმენდა კიდეც, მაგრამ ხატისათვის მიცემული სიტყვით დანიშნული დღე ხარის დაკვლისა ჯერ არ დამდგარიყო, პირუტყვის ნაადრევად დაკვლა უბედურების მანიშნებლად მიიჩნია მთიულმა და „გონთ გადადგა" ბედზე ხალხმა მოესწრო, თორემ მარტია სისხლს დაღვრიდა, ბერე მეზობლების რჩევას დაუჯერა და სამართლის საძებრად ლუშეთში წამოვიდა.

მოდიოდა მარტია და ვერაფერს ხედავდა, თვალწინ განრისხებული ხატი ელანდებოდა. ირგვლივ ფრინველების ჭრიალი იდგა, წყაროები ჩუხჩუხებდნენ, მარტიას კი აღარაფე-

რი არ ესმოდა. ის ერთ საგონებელს წაეღო — ვერ გაეგო რისთვის მოადგა მის კარს უბედურება.

ასე იარა მარტიამ ნახევარ დღეს და მთელ ღამეს, ალ-სად დაუსვენია, წყალი არ დაულევია. როდესაც დუშეთს მი-უახლოვდა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა. უკვე კარგა გათენე-ბულიყო და ენკენისთვის მკრთალი მზე მაღლა აზიდულიყო.

მაზრის სამმართველოს ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. ვის არ ნახავდით აქ: ქვეშეთიდან ჩამოსულ მთიულებს, გუდა-მაყრელებს და ხანდოსხევლებს. ფშაველებსა და ხევსურებს, მოხევეებსა და ქისტებსაც კი, რომლებიც განზე იყვნენ გამდგა-რი და არავის ხმას არ სცემდნენ. რა არ გაიგონა მარტიამ ამ ხალხის პირიდან. ქვეყნად თურმე ბევრი უსამართლობა ყოფილა და გასაჭირბაკი კი თურმე არავინ ჩანს.

მაზრის უფროსმა იმ დღეს, მთხოვნელთა მიღება არ ისურ-ვა, სანადიროდ წავიდა, „საქმეთა გარჩევა" კანცელარიის გადამწერმა ითავა. როცა გადამწერმა მარტიას საჩივარი მო-ისმინა, ჯერ ჩაიხითხითა, შემდეგ კი გაჯავრდა და „მომეყვა თავიდანო", უბრძანა. მარტიამ ფეხი არ მოიცალა, მაშინ გა-დამწერმა უთხრა: „თუ ახლავე თვალიდან არ დამეკარგები, ჩაფრებს დაგახვევ და ციხისწამებისათვის ისეთ ცხელ-ცხელ როზგებს დავაკვრევინებ, რომ იქნებ ისიც კი დაგაეიწყდეს სადაური ხარო!".

წამოვიდა მარტია, ვერც ის გაეგო თუ რა უთხრა „ნაჩალ-ნიკის" კაცს სასაცილო, ან მემდეგ რაღათ განრისხდა იგი. ხა-რი მოუკლეს და ციხისწამება რაღაზე დააბრალეს, რისთვის უნდა გაეროზგათ... გაოგნებული მოდიოდა მარტია და ამ ქვეყნისა აღარაფერი გაეგებოდა.

უეცრად მარტიამ ცხენის ჭისკინი გაიგონა. თურმე გზა შეშლოდა და ყაზარმებს წასწყდომოდა. ახლა იგრძნო მარ-ტიამ, რომ მთელი სხეული ლოდივით დამძიმებოდა და ფეხე-ბი ისე ეწოდა, თითქოს გახურებულ თონეში იდგა.

მარტიას ისევ ჭიხვინი შემოესმა. მისგან ორიოდე ნაბიჯ-ზე სადაგეშეხსნილი ცხენი სდგომოდა, სამხედრო უნაგირმა და ყაზარმების სიახლოვემ მიახვედრა, თუ ვისი იყო ცხენი. უნა-გირის მოქნილი და გამოყვანილი ტყავი რომ დაინახა, უნე-

ბურად თავის დაგლეჯილ ქალამნებს დახედა. ყელში სისხლი მოებჯინა. თითონაც არ იცოდა რატომ ამოიღო ხანჯალი. ცხენი არ დამფრთხალა, მხოლოდ თავი მაღლა აიღო და მარტიას შეხედა. მთიული ჯერ მოსართავებს მისწვდა, გამოხსნა და უნაგირი მიწაზე დაანარცხა. ზურგზე ნაფენი ტყავი და საოფლე გვერდზე გადაცვივდნენ.

ცხენი დაფრთხა, ყაზარმებისაკენ გაქანდა და ესკადრონის საჯინიბოში შევარდა, სადაც მორიგე ოფიცერი განწესებას ამოწმებდა.

მარტია უნაგირს მოუბრუნდა, ბასრი ხანჯლით გადასერა. თითონაც არ იცოდა რას სჩადიოდა. უეცრად ყვირილი და ფეხის ხმა მოესმა. მისკენ ოთხი ან ხუთი ჯარისკაცი მორბოდა. მიხვდა, რომ თავისოვის უნდა ეშველა და გაიქცა, მაგრამ მეხლებმა უმტყუნეს. უმტყუნა მარჯვენამაც, ხანჯალი ერთხელაც ვერ მოიქნია, ისე შებოჭეს...

ილია ჭავჭავაძე, რომელიც იმ დროს დუშეთის მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობდა, საქართველოში უკვე ცნობილი პიროვნება იყო. მართლაც კაცური კაცი და სამართლიანი ადამიანი, ის ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ბატონყმობიდან „განთავისუფლებული", ნამდვილად კი კიდევ ერთხელ მოტყუებული ხალხის მძიმე ხვედრი.

მარტიას საქმემ ილია მძიმედ ჩააფიქრა, ის მიხვდა, რომ მარტია ქურდი არ იყო, მაგრამ გამომძიებელს საქმე ისე დაეხატა, თითქოს მთიულს ტყავის მოპარვა სდომებოდეს. „ქურდი უნაგირს რათ გასჭრიდა, თან წაიღებდა", ფიქრობდა ილია. „აბა რაი ვიცი რატომ ექენიო"—მარტია ამის მეტს არაფერს ამბობდა. საქმეს ნათელი ვერც მოწმეთა დაკითხვამ მოჰფინა. ეტყობოდა, რომ კაცმა ყველაფერი ეს ბოლმით სავსე გულის მოსაფხანად ჩაიდინა.

—რა საქმე გქონდა დუშეთში, რისთვის ჩამოხვედი?—შეეკითხა ილია ბრალდებულს.

—საყიდელი რაიმე მქონდა,—იცრუა მარტიამ და უნდოდა თვალი აერიდებინა, მაგრამ ვერ შეძლო, იძულებული გახ-

და პირდაპირ შეეხედა. ილიამ მის თვალებში ბევრი რამ წაიკითხა.

„ულოყენიეს“—სასჯელთა დებულების—მიხედვით სამსჯედრო საჭურველის შურისძიებით გაფუჭება უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ქურდობა. ილიამ, საკითხი რომ არ გაერთულებინა, არჩია განაჩენის გამოსატანად გასულიყო...

მოსამართლემ განაჩენი ფეხზე მდგარმა წაიკითხა, როდესაც კითხვას შორჩა, მან განაჩენი ახლა ქართულად განმარტა.

არსებული კანონის მოთხოვნით, ბრალდებულმა რომ დანაშაული შემდგომში აღარ გაიმეოროს, იგი სახალხოდ უნდა გაიროზგოს... მაგრამ სასამართლო ამას ვერ დაუშვებს. მისი გაროზგვა შელახავს მთელი იმ ხალხის ღირსებას, რომელსაც ის ეკუთვნის. სასამართლო ვალდებულია სასჯელის ისეთი ზომა გამონახოს, რომელიც დამნაშავეს გამოასწორებს და ამავე დროს, ხალხს შეურაცყოფიდან დაიცავს...ბრალდებულს სამი დღით პატიმრობა მიესაჯა.

შეკითხვაზე—„გაიგე თუ არა განაჩენის შინაარსიო?“ მარტიამ დასტური კი მისცა, მაგრამ „მთელი ხალხის ღირსება“ მისი დანაშაული იყო თუ სასჯელი, ვერ გაერკვა და დარბაზიდან გაოგნებული გამოვიდა“.[1]

შეიცლება მარტიამ ვერ გაიგო დიდი ილიას სიბრძნე და მისგან „გაოგნებული გამოვიდა“, მაგრამ ილიას ღვაწლი კარგად ესმის ქართველ ერს და ამიტომ არის, რომ ჩვენ ვალდებული ვართ ყოველმხრივ შევისწავლოთ მისი პიროვნება და გავამდიდროთ ნაციონალური კულტურა ჩვენი მომავალი თაობის საკეთილდღეოდ...

წინამდებარე შრომა საქართველოს სინამდვილეში პირველი ცდაა ქართველ იურისტთა მემოქმედების ისტორიის სისტემატიზაციისა და, ცხადია, ის არ შეიძლება შეიცავდეს ამ საკითხის ამომწურავ მასალას. კვლევისათვის რაიმე სისტემატიზირებული წყარო ჩვენ არ გაგვაჩნდა. საინტერესო მასალე-

---

[1]. ნარკვევი „მოსამართლე“ ეკუთვნის ამ სტრიქონების ავტორს. დაბეჭდილი იყო „ლიტერატურული გაზეთის“ 1957 წლის 13 დეკემბრის ნომერში.

ბის შეგროვება ხდებოდა ძირითადად თანამედროვეთა გამოკითხვით.

გარდა ამისა, საკითხის დამუშავებაში დიდად დაგვეხმარა პერიოდული პრესა და ცალკეული ლიტერატურული წყაროები, სადაც არასრულად, მაგრამ მრავლად არის გაბნეული: სასამართლო ქრონიკები, მოგონებები და სხვა, რომლებიც საკმაოდ აშუქებენ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს.

სისტემატურად ბეჭდავდნენ სასამართლო ქრონიკებს, ზოგჯერ პროცესის სრული ანგარიშით და მასში მონაწილე პირთა მიერ წარმოთქმული სიტყვების ანალიზით: „ცნობის ფურცელი", „ივერია", „სახალხო გაზეთი", „ზაკავკაზი", „კავკაზსკი ვესტნიკი", „ტიფლისკი ლისტოკი" და ბევრი სხვ. ასეთი სასამართლო ქრონიკები ჩვენ აგრეთვე გვაქვს საბჭოთა ხანის პერიოდულ გამოცემებში.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორ შუქდებოდა სასამართლო პროცესები პერიოდულ პრესაში, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ მაგალითი:

1901 წელს „ცნობის ფურცელმა" ვრცლად გააშუქა სასამართლო პროცესები იმ უწესრიგობის შესახებ, რომელიც მოხდა ქუთაისში რუსეთიდან საგასტროლოდ ჩამოსული დასის მიერ სპექტაკლების „კონტრაბანდისტები" და „შვილნი ისრაელისა" დადგმის დროს. „კონტრაბანდისტები" სცენაზე წარმოდგენილი იქნა 1901 წლის 16 აპრილს, ხოლო „შვილნი ისრაელისა" იმავე წლის 5 მაისს. ორივე პიესა ანტისემიტური, შავრაზმული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ქადაგებდა ებრაელთა დარბევასა და განადგურებას. სპექტაკლებმა მოწინავე საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღშფოთება გამოიწვია. როგორც პირველი, ასევე მეორე წარმოდგენა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. „კონტრაბანდისტებზე" მეორე მოქმედებიდან, ხოლო „შვილნი ისრაელისაზე" დაწყებისთანავე დარბაზში ატყდა ყვირილი, სტვენა, სცენას დაუშინეს ლაყე კვერცხები. ერთი სიტყვით შეიქმნა მდგომარეობა, რომელშიც გუბერნატორს მოუხდა ჩარევა, გამოწვეული იქნა ჯარი და წესრიგის დასამყარებლად ხელისუფლებას მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება დასჭირდა. პირველ სპექ-

ტაკლზე ატეხილი უწესრიგობის გამო დაპატიმრებული იქნენ ბწერალი ჭოლა ლომთათიძე, სტუდენტი კაპიტონ მეუნარგია ფარმაცევტი აბაშიძე და სხვები.

სასამართლო ტრიბუნა სამართალში მიცემულებმა სააგიტაციოდ გამოიყენეს. თავის სიტყვებში ისინი აღშფოთებას გამოსთქვამდნენ ხელისუფლების შავრაზმული პოლიტიკის გამო და მოუწოდებდნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაზეთს მოჰყავს ამონაწერი ჭოლა ლომათათიძის დაცვითი სიტყვიდან: „მე არ შემეძლო გულდასმით მომესმინა ასეთი უხეირო, ხელოვნებას სრულიად მოკლებული და თან იმგვარი ტენდენციური პიესა, როგორიც არის „კონტრაბანდისტები", რომელშიც სრულიად უმიზეზოდ მიწასთან ასწორებენ ისედაც პიროსების გამო ყოველივე უფლებას მოკლებულ ებრაელთა ერს"..[1].

„შვილნი ისრაელისაზე" 5 მაისს ატეხილი უწესრიგობის გამო დაპატიმრებული იქნენ იმ დროს სტუდენტები: ნიკო ლორთქიფანიძე, შემდეგ ცნობილი ვეჭილი ჭირილე ნინიძე, შემდეგ მსახიობი ალექსანდრე კანდელაკი და ალექსანდრე აფხაიძე, რომლებსაც სასამართლო პროცესზე იცავდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი ვეჭილები: მეჭი ფალავა, მოსე ქიქოძე და ანტონ გელაზარიშვილი. გაზეთში ერცლად არის მოცემული დამცველთა სიტყვების ანალიზი და მოყვანილი მოსე ქიქოძის შემდეგი სიტყვები: „ამ უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ხშირად ვამჩნევთ საზოგადოებაში იმისთანა პირებს, რომლებიც ნაცვლად მშვიდობიანობისა, ერთი-მეორეში მტრობასა და სიბოროტეს სთესენ, ერთი-მეორეს უსისიანებენ. ამგვარმა მოვლენამ თავი ლიტერატურაშიც იჩინა, იმ განსხვავებით აქ წასისიანება მთელ ერს შეეხება. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ლიტვინოვისა და კრილოვის პიესა „შვილნი ისრაელისა", რომელშიც მთელი ერი ებრაელთა გალანძღულია, დამცირებული და მასხარად აგდებული. ასეთი პიესის წინააღმდეგ პროტესტი, ადამიანური გრძნობებითაა გამოწვეული და დასასჯელი კი არა საქმები უნდა იყოს..."[2]

---

[1] „ცნობის ფურცელი", 1901, № 1416.

[2] „ცნობის ფურცელი", 1901 წელი 22/IX, № 1589.

ქართველ იურისტებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ ჰქონიათ. პერიოდულ პრესაში ჩვენ მრავალ მასალას ვხვდებით, ქართველ იურისტთა ჟურნალ-გაზეთებში აქტიური თანამშრომლობის შესახებ. რაც მთავარია, ჩვენ ვხვდებით მასალებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქართველ იურისტთა დიდი ნაწილი ეწეოდა სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას, აკრიტიკებდა სასამართლო ორგანოების მუშაობის არასწორ პრაქტიკას, ეხმაურებოდა სხვა ქვეყნების იურიდიულ ცხოვრებას და სხვ.

მაგალითად, „მოამბე" ბეჭდავს გრიგოლ გველესიანის შრომას „ინსტიტუტი სასამართლო დაცვისა და მისი ორგანიზაცია",[1] სადაც დეტალურადაა განხილული დაცვის ინსტიტუტის მთელი ისტორია საფრანგეთის სტატუერებიდან დაწყებული, რუსეთის ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის ჩათვლით და გამოთქმულია შეტად გაბედული აზრები ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

„მოგზაურის" 1905 წლის № 2-ში დაბეჭდილია კონსტანტინე ჯაფარიძის წერილი „დღევანდელი სამართალი", რომელშიც იგი კონკრეტული საქმეების მიხედვით აკრიტიკებს სენატის პრაქტიკას. ამ წერილში მოყვანილია დიდი რუსი იურისტის მ. მ. კინოვერის სიტყვა კიშინოვის ებრაელთა დარბევასთან დაკავშირებით და მოხსენებულია 9 იანვრის ამბები უიარაღო ხალხის დახვრეტის შესახებ. პერიოდულ პრესაში ხშირად ვხვდებით აგრეთვე დავით კვირკველიას, გიგო რცხილაძის და სხვების წერილებს.

ფართო საზოგადოების ყურადღების გარეშე არ შეიძლება დარჩეს ცხოვრების არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა და ამავე დროს ცალკეული მოწინავე ადამიანების საზოგადოებრივად სასარგებლო მოღვაწეობა, მათი ცალკეული ბრწყინვალე გამოვლინებანი. ქართველი ერის შვილებს, თავისი მოწინავე კულტურით ბევრი ასეთი გამოვლინება ჰქონია; არა ერთხელ გამოუწვევია საზოგადოების დიდი კმაყოფილება თავიანთი ბრწყინვალე გამოსვლებით ქართველ იურისტებსაც.

---

[1] „მოამბე" 1899 წელი, № 7 და № 8.

რომლებიც ყოველთვის სარგებლობდნენ და სარგებლობენ საზოგადოების პატივისცემითა და სიყვარულით.

სრულიად კანონზომიერი იყო, მაგალითად, საზოგადოების აღფრთოვანება, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლუარსაბ ნიკოლოზისეე ანდრონიკაშვილმა ნიუ-იორკის საერთაშორისო სასამართლოში ბრწყინვალედ დაიცვა ჭიათურისა და ფოთის მუშათა პროფკავშირების ინტერესები ამერიკელ მრეწველის ჰარიმანის წინააღმდეგ. ფაქტიურად ნიუ იორკში ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ინტერესები იყო დაცული და ამ ფაქტს გამოეხმაურა, როგორც საბჭოთა, ასევე უცხოეთის პრესა. ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთები ინულებული იყვნენ ელიარებინათ ჰარიმანის უკანონო მოქმედება და პროცესში ქართველი იურისტის ბრწყინვალე გამარჯვება.

საკონცესიო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 1925 წლის 12 ივნისს დაიდო, ჰარიმანს ჭიათურის შავი ქვის მაღაროებში მოპოვებული მადანი მთლიანად საზღვარგარეთ უნდა გაეტანა.

ბოლო წლებში, ჰარიმანი ფინანსიურ სიძნელეებს განიცდიდა და სისტემატურად არღვევდა საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუშათა შრომის დროულად ანაზღაურების წესს. 1928 წლის დასაწყისში შავი ქვის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჭიათურის სახალხო სასამართლოში აღძრა სარჩელი ჰარიმანის წინააღმდეგ მისი დავალიანების ინულებითი წესით ანაზღაურების შესახებ. დავალიანებამ ამ დროისათვის 900 ათასს მანეთს მიაღწია. ამავე დროს, ჰარიმანის წინააღმდეგ აღიძრა მეორე საქმე, ფოთის ნავთსადგურის მტვირთავთა პროფკავშირის ინიციატივით, მუშათა ხელფასის დავალიანების გამო. ჰარიმანის დავალიანება ფოთში თითქმის იმავე თანხის იყო, რაც ჭიათურაში, მაგრამ აქ დავალიანების სხვა სახეს ჰქონდა ადგილი. ჰარიმანმა უარი განაცხადა მისი მიზეზით გამოწვეულ მუშათა შრომის განაცდურის გადახდაზე, რომელიც შრომის კანონმდებლობის საფუძველზე 50%-ით უნდა ანაზღაურებულიყო.

ყველა სასამართლო ინსტანციამ სწორად ცნო მუშათა მოთხოვნა და დავალიანების გადახდა ჰარიმანს დააკისრა. მუშათა მოთხოვნა აგრეთვე სწორად ცნო: საქართველოს, ამიერ-კავკასიის და სრულიად საკავშირო საკონცესიო კომიტეტებმა და შრომის სახალხო კომისარიატმა. მუშათა ინტერესებს სასამართლოებში და ჩამოთვლილ ორგანიზაციებში იცავდა: საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიულ განყოფილების გამგე ზაქარია ნარიმანოვი, რომელიც ამჟამადაც განაგრძობს აღნიშნულ იურიდიულ განყოფილებაში მოღვაწეობას.

ჰარიმანი, საბჭოთა სასამართლოების, საკონცესიო და შრომის ორგანოების გადაწყვეტილებებს არ დაეთანხმა. საკითხი განსახილველად საერთაშორისო სასამართლოში გადაიტანა, სადაც მის ინტერესებს ნიუ-იორკის ცნობილი იურისტები იცავდნენ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, თავისი დიდი ერუდიციით და, რაც მთავარია, იურისპრუდენციის ზედმიწევნით კარგად ცოდნით, შეძლო გაეცამტვერებია და ემხილებია ჰარიმანის ყველა იურიდიული ხრიკი, რომელიც მისმა იურისტებმა ჯერ კიდევ საკონცესიო ხელშეკრულების შედგენის დროს გამოიყენეს და შემდეგაც აპირებდნენ გამოყენებას.

ჰარიმანმა საქმე წააგო. გარდა დავალიანებისა მას საკმაო რაოდენობის სასამართლო ხარჯების და საკონცესიო პირობის დარღვევისათვის ჯარიმის გადახდაც მოუხდა. რაც მთავარია ამ პროცესის შედეგად საკონცესიო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა და ამის შემდეგ ქართველი ხალხი თავის ნაციონალურ სიმდიდრეს თვით განაგებს და თავის სურვილისამებრ იყენებს.

ჰარიმანს ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დადებული იყო 20 წლის ვადით, კონცესიაზე უნდა დაენერგა ტექნიკა 4 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებით, შორაპან-ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა გადაეყვანა ფართო ლიანდაგიანზე და 6 წლის განმავლობაში აეშენებინა ფეროშარგანეცის ქარხანა.

1929 წლის ნოემბრის ნომერში (24), გერმანული ჟურნალი Jnternationale Bergwirtschaft und Bergtechnik („საერთაშორისო სამთო მეურნეობა და სამთო ტექნიკა“)

შეთაურში სათაურით „ჰარიმანის მარგანეცის კონცესია ჭიათურაში“ წერდა, რომ საკონცესიო პირობები მძიმე იყო, მაგრამ ჰარიმანი ვარაუდობდა, კონცესიის რენტაბელობით, საერთაშორისო ბაზარზე ხელში ჩაეგდო მარგანეცით ვაჭრობის მონოპოლია და ხელშეკრულებას სწორედ ამიტომ მოაწერა ხელი.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალი ჰარიმანისადმი სიმპატიით ყოფილიყოს გამსჭვალული; იგი წარმოადგენდა გერმანელ მრეწველთა ოფიციალურ ორგანოს და იმ პირების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომლებიც მარგანეცით ვაჭრობაში ჰარიმანს თვით უწევდნენ კონკურენციას (ამ პერიოდში და უფრო ადრე გერმანელები საბჭოთა კავშირში ამუშავებდნენ ნიკოპოლის მარგანეცს), მაგრამ აზრი ჰარიმანისათვის ხელშეკრულებით მძიმე პირობების შეტმნის შესახებ სრულიად უსაფუძვლო იყო. ჰარიმანს პირველ წელიწადს ჭიათურაში უნდა მოეპოვებია 450.000 ტონა მარგანეცი, ხოლო შემდგომ მოპოვება გაეზარდა წელიწადში 600.000 ტონამდე, რასაც, კაპიტალური დაბანდებისა და ყველა ხარჯების გათვალისწინებით თავიდანვე უნდა მოეცა 30-40 % მოგება.

საბჭოთა მთავრობასთან საკონცესიო ხელშეკრულების დადების დროს, ჰარიმანის გეგმები უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ჭიათურის მარგანეცის ექსპლოატაციის სასურველი შედეგები. მთავარი მიზანი ჰარიმანისა იყო სწორედ მარგანეცით ვაჭრობის მსოფლიო მონოპოლიის მოპოვება, რომელსაც შემდგომში უნდა მიეცა მისთვის ამ დარგში განუსაზღვრელი ბატონობა.

1925 წელს ძირითადად მარგანეცის მოპოვება სწარმოებდა: ბრაზილიაში, ამერიკაში—მინას-გერეს შტატში, ინდოეთში, აფრიკის ოქროს კუნძულებზე და სსრ კავშირში (ჭიათურასა და ნიკოპოლში). ამ პუნქტებიდან მოპოვების მხრივ უპირატესი მდგომარეობა ჰქონდა ინდოეთის მარგანეცს, რომელსაც ამუშავებდა ინგლის-ინდოეთის კომპანია და დიდი შესაძლებლობები გააჩნდა ჭიათურის მარგანეცს.

როგორც შემდგომში გაირკვა, საკონცესიო ხელშეკრულების დადების დროს ჰარიმანს არ ჰქონია განსაზღვრული თა-

ვიდანვე შედგომოდა ჭიათურის მარგანეცის ნორმალურ ექსპლოატაციას; ჰარიმანს წილი ჰქონდა ოქროს კუნძულების მარგანეცში, რომელიც იმ დროს სწრაფი ტემპით ფართოვდებოდა. როგორც ეტყობა ჭიათურის კონცესია ჰარიმანმა აიღო იმისათვის, რომ მას ვინმე სხვა კონკურენტი არ დაპატრონებოდა და ჰქონოდა ისეთი რეზერვი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე სათანადო მანევრირების საშუალებას მისცემდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელება ჰარიმანმა დაიწყო ნელი ტემპით და ჭიათურის საბადოები ფაქტიურად კონსერვაციაში მოაქცია. ტექნიკური გაუმჯობესება, მაღაროების და გზების მშენებლობა თითქმის არ წარმოებდა და არ დაწყებულა ჭიათურისათვის სასიცოცხლო ბირთვის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა. ხელშეკრულება მხოლოდ ფორმალურად სრულდებოდა, კონცესია მარგანეცის მოპოვებას აგრძელებდა კუსტარული წესით, ძველი მეიჯარადრეების დახმარებით, და ის რაც მოპოვებული იყო მისი ექსპორტიც მთლიანად არ ხდებოდა.

იმის გამო, რომ ინგლის-ინდოეთის კომპანიის საქმეები კარგად არ მიდიოდა ჰარიმანი უცდიდა მსოფლიო ბაზარზე მარგანეცის დეფიციტს, რასაც პროდუქციის ფასი უნდა გაეზარდა. ამით ჰარიმანს მიეცემოდა საშუალება თავისი გეგმის ფართო მასშტაბით განხორციელებისა. კერძოდ, იგი ფიქრობდა, ამ დროს თავისი მარგანეცის ფასის დაწევას და ყველა კონკურენტის ეკონომიურ დათრგუნვას. ჰარიმანი ანგარიშში მოტყუვდა. ამ პერიოდში მის ძლიერ კონკურენტად გადაიქცა ნიკოპოლის მარგანეცი, რომელიც თავის მდებარეობით (მოპოვების და გატანის თვალსაზრისით) უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში მოხდა ნიკოპოლის მარგანეცის მთლიანი ნაციონალიზაცია. საბჭოთა მთავრობამ გერმანელებისაგან შეიძინა ტექნიკა და მისი დანერგვით გაფართოვდა მოპოვება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. დიდი აღმავლობა დაიწყო ოქროს კუნძულების მარგანეცის კომპანიამ და ინგლის-ინდოეთის კომპანიის ეკონომიური ჩავარდნები დროებითი აღმოჩნდა. მიუხედავად ამერიკის ფოლადის მრეწველობის მაგნატებს დიდი წინააღმდე-

ბობისა, ამერიკის მთავრობამ დააწერა 30 % გადასახადი საზღვარგარეთიდან შეტანილ ყველა მარგანეცზე. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა ყველაზე მძლავრ ფაქტორს, რომელმაც მარცხი მოუტანა ჰარიმანის პოლიტიკას. ჰარიმანმა სცადა უკან დახევა და თავისთვის საზარალოდ გააიაფა მარგანეცი, მაგრამ ამან მდგომარეობა არ შესცვალა და იგი 1926 წელს იძულებული შეიქნა მიგმართა საბჭოთა მთავრობისა თვის თხოვნით ხელშეკრულების პირობების გადაათვალიერების შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და წავიდა დათმობებზე (გაანთავისუფლა ჰარიმანი რკინიგზის მშენებლობიდან, მისი პროდუქციის მეტად რეალიზაციისათვის 12,5 %-ით შეამცირა მარგანეცის მოპოვება ნიკოპოლში და სხვა), მაგრამ ყოველივე ამან ჰარიმანის მდგომარეობა ვერ გამოასწორა. სსრ კავშირს არ შეეძლო ჰარიმანის ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორებისათვის, საზარალო მდგომარეობაში ჩაეგდო თავისი ეკონომიკა და მიუხედავად დათმობისა ნიკოპოლის მარგანეცი აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი უდიდესი კონკურენტი. 1927 წელს ჭიათურაში მოპოვებული იქნა 34.000 ტონა მარგანეცი, ხოლო ნიკოპოლში 53.000. გარდა რაოდენობრივი უპირატესობისა, ნიკოპოლის მოპოვების თვითღირებულებაც უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც აგრეთვე აძლიერებდა ამ ორ საბადოს კონკურენციის სიმწვავეს.

1927—28 წლებში ინგლისის ფოლადის ინდუსტრიამ იწყო ეკონომიური გაერთიანება ინდოეთის მარგანეცის მსხვილ საბადოებთან, რითაც ინგლისი, როგორც მარგანეცის მომხმარებელი მსოფლიო ბაზარს სრულიად ჩამორჩა.

ამერიკის ფოლადის ინდუსტრია, მარგანეცზე თავისი მოთხოვნილების ძირითად ნაწილს აკმაყოფილებდა გერეს შტატში მოპოვებული მადნით. ამავე დროს, მას ამარაგებენ ოჭროს კუნძულის საზოგადოებები, მათ შორის მეტად შემძლე და გავლენიანი „ელექტრ ფურნაკე კომპანი“ და სხვები. ამერიკელებისათვის ხელმისაწვდომი მადანი აგრეთვე იყო სამხრეთ აფრიკის საბადოებში, საიდანაც დაიწყო დიდი ექსპორ-

ტი. 1926 წლიდან სამხრეთ აფრიკის საბადოები, გარდა ამერიკისა, ამარაგებდა გერმანიის ფოლადის ინდუსტრიასაც, რომელსაც ყოველწლიურად გაჰქონდა იქედან 100.000 ტონა მადანი.

1925 წლიდან დაწყებული მარგანეცის ღირებულება მსოფლიო ბაზარზე თანდათან ეცემა, რასაც ნათლად მოწმობს ქვემოდ მოყვანილი ცხრილი.

1925 წ.	ტონა	მარგანეცი	ღირდა	22—23 დოლარი,
1926 წ.	„	„	„	19—20 „
1927 წ.	„	„	„	16—17,5 „
1928 წ.	„	„	„	იგივე ფასია.

ჰარიმანის ცუდმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გააძლიერა მისი კონკურენტები და გააინელა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი, რომელიც 1928 წლისათვის არა თუ მომგებიანი, საზარალო გახდა. საბჭოთა ხელისუფლება რამდენჯერმე შეეცადა შეემსუბუქებინა სახელშეკრულებო პირობები, მაგრამ თავიდანვე მათი არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო ჰარიმანმა ვერ შეძლო საქმის გამოსწორება და იძულებული გახდა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტაზე თანხმობა მიეცა.

საკონცესიო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა 1928 წლის 28 აგვისტოდან. საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა გადაეხადა ჰარიმანისათვის კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებული თანხა და მოპოვებული მარგანეცის ღირებულება, რომელიც ექსპორტირებული არ იყო.

მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მხრიდან ასეთი დიდი დათმობისა, ჰარიმანმა თავიდან არასასურველი პოზიცია დაიჭირა ჭიათურის მემაღაროე და ფოთის მტვირთავი მუშების მიმართ, რომელმაც გამოიწვია ზემოთ აღნიშნული დავა და საქმე საერთაშორისო სასამართლომდე მიიტანა.

საერთაშორისო სასამართლოში საბჭოთა მხარის მიერ გამოაშკარავებული იქნა მთელი ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა ჰარიმანი საკონცესიო ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მის შეწყვეტამდე და დადასტურებული ჭიათურის და ფოთის მუშების მოთხოვნის საფუძველიანობა.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც ქართველ იურისტებს აღფრთოვანებაში მოუყვანიათ საზოგადოება, მაგრამ ამჯერად სხვა მაგალითები ზედმეტია, ამაზე უფრო დაწვრილებით აღნიშნული იქნება ქვემოთ.

საქართველოში, იურიდიული განათლების მიღების საშუალება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ არსებობდა, რადგან აქ არ იყო სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. სწავლის სურვილით გატაცებული ახალგაზრდობა იურიდიულ განათლებას ძირითადად ღებულობდა პეტერბურგის, მოსკოვისა და კიევის უნივერსიტეტებში. შედარებით მცირე ნაწილი იურიდიულ განათლებას ღებულობდა ოდესის და დორპატის უნივერსიტეტებში, ხოლო მეტად მცირე ნაწილი ევროპის ქვეყნებში: გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში. როგორც ცნობილია თბილისში უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, დიმიტრი უზნაძის და სხვების ინიციატივით 1918 წლის იანვრის თვეში. მენშევიკური ხელისუფლების დროს, როცა საქართველოს ფეხქვეშ თელავდნენ ჯერ გერმანელი და შემდეგ ინგლისელი ინტერვენტები, უნივერსიტეტის ღვაწლი მეტად უმნიშვნელოა და მას ნამდვილი სამოღვაწეო ასპარეზი მიეცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1922 წლიდან უნივერსიტეტში დაარსდა სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი, რომელშიც იურიდიული განყოფილებაც შედიოდა. 1928 წლიდან განყოფილება გამოეყო სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტს და ჩამოყალიბდა იურიდიული ფაკულტეტი, რომელიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. 1922 წლიდან 1960 წლის ჩათვლით თბილისის უნივერსიტეტმა მარტო სტაციონარზე 1700 უმაღლესი განათლების მქონე იურისტი მოამზადა, რომლებიც იუსტიციის ორგანოებში, საბჭოთა აპარატში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობენ. საკმაო რაოდენობის იურისტები მომზადდა აგრეთვე დაუსწრებელი სწავლების წესით. თბილისის უნივერსიტეტმა გამოზარდა მთელი პლეადა ქართველი მეცნიერებისა, რომელთა მოღვაწეობა ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი და

თვალსაჩინოა. დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ორმოცამდე იურიდიული მეცნიერების დოქტორი და კანდიდატი, პროფესორი და დოცენტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს საბჭოთა მეცნიერების განვითარების საკითხს და ხელს უწყობდა ნაციონალურ რესპუბლიკებში სამეცნიერო დაწესებულებების ფართო ქსელის დანერგვას. რამდენიმე წელია რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც მეტად მნიშვნელოვან მეცნიერულ და კვლევით მუშაობას ეწევა და ამავე დროს ამზადებს ჩვენი რესპუბლიკისათვის აუცილებელ მეცნიერულ კადრებს.

მოკლე ნარკვევში შეუძლებელია სრულად აისახოს ყოველივე ის, რაც ქართველი იურისტების შემოქმედებას ეხება: ჩვენ მცირეოდენი მასალის შეგროვებით შევეცადეთ ყურადღება მიგვექცია ქართველ იურისტთა თვალსაჩინო დამსახურებაზე და ამით საფუძველი ჩაგვეყარა მომავალში გამოჩენილი ქართველი იურისტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილად შესწავლისათვის.

სპეციალურად უნდა იქნეს შესწავლილი საკითხი ძველ დროში რუსეთში მცხოვრები ქართველი იურისტების შესახებ. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პეტროგრადში მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი ადვოკატები: მიხეილ ჭილაევი (ჭილაშვილი), ზურაბ ავალიშვილი, გიორგი სიდამონ-ერისთავი, ევკენი ჩაჩხიანი და სხვები.

ყურადღებას იმსახურებენ ისეთი ქართველი იურისტები, როგორიც იყვნენ: რუსთაველის რუსულად მთარგმნელი სანდრო ყანჩელი, პუშკინის „ბორის გოდუნოვის“ და რუსულიდან ქართულად სხვა ნაწარმოებების მთარგმნელი შალვა ქართველიშვილი, მეცნიერი და პედაგოგი — გიგო რცხილაძე, ძმები ანდრია და მიხეილ ხელთუფლიშვილები, ლუარსაბ ლოლუა, დავით ლორთქიფანიძე, იროდიონ სურგულაძე, ივანე

პოლუმორდეინოვი, ამორდიას საქმის გამომძიებელი—პლეტნიკოვი, ლიტერატურული კრიტიკოსი ზელინსკი, ადვოკატები—მექი ფალავა, მექი კანდელაკი, დავით კვირკველია, კონსტანტინე (კოწია) და სერგო ჯაფარიძეები, მოსე ქიქოძე, კალისტრატე ჩიკვაიძე, მიხეილ ტატიშვილი, ივანე კაჩუხაშვილი, ისაი დოლუხანოვი, იოსებ მაჭავარიანი, პეტრე ქავთარაძე, მიხეილ ღვამიჩავა და კიდევ ბევრი სხვ.

ყურადღებას იმსახურებს ახალგაზრდა იურისტების მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც იუსტიციის ორგანოებში მოღვაწეობენ ან საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარების საქმეს ემსახურებიან.

საქართველოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწე იურისტი ჰყავდა და ჰყავს, რომელთა საქმიანობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეროვნული კულტურისა და ისტორიის განვითარებისათვის.

ქართული მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების ისტორიაში, ქართველი იურისტების სიტყვებს (მხედველობაში გვაქვს არა მარტო სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალმდებო სიტყვები) განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ორატორული ხელოვნება ყოველთვის იყო ამა თუ იმ ერის კულტურის შემადგენელი ნაწილი. არ შეიძლება უარყოფილი იქნეს ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე კარგად წარმოთქმული სიტყვა, თუ გინდ იგი ეხებოდეს დანაშაულის ჩამდენი პირის დაცვას, მსმენელების მიერ კმაყოფილებით მიიღება. ამის მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ კარგ სიტყვას, მსმენელი სიამოვნებით უსმენს და მასში იწვევს ისეთივე ესთეტიკურ კმაყოფილებას, როგორც კარგი მუსიკა, მხატვრული კითხვა, საინტერესო სანახაობა და სხვა. ასეთ პირობებში, საზოგადოების განწყობილება კარგად წარმოთქმული სიტყვისადმი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც საზოგადოების სიმპათია დამნაშავისადმი ან დამნაშავის მიერ ჩადენილის მიმართ. პირიქით,

ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციაში საზოგადოების უმეტეს ნაწილს დანაშაულისა და დამნაშავისადმი მტრული დამოკიდებულება ჰქონდა და ექნება. გამონაკლისია მხოლოდ, ექსპლოატატორული საზოგადოებრივ ფორმაციებში საზოგადოების უმრავლესობის დამოკიდებულების საკითხი პოლიტიკურ დამნაშავეებისა და დანაშაულისადმი. ექსპლოატატორულ საზოგადოებრივ ფორმაციებში პოლიტიკური დანაშაული მიმართულია გაბატონებუთი კლასის, მისი სახელმწიფოებრივი სისტემის წინააღმდეგ. ისინი გამოხატავენ ხალხის უმრავლესობის ინტერესებს და ამრიგად, ასეთი „დანაშაული“ და „დამნაშავენი“ უდავოდ იმსახურებდნენ ხალხის უმრავლესობის სიმპათიებს და მხარდაჭერას. სულ სხვაა, ისეთი დანაშაულებრივი ქმედობები, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლის, ღირსების და ჯანმრთელობის, ქონებრივი და უფლებრივი ხელშეუხლებლობის თუ სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების წინააღმდეგ. ასეთი დანაშაულებრივი ქმედობები საზოგადოებრივად საშიში ქმედობებია და საზოგადოების უმრავლესობა განწყობილია და იბრძვის მის წინააღმდეგ.და ასეთ პირობებში, როდესაც საზოგადოება იწონებს დამნაშავის დამცველის სიტყვას, ქმაყოფილების მიზეზი სწორედ სიტყვის „მაგიურ“ ძალაში იმალება. სხვადასხვა ორატორი, შედეგს სხვადასხვა გვარად აღწევს, თვითეული მათგანი ორიგინალურია თავისი ავტორისეული სტილით, გადმოცემის მანერით. ვ. ი. ლენინი ამ საკითხთან დაკავშირებით იხსენებს კ. კაუცკის სიტყვებს, რომ დიდ შთაბეჭდილებას ზოგი ორატორი აღწევს თავისი აღფრთოვანებით, ზოგი — თავისი მწვავე სარკაზმით, ზოგი — მრავალი მაგალითის მოხდენილად გამოყენებით და ა. შ[1]. მთავარი ის არის, რომ სიტყვის მთქმელს შესწევდეს უნარი მსმენელებთან უშუალო კონტაქტის დამყარების, მათი მიმხრობის, დაჯერების. სიტყვა კარგია, როდესაც ნისგან მსმენელი არ იღლება და არ ბეზრდება იგი, როდესაც აღვივებს მსმენელში მსჯელობის სურვილს. რაგინდ მაღალფარდოვანი და მხატვრულ ჩარჩოში არ იყოს მოქცეული სიტყვა,

---

[1]. ვ. ი. ლენინი, „სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი“, IV გამოცემა, ტომი II, გვ. 345.

იგი მიზანს ვერ აღწევს თუ კონკრეტული და დახვეწილი არ არის. ყოველგვარი გადატვირთვა—თუ გინდ მოხდენილი ეპითეტებით და მხატვრული შედარებებით, სიტყვას მხოლოდ ვნებს და ყოველივე ეს უნდა იყოს ზომიერ ფარგლებში. ვისაც შესწევს უნარი სიტყვისათვის საჭირო ზომის და ფორმის მონახვის მიზანს სწორედ ის აღწევს. მაგალითად, სიტყვის სამაგალითო ოსტატი იყო ამხ. ი. ბ. სტალინი, მისი სიტყვები მიმართული მემარჯვენე ოპორტუნისტებისა, ტროცკისტებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ, გამოირჩეოდნენ, მტკიცე ლოგიკით, დამაჯერებლობით, დაჟინებული შეურიგებლობით. ი. ბ. სტალინს შესწევდა უნარი ყველასათვის გასაგებად, ნათლად და მოხდენილად მიეტანა ფართო მასებამდე კომუნისტური პარტიის იდეები.

ამ სტრიქონების ავტორს, მრავალჯერ ჰქონია შემთხვევა პირადად ყოფილიყო მოწმე, როდესაც პროკურორის მიერ წარმოთქმული კარგი საბრალმდებო სიტყვა, მისი სიმკაცრისდა მიუხედავად, თვით ბრალდებულსაც კი კარგად მიეღია. ან, სამოქალაქო საქმეში, ადვოკატის ან პროკურორის კარგად ჩამოყალიბებული აზრი, მხარეს თავის საწინააღმდეგოდ გაუზიარებია.

ამ საკითხებზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ საქართველოს ჰყავდა და ამჟამადაც საკმაო რაოდენობით ჰყავს კარგი სიტყვის მთქმელი იურისტები, რომლებიც საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ და იმსახურებენ. არა მარტო ძველ დროში, ახლაც ხშირია შემთხვევა, როდესაც ნახავთ სასამართლოს დარბაზში საზოგადოების ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც სასამართლოში დადიან მხოლოდ კარგი ორატორის მოსასმენად. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ქართველ იურისტებს ცნობილ იურისტთა შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი „მოქალაქეობრივი“ უფლება არ მოუპოვებიათ და ფართო საზოგადოებრიობა მათ ნაკლებად იცნობს. მაგალითად, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, როგორც ადვოკატმა, რუსეთის სინამდვილეში არა ნაკლები როლი ითამაშა ვიდრე კარაბჩევსკიმ, პლევაკომ, სპასოვიჩმა და სხვებმა, რისი დამადასტურებელი მასალები საკმაოდ მოი-

პოვება ქ. ლენინგრადში. მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში; ოქტომბრის რევოლუციის და სოცმშენებლობის არქივში და საოლქო ისტორიულ არქივში. მიუხედავად ამისა, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი არ არის ცნობილი ისევე, როგორც იგივე: კარაბჩევსკი, სპასოვიჩი და სხვები. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თვით ლუარსაბ ანდრონიკაშვილი არ უფრთხილდებოდა თავის შემოქმედებას და მისი სიკვდილის შემდეგ არ დარჩენილა არც ერთი სტენოგრაფირებული სიტყვა. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის არც ერთ არქივში ასეთი ნაპოვნი არ არის. და განა მარტო ლუარსაბ ანდრონიკაშვილის?! ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სხვა ქართველი იურისტების მიმართაც. კარაბჩევსკი, პლევაკო, სპასოვიჩი, კონი და სხვები თვით იყვნენ დაინტერესებული თავისი ისტორიის შექმნით. მათივე ინიციატივით ხდებოდა მათი გამოსვლების სტენოგრაფირება და შემდეგ დაწერილი ტექსტის სათანადო შესწორება და რედაქტირება. ეს სიტყვები რამდენიმეჯერ გამოიცა, როგორც მათ სიცოცხლეში, აგრეთვე მათი გარდაცვალების შემდეგაც. გამოჩენილი რუსი იურისტების სიტყვები რამოდენიმეჯერ გამოიცა საბჭოთა პერიოდშიც[1]. ლუარსაბი და სხვა ქართველი იურისტები ამას არ აკეთებდნენ და სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმ „მოქალაქეობრივი უფლების“ მიუღებლობის, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. ამ საკითხს არც დღეს ექცევა ყურადღება და ამის შედეგად ქართული მეცნიერეტყველების ისტორიას ეკარგება მისი ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და დარგი, როგორიც ქართველ იურისტთა ორატორული ხელოვნებაა,

მართალია, არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს, ქართველ იურისტთა შემოქმედების არავითარი კვალი არ რჩებოდეს, არქივებში ინახება ქართველ იურისტთა მონაწილეობით განხილული საქმეები და გარდა ამისა, ძველ და ახალ პერიოდულ პრესაში მრავლად იბეჭდებოდა სასამართლო ქრონიკები, სა-

---

[1]. რუსეთის გამოჩენილი იურისტთა სიტყვები უკანასკნელად გამოიცა 1957 წელს. ცალკე კრებულად გამოიცა ცნობილი რუსი იურისტის ა. ფ. კონის სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები.

დაც შუქდებოდა ქართველ იურისტთა მოღვაწეობა. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი მასალა იმდენად გაბნეული და არასრულყოფილია, რომ მათ ამოკრეფას და სისტემაში მოყვანას სჭირდება მრავალი წელი და ჯერ ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. ჩვენთვის კი ამ ქრონიკებით წამოყენებული საკითხის სრულყოფილად გაშუქება შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება სასამართლო საქმეებს მათი მეშვეობით შესაძლებელია დადგენილი იქნეს საქმის შინაარსი, რომლის განხილვაშიც მონაწილეობდა ქართველი იურისტი, რა მოთხოვნები წამოაყენა მან ან რა საჩივარი დაწერა, როგორი დაცვითი თუ საბრალმდებო სიტყვა იყო წარმოთქმული, ამის დადგენა შეუძლებელია. სასამართლო ოქმებში ფიქსირებულია მხოლოდ მოთხოვნის შინაარსი, სიტყვის დასკვნითი ნაწილი. ამრიგად, არც საარქივო საქმეები იძლევა საშუალებას აღდგენილი იქნეს სრულყოფილად ფართო საზოგადოებრიობისათვის და ჩვენი კულტურის ისტორიისათვის საჭირო და საინტერესო მასალები. ამიტომაა, რომ ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება არც ერთი შრომა, რომელიც ცოტად თუ ბევრად აშუქებდეს საკითხს ქართველი იურისტების შესახებ და იძლეოდეს ელემენტარულ წარმოდგენას ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში ქართველი იურისტების დიდ შემოქმედებით წვლილზე, მათ უნარზე.

წინამდებარე შრომით ჩვენ გვინდა ეს ხარვეზი ნაწილობრივ მაინც შევავსოთ. გარდა რამდენიმე ნარკვევისა ზოგიერთი ქართველი იურისტის შესახებ, ჩვენ შევეცადეთ შეგვეგროვებია და დანართის სახით მიგვეწოდებია მკითხველებისათვის სასამართლოში წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა. სიტყვები წარმოდგენილია რაიმე განსაკუთრებული შერჩევის და კლასიფიკაციის გარეშე. ეს იმიტომ, რომ ჩვენ დიდი არჩევანის საშუალება არ გაგვაჩნდა. მკითხველს ვაწოდებთ იმას, დღეისთვის რისი შეგროვებაც შევძელით. წარმოდგენილი სიტყვები არ შეიძლება აღიარებული იქნეს ქართული მჭევრმეტყველების უკეთეს ნიმუშებად, მაგრამ ისინი ერთდაგვარ ინტერესს მოკლებული არ არიან. უდავოა, რომ ქართველ იურისტებს უკეთესი სიტყვებიც წარმოუთქვამთ, მაგრამ ისი-

ნი ან არ დაწერილან, ან და დღეისთვის დაკარგული არიან და ჩვენ მათი მიგნების საშუალებას მოკლებული ვართ.

აქვე მივაქცევთ ყურადღებას, რომ დაწერილი სიტყვა არასდროს არ არის იმ ღირსების მატარებელი, რომელსაც იგი ატარებს ორატორის მიერ მისი წარმოთქმის მომენტში. ცოცხალი სიტყვა მსმენელზე მეტი ზემოქმედების მომხდენია. დაწერილ სიტყვას არ აქვს დამატებითი ზეგავლენის საშუალებები: ჟესტის, მიმიკის, პაუზის სახით, ხმის მუსიკალური ელემენტებით (მაჟორული და მინორული ვარიაციებით, მისი ალეგროთი და ადაჟიოთი, ფორტეთი და პიანოთი), ყველა იმ რეკვიზიტით, რომლებიც უშუალო კონტაქტს ამყარებენ ორატორსა და მსმენელს შორის და რომლებითაც გამოცდილი ორატორები ყოველთვის მოხდენილად სარგებლობენ. დაწერილი სიტყვა მთლიანად ვერ ინარჩუნებს მის კეთილხმოვანებას და ფერადოვნებას. დაწერილი სიტყვა გადმოსცემს იმას თუ რა სთქვა ორატორმა, მაგრამ როგორ სთქვა იგი ამის გადმოცემა შეუძლებელია.[1] მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი პირობებისა, აქ წარმოდგენილი სიტყვები საკმაოდ ნათელყოფენ ქართველი იურისტების მიერ წარმოთქმული სიტყვების სილამაზეს, საკითხის ღრმად გაგებას და მეტყველებენ მათი ავტორების მაღალ კულტურაზე—სიტყვის თავისუფლად გამოყენების უნარზე, სათანადო ორატორულ ნიჭზე. საკითხის ღრმა ცოდნა, ცალკეული დეტალების ზუსტი დამუშავება, მასალების თანმიმდევრული ჩამოყალიბება და ლოგიკური განვითარება, აძლევს მათ დასკვნებს დამაჯერებლობას, ხოლო სიტყვის ლიტერატურული დამუშავება—მოხდენილი შედარებები, ენის სიმდიდრე, საინტერესო ამბის ცოც-

---

[1] ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შვილი—საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, რომ მისი მამა—ლუარსაბი წარმოთქმული სიტყვების დაბეჭდვას განზრახ ერიდებოდა. იგი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ დაწერილ სიტყვას არ შეეძლო ისეთი ეფექტის მოხდენა, როგორიც მან მისი წარმოთქმის მომენტში მოახდინა. გარდა ამისა, სხვა მომენტში იგი სულ სხვა თვალსაზრისით შეიძლებოდა ყოფილიყო გაგებული, ამას კი შეეძლო შეებღალა ავტორის ჩანაფიქრი და მისი პოლიტიკური მრწამსი.

ხალი და ძძაფრი გადმოცემა, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ანალიზი—ამ სიტყვების მეცნიერულ და ერთდაგვარ ლიტერატურულ ღირებულებას უქმნის.

უადგილო არ იქნება, თვალი გადავავლოთ მსოფლიო ორატორული ხელოვნების ისტორიას და მოკლედ შევეხოთ ამავე საკითხს ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში.

ორატორულ ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მის ფუძემდებლებად საყოველთაოდ აღიარებულნი არიან: დემოსთენე, ესქინე, ლიკურგე, ციცერონი, ჰორტენზიუსი, კატონი და სხვ. ძველ ათენში—მონათმფლობელური საზოგადოების ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოში—ანტიკურმა ორატორულმა ხელოვნებამ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს, განსაკუთრებით ძვ. წელთაღრიცხვის მე-5-ე და მე-4-ე საუკუნეებში. სოლონის ცნობილმა კანონებმა, რომელთა მიხედვით ყოველ ათენელს ევალებოდა სასამართლოში თვით დაეცვა თავისი ინტერესები, ორატორული ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი. წარმოიშვნენ ე. წ. ლოგოგრაფები, რომლებიც ადგენდნენ სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვებს; შეიქმნა ორატორული ხელოვნების სასწავლებლები; საფუძველი ჩაეყარა ახალ მეცნიერებას—რიტორიკას და გაჩნდნენ ამ მეცნიერების ისეთი თეორეტიკოსები როგორიც იყვნენ: გორგია, ისოკრატე, ტრასიმაქი და განსაკუთრებით არისტოტელე.

არა ნაკლები განვითარება ჰპოვა ორატორულმა ხელოვნებამ უძველეს რომში. მარკუს ტულიუს ციცერონის გვერდით, როგორც ბრწყინვალე ორატორები, ცნობილი არიან: კატონი უფროსი, ომები გრაკჩები, მარკუს ანტონიუსი და სხვ.

ათენის საჰელმწიფოსა და რომის იმპერიის მომდევნო პერიოდი, ორატორული ხელოვნების დაქვეითებით ხასიათდება. მან ვერ ჰპოვა სათანადო აღორძინება ვერც შუა საუკუნეებში.

ევროპის ცივილიზაციის პერიოდში განსაკუთრებით გამოირჩევა საფრანგეთის ორატორული ხელოვნების ისტორია. ლემეტრი და პეტრიუ მე-17-ე საუკუნეში, დე სასი, დე მოლეონი, ჟერბიე, კოშენი მე-18-ე საუკუნეში, ბერრიე, შე დესტ ანჟი, დიუპენები, ჟიულ ფავრი, ლაბორი, დებანჟი, კრემიე, ლაშო მე-19-ე საუკუნეში, განსაკუთრებით კი ტურიე, ტარჟე, ტრონშე, დე ანდრე, ბარნავი და სხვები მსოფლიოში ცნობილი ორატორები იყვნენ და მათ ზეგავლენა იქონიეს ევროპის სხვა ქვეყნების ორატორული ხელოვნების განვითარებაზე.

ორატორული ხელოვნების განვითარებას საფრანგეთში დიდად შეუწყო ხელი XVIII საუკუნის ბოლოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებამ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საშუალება მისცა ფრანგ იურისტებს ფართოდ გამოეყენებინათ სასამართლო ტრიბუნა მჭევრმეტყველების უნარის გამოსავლინებლად, იმ დიდი გამოცდილების გამოსაყენებლად, რომელიც გააჩნდათ მათ პოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში. ორატორული ხელოვნების განვითარებას საფრანგეთში, აგრეთვე, დიდად შეუწყო ხელი მგზნებარე, მწვავე პოლემიკურმა სიტყვებმა, რომლებსაც წარმოსთქვამდნენ დამფუძნებელ კრებებზე ისეთი გამოჩენილი ორატორები, როგორიც იყვნენ მარატი, რობესპიერი, დანტონი და სხვ.

ჟან პოლ მარატმა, ხელობით ექიმმა, რომელიც შემდგომში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი ბელადთაგანი გახდა, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მიიპყრო ყურადღება თავისი გამოკვლევებით ბუნებისმეტყველებაში და საზოგადოებათმეცნიერების სხვადასხვა დარგებში. 1777 წელს, როდესაც ბერნის ეკონომიურმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი სისხლის სამართლის კანონმდებლობის პროექტის შედგენაზე, ამ კონკურსში, სხვა ავტორებთან ერთად, მარატმაც მიიღო მონაწილეობა. „მე უნდა დავხატო დანაშაულთა საშინელი სურათი,—აღნიშნავს მარატი მის მიერ შედგენილი პროექტის შესავალში.—სამწუხარო ამოცანა ეკისრება ჩემს კალამს. რომელი მგრძნობიარე გული არ შეძრწოლდება საშინელებით და რომელ პატიოსან

სულს არ ააღშფოთებს ამდენი სიმდაბლე, მზაკვრობა, სისაძაგლე, გამცემლობა, ბარბაროსობა, სიმკაცრე, რომლის უნარი შესწევთ ადამიანებს!!.

მაგრამ, რომელი სურათი შეიძლება იყოს იმაზე უარესი, ვიდრე ავმოსაქმეობა, რომელიც ხორციელდება კანონის წმიდათა წმიდა სახელით?!.

დანაშაულის აღკვეცა, სამართლიანობის დაურღვეველად, ეს ნიშნავს იმას, რომ ავი ადამიანები ალაგმო, დაიცვა უდანაშაულონი, სუსტ არსებებს თავიდან ააცილო შევიწროება, ტირანებს ხმალი გამოსტაცო ხელიდან, წესრიგი დაიცვა საზოგადოებაში და უზრუნველყო მისი წევრების სიმშვიდე; რომელი მიზანი შეიძლება იყოს ამაზე აზრიანი და კეთილშობილი, საზოგადოებისათვის უფრო სულგრძელი და მნიშვნელოვანი!?...დამღუპველი ცრუ რწმენის დანგრევისათვის ჩემი ღონისძიებების დროს, მე ხშირად იძულებული ვიქნები შეურაცყოო საერთოდ გავრცელებული აზრები. რამდენი უვიცი აღსდგება ჩემი აზრის წინააღმდეგ?...მე გენიოსებისთვის უნდა ვილაპარაკო და ჩემთვის ძვირფასი, მხოლოდ მათი მხარდაჭერაა..."[1].

მოყვანილი ციტატი რასაკვირველია არ იძლევა წარმოდგენას მარატის ორატორული ნიჭის შესახებ, მაგრამ, აზრის ასეთი თავისუფალი და გაბედული გაბოთქმა მარატის სიტყვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, და, რაც მთავარია, იგი მოხდენილად ამხილებს მთელი ექსპლოატატორული საზოგადოების მართლწესრიგს. მარატის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის პროექტი" იმდენად პროგრესული იდეების მატარებელი იყო, რომ თითქმის 2 საუკუნის განმავლობაში ბურჟუაზიული სიმართლის ლიტერატურაში იგი მრავალნაირად მახინჯდება, ხოლო მარატის პიროვნება, როგორც თეორეტიკოსის ყოველმხრივ იჩქმალება.

საფრანგეთში ორატორული ხელოვნების განვითარებას, ამავე დროს, ხელი შეუწყო XIX საუკუნის I ნახევარში შექ-

---

[1] ჟ. პ. მარატი, „სისხლის სამართლის კანონმდებლობის პროექტი", მოსკოვი, 1951 წ., უცხოურ ლიტერატურის გამომცემლობა, გვ. 31.

მხილმა ადვოკატთა კორპორაციამ, რომელიც წარმოადგენდა შედარებით დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და თავის რიგებში აერთიანებდა პროგრესული იდეების მატარებელ პიროვნებებს, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც თავისი იდეების გასავრცელებლად მოხდენილად იყენებდნენ არა მარტო პარლამენტს და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებს, არამედ სასამართლო ტრიბუნასაც.

XIX საუკუნის ფრანგ იურისტთა ორატორულმა ხელოვნებამ საყოველთაო აღიარება პოვა და მას მსოფლიო კულტურის ისტორიის საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

რიგი რევოლუციებისა, რომლებიც მოსდა XIX საუკუნეში საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და ავსტრიის იმპერიაში, ხელს უწყობენ ამ სახელმწიფოებში ორატორული ხელოვნების სწრაფად განვითარებას. კლასობრივმა ბრძოლამ გამოავლინა პოლიტიკური ხელმძღვანელები, ბელადები, რომლებსაც თავისი ორატორული ნიჭის შედეგად შესწევდათ უნარი ხალხის მასების დარწმუნებისა და თავის მხარეზე მიმხრობისა.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარქსის და ენგელსის მჭევრმეტყველებას და ორატორულ ხელოვნებას. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები, მუშათა კლასის ბელადები მარქსი და ენგელსი მსმენელებს იპყრობდნენ თავიანთი სიტყვის სიმართლით, ღრმა შინაარსით, დამაჯერებლობით და მტკიცე ლოგიკით, სადაც გამორიცხული იყო სიტყვის გარეგანი ეფექტი და უშინაარსო შელამაზება. აგრეთვე ბრწყინვალე ორატორთა რიცხვს მიეკუთვნებიან მათი თანამედროვენი ფ. ლასალი და ა. ბებელი, რომელთა ნიჭს და შემოქმედებას მარქსი და ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

რუსეთის სინამდვილეში ნაციონალური მჭევრმეტყველების განვითარების საკითხი თითქმის XVIII საუკუნემდე შემოფარგლული იყო ვიწრო რელიგიური ჩარჩოებით, რადგან მჭევრმეტყველება სელთ ჰქონდა დაპყრობილი ეკლესიის მქადაგებელ-

თა განსაზღვრულ ჯგუფს, ღვთისმსახურთა გაბატონებულ კასტას. ეკლესიას, რომელსაც რუსეთის სინამდვილეში, სახელმწიფო ხელისუფლებისა და პოლიტიკურ მოღვაწეობაში წამყვანი როლი ეკავა, ხელს არ აძლევდა ეღიარებინა მკვლევრმეტყველების შემოქმედებათი აღმავლობა, მისი ხალხურობა და ამიტომ საუკუნეების განმავლობაში მწვავე ბრძოლას აწარმოებდა და ხელს უშლიდა მის განვითარებას. ნამდვილი რუსული ნაციონალური მკვლევრმეტყველების ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია დიდი რუსი მეცნიერის მ. ვ. ლომონოსოვის სახელთან, რომელმაც პირველმა შექმნა მეცნიერული შრომები რუსული ენისა, ლიტერატურისა და მკვლევრმეტყველების თეორიის საკითხებზე. ლომონოსოვის პირველი შრომა „ტკბილსიტყვიერების მოყვარულთათვის რიტორიკის მოკლე სახელმძღვანელო“ აკადემიური კონფერენციის წევრთა უარყოფითი დამოკიდებულების გამო გამოცემული არ ყოფილა. მხოლოდ 1748 წელს გამოიცა ლომონოსოვის მიერ შექმნილი „სიტყვაკაზმულობის მოკლე სახელმძღვანელო“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუსული ლიტერატურული ენისა და სიტყვაკაზმულობის განვითარებაში და საფუძვლად დაედო შემდგომში ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმძღვანელო შრომების შექმნასა და გავრცელებას. თუ რაოდენ დიდად აფასებდა ლომონოსოვი რუსულ, ნამდვილ ხალხურ ენას ამას მოწმობს ქვემოდ მოყვანილი მისი სიტყვები: „რომის იმპერატორი, კარლო V, ლაპარაკობს, რომ ესპანური ენით ღმერთთან შეჰფერის ლაპარაკი, ფრანგულით—მეგობრებთან, გერმანულით—მოწინააღმდეგეებთან, იტალიურით—მანდილოსნებთან. მაგრამ, იგი რუსულ ენასაც რომ ყოფილიყო დაუფლებული, მაშინ, რასაკვირველია, ამასვე დაუმატებდა, რომ ამ ენით ყველასთან შეიძლება ლაპარაკი, რადგან მასში იპოვიდა ესპანურის დიდმშვენიერებას, ფრანგულის სიცოცხლეს, გერმანულის სიმაგრეს, იტალიურის სინაზეს, და გარდა ამისა, გამოსახულებაში სხარტი ბერძნული და ლათინური ენების სიმდიდრესა და სიძლიერეს“[1]

---

[1] მ. ვ. ლომონოსოვი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებები, ტ. VII, გვ. 264, მოსკოვი, 1940 წ..

XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლები რუსულ ორატორულ ხელოვნებაში ერთდაგვარი აღმავლობის პერიოდია. მეცნიერებისა და სიტყვაკაზმულობის საკითხები მუშავდებოდა გერცენის, სტანკევიჩის, ხომიაკოვის წრეებში. დიდი ღვაწლი რუსული ორატორული ხელოვნების განვითარებაში მიუძღვით დეკაბრისტებს, პეტრაშევლებსა და სხვებს.

ჩერნიშევსკი, ბელინსკი და რუსული კლასიკური ლიტერატურის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები როგორიც არიან: პუშკინი, სალტიკოვ შჩედრინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი და ბევრი სხვა, თავისი შემოქმედებით ჰქმნიდნენ, აღრმავებდნენ და ანვითარებდნენ ნაციონალური მეცნიერებისა და ორატორული ხელოვნების დიდ ისტორიასა და კულტურას, რომელიც შთამომავლობით მიიღო საბჭოთა ხალხმა და მის საფუძველზე განავითარა და ანვითარებს ახალი სოციალისტური კულტურის ისტორიას, მეცნიერებისა და ორატორული ხელოვნების საფუძვლებს.

კოლოსალურმა ისტორიულმა ცვლებმა, რომლითაც ხასიათდება რუსეთი XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების შემდეგ პერიოდში, რევოლუციური ბრძოლისათვის განაწყო მშრომელთა ფართო მასები, რომლებიც ეწაფებიან მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების მარქსის და ენგელსის იდეებს. მშრომელთა მასებში მარქსისტული მეცნიერების გავრცელებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცოცხალ სიტყვას. თვით ისტორიულმა პირობებმა შეუწყვეს ხელი პოლიტიკური პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დიდი არმიის შექმნას, მათმა შემოქმედებამ კი ახალი პროლეტარული მეცნიერებისა და ორატორული ხელოვნების წარმოშობას. რუსეთში მარქსიზმის იდეების გამოჩენილ პროპაგანდისტთა რიცხვს მიეკუთვნება გ. ვ. პლეხანოვი, რომლის მგზნებარე სიტყვებმა თვითმპყრობელობისა და ხალხისნობის წინააღმდეგ დიდი როლი ითამაშეს მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა იდეური განიარაღების და მასების პოლიტიკური აღზრდის საქმეში. პროლეტარიატის გამოჩენილ ორატორთა რიცხვს მიეკუთვნებიან ხალხის მასებიდან გამოსული პროპაგანდის-

ტები: პ. ა. ალექსეევი, ს. ნ. ხალტურინი, ი. ვ. ბაბუშკინი, პ. ა. ზალომოვი და სხვა.

ვ. ი. ლენინი საყოველთაოდ აღიარებულია როგორც რევოლუციის დიდი ტრიბუნი, რომლის ორატორულ ხელოვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების საკითხში, ხალხოსნების, მენშევიკების და ყველა ჯურის ოპორტუნისტების და შარქსიზმის მოწინააღმდეგეთა იდეური განადგურების საკითხში. ვ. ი. ლენინის მიერ გამოვლინდა და მისი ზეგავლენით და უშუალო ხელმძღვანელობით განვითარდა ორატორული ნიჭი პროლეტარული რევოლუციის ისეთი მედროშეების, როგორიც იყვნენ: ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, ს. მ. კიროვი, ს. კ. ორჯონიკიძე, ი. ი. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, ვ. ვ. კუიბიშევი და სხვ.

ვ. ი. ლენინის, მის თანამებრძოლთა და მოწაფეების ორატორული ხელოვნება, არის საბჭოთა სოციალისტური კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომელზეც აღიზარდა და იზრდება კომუნიზმის მშენებელთა მრავალმილიონიანი არმია. ვ. ი. ლენინის და მისი თანამებრძოლთა იდეები, მათი ორატორული ხელოვნება არის შემოქმედებითი მარქსიზმი მოქმედებაში, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატს უნერგავს რევოლუციურ სულისკვეთებას და აიარაღებს მას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

საბჭოთა მრავალერიან სახელმწიფოში, ქართველ ერს, თავისი ისტორიულად უძველესი კულტურით, ერთი მოწინავე ადგილი უკავია. შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური ქართული კულტურის განკითარების, თავის ისტორიულ წინამძღვრებთან ერთად, ხელი შეუწყო საუკუნეების განმავლობაში არსებულმა საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და კულტურულმა ურთიერთობამ. ქართველი ერის ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორიც იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, იკანე თარხნიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, სწავლა-განათლებას რუსეთში

ღებულობენ, რუსულ კულტურას ეზიარებიან, რაც დიდად უწყობს ხელს მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და ცოდნისა და ნიჭის ერის საკეთილდღეოდ გამოყენებას.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორია ისევე უძველესია, როგორც ქართველი ერის წარსული და მისი კულტურის ისტორია. ჩვენმა თაობამ მემკვიდრეობით მიიღო უხსოვარი დროიდან მომდინარე კაზმული სიტყვის უამრავი ძეგლი, რომლებიც წარმოადგენენ ზემოდ მოყვანილი დებულების უტყუარ საბუთს. ეს ძეგლები მოგვეპოვება, როგორც ქართულ, აგრეთვე ბერძნულ და ლათინურ, და რუსულ მეცნიერულ, მხატვრულ, ეპისტოლარულ, მემუარულ და სხვა მემკვიდრეობაში და აქვს არა ნაკლები ოცი საუკუნის ისტორია. ჯერ კიდევ კორნელი ტაციტუსი, I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი, იხსენიებს თავის „ანალებში" ქართველ მჭევრმეტყველს და ორატორული ნიჭის პატრონს იბერთა მეფეს ფარსმანს; IV საუკუნის ბერძენი მოღვაწეები: ლიბანიოსი და გელასი კესარიელი და უფრო გვიან გიორგი ამარტოლი იხსენიებენ ქართველ ფილოსოფოსსა და ორატორს ბაკურს; VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსების: პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო შრომებში ნახსენებია ქართველი ორატორები აიეტი და ფარტაზი, კოლხთა წარმომადგენელი, რომელმაც საბრალმდებო სიტყვა წარმოთქვა ცნობილი მჭევრმეტყველისა და მხედართმთავრის გუბაზ მეფის მკვლელთა პროცესზე, წარმოდგენილია მათი სიტყვების წარმოთქმის პირობები და გაკეთებულია სათანადო ანალიზი.

გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მჭევრმეტყველების განვითარების საკითხში დაახლოებით III საუკუნეში დაარსებულ კოლხეთის აკადემიას, რომლის არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება მომდევნო საუკუნის მწერლობაში. კოლხეთის აკადემია ანუ კოლხეთის რიტორიკული სკოლა, წარმოადგენდა იმ დროისათვის განათლების მეტად მნიშვნელოვან ცენტრს, სადაც ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველების შესასწავლად ჩამოდიოდნენ ჩვენში საგანგებოდ მოვლინებული ბერძენი მოქალაქენი. ქართული კულტურის უძველესი ცენტრები: ბოლნისი, გელათი, იყალთო, ნეკრესი, სა-

ხელმწიფო დარბაზი, თელავის სემინარია და სხვები, მქევრმეტ-ყველების კერებს წარმოადგენდნენ. სადაც მრავალი სახელო-ვანი ორატორი აღიზარდა.

იოანე საბანისძე VIII საუკუნეში, გიორგი მერჩულე X საუკუნეში, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და მათი ისტორიკოსები: არსენი, იოანე ჭიმჭიმელი, ბასილი ეზოსმოძღვარი და სხვები, არიან პირები, რომლებმაც XI—XIII საუკუნეებში შექმნეს მთელი ეპოქა ქართული მქევრმეტყველების ისტორიისა და, როგორც ჩვენამდე მოღწეული ძეგლებიდან დასტურდება, ამ პერიოდში ქართული ორატორული ხელოვნება განვითარების უმაღლეს წერტილამდეა მიღწეული.

ისტორიული ძეგლების მიხედვით, იმავე პერიოდში და ცოტა უფრო გვიან, კიდევ მრავალი სახელია ცნობილი როგორც მაღალ ორატორულ ხელოვნებას დაუფლებულნი, და ამ დარგისათვის ღირსშესანიშნავი შრომების შემოქმედნი. დღეს ცივილიზებული მსოფლიოს თითქმის არც ერთი კუთხე არ დარჩა, სადაც არ იცნობდნენ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც საკმაო წარმოდგენას იძლევა შუა საუკუნეების ქართული კულტურის—საერთოდ და მქევრმეტყველების—კერძოდ, დონის შესახებ. მაგრამ ფაქტიური ისტორიული მასალის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავასახელოთ ისეთი სახელები, როგორიც არიან: ანტონ მნათი, იოანე ხახულელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე ტაიჭისძე, იოანე კათალიკოსი, არსენა ბულმაისისძე, დემეტრე თავდადებული, ბექა ჯაყელი; უფრო გვიანდელ პერიოდში XVI—XVIII საუკუნეებში: თეიმურაზ პირველი, ანტონ პირველი, ბესარიონ ორბელიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ნიკოლოზ ორბელიანი, პეტრე ჩატარიშვილი, გერმანე ხუცეს მონაზონი, იოანე ბატონიშვილი და სხვ.

იოანე ბატონიშვილის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი „კალმასობა“ ენციკლოპედიური ნაშრომია, რომელიც განმარტავს იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერების თითქმის ყველა დარგის შინაარსს. ამავე დროს, იგი აცნობს მკით-

ხელს ქართული ორატორული ხელოვნების ყველაზე ღირს-შესანიშნავ წარმომადგენლებს.

ჩვენი ძირითადი მიზანია ქართველ იურისტთა შემოქმედების, მათი ორატორული ხელოვნებისა და მჭევრმეტყველების საკითხების გაშუქება და ამიტომ არ შეგვიძლია ხაზი არ გავუსვათ XVIII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე მზეჭაბუკ ორბელიანისა და სოლომონ ლიონიძის ორატორულ ხელოვნებას და მათი მჭევრმეტყველების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მზეჭაბუკი და სოლომონი ორივე ერეკლე მეორის კარზე მოღვაწე გამოჩენილი პიროვნებებია, რომლებსაც სახელმწიფო მართვა-გამგებლობის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით. მზეჭაბუკი უფრო ადრე პერიოდის მოღვაწეა, თუმცა მისი გარდაცვალების თარიღი ზუსტად არ არის ცნობილი. მზეჭაბუკი ერეკლე მეორესთან ასრულებდა სახელმწიფო მდივნის მოვალეობას და განაგებდა მართლმსაჯულების საკითხებს. სოლომონ ლიონიძე დაიბადა 1754 წელს და იცოცხლა ერეკლეს გარდაცვალებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პერიოდშიც, 1811 წლამდე. მას ეკავა იგივე თანამდებობები — სახელმწიფო მდივნისა და უმაღლესი მართლმსაჯულის, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში ს. ლიონიძემ ეს მდგომარეობა დაიკავა მზეჭაბუკ ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ.

მზეჭაბუკ ორბელიანი ცნობილია თავისი მჭევრმეტყველებით და ორატორული ნივით. მის მიერ წარმოთქმული სიტყვების სრულ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, არის მხოლოდ სხვების მიერ მისი სიტყვების შემოკლებული ან ფრაგმენტული გადმოცემა, რაც საკმარისად ადასტურებს მისი ორატორული ხელოვნების მაღალ დონესა და დიდ მნიშვნელობას.

ს. ლიონიძემ, მთელი მისი სახელმწიფო მოღვაწეობის მანძილზე, ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხში დიდი როლი შეასრულა. იგი აქტიურად იბრძოდა საქართველოს რუსეთთან გაერთიანებისათვის და მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა 1783 წელს ძალაში შესული საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული—„მე-

გობრობითი პირობა“, 1790 წელს დადებული უზენაეს ხელიუფალთა ხელშეკრულება საქართველოს დაქსაქსული სამეფოსამთავროების შესახებ და სხვ.

ქართული მჭევრმეტყველების საგანძურში ს. ლიონიძის „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“, რომელიც წარმოითქვა ერეკლე მეორეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ეროვნული გლოკის დღეებში,—უდავოდ დიდ მოვლენას წარმოადგენს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული მჭევრმეტყველების და ორატორული ხელოვნების მაღალ კულტურას.

„ს. ლიონიძის მჭევრმეტყველება გამოირჩევა თავისი ღრმა იდეურობით, საღი ემოციურობით, ზეგავლენის დიდი ძალითა და შესრულების მაღალი ოსტატობით. მისი ზეპირი სიტყვის კეთილხმოვანი ჟღერა უბადლოა ქართული მხატვრული მეტყველების არენაზე და იშვიათია თვით მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში. დიდი ქართველი ოქროპირის შემოქმედება ისტორიულად შეპირობებულია ძველი ქართული ხალხური და კლასიკური ზეპირმეტყველებით, ანტიკური ბერძნულ-რომაული ორატორული ხელოვნებით, ადრინდელი ბიზანტიური ქრისტიანული მქადაგებლობითა და შუა საუკუნეების მსოფლიო მჭევრმეტყველებით“[1].

მზეკაბუკ ორბელიანისა და სოლომონ ლიონიძის სახით ერეკლე მეორეს თავის სახელმწიფო აპარატში განსწავლული და შემოქმედი მართლმსაჯულნი და სახელწიფო მოღვაწეები ჰყავდა შემოკრებილი, რაც უადვილებდა მას სახელმწიფოს მართვა-განმგებლობას და საშუალებას აძლევდა საერთაშორისო არენაზე მეტად მტკიცე და თანაც ელასტიური პოლიტიკა ეწარმოებინა.

XIX საუკუნე ქართველი ერისათვის დიდი ისტორიული ძვრებით არის დამახასიათებელი. კონკრეტული ისტორიული პირობების შედეგად 1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს, რომელიც ამ დროისათვის კაპიტალისტური განვითარების გზაზე იყო დამდგარი. როგორც რუსეთის იმპერიის

---

[1] იხ. „ქართული მჭევრმეტყველება“. ნ. კანდელაკი, გვ. 234, „ხელოვნება“, თბილისი, 1958 წ.

ნაწილი, საქართველოც აღმოჩნდა კაპიტალისტური ურთიერთობის სისტემაში, და ამან დააჩქარა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების-ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება.

საქართველოს და რუსეთს შორის კულტურული და პოლიტიკური კავშირი ფაქტიურად უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განსაზღვრა ამ ორი ერის შემდგომი გაერთიანება და გააძლიერა კულტურის ურთიერთ ზეგავლენა, პროგრესული იდეების სწრაფი და ნაყოფიერი გავრცელება. მეფის მთავრობამ საქართველოში გადმოასახლა მრავალი დეკაბრისტი (ოდოევსკი, ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვები); თბილისში გაიფურჩქნა დიდი რუსი გენიის გრიბოედოვის ნიჭი; საქართველოში იყვნენ: პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი და ბევრი სხვა, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ იმ დროინდელი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან.

რუსეთის მოწინავე ადამიანებმა თავისი პროგრესული იდეებით ხელი შეუწყვეს ქართული ნაციონალური კულტურის გამდიდრებას და მის სწრაფად განვითარებას. ამავე დროს, ქართულმა კულტურამ, ქართული მიწის სილამაზემ და სიმდიდრემ, ქართველი ერის დიდბუნოვნებამ კეთილი ზეგავლენა იქონია საქართველოსა და ქართველ ერთან ახლოს მყოფ დიდი რუსი ერის ღირსეულ წარმომადგენლებზე და ყოველივე ამან დიდი გამოხატულება ნახა რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში, პუბლიცისტურ და მეცნიერულ ნაშრომში.

რუსეთის საზოგადოება, ამავე პერიოდში, ფართოდ ეცნობა ქართველ მეცნიერებს. მაგალითად 1827 წელს ს. დოდაშვილმა რუსულ ენაზე დაბეჭდა „ლოლიკა“, რომელსაც „მოსკოვის ტელეგრაფმა“ და რუსეთის სხვა პერიოდულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა. 1837 წელს თეიმურაზ ბაგრატიონი არჩეული იქნა რუსეთის აკადემიის საპატიო წევრად. 1844 წელს პეტერბურგში გამოიცა დეკაბრისტების საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ ი. პ. ბარათაევის (ბარათაშვილის) შრომა „ქართული სამეფოს ნუმიზმატიური ფაქტები“, დ. ი. ჩუბინიშვილმა მიიღო პროფესორის წოდება და განაგებდა კათედ-

რას პეტერბურგის უნივერსიტეტში და ორჯერ იყო დაჯილდოებული მეცნიერებათა აკადემიის მიერ დემიდოვის პრემიით.

მხატვრული ლიტერატურის დარგში გამოჩნდნენ სახელოვანი მწერლები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი... ფართოდ ცნობილი გახდა ქართული მხედართმთავრული ნიჭი იმ კომპანიებში, რომლებსაც აწარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელობა-ჩრდილოეთ კავკასიის ტომების დასათრგუნად, ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ და რომლებშიც მრავალი ქართველი ოფიცერი მონაწილეობდა.

რუსეთთან შეერთებამ, ცალკეულ სამეფოებად დაქსაქსული საქართველო ერთ პოლიტიკურ მთლიანობაში მოაქცია, რამაც განაპირობა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება. ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ძვრებმა დააჩქარეს ხალხის შეგნების და რევოლუციური სულისკვეთების მომწიფება. საბოლოოდ, ქართველმა ერმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, შეძლო მიეღწია თავისუფლებისათვის და დამდგარიყო კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. მაგრამ, ამ ისტორიული გამარჯვების მიღწევამდე, ქართველი ხალხი მრავალი ათეული წელი, იმყოფებოდა არნახული ნაციონალური ჩაგვრის ქვეშ. რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველო ფაქტიურად გადაიქცა კოლონიად და ქართველ გლეხობას, რომელიც მოსახლეობის 80%-ზე მეტი იყო, სული ხდებოდა ბატონყმური ურთიერთობის, მტაცებლური საგადასახადო სისტემისა და უამრავი ვალდებულებების შედეგად. ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფი გლეხობა არ იყო პოლიტიკურად იმდენად მომწიფებული და ორგანიზებული, რომ რევოლუციის გზით თავის განთავისუფლების უნარი ჰქონოდა. 1804 წლის მთიულთა და მოხევეთა აჯანყება, 1812 წლის კახეთის გლეხთა აჯანყება, 1819-20 წ.წ. აჯანყებები იმერეთში, ოცდაათიანი წლების აჯანყებები თბილისის, გორის და თელავის მაზრებში, 1841 წლის გურიის და 1857 წლის სამეგრელოს სახალხო აჯანყებები იყო გლეხთა ორმაგი კოლონიალური და ფეოდალურ- ბატონყმური ჩაგვრის

გაძლიერების შედეგი, ცდა ამ ურთიერთობიდან თავის დაღწევისა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა მმართველი ფეოდალური კლასის დახმარებით, სასტიკად უსწორდებოდა და ახშობდა ყველა ერთეულ და ორგანიზებულ გამოსვლებს, ბატონყმური უღლისაგან თავის გასანთავისუფლებლად გლეხთა მასიურ მოძრაობამ ხელი შეუწყო და აიძულა ხელისუფლება დაეჩქარებინა საქართველოში ბატონყმობის გაუქმება.

თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიალურმა პოლიტიკამ, ნაციონალურმა ჩაგვრამ წარმოშვა სხვადასხვა ფორმის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც, თავისთავად ცხადია, ყოველთვის არ გამოხატავდა ხალხის ნება-სურვილს და არ ისახავდა მიზნად მშრომელი გლეხობის ექსპლოატატორული უღლიდან განთავისუფლებას. მაგალითად, 1832 წლის ქართველი თავად-აზნაურობის შეთქმულება შედეგი იყო მათ მიერ ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვის. ისინი „საქართველოს განთავისუფლების“ და „ნაციონალური საკითხის“ გადაჭრას ფიქრობდნენ მონარქიული წესწყობილების, ბაგრატიონების ტახტის აღდგენით, ხალხის ბედ-იღბალის ქართველ მეფეებზე და თავადაზნაურობაზე გადაცემით. ეს იყო „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“[1], რომელსაც ხალხისათვის რაიმე სიკეთის მოტანა არ შეეძლო და ამიტომ ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას ვერავითარი კვალი ვერ დააჩნია.

ისევე, როგორც დეკაბრისტებს, რომლებიც ლენინის თქმით, ხალხისაგან „საშინლად შორს იყვნენ“, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთ ხალხის ინტერესებთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ და ამ შეთქმულების ბედ-იღბალი წინასწარ განსაზღვრული იყო.

ბატონყმობის გაუქმებამ ქართველ გლეხობას მხოლოდ პირადი თავისუფლება მისცა და მისი ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ქართველი გლეხი ისევ დამოკი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“. თხზ. ტ. I, გვ. 32, სახელგამი, 1947 წ.

დებული დარჩა მემამულეებზე და თვითმპყრობელურ სახელმწიფო აპარატზე, რის შედეგადაც ბრძოლა არ შენელებულა, შემდეგ პერიოდში მან უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. ბატონყმობის გადავარდნის (1864-1866 წწ.) შემდეგ პერიოდში ადგილი ჰქონდა გლეხთა მასიურ გამოსვლებს ცარიზმის, მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანია მათ შორის: 1876 წ. გლეხთა გამოსვლები სამეგრელოში, 1875-1876 წწ. სვანეთში, 1877-1878 წწ.—კახეთში, 1881-1882 წწ.—გურიაში და სხვა.

კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად იბადება ახალი კლასი პროლეტარიატი, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სწრაფად იზრდება და, როგორც ერთადერთი ბოლომდე თანმიმდევრულად რევოლუციური კლასი, სათავეში უდგება პოლიტიკურ ბრძოლას და შემდგომში ბრძოლისათვის რაზმავს მშრომელ გლეხობას. მუშათა კლასის პირველი გაფიცვები აღინიშნება XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში. 1869 წელს იფეთქა თბილისის არსენალის მუშათა გაფიცვამ, 1872 წელს მირზოევის ფაბრიკის ფეიქარ მუშათა გაფიცვამ, 1877 წელს ზეიცერის ფაბრიკის მუშათა გაფიცვამ, 1882 წელს ბათუმის მუშათა გაფიცვამ, 1889 წელს ამიერ-კავკასიის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა გაფიცვამ, 1890 წელს ისევ ბათუმის მუშათა გაფიცვამ, ხოლო 1894-1897 წწ. დიდი გაფიცვები აღინიშნება თამბაქოს, ტყავის და ფეხსაცმელების მრეწველობაში, თბილისში და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში.

XIX საუკუნის სამოციანი წლები ითვლება საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისად. პეტერბურგში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტობა ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები გატაცებით ეწაფებიან ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის „Современник“-ის დემოკრატიულ ოპოზიციურ შეხედულებებს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ გამოსვლებში, რისთვისაც ბევრ მათგანს წილად დაპატიმრებაც ხვდათ.

პროგრესული-დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული ქართველი ახალგაზრდობა, ე. წ. „თერგდალეულები", მიზნად ისახავდა ერის ცხოვრების გარდაქმნას, მის გაუმჯობესებას. ისინი საკითხს აყენებენ ცხოვრების წინააღმდეგობის დაძლევის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ, რა გზა უნდა ყოფილიყო არჩეული ამ წინააღმდეგობის დასაძლევად, უფრო სწორად, რა ბრძოლის ხერხი უნდა ყოფილიყო გამოყენებული ერის გასანთავისუფლებლად, ამ საკითხში „თერგდალეულთა" შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. „თერგდალეულები" ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ პოზიციებზე იდგნენ. შემდეგ კი, როდესაც მომავალში ახალი ცხოვრების მოწყობის საკითხი დადგა, წინააღმდეგობა აშკარად გამოაშკარავდა, რამაც გამოიწვია მათი გათიშვა და ურთიერთ შორის იდეური ბრძოლა.

ე. წ. „პირველი დასი", რომლის მესვეურად ი. ჭავჭავაძეა აღიარებული და რომლის სულისჩამდგმელი აგრეთვე აკაკი წერეთელი იყო, თავის პროგრამაში წოდებათა შერიგებას ითვალისწინებდა და მოუწოდებდა ლიბერალურ თავად-აზნაურებს საქართველოს კაპიტალისტური განვითარების სათავეში ჩადგომას.

„მეორე დასი"-ს მესვეურები ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი საქართველოს ეროვნულ აღორძინების საშუალებას ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში ხედავდა და ამ განვითარებაში წამყვან ძალად სთვლიდა ბურჟუაზიას. „მეორე დასი" ქადაგებდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და რესპუბლიკანურ იდეებს.

1892 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი", რომელმაც განსაზღვრული დადებითი როლი შეასრულა მარქსიზმის გავრცელების საკითხში. „მესამე დასის" შემადგენლობაში მყოფ პირთა პოლიტიკური რწმენა და მიმართულება ერთიანი არ იყო. მისი უმრავლესობა იდგა „ლეგალური მარქსიზმის" პოზიციებზე და ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაკენ იყო გადახრილი. „მესამე დასის" უმცირესობა სტალინის, კეცხოველისა და წულუკიძის სახით—წარმოადგენდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახს, რომელიც ლენინური „მუშათა განთავი-

ხუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მაგალითზე შორდება ძველი ვიწრო პროპაგანდისტული მუშაობის ფარგლებს და მასიური პოლიტიკური აგიტაციის საფუძველზე მშრომელი მასების დარაზმვით სახავს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ტაქტიკას. ამ ტაქტიკას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა. შემდგომ პერიოდში ეს ბრძოლა გადაიზარდა პროლეტარიატის ავანგარდის-ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ ყველა ჯურის მენშევიკ-ლიკვიდატორული, ბურჟუაზიულ-მონარქისტული და სხვა პარტიებისა და დაჯგუფებების ბრძოლაში და ხელი შეუწყვეს ორი რევოლუციის მომზადებას, რომლებმაც ქართველ მშრომელებს, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად მშრომელ გლეხობასთან ერთად გამარჯვება მოუტანა.

ქართველი ერის ღრმა შინაარსიანი ,ისტორია უშუალო კავშირშია აზროვნების განვითარების ისტორიასთან, მჭევრმეტყველების და ორატორული ხელოვნების განვითარების ისტორიასთან. გლეხთა მოძრაობა თუ მუშათა ვამოსელები. იდეური ბრძოლა და რევოლუციური მოძრაობა წარმოშობს ორატორთა არმიებს, რომლებსაც თავიანთი ინდივიდუალური შემოქმედებით, მოწინააღმდეგისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით, თავისი ლოღიკით და დამაჯერებლობით წვლილი შეჰქონდათ მჭევრმეტყველების და ორატორული ხელოვნების განვითარებაში. სამეგრელოში გლეხთა მოძრაობის სულის ჩამდგმელი უტუ მიქავას მიერ წარმოთქმული სიტყვები და ის მოთხოვნილებები, რაც მან წამოაყენა ბატონყმობის უღელში მყოფი გლეხების ხვედრის შესამსუბუქებლად, წარმოადგენს ხალხური მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების შაღალ ნიმუშს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი, დიდი ქართველი მწერლები და მეცნიერები, პროლეტარული იდეების გამავრცელებელი მუშა-პროპაგანდისტები, პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორები და ბელადები აგრძელებდნენ ქართული მჭევრმეტყველებისა და ორატორული ,ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, და ახალ ისტორიულ ვითარებაში სათანადო წვლილი შეჰქონდათ მის განვითარებისა და განახლებისათვის. ი. ჭავჭავაძის, ა. წე-

რეთლის, ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის გვერდით ქართულ მჭევრმეტყველების ისტორიაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, გარდა ცნობილი მწერლებისა და მეცნიერებისა, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლთ, ბ/კ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს: ლ. კეცხოველს, ა. წულუკიძეს, ი. სტალინს, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძეს, ს. ორჯონიკიძეს, ა. ჯაფარიძესა და სხვებს. მათი იდეური ბრძოლა მენშევიკებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ არის უკეთესი ნამუშევარი ახალ ვითარებაში ქართული მჭევრმეტყველების განვითარებისა და ახალ დონეზე აყვანისა.

როდესაც ლაპარაკი გვაქვს ქართული მჭევრმეტყველების და ორატორული ხელოვნების ისტორიის შესახებ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იგი მუდმივ განვითარებაში და აღმავლობაში. მას აქვს როგორც აღორძინებისა, ასევე დაცემის ხანაც, ბევრი ნათელი და ამავე დროს ჩრდილოვანი მხარეები.

საქართველომ ისტორიულად განიცადა მრავალი დარბევა და განადგურება, რამაც დიდად შეაფერხა მისი როგორც ეკონომიური, ასევე კულტურული განვითარება. ჰუნები და ხაზარები, რომაელები და ბიზანტიელები, არაბები და მონღოლები, თურქები და სპარსელები, იპყრობდნენ და აჩანაგებდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ საქართველოს. ქართველი ერი და მისი უძველესი კულტურა არა ერთხელ დამდგარა სრული განადგურების საშიშროების წინაშე. ამ ერის განსაკუთრებული სიცოცხლის უნარიანობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველომ შეძლო თავისი სახის, ნაციონალური ნიშნის შენარჩუნება და არ გაითქვიფა მასზე ძლიერ დამპყრობთა შორის.

მაგალითად, ქართული კულტურის განსაკუთრებული დაცემა ხდება XIII—XV საუკუნეებში, მონღოლთა ბატონობისა და მის მომდევნო პერიოდში, როდესაც საქართველო თითქმის სრულ განადგურებამდე მივიდა. აგრეთვე, საქართველოს კულტურის და, მასთან ერთად ქართული ხალხური მჭევრმეტყველების და ორატორული ხელოვნების განვითარებას, ერთდაგვარად ხელს უშლიდა და ცალმხრივ მიმართულებას აძლევ-

და საეროსთან შედარებით სასულიერო მწერლობის უპირატესი მდგომარეობა. ამ დებულების დასადასტურებლად შეიძლება დასახელებული იქნეს სასულიერო მწერლობის ისეთი კლასიკური ეგლები, როგორიც არიან: ევსტათი მცხეთელის „მარტვილობა“ (VI საუკუნე), იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობა“ (VIII საუკუნე), გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X საუკუნე), გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (XI საუკუნე), ლეონტი ნროველისა და ჯუანშერის, დავითის და თამარის ისტორიკოსების, „მონღოლთა დროინდელი ისტორია“, რომლებიც შეიცავენ ქართული მეევრმეტყველების ნიმუშებს უმთავრესად სასულიერო ქადაგებათა სახით, სადაც მოვლენების გადმოცემისთვის გამოყენებულია სასულიერო ჟანრები.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და აქვე არ აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით XX საუკუნის მიჯნაზე პოლიტიკურ არენაზე გამოვიდნენ ქართველი მოღვაწენი, რომლებიც თავისი პოლიტიკური მრწამსით და მოქმედებით ბურჟუაზიისა და მემამულეთა სამსახურში იმყოფებოდნენ და ფაქტიურად ხალხის მოღალატის როლში გამოდიოდნენ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში კი ამ მოღვაწეთა ნაწილი პროლეტარიატის მტრების ბანაკში იმყოფებოდნენ და აქტიური მოქმედებით ცდილობდნენ ისტორიის ჩარხის უკან შემობრუნებას. ნ. ჟორდანიას, ი. წერეთელს, ნ. რამიშვილს, ნ. ჩხეიძეს, ა. ჩხენკელს და სხვებს, რომლებსაც საკმაოდ ჰქონდათ ათვისებული ქართული მეევრმეტყველური კულტურა და დაუფლებულნი იყვნენ ორატორულ ხელოვნებას, თავისი გამოსვლებით ხალხის წინაშე, სახელმწიფო სათათბიროებში, დამფუძნებელ კრებებზე თუ ბეჭდვით ორგანოებში შესწევდათ უნარი საზოგადოების ნაწილზე ზეგავლენის მოხდენისა. ბოლშევიკური პარტია ლენინის და მისი თანამებრძოლთა სახით ყოველთვის ამხილებდა ყველა იმ ფარისევლურ და ანტისაზოგადოებრივ კონცეფციებს, რასაც აყენებდნენ ეს ე. წ. „ხალხის მსახურნი“ და ხანგრძლივი იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის შედეგად შესაძ-

ლებელი გახდა რუსეთის პროლეტარიატის სწორ გზაზე დაყენება და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა.

რასაკვირველია, ისეთი მქევრმეტყველება და ორატორული ხელოვნება, რომელიც არ ემსახურება ხალხის ერთიან მიზანს არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად და საბოლოოდ იგი ხალხის მიერ არ იქნება მიღებული, ისევე როგორც არ იყო მიღებული ნ. ჟორდანიასა და ქართველი ერის სხვა მოღალატეთა შემოქმედება და ხელოვნება. კ. მარქსი და ფ. ენგელსი რ. ბლიუმის ერთ-ერთ გამოსვლას ფრანკფურტის ნაციონალურ კრებაზე ასეახასიათებდნენ: „...რომ მოვაცალოთ ყველა ამ ბრწყინვალე გამოსვლას დეკლამატორული ჩენჩო მაშინ აღარაფერი არ დარჩება, გარდა უხამსი ლაყბობისა, თუ გინდ—დიდი სიამოვნებით ვუშვებთ ამას—ლაყბობისა ფარრთო გაქანებით და მაღალი ოსტატობით"[1]...

ღრმად რომ ჩავწვდეთ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების მოხსენებულ აზრს, რ. ბლიუმის მიმართ, იგი თანაბარი ზომით მიუდგება იგივე ნ. ჟორდანიას და სხვებს, ვისი მქევრმეტყველება და ორატორული ხელოვნებაც არ ყოფილა ხალხის სამსახურში და ხელს უშლიდა ხალხის ნამდვილი კულტურის განვითარებას.

როგორც ადრე იყო აღნიშნული ჩვენს მიერ დანართის სახით წარმოდგენილი ქართველი იურისტების დაცვითი და საბრალმდებლო სიტყვები რაიმე სპეციალურ შერჩევას და კლასიფიკაციას არ დაქვემდებარებია. სიტყვები წარმოდგენილია ქრონოლოგიურად მათი წარმოთქმის დროის მიხედვით.

შევეცდებით წარმოდგენილ სიტყვებს ორიოდე სიტყვით შევეხოთ, შევავსოთ ისინი საკითხებით, რომლებიც თვით სიტყვებში შეიძლება გაშუქებული არ იყოს.

პირველი სიტყვა, რომელიც დანართის სახით არის წარმოდგენილი, ეს არის უკვე ნახსენები VI საუკუნის ისტო-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტომი 5, გვ. 361, II გამოცემა.

რიული ძეგლი, კოლხთა წარმომადგენლის საბრალმდებლო სიტყვა, წარმოთქმული ცნობილ მკვლევრმეტყველის და მხედართმთავრის გუბაზ მეფის მკვლელების გასამართლებაზე. ეს ძეგლი გადმოთარგმნილი და გამოქვეყნებული იქნა პროფესორ სიმონ ყაუბჩიშვილის მიერ 1936 წელს, წიგნში „გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ". სახელი ორატორისა, რომელმაც ეს სიტყვა წარმოთქვა, დადგენილი არ არის. სიტყვა მეტად საინტერესოა, რადგან წარმოდგენას იძლევა ადრეული პერიოდის იურიდიული აზროვნების შესახებ. იგი გამოირჩევა თავისი სრულყოფილებით, მტკიცე ლოგიკით და დამაჯერებელი იურიდიული ანალიზით.

აქ მოთავსებული მეორე სიტყვა წარმოთქმული არის დიდი ქართველი პოეტის აკაკი როსტომის-ძე წერეთლის მიერ თავისუფალი სვანეთის წარმომადგენლების გასამართლების დროს.

აკაკი, როგორც ოფიციალური პროფესიონალი იურისტი პირველად ე. წ. „სვანების" პროცესში გვევლინება.

„სვანების" პროცესი იყო შედეგი თავისუფალი სვანეთის გლეხების 1875—76 წლების აჯანყებისა. აკაკი პროცესში მონაწილეობას იღებს როგორც სამართალში მიცემულთა ინტერესების დამცველი ადვოკატი.

„სვანების" საქმე განიხილა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ (საველე პირობებში, ომის დროინდელი კანონების გამოყენებით) ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის — ლეიბტის თავმჯდომარეობით. ბრალს დებდა ოლქის პროკურორის თანაშემწე კაპიტანი შლეტინსკი. სამართალში მიცემულებს იცავდნენ: ნაფიცი ვექილები ლუარსაბ ლოლუა (იმ დროის გამოჩენილი ვექილი და დიდი სახალხო მოღვაწე), დავით ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი მგოსანი აკაკი წერეთელი და სამხედრო საოლქო სასამართლოში სასამართლოთანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატი დრობიჩევი. სასამართლოს პროცესი მიმდინარეობდა ქ. ქუთაისში 1876 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. სამხედრო სასამართლომ მეტად

მკაცრი განაჩენი გამოიტანა, რომლითაც სამართალში მიცემულთა ნაწილს ჩამოხრჩობა და ნაწილს ხანგრძლივი კატორღა მიესაჯა. განაჩენი მეფის ნაცვალმა დიდმა თავადმა, მიხეილ ნიკოლოზისძემ შეარბილა, ჩამოსახრჩობთ სასჯელი კატორღით შეუცვალა და ნაწილი საკატორღო ვადებისა შეამცირა. რომანოვმა ეს გააკეთა საზოგადოებრივი ზეგავლენით, შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მისცა ისეთი ფორმა თითქოს პირადი ჰუმანიურობა და ქართველი ხალხისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ამოძრავებდა. ეს იაფფასიანი სვლა საზოგადოების თვალში პირადი ავტორიტეტის ასამაღლებლად იყო გაკეთებული.

„სვანების" პროცესის ისტორია ასეთია: ე.წ. ზემო ხევის „თავისუფალი სვანები" ბატონყმური უღლისაგან თავის დასაღწევად, რომელსაც მათ უმზადებდნენ სვანეთის ფაქტიური მმართველი თავადი დადეშკელიანები, იძულებული გახდნენ მიემართათ ხელისუფლებისათვის, მათი რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ. ხელისუფლებამ ისარგებლა ამ მდგომარეობით, მიიღო თავისუფალი სვანები თავის ქვეშევრდომად და 1840 წელს დააწესა საბოქაულო, რომლის მეშვეობითაც ანხორციელებდა შემდგომში თავის პოლიტიკას და აწარმოებდა ამ ხალხის მაქსიმალურ ექსპლოატაციას. საბოქაულოს დაწესების დროს, მთავრობამ აღუთქვა თავისუფალ სვანებს დიდი მატერიალური დახმარება, გზების გაყვანა და ბევრი სხვა სიკეთე, რაც არ შეასრულა. „თავისუფალი სვანები" მალე დარწმუნდნენ თუ რას წარმოადგენდა ასეთი „ქვეშევრდომობა" და მთავრობის პოლიტიკით აღშფოთებულნი, წინააღმდეგობას უწევდნენ საბოქაულოს მოღვაწეობას.

1860 წლიდან, რუსეთის მიერ კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ „თავისუფალი სვანების" მდგომარეობა უფრო უარესდება, რადგან ხელისუფლება მეტად იცლის მათთვის და თავის პოლიტიკას სამხედრო ძალის გამოყენებით ადვილად ანხორციელებს. ხელისუფლება 1866 წლიდან, მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებით, იწყებს საძოვრების დატაცებას, 1869 წელს მთელს საქართველოში აწესებს რუ-

სულ სასამართლო სისტემას მოქმედი 1864 წლის „სასამართ ლო დებულების“ საფუძველზე, 1871 წელს სვანეთში აყენებს მუდმივ ჯარს, ხოლო 1873 წელს შემოაქვს სპეციალური საგადასახადო სისტემა—აქციზი არაყზე, თამბაქოზე და თვითეულ სულ მოსახლეზე სასამართლო ხარჯის გადასახადი, რამაც მთელი მოსახლეობა სრულ ეკონომიურ დაუძლურებამდე მიიყვანა. ყოველივე ამას ემატებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობა, რომელშიც მოკალათდნენ ისევ ის დადეშკელიანები და სხვა თავადები, რომლებიც თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით ცდილობდნენ „თავისუფალი სვანეთის“ მათდამი სრულ დამორჩილებას.

ასეთი პირობები იწვევდა სვანი ხალხის სისტემატურ მღელვარ ებას.

კავკასიის მეფის ნაცვლის მიერ შედგენილ ერთ დოკუმენტში, რომელიც ლენინგრადის სამხედრო ისტორიულ არქივში იქნა აღმოჩენილი, ვკითხულობთ, რომ „სვანეთის საბოქაულოს მცხოვრებთა შორის წარმოშობილ მღელვარების მიზეზი იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების უტაქტო, უხეირო და აღმაშფოთებელი განკარგულებები და ღონისძიებანი“[1].

1875 წლის ივნისის შუა რიცხვებში, „თავისუფალ ი სვანეთის“ გლეხობა წინ აღუდგა მთავრობის ღონისძიებას მიწების აზომვის დაწყების შესახებ. მათ კარგად ესმოდათ, რომ მიწების აზომვა ახალ გადასახადებს ნიშნავდა. მულახისა და სხვა სათემო ყრილობების გადაწყვეტილება ხელი შეეშალათ მიწების აზომვისათვის, ხელისუფლებამ აჯანყებად მიიჩნია და მის დასათრგუნად სვანეთში ჯარი გაგზავნა. გენერალმა ციტოვიჩმა შეძლო სახალხო ყრილობის წარმომადგენლების მოტყუება და ჯარის ნაწილების სოფ. კალაში და ბეჩოში შეყვანა, ისე, რომ მისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. როდესაც ჯარმა სტრატეგიულად ხელსაყრელი პოზიციები დაიპირა, ციტოვიჩმა მოსახლეობას მოთხოვა 16 კაცი, რომლებსაც საბოქაულო აჯანყების მოთავეებად სთვლიდა. 13 კა-

[1] ფონდი, 1, 147, ფურც. 39.

ცი ნებაყოფლობით ჩაბარდა, ერთი კი ძალით იქნა დამორჩილებული. „მოთავეებიდან“ მთავრობამ ვერ დაიმორჩილა და „მართლმსაჯულების კურთხევა“ ვერ შიაღებია გურმაჩ გასვიანს და ჩარგაზ ჯოხაძეს, რომლებმაც ციტოვიჩთან გამოცხადებას თავი აარიდეს და ტყეში გაიხიზნენ. ეს კი საფუძვლად დაედო სვანეთში მეორე დამსჯელი ექსპედიციის მოწყობას. 1876 წლის 28 იელისს, ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი თვით გაემზავრა ბეჩოში გასვიანის და ჯოხაძის დასაპატიმრებლად. ადგილზე ჩასულ გრინევსკის მოსამართლის თანაშემწე ორბელმა სთხოვა ზოგიერთი გლეხის დაპატიმრება, რადგან „თავს არიდებენ სასამართლოში გამოცხადებას და საერთოდ წინააღმდეგობას უწევენ სასამართლო ხელისუფლებასო“. გრინევსკის თანმხლებმა რაზმმა მაიორ ლეუსის მეთაურობით, რადგან თვით ჯოხაძე ვერ აღმოაჩინა, სოფელ შულახში დააპატიმრა და თან წაიყვანა კალაში მისი 2 ბავშვი. ბავშვების დაპატიმრება ელვის სისწრაფით მოედო მთელ სვანეთს, რამაც გლეხობა მეტად აღაშფოთა და მოლაპარაკების დროს გასვიანის და ჯოხაძის გაცემაზე უარი განაცხადეს. გრინევსკი, ჯარის თანხლებით, ხალდესაკენ გაემართა, სადაც მას მოედანზე სოფლის უხუცესები შეხვდნენ. უხუცესებმა გრინევსკის სთხოვეს სოფლისათვის ხელი არ ეხლო და აღუთქვეს ყველა მისი მოთხოვნის შესრულება. სოფლის მხრიდან ასეთი მშვიდობიანი მისწრაფებისდა მიუხედავად, მოლაპარაკება ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ მაიორ ლეუსმა განკარგულება გასცა ორი ახალგაზრა სვანის —გეგი და გიერგ გასვიანების დაჭერის შესახებ. ჯარისკაცებმა გასვიანებს თოფის კონდახებით დაუწყეს ცემა, რა დროსაც მათ ხანჯლები იშიშვლეს და რამდენიმე კაცი დასჭრეს. ჯარისკაცებმა გასვიანები ხიშტებზე წამოაგეს, რაც ახლო კოშკებში მყოფმა სვანებმა დაინახეს და იქიდან რაზმს სროლა აუტეხეს. იმ მომენტში და უფრო გვიან საღამოთი რაზმის შემადგენლობიდან მოკლული იქნა 5 კაცი, მათ შორის თვით გრინევსკი, მაიორი ლეუსი, ექიმი ბელსკი, ბოქაული მიქელაძე, შამასახლისი მარგველიანი და დაჭრილი—9 კაცი.

ამ ამბით განრისხებულმა მთავრობამ სვანეთში გაგზავნა მეორე დამსჯელი რაზმი, რომელმაც 21 აგვისტოს მძიმე არ-

ტილერიის და სხვა სამხეღრო ტექნიკის გამოყენებით მიწასთან გაასწორა ყოფელი ხალდე, თავისი ორი კოშკით და ყველა სხვა ნაგებობებით. რაზმმა, იმავე დროს, შეძლო 9 სვანის დაპატიმრება, რომლებიც სწრაფად იქნენ გასამართლებული. ზოგს შორეულ მხარეში გადასახლება და ზოგს ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა.

დამსჯელი ექსპედიციისადმი მოსახლეობის გააფრთებული წინააღმდეგობის მიუხედავად ეს სტიქიური გლეხური აჯანყება სწრაფად იქნა ჩაქრობილი. სულ მოკლე ხანში პოლიციამ შეძლო აჯანყების კიდევ 22 აქტიური მონაწილის დაპატიმრება. დაპატიმრებულთა შორის აგრეთვე იყვნენ, გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძე.

სასამართლო პროცესზე აკაკი წერეთლის დაცვითი სიტყვა საინტერესოა არა მარტო, როგორც ქართული მკვერმეტყველების ღირსშესანიშნავი ნიმუში, იგი ჩვენის აზრით ქართული სამართლის დარგის მეტად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. აკაკის სიტყვა არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც რიგითი დაცვითი სიტყვა ჩვეულებრივ სასამართლო პროცესზე, რადგან თვით ეს პროცესი არ შეიძლება მიეკუთვნოს „ჩვეულებრივთა“ რიცხვს. გარდა ამისა, აკაკის სასამართლო პროცესში მონაწილეობა იყო შედეგი იმ დიდი აღშფოთებისა, რომელიც მოწინავე ქართველ საზოგადოებაში გამოიწვია სვანების ისტორიამ საერთოდ, და შემდეგ მეფის მთავრობის მიერ ინსცენირებულმა სასამართლო პროცესმა. „სვანების“ პროცესზე აკაკი ფაქტიურად ერის წარმომადგენლად წარსდგა და სასამართლო ტრიბუნიდან ამხილა რუსეთის თვითმპყრობელურ-კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც ფეხქვეშ თელავდა არა მარტო მცირე ერების ღირსებას და თავისუფლებას, არამედ, საკუთარი კანონებისადმი ცინიკური დამოკიდებულების შედეგად, საფუძველს აცლიდა თავისივე სახელმწიფო წყობილების სიმტკიცეს.

აკაკიმ ალეგორიულ ფორმაში, მოკლედ, სათანადო დამაჯერებლობითა და ფაქტიური მდგომარეობის სწორი ანალიზით შეძლო დაემტკიცებინა, რომ საბრალმდებო სკამზე სრულიად უდანაშაულო ადამიანები ისხდნენ და რომ იმათი ქმე-

დება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თვალსაზრისით მეტად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, იყო შედეგი ხელისუფლების წარმომადგენელთა უკანონო მოქმედების, კანონის ელემენტარული მოთხოვნის დაუცველობის და არნახული თვითნებობისა. აკაკის სიტყვა მეტად თავშეკავებული და თავაზინია. ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძებოთ იმაში, რომ მას კარგად ესმოდა სამართალში მიცემულთა მეტად მძიმე მდგომარეობა. მისი დაცვის ქვეშ მყოფთა ბედ-იღბალი წინასწარ განსაზღვრული იყო და სასამართლო პროცესი წარმოადგენდა სწორედ იმ პოლიტიკის მიჩქმალვის ერთ-ერთ საშუალებას, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში. გარდა ამისა, ადმინისტრაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმიდან გამოეთიშა და დაეცვა, ფაქტიურად დამნაშავე პირები, რომლებმაც შექმნეს სვანეთის „ინცინდენტი" და საბრალმდებო სკამზე დასვეს ფეხქვეშ გათელილი, შეურაცხყოფილი და ნამდვილად დაზარალებული ხალხი.

აკაკი აღნიშნავს, და აქაც საჭიროდ ვსთვლით ყურადღება მივაქციოთ, რომ ივი სიტყვის სათქმელად ტრიბუნაზე ავიდა ადვოკატ ლ. ტ. ლოლუას შემდეგ, რამაც რასაკვირველია, მისი გამოსვლა ერთდაგვარად შეზღუდა. ადვოკატმა ლ. ტ. ლოლუამ მთელ საქმეს კვალიფიციური და ვრცელი იურიდიული ანალიზი გაუკეთა და აკაკის აღარ დასჭირდა ბევრი ისეთი დეტალის განმეორება, რომლებიც წინასწარ და სამსჯავრო გამოძიების დროს გამოვლინდა, პროცესისათვის აუცილებელი იყო, მაგრამ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გარდა ამისა, სამხედრო საველე სასამართლოში საქმის წარმოების მკაცრი რეჟიმი, რომელსაც უშვებდა რუსეთის სისხლის სამართლის პროცესუალური კანონი და კერძოდ, სასამართლოს თავჯდომარის განუსაზღვრელი უფლება უხეშად ჩარეულიყო ადვოკატის გამოსვლის ყველა სტადიაში, შეეჩერებინა იგი და თუ საჭიროდ დაინახავდა სრულიად აეკრძალა გამოსვლა,—თავისთავად განსაზღვრავდა ადვოკატის პროცესუალურ და უფლებრივ მდგომარეობას, ჰკვეცავდა მას მჭევრმეტყველებისა და ორატორული უნარის მაქსიმალურად გა-

მოვლინებაში. ამისდამიუხედავად, აკაკის სიტყვა დაცვითი სიტყვის უაღრესად სრულყოფილი ნიმუშია. იგი მეტად გააზრებული, სხარტი, მნიშვნელოვანი მტკიცებათა სათანადოდ აქცენტირებული სიტყვაა, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის საქმეზე დაცვისათვის აუცილებელ მხარეებს: შესავალს, ისტორიულ ნაწილს — მტკიცებათა ანალიზს და დასკვნას — ქმედეიის ხასიათის გარკვევით და კვალიფიკაციის განსაზღვრით.

მიუხედავად სიტყვის დიდი ლაკონიურობისა და გამოთქმებში აკაკისათვის უჩვეულო სიფრთხილისა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან (აქ პირველ რიგში, მხედველობაში გვყავს სასამართლოს თავმჯდომარე) მისი პიროვნებისადმი მოჩვენებით ფაქიზი დამოკიდებულებისა, სასამართლოს თავმჯდომარემ აკაკი ორჯერ შეაჩერა და მიუთითა გამოთქმებში ყოფილიყო „ფრთხილი“, რადგან „სიმკვახე კარგს არაფერს“ მოუტანდა.

სიტყვის დასაწყისში, აკაკი ხაზს უსვამს სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლის შტაბს—კაპიტანი შლეტინსკის განსაკუთრებულ ჰუმანიურობას და დიდ მეურვეობას არა სამართალში მიცემულთა მიმართ, არამედ მოწმე თენგიზ დადეშკელიანის მიმართ. საქმისათვის აღნიშნულ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სვანეთის ბოქაულის თანაშემწე თენგიზ დადეშკელიანი იყო ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომელიც განუსაზღვრელად ავიწროვებდა მოსახლეობას და შექმნა ყველა ის წინასწარი პირობები, რამაც გამოიწვია სვანეთის ზემოხსენებული ამბები. თენგიზ დადეშკელიანის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა მოქმედების სრული გამართლება შეადგენდა საბრალმდებო ხელისუფლების მთავარ ამოცანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეს ჩაშოშორდებოდა „პოლიტიკური“ ჩენჩო და აშკარა გახდებოდა სამართალში მიცემულთა უდანაშაულობა.

აკაკი კონკრეტული მაგალითებით თვით სვანეთის ისტორიიდან იძლევა ღრმა ანალიზს დანაშაულის პირობითობის შესახებ, რომ სხვადასხვა პირობებში ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს განხილული და ასკვნის,

რომ საბრალმდებო სკამზე მყოფ პირებს არ შეეძლოთ თავიანთი ქმედება ეცნოთ დანაშაულად, ისე, როგორც ამას სახელმწიფო ხელისუფლება და კანონი ითვალისწინებდა.

ესება რა უშუალოდ საქმის გარემოება, იეი დამაჯერებლად ასაბუთებს დანაშაულის მიზეზს, რომელიც არის შედეეი „დაბალი ადმინისტრაციის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკებისა". აკაკი თავის სიტყვაში მოკლე ისტორიული ექსკურსით ნათელს ხდის, თუ რას წარმოადგენდა სვანი ხალხი თავისი კარჩაკეტილობით და პატრიარქალური ადათ-წესებით, რაოდენ დაბალ დონეზე იდგა მათი კულტურული ეითარება და რა მოეთხოვებოდა ასეთ პირობებში ადგილობრივ ხელისუფლების, რომელიც მოეევლინა ამ „ბუნების შვილებს" ცივილიზატორებად და რომელმაც შესაძლებლად ცნო ყოველგვარი პირობების გათვალისწინების გარეშე გამოეყენებინათ 1864 წლის „სასამართლოს დებულებანი". „მე ადამიანებზე კანონის ზემოდან მიცემის ერთადერთი მოსდენილი შემთხვევა ვიცი,— ამბობს აკაკი,—როდესაც სინაის მთაზე მოსემ მცნებანი მიიღო ღმერთისაგან. ამიხ შემდეგ ასეთი მაგალითები არ შეიძლებოდა განმეორებულიყო. კანონებს საფუძვლად იმ ხალხის ადათი და წესი უნდა ედოთ, რომლის მიმართაც გამოიყენებიან. სვანების მიმართ არაფერი ასეთი დაცული არ ყოფილა. ადმინისტრაცია ვალდებული იყო განემარტა მოსახლეობისათვის კანონის შინაარსი და აზრი და თავისი მოქმედებით კანონისადმი დამორჩილების მაგალითი მიეცათ". საქმის მასალების ღრმა ანალიზით დასაბუთებული იქნა ის უკანონობა, რაც დაუშვა ლეჩხუმის სასამართლო ხელისუფლებამ და ადმინისტრაციამ ჯოხაძის ოჯახის მიმართ. დასაბუთებულ იქნა თენგიზ დადეშკელიანის მიერ დამსჯელი რაზმის უსაფუძვლოდ გამოწვევა და ის თვითნებობა, რაც ამ რაზმის მოსკლას მოჰყვა შედეგად. მხილებული იქნა ის პროვოკაციული ხერხი, რომელიც იყო გამოყენებული დამსჯელი რაზმის ლაშქრობისათვის და მშვიდობიანი მოსახლეობის საბრძოლველად გამოსაწვევად.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ მიიღო ზომები დაცვის მიერ დასახელებული მოწმეების გამოწვევისათვის,

აკაკიმ, თვით ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით შეძლო დაემტკიცებინა დამსჯელი რაზმის უკანონო მოქმედება, რომელიც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შედიოდა სოფლებში, ჩხრეკდა ბინებს, აწიოკებდა და აპატიმრებდა, როგორც სრულწლოვან და კანონის წინაშე პასუხისმგებელ პირებს, აგრეთვე ბავშვებსაც. დაასაბუთა ის გარემოება, რომ, მიუხედავად რაზმის ასეთი მოქმედებისა, მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი, სანამ უდანაშაულო ადამიანები ხიშტზე არ წამოაგეს და მოსახლეობა განადგურების საშიშროების წინაშე არ დააყენეს.

როდესაც აკაკიმ აღშფოთებით წარმოსთქვა, რომ: „ერთ სოფელში, ნაცვლად დასაძებნი პირის, შაკუშატ ქურდიანისა, დააპატიმრეს მისი ბავშვები და ისინი ხელფეხშეკრულნი დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში, ჯარის უკან, როგორც მაიმუნები...“,—სასამართლოს თავჯდომარემ იგი გააჩერა და მიუთითა გამოთქმებში „სიფრთხილე“ გამოეჩინა. მიუხედავად დაცვის ასეთი პირობებში ჩაყენებისა, აკაკიმ თანმიმდევრულად გაანადგურა პროკურორის მიერ წამოყენებული ყველა ბრალდება და დაამტკიცა თუ რაოდენ დიდი იყო ხალხის მისწრაფება, მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ ყველა წამოჭრილი საკითხი, რის საშუალებაც მას არ მისცეს და შეიარაღებული ძალის გამოყენებით გაანადგურეს სოფელი ხალდე და მისი მოსახლეობა.

აკაკის მიერ თავის სიტყვაში გამოყენებული ალეგორიული წინადადება, რომ „ხელისუფლების წუნაალმდეგ თავდაცვა არ არსებობს...და რომ ხალხს რჩება უფლება მაიორ ლეუსის მოქმედების განსაჩივრების, რომლის განკარგულებითაც ხიშტზე აგებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას“,—განსაზღვრავდა მთელი ამ პროცესის პოლიტიკურ შინაარს და ქართველი საზოგადოების თვალსაზრისს სამართლაში მიცემულთა მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ.

აღმაშფოთებული იყო ის გარემოება, რომ სხვებთან ერთად საბრალმდებო სკამზე ბავშვებიც ისხდნენ. აკაკიმ მათი დაცვა ზედმეტად ჩათვალა. „მე საერთოდ ზედმეტად ვთელი რაიმე ვილაპარაკო მათი მართლებისათვის,— აღნიშნა მან.— მათ არ

უსვრიათ, იარაღი არ ჰქონიათ და არც შეეძლოთ ასეთი ჰქონოდათ. მთელი მათი ბრალი მასშია, რომ დაინახეს რა საშიშროება, რომლებიც მშობლებს მოელოდა, არ მოისურვეს მათთან დაშორება. ჩვენს შვილებს, რომ რაიმე ასეთი მოსვლოდათ, მათ ქებას ვერ აუვიდოდით“.

აკაკი თავის სიტყვას ამთავრებს იმით, რომ სამართალში მიცემულთა დანაშაულის მიზეზად სთვლის იძულებას, რომელიც მათ მიაყენა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რაც წარმოადგენს საშელავათო პირობას და მოითხოვა შეწყალება. „თანახმად კანონთა კრებულის XXIV წიგნის 185 მუხლისა,—ასკვნის აკაკი,—მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით გამოიყენოთ ამ შემთხვევაში იგივე წიგნის 1234 მუხლი,—იშუამდგომლოთ... სამართალში მიცემულთა ბედის შემსუბუქებისა და პატიების შესახებ...თქვენ შეგიძლიათ კანონის სიმკაცრე სამართლიანობის და ჰუმანიურობის გრძნობას შეუფარდოთ. მით უმეტეს, რომ ამ კანონს დიდი ხანია აქეს გამოყენება და გამოიხატება უზენაეს სიტყვებში „დაე მეფობდეს სასამართლოებში სიმართლე და მოწყალება“.

აკაკის სიტყვამ, და საერთოდ, „სვანების“ პროცესის ჩანაწერებმა რომ ჩვენამდე მოაღწია, ამას დიდ ქართველ მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს უნდა ვუმადლოდეთ. სასამართლო პროცესის ანგარიში და თვით საქმე, არქივებში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. მხოლოდ 1944 წელს, ნიკო ნიკოლაძის არქივის შესწავლის დროს, კ. მარქსის საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტის გამგემ, პატივცემულმა თამარ მაჭავარიანმა და სხვა მუშაკებმა მიაქციეს ყურადღება. ერცელ მასალას, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა შემონახული, აღნიშნული პროცესის ვამო. მასალა, რომელიც დღეს ხელთ გვაქვს, ძირითადად ნიკო ნიკოლაძის ხელით არის დაწერილი. როგორც ამ მასალიდან ჩანს, ნიკო ნიკოლაძე პროცესს ესწრებოდა დაწყების მომენტიდან ვიდრე დამთავრებამდე და მას გაუკეთებია მთელი სასამართლო პროცესის ზუსტი, თითქმის სტენოგრაფიული ჩანაწერები. გარდა ამისა, ნიკოლაძეს გაკეთებული აქვს ცალკეული ბრალდებულის სილუეტი ჩანახატების სახით და მოკლე დახასიათებები, მის

მიერ „ფიზიონომიებად“ წოდებული. მთელი ჩანაწერები რუ-სულად არის გაკეთებული, რაც რუსული სასამართლო წარ-მოებით აიხსნება.

საინტერესოა ზოგიერთი საკითხი, რომელიც ეხება თვით ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულებას „სვანების“ პროცესისად-მი. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძე პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და მას რაიმე აქტიური პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის საშუალება არ ეძლეოდა. 1876 წელს ნ. ნიკოლაძე გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ ოფიციალური თანამშრომელია. საქ-მის ხასიათის მიხედვით, სასამართლო პროცესი დახურულ კარებში უნდა ჩატარებულიყო და როგორც ეტყობა, მან პროცესზე დასწრების უფლება მიიღო, როგორც გაზეთის წარმომადგენელმა. საარქივო მასალებში განსაკურთებულ ყუ-რადღებას იპყრობს ნ. ნიკოლაძის 5 ცალი პირადი სადარბა-ზო ბარათი, რომლებზეც თეზისების სახით ჩამოყალიბებულია სამართალში მიცემულთა დაცვის დეტალური გეგმა. აღნიშ-ნული თეზისები დაწერილია თვით ნ. ნიკოლაძის ხელით და გარდა შესავალისა შეიცავს 14 პარაგრაფს. „სვანების“ საქმეზე მონაწილე ადვოკატი ლუარსაბ ლოლუა თავისი სიტ-ყვის შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ დამცველებმა ურთი-ერთ შეთანხმებით გაინაწილეს საკითხები და მას წილად ხვდა სასამართლოს წინაშე გააშუქოს საკითხი სვანეთის ინციდენ-ტის წარმომშობი მიზეზების შესახებ და ამის მიხედვით გაარ-კვიოს თუ რამდენად აგებენ პასუხს სამართალში მიცემულები ჩადენილი ქმედებისათვის. დამცველთა მიერ ეს პრინციპი ზუსტად არის დაცული და მათ მიერ ერთმანეთის აზრების დუბლირებას ადგილი არ აქვს. ბარათებზედ დაწერილი თე-ზისები არ შორდება ადვოკატების მიერ დაცვით სიტყვებს და შეიცავს ყველა საკითხებს, რაც დაცვის მიერ იყო წამო-ყენებული. აქვე უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ა. წერეთელი და ლ. ლოლუა, ნიკო ნიკოლაძის ახლო მეგობრები იყვნენ, დ. ლორთქიფანიძე კი ნათესავი და სამი-ვე ნიკო ნიკოლაძეს დიდ ანგარიშს უწევდნენ. ეს პირობები ერთად აღებული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „სვა-

ნების“ პროცესის დაცვის ორგანიზაცია, მასში აკაკი წერეთლის და იმ დროისათვის ქუთაისის გამოჩენილი იურისტების ლ. ლოლუას და დ. ლორთქიფანიძის მონაწილეობა, მისი ინიციატივით მოხდა, დაცვას პროცესზე თვით ხელმძღვანელობდა და დაცვითი სიტყვებიც მის მიერ შედგენილი თეზისების მიხედვით წარმოითქვა. ამ აზრის გამოთქმის საფუძველს იძლევა კიდევ ერთი გარემოება, ჯერ კიდევ სასამართლო პროცესამდე, 1876 წლის 14 აგვისტოს გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ სვანეთის ამბებს წერილით (მეთაურით) გამოეხმაურა. წერილი იზიარებდა გაზეთ „კავკაზის“ მიერ იმავე წლის 9 აგვისტოს გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ სოფელ ხალდეს მოსახლეობის მიერ მთავრობის შეიარაღებულ ძალებზე წინააღმდეგობის გაწევა, გამორიცხავდა რაიმე პოლიტიკურ მოტივებს და იყო შედეგი ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ ხალხის ადათ-ჩვეულებების, ღირსებისა და უფლებების უხეში უგულებელყოფისა. „ხალხს, — აღნიშნავდა „ტიფლისკი ვესტნიკი“, — რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა სპეციფიურ პირობებში და საკუთარი ინტერესებით, ახალი პოლიტიკური წყობის შეამავლებად უნდა აურჩიონ განვითარებული, განათლებული და ფრთხილი ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო ტაქტი. ახალ ცივილიზაციას, პატრიარქალურ განვითარების დონეზე მყოფ ხალხში, თანაგრძნობის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ თავისი საუკეთესო თვისებებით. ასეთი ხალხი წააგავს ბავშვებს ან ინსტიტუტში მოსწავლე გოგონებს და მათ შთაბეჭდილებაზე მოქმედებს მხოლოდ ორი ფაქტორი: უანგარო და მოწიწებული დამოკიდებულება, მოქმედების და ზნეობის იდეალური სიწმინდე.

საზოგადოებრივი სიმშვიდე და მისაღები მმართველობა ერთნაირად მოითხოვენ, რომ მაზრის ადმინისტრაცია, რომელიც ადგილობრივი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, მიენდოს უაღრესად განათლებულ პირებს, რომლებიც არიან გათვითცნობიერებული მათი მმართველობის ქვეშ მყოფ პირთა მდგომარეობაში და იცნობენ მათ ენას და ზნე-ჩვეულებებს. მხოლოდ ასეთ პირებს შეიძლება გააჩნდეს ის

ბუცილებელი ტაქტი, რომლის უქონლობაც ამ ბოლო დროს არის კავკასიაში სისხლისმღვრელი შეტაკებების მიზეზით"[1].

როგორც ზემოდაა აღნიშნული, ნ. ნიკოლაძე „ტიფლისკი ვესტნიკის" თანამშრომელი იყო და 14 აგვისტოს გაზეთ „მეთაურში" გამოთქმული აზრები სავსებით ემთხვეოდა ნ. ნიკოლაძის სადარბაზო ბარათებზე შედგენილ თეზისებს და პროცესზე განვითარებულ დაცვის ტაქტიკას, რაც აგრეთვე იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ „მეთაურის" ავტორიც ნ. ნიკოლაძეა. თუ ამ მტკიცებებს საფუძველიანად მივიჩნევთ (ჩვენ კი ამაში სრულიად დარწმუნებული ვართ) უნდა დავასკვნათ, რომ ნ. ნიკოლაძე სვანეთის აბზებით დაინტერესდა მისი დაწყების მომენტიდან, ყოველივე მომხდარი ღრმად განიცადა და ერთად ერთი რაც შეძლო, ორგანიზაცია გაუკეთა და პირადი ხელმძღვანელობა გაუწია კვალიფიციურ დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ „სვანების" ისტორიისადმი საზოგადოების გარკვეული აზრი არსებობდა, პროცესის ანგარიში და შედეგები პრესაში არ გამოქვეყნებულა. პრესაში აგრეთვე არ გამოქვეყნებულა არც აკაკის სიტყვა და არც ის მასალა, რაც შეკრბა ამ პროცესის გამო ნ. ნიკოლაძემ. ასეთი ყოველმხრივი „სიჩუმე" მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი ცენზურით უნდა აიხსნას, რადგან თუ სხვა პერიოდული პრესა არა, იგივე „კავკაზი" და „ტიფლისკი ვესტნიკი" მეთაურების შემდეგ, ამ საკითხზე უბრალო სასამართლო ქრონიკას მაინც გამოაქვეყნებდნენ.

გარდა სვანების პროცესისა აკაკის სხვა სასამართლო პროცესშიც აქვს მონაწილეობა მიღებული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხზე ცოტაოდენი ყურადღება გავამახვილოთ, რადგან მოიპოვება მასალები რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ აკაკი 1876 წლიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეწეოდა მეტად ინტერესიურ იურიდიულ მოღვაწეობას. „სვანების" საქმე პოლიტიკური ხასიათისა იყო და აკაკი პროცესში მონაწილეობდა პოლიტიკური საქმის დამცველ ადვოკატად. აკაკის სხვა პოლიტიკური საქმეების სასამართლო პროცესებშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ამ პროცესებით იმის მტკიცება, რომ აკაკი ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა. პოლიტიკურ პროცესებში აკაკის გამოჩენა

[1] „Тифлисский вестник", 14 აგვისტო, 1876 წელი.

უშუალო კავშირშია მის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობასთან. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობამ დასაბამი მისცა აკაკის იურიდიულ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, გააღვივა მისი ინტერესი იურისპრუდენციისადმი და წააქეზა კიდეც ამ დარგში პრაქტიკულ მოღვაწეობაზე. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა აკაკის სპეციალობად არ გაუხდია და ერთგვარ შემთხვევით ხასიათს ატარებდა. აკაკი, როგორც იურისტი, ჩამოყალიბდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან დაკავშირებით წამოჭრილ უამრავ სამოქალაქო-უფლებრივ დავებში მონაწილეობის შედეგად. როგორც ცნობილია, აკაკის დიდი წელილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების აღმოჩენაში, მათ გამოყენებაში. აკაკიმ საფუძველი ჩაუყარა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას. მე-19 საუკუნის 70-ანი წლებიდან ვიდრე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აკაკი იბრძოდა იმისათვის, რომ ქართული მარგანეცი—ერის ღირსება და ეკონომიური სიძლიერის დაუშრეტელი წყარო—ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის ყოფილიყო გამოყენებული. აკაკი იბრძოდა იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული მარგანეცის და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ბარბაროსული ექსპლოატაცია ყველა ჯურის: მევახშეების, ჩარჩების, მაკლერებისა და თაღლითების მხრიდან, რომლებიც საქართველოს მიწის და ქართველი ხალხის ექსპლოატაციით დიდ სიმდიდრეს შოულობდნენ. აკაკი, თავის მოგონებებში ჭიათურის მარგანეცის შესახებ წერს, რომ მას ხანგრძლივი შრომისა და ბრძოლის შედეგად, რომლებმაც მას ჯანმრთელობა შეურყიეს და დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს, ხელთ შერჩა გაუთავებელი სასამართლო პროცესები[1]. სწორედ ეს სასამართლო პროცესებია, რომლებმაც აიძულეს აკაკი ღრმად დაუფლებოდა სამართლის დარგის მეცნიერებას, გარკვეულიყო მოქმედ კანონმდებლობაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ებრძოლა როგორც პირადი უფლებ-

[1] ხელთნაწერთა ინსტიტუტის ფონდი н—1493, ფურ. 50.

რიეი და ქონებრიეი მდგომარეობის დასაცავად. ასევე მათი ინტერესების დასაცავად, ვინც მას მხარში ედგა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარებაში. აკაკის ხშირად თვით მიუმართავს დახმარებისათვის გამოცდილ იურისტებისათვის, როგორიც იყვნენ: კუჭიკო გელოვანი[1], ალექსანდრე გამრეკელი[2], ბესარიონ კვირკველია[3], მაგრამ ეს მხოლოდ პირად საქმეებზე, რომლების „დაცლევა" ხანგრძლივი დევნის აუცილებლობის გამო, აკაკის ფიზიკურად არ შეეძლო. მაგალითად, აკაკიმ 1912 წელს აღირა სასამართლო საქმე მსხვილი მრეწველი მადათოვის მიმართ, რომელმაც გლეხი სამყურაშვილისაგან მოტყუებით შეიძინა სოფ. ბუნიკაუთის მარგანეციანი მიწები, რომლებიც აკაკის ეკუთვნოდა. ამ საქმის განხილვა დამთავრდა 1914 წელს. „სახალხო გაზეთი" იტყობინებოდა, რომ: „ოლქის სასამართლოში გაირჩა თავადი აკაკი წერეთლისა და მადათოვის შორის ატეხილი დავა მიწის თაობაზე. სასამართლოში მადათოვი და მისი ვექილი არ გამოცხადებულან. საქმე გაირჩა. რეზოლუცია გამოცხადდება 6 თებერვალს"[4]. აღნიშნული საქმე მადათოვმა მოიგო. როგორც აკაკი აღნიშნავდა, მადათოვმა „ფულით ყველა შეისყიდა"[5] და საქმე ისე მოიგო. ამ საქმეს აკაკის დავალებით აწარმოებდნენ გამრეკელი და კვირკველია.

---

[1] კუჭიკო გელოვანი, მოღვაწეობდა პეტროგრადში, იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ნახსენებია აკაკის მოგონებებში ჭიათურის მარგანეცის შესახებ (საქ. მუზ. ფონდი H—1493 ფ. 49 -53).

[2] ალ. გამრეკელი თავის წერილში აკაკისადმი 1910 წლის 1 აგვისტოს, თხოვს აკაკის გაუგრძელოს მას ვექილობის რწმენა, რათა შეძლოს შენდგომში საქმის წარმოება (საქ. მუზეუმის ფონდი H— 1496 (24, ფურ. 9).

[3] კვირკველიას იხსენიებს კოტე აბდუშელიშვილი 1914 წლის 19 თებერვალს აკაკისადმი მიწერილ წერილში. აბდუშელიშვილი აცნობებს აკაკის, თუ როგორ მიდის გამოძიება მისი დავის გამო მადათოვთან და გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ კვირკველია არ ესწრებოდა ჭიათურაში მადათოვის მოწმეების დაკითხვას (საქ. სახ. მუზეუმის ფონდი H — 1496 ფურ.

[4] „სახალხო გაზეთი. № 805, 1913 წელი, ქრონიკა, ახალი ამბები, მადათოვის ინტერესებს იცავდა ნაფიცი ვექილი იუზბაშევი.

[5] ლიტერატ. მუზეუმის ფონდი 1794—6.

არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ საქმე თავისი შინაარსით მეტად რთული იყო, მოითხოვდა სპეციალურ გამოძიებას და მისი წარმოება თითქმის ორი წელი გაგრძელებულა. თავისთავად ცხადია, რომ აკაკის ასეთი საქმის მოვლა პირადად არ შეეძლო და საქმეს მასთან ერთად კიდევ ორი ვექილი აწარმოებდა.

აკაკის საქმეზე მონაწილე ადვოკატებს, მასთან ისეთი დამოკიდებულება კი არ აქვთ, როგორც ადვოკატს კლიენტთან. ადვოკატები აკაკის საქმეს თავის საქმედ თვლიდნენ და მასთან საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდათ, ისეთი როგორც ნამდვილ კოლეგებს, ერთი საქმით დაინტერესებულ და ერთიანი ინტერესებიდან გამომდინარე პირებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ დ. კვირკველიას 16 ოქტომბრის წერილი. წერილზე დაწერის თარიღი აღნიშნული არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დაწერა 1914 წლის 16 ოქტომბერს (მადათოვის საქმე სასამართლო დეპარტამენტში 1914 წლის ბოლოს გაირჩა). „ბატონო აკაკი!—წერს კვირკველია—ეს წერილი რაიმე გზით...გაუგზავნე მეოთხე დეპერტამენტში, სადაც ჩვენი საქმე ირჩეოდა. ამ წერილში...შენიშვნებია, რომელიც სეკრეტარმა პროტოკოლში უნდა შეიტანოს, უთუოდ სვალ გააგზავნეთ, თუ არა დაგვიანდება. მუდამ თქვენი დ. კვირკველია...“[1]

აკაკი ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა არა მარტო იმ საქმეებზე, რომლებიც უშუალოდ მას ეხებოდა, ან უშუალოდ მის საქმიანობასთან იყვნენ დაკავშირებული. იგი, ამავე დროს აწარმოებდა საქმეებს სხვების დავალებით. არსებობენ დოკუმენტები იმის დამადასტურებელი, რომ მე-19-ე საუკუნის 80-იან წლებიდან აკაკის ოფიციალურად მიმართავენ თხოვნით, აწარმოოს სასამართლოში საქმეები და იგი ასეთებს აწარმოებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სერგეი მესხის მიერ 1882 წლის 30 იანვარს აკაკისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც იგი თხოვს აკაკის იკისროს მისი დაცვა. ქუთაისის საგლეხო საკრებულოს წევრს, ნაფიც ვექილს—სერეპუტოვს-

[1] სახ. მუზეუმის ფონდი 484 (1496)

კის, რომელიც ბარონ მარცენფელდის წარმომადგენელი იყო აღუძრავს სისხლის სამართლის საქმე სერგეი მესხისა და სხვების მიმართ, როგორც ეტყობა, ცილისწამებისათვის. ამ პირების მიერ, სერჟპუტოვსკი და მარცენფელდი მხილებული ყოფილან თაღლითურ გარიგებაში, რომლითაც მათ ხელთ ჩაუგდიათ გლეხების მიწები. სერგეი მესხი ატყობინებს აკაკის მის მიმართ საქმის აღძვრას, სთხოვს იკისროს მისი დაცვა-ვექილობა და შეაგროვოს სათანადო დოკუმენტები.[1] აკაკის თავის მხრიდან ამ წინადადებაზე თანხმობა მიუცია...[2]

აკაკის ადვოკატობა გაუწევია ზუგდიდის აჯანყებულ გლეხთა სასამართლო პროცესში, იმერეთში დაუცავს მემამულეთა თვითნებობისაგან სოფელ კაცხის გლეხები, შეუსრულებია მომრიგებელ-შუამავლისა და მედიატორის მოვალეობა თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის წამოჭრილი მრავალი დავის გადასაწყვეტად და ა. შ.

აკაკი წერეთლის მოგონებებსა და პირად მიმოწერაში, აგრეთვე, მის თანამედროვეთა მოგონებებსა და მიმოწერაში, მოიპოვება მასალები, რომლებიც ადასტურებენ აკაკის მეტად მნიშვნელოვან იურიდიულ მოღვაწეობას, რომელმაც თავისებური გამოხატულება პოვა მის მხატვრულ შემოქმედებაში. მრავალ ფელეტონში, პამფლეტსა თუ ხუმრობაში, აკაკი მწარედ დასცინოდა ბიუროკრატიზმსა და თვითნებობას, რომელიც მეფობდა სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოებში. აკაკი დასცინოდა ძველი ადვოკატურის ცალკეულ წარმომადგენლებს, რომელთა მოღვაწეობა ხალხის სამსახურისათვის კი არ იყო გამიზნული, არამედ პირად კეთილდღეობას ემსახურებოდა.

საინტერესოა მასალები ა. წერეთლის იურიდიული აზროვნების შესახებ, მისი პოლემიკა გაზეთ „დროების" ფურცელზე დანაშაულის სოციალური საფუძვლებისა და დამნაშავის ბუნების შესახებ.

1880 წლის იანვარში თბილისის საოლქო სასამართლოს

---

[1] სახ. მუზეუმის ფონდი—1496—9 ფურ. 19

[2] იქვე.

განაჩენით საჯაროდ ჩამოახრჩეს ყაჩაღი ტატო წულუკიძე. მასალები წულუკიძის საქმის შესახებ პრესაში ქვეყნდებოდა პროცესის დაწყებამდე ბევრად ადრე. წულუკიძის სასამართლო პროცესმა ფართო გამოხმაურება პოვა განაჩენის გამოტანისა და მისი აღსრულების შემდეგაც. ამ საქმეზე ერთი გარკვეული აზრი არ არსებობდა. გაზეთი „კავკაზი“ და მისი მიმდევარნი საკითხს თვითმპყრობელური და შავრაზმელური პოზიციებიდან აშუქებდნენ. ამ პოზიციების ერთდაგვარ შეჯამებას და სრულყოფას წარმოადგენდა კავკასიის იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარის, ნაფიცი ვექილი ფრენკელის შრომა „ყაჩაღობის ისტორიისათვის კავკასიაში“. ფრენკელი ამტკიცებდა, რომ ყაჩაღობის მიზეზი თვით ყაჩაღის პიროვნებაშია, რომელსაც თავისი ბუნებით უპირატესად ცუდისაკენ აქვს სწრაფვა. ფრენკელის აზრით, ასეთი სწრაფვა 'მთამომავლობით მიიღება და, რაც მთავარია, ამას ხელს უწყობდა „უხეში და განუვითარებელი“ წრე, ის ხალხი რომელშიც ყაჩაღს უხდებოდა ცხოვრება. ფრენკელი კავკასიაში ყაჩაღობის ისტორიის პირველ მკვლევარად ცნაღებდა თავს, აცხადებდა, რომ არსენა ოძელაშვილი და ყველა მისი მსგავსნი ცივილიზებული საზოგადოების „სისხლის მსმელები“ არიანო.

ფრენკელი თავისი მტკიცებით ორიგინალური არ ყოფილა და მას რაიმე ახალი სიტყვა არ უთქვამს. მან მექანიკურად გადმოიღო ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერებაში იმ დროისათვის უკვე საკმაოდ გავრცელებული ანტროპოლოგიური სკოლის კონცეფცია, რომლის მიხედვით დანაშაული განიხილება, როგორც ბუნებრივი, ბიოლოგიური მოვლენა. ბურჟუაზიული მეცნიერების ეს უაღრესად რეაქციული მიმართულება, რომლის ფუძემდებელია იტალიელი ექიმი ფსიქიატრი ლომბროზო, მიზნად ისახავდა დაეფარა დანაშაულის ნამდვილი მიზეზები და გაემართლებინა ბურჟუაზიული წესრიგი. ლომბროზომ განავითარა ყალბი კონცეფცია „თანდაყოლილი“ დამნაშავისა, რომელიც დაბადებიდან განირჩევა განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური ბუნებით. იგი ცდილობდა აეხსნა დანაშაული ატავიზმით, და ამტკიცებდა, რომ ჩადენილ დანაშაულთა თითქმის ნახევარი საწყისს ღებულობს დამნაშავის თანდაყოლილ თვისებაში. ლომბროზოს თეორიამ შემდგომში

დიდი გამოყენება პოვა გერმანული რასიული თეორიის ჩამოყალიბებაში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციულად განწყობილ კრიმინალისტების თეორიებში, რომლებმაც აღადგინეს „ნეოლომბროზიანობა" რევოლუციონერებისა, შავკანიანების და ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

აკაკიმ სასტიკად გაიცალშერა „კავკაზის" მიმდევართა წინააღმდეგ და ამხილა მათი რეაქციული, სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო მტკიცება კავკასიაში ყაჩაღობის გამომწვევი მიზეზებისა და დამნაშავის ბუნების შესახებ. ამხილა მათი შავრაზმელური დამოკიდებულება კავკასიის ერებისადმი და თვით ტატო წულუკიძის მაგალითზე დამაჯერებლად დაამტკიცა ის გარემოება, რომ დანაშაულის გამომწვევია სოციალური პირობები და აქ რაიმე შთამომავლობითი და ეროვნული მიზეზი გამორიცხულია. „ნურავინ იფიქრებს,—აღნიშნავდა აკაკი,—რომ ეს მისი თანშობილი, ბუნებით მოთხოვნილება ყოფილიყოს. ის ვინც საქმეს ამგვარად წარმოადგენს, ცილს წამებს ქართველ ხალხს, რომლის მთელი ისტორია არის სანიმუშო მაგალითი დარბევა-აწიოკების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისა, თავისი თავის დაცვისა...ცილისმწამებელია ის, ვინც ქვეყანასა და ხალხს, რომელმაც შ. რუსთაველი წარმოშვა, ველურობასა და უკულტურობას აბრალებს... ტ. წულუკიძის დანაშაულში არაფერ შუაშია მისი მახლობელი გარემო—მისი ოჯახი, მისი მშობლები...დღეს სახელმწიფოს, საზოგადოების...ხელშია...ის სადავეები, რომელმაც პიროვნება უნდა აღზარდოს. ამ სადავეებს კი იმდაგვარად მართავენ, რომ ჩვენს შვილებს შავ მუშებად, ხელზე მოსამსახურეებად...აქცევენ, სკოლის კარებს უკეტენ და ქუჩაში ჰყრიან... როდესაც ბუნებას მათთვის ყველაფერი მიუნიჭებია, გულზე სისხლი ენთხევათ და თანდათან დგებიან ცუდ გზაზე...".[1]

დანაშაულის ხელის შემწყობი პირობებისა და დამნაშავის ბუნების შესახებ აკაკის აგრეთვე ღრმა ანალიზი აქვს გაკეთე-

---

[1] „დროება", 1880 წლის 1 თებერვლის მოწინავე.

ბული გაზეთ „შრომას“ 1881 წლის 15 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში და მრავალ ნაშრომში, რომელიც ეხება პედაგოგიკის საკითხებს.

შეკრებილი მასალები, რასაკვირველია, სრულყოფილად არ აშუქებს აკაკის იურიდიულ მოღვაწეობას და ჩვენ არ ვცდილობთ ვამტკიცოთ, რომ აკაკი პროფესიონალი ადვოკატი იყო, მაგრამ ეს ცოტაოდენი მასალა ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ აკაკი ოთხი ათეული წლის განმავლობაში თავისი ფართო ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად ეწეოდა მეტად ინტენსიურ მოღვაწეობას, როგორც პრაქტიკოსი იურისტი.

თბილისის საოპერო თეატრის ლოტბარის—სამუელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანის საქმე, რომელმაც 1920 წ. 15 იანვარს მოჰკლა ცოლი, განხილული იყო თბილისის დროებითი საგანგებო სასამართლოს 1920 წლის 4 მარტის სხდომაზე, ა. ა. კარასიოეის თავმჯდომარეობით. პროკურორმა მისი 15 წლით კატორღაში განწესება მოითხოვა, რაც სასამართლომ არ გაიზიარა და სტოლერმანს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. სასამართლომ სცნო, რომ სტოლერმანს დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების შედეგად ფსიქიურ არანორმალურობამდე მისვლის (პათოლოგიური აფექტის) გამო.

სტოლერმანს იცავდა ადვოკატი შალვა მესხიშვილი, რომლის მოღვაწეობა ჩვენს მიერ გაშუქებულია ცალკე ნარკვევში.

მიუხედავად იმისა, რომ სტოლერმანის საქმე არ შორდება ჩვეულებრივი „საყოფაცხოვრებო“ საქმეთა რიცხვს და მას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს, ამ საქმემ თავის დროზე ქართველი ინტელიგენციის დიდი ინტერესი გამოიწვია. ინტერესი საქმისადმი გამოწვეული იყო იმით, რომ თვით სტოლერმანს კარგად იცნობდა და პატივს სცემდა ქართველი საზოგადოება. სტოლერმანი რამდენიმე წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებო-

და ქართულ ხელოვნებას, იყო ზ. ფალიაშვილის ახლო მეგობარი და თაყვანისმცემელი. მან პირადად დიდი წელილი შეიტანა „აბესალომის“ პარტიტურის დამუშავებაში და მისი მოჭმედება, ერთდაგვარად დაკავშირებული იყო ამ სამუშაოსთან, რომლის შესრულებაში დიდად უშლიდა ხელს ქართველებისადმი მტრულად განწყობილი მეუღლე.

შალვა მესხიშვილის დაცვითი სიტყვა, წარმოთქმული სტოლერმანის საქმეზე. საინტერესოა მთელი პროცესის ღრმა ანალიზითა და მისი მეცნიერული დასაბუთებით.

თავის დროზე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, და ამიტომ საჭიროდ ვცანით წარმოგვედგინა მკითხველისათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილის—გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე წარმოთქმული საბრალმდებო სიტყვა. გ. ა. ბერბიჭაშვილი გასამართლებული იქნა საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ და 1942 წლის 5 იანვრის განაჩენით სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა განესაზღვრა. საქმე განხილული იყო კოლეგიის თავმჯდომარის ისიდორე სიმონის ძე ოდიშვილის თავმჯდომარეობით. ბერბიჭაშვილს ბრალს სდებდა საქ. სსრ პროკურორის მოადგილე ა. კ. ჩიქვანაია, ხოლო მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ა. ჯაფარიძე.

ბერბიჭაშვილის პროცესი გაშუქებულია ი. ოდიშვილის წიგნში „წიწამურის ტრაგედია“[1].

ა. კ. ჩიქვანაიას სიტყვა, მისი დიდი მოცულობის გამო, ჩვენს მიერ საგრძნობლად შემოკლებულია, მაგრამ იგი სრულ წარმოდგენას იძლევა, თუ რა პირობებში მოხდა დიდი ქართველი მწერლის, ქართველთა საამაყო შვილის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და კონკრეტულად რა ბრალი მიუძღოდა სამართალში მიცემულს გ. ბერბიჭაშვილს.

---

[1] ი. ოდიშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, სახელმწიფო გამომცემლობა 1953 წელი.

საბრალმდებო სიტყვა ძირითადად შემოკლებულია იმ ნაწილში, რომელიც ეხება ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ შემოქმედებას და საკითხს მისი გლეხებთან დამოკიდებულების შესახებ.

გარდა სასამართლო პროცესზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალმდებლო სიტყვებისა, ქართველი მკითხველისათვის აგრეთვე საინტერესოა ლიტერატურულ გასამართლებების დროს წარმოთქმული სიტყვის ნიმუშები, რომელთა ანალიზს ჩვენ აქ არ შევუდგებით. მხოლოდ აუცილებლად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმულ დაცვით სიტყვაზე გიორგი სააკაძის ლიტერატურული გასამართლების დროს. მის წინააღმდეგ, როგორც პროკურორი, გამოდიოდა გრ. გიორგაძე. ამ უკანასკნელის სიტყვა დაბეჭდილიც არის ცალკე ბროშურად[1]. გრ. გიორგაძემ ორალი დასდო სააკაძეს, ჩასთვალა იგი მოღალატედ და დასჯის ღირსად. გიორგაძემ დადასტურებულად სცნო, რომ გ. სააკაძემ:

„1) გასცა სახელმწიფოებრივი საიდუმლოება (აქ მხედველობაშია სააკაძის მიერ შაჰ აბაზზე ცნობების გადაცემა საქართველოს და რუსეთის დამოკიდებულების შესახებ, იმ მიმოწერის შესახებ, რომელიც ადრევე არსებობდა საქართველოს სამეფოსა და რუსეთს შორის).

2) გააძლიერა თავის მოღვაწეობით საქართველოს დაუძინებელი მტერი სპარსეთი;

3) შაჰ-აბაზი კახეთს შესევას უპირებდა, გაავრცელა ციხმა; რომ ოსმალეთს მიდის და საქართველოზე მხოლოდ უნდა გადაიაროს; ამიტომ ქართველები საომრად არ მოემზადნენ და მტერმა გაიმარჯვა; სააკაძემ იცოდა ყველა ეს გეგმა, მაგრამ ქართველებს არ აცნობა;

4) 1615 წელს, კახეთში შემოსევის დროს, შაჰ-აბაზს ახლდა და კახეთის შევიწროებაში მონაწილეობა მიიღო;

---

[1] გრ. გიორგაძე, „გიორგი სააკაძე სამსჯავროს წინაშე" (თბილისსა და ბათუმში წარმოთქმული სიტყვა), ქუთაისი, 1912 წ.

5) არა თუ მარტო შეიქნა შაჰ-აბაზის მომხრე, მან სხვა თავადებიც შახის მხარეს გადაიყვანა და ბევრ მეომარს ამოღებული ხმალი მოხერხებულად ქარქაშში ჩააგებინა;

6) 1616 წელს, სპარსელების კახეთში შემოსევის დროს, შახის ხელმძღვანელი და მრჩეველი იყო;

7) მან გამოიწვია სამოქალაქო ომი იმერლებსა და ქართლელებს შორის და ამას ამის სისხლი დააღვრევინა".

რამდენად საფუძვლიანია ბრალმდებელის პოზიცია აღნიშნულ „პროცესში", ამაზე პასუხს იძლევა თავის სიტყვაში აკაკი წერეთელი. ისტორიულად ეს კონცეფცია გაუმართლებელია, მაგრამ ერთი უდავოა, რომ გიორგი სააკაძის წინააღმდეგობით აღსავსე მოღვაწეობა და მისი ხანგრძლივი სამსახური ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრის შაჰ-აბაზის კარზე ყოველთვის იძლეოდა საფუძველს კრიტიკული განწყობილება ყოფილიყო მისი პიროვნებისადმი.

ნარკვევები

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი
1874—1939

როგორც ზევით ითქვა, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა 1930 წელს ბრწყინვალედ დაიცვა ნიუ-იორკში საბჭოთა საქართველოს ინტერესები ამერიკელი მრეწველის ჰარიმანის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობის მიერ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნიუ იორკში მივლინება შემთხვევითი არ იყო. ანდრონიკაშვილს ამ დროისათვის საერთაშორისო დავაში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა; ეს ითქმის, მაგალითად, 1918—1920 წლებში იმ დავების გამო, რომელიც წამოერეს ინგლისელმა კაპიტალისტებმა ბაქოს ნავთის ხელში ჩასაგდებად.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა მეტად საინტერესოა თავისი შემოქმედებითი მრავალფეროვნებით, დაუცხრომელი ხასიათისა და აზროვნების ფართო გაქანებით.

1892 წელს, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ლუარსაბი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1894 წელს კი საზღვარგარეთ გაემგზავრა და ჰაიდელბერგისა და სტრასბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ისმენდა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს. 1897 წელს იგი კვლავ პეტერბურგში ბრუნდება, ამთავრებს უნივერსიტეტს და ადვოკატურაში შედის სამუშაოდ.

ადვოკატურაში ახლად შესული თურისტისათვის აუცილებელი იყო ხუთი წლის განმავლობაში გამოცდილ ვექილებთან სტაჟირება. ამ პერიოდში ანდრონიკაშვილს ხელმძღვანელობდნენ პეტერბურგის ისეთი გამოჩენილი იურისტები, როგორიც იყვნენ: ი. ნ. ვატისოვი, ლ. ვ. განტოვერი და

მ. მ. ვინაეერი. ამავე დროს ანდრონიკაშვილი ჩაერიცხა ცნობილ კრიმინალისტის ი. ს. პასოვერის ხელმძღვანელობით მოქმედ წრეში, რომელსაც „კონფერენცია“ ეწოდებოდა. ამ წრეში გაერთიანებულნი მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ.

1900 წელს პეტერბურგში ნაფიც ვექილთა თანაშემწეების „მემარცხენე ფრთამ“ ჩამოაყალიბა ე. წ. „საკონსულტაციო ბიურო“, რომლის მიზანი იყო უღარიბეს გლეხობისადმი უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. ამ ინიციატივამ დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა პეტერბურგის სხვა პროგრესიულ იურისტებს შორის და მალე ასეთი „საკონსულტაციო ბიუროების“ ქსელით მთელი პეტერბურგი დაიფარა. საბჭოთა ადვოკატურამ გამოიყენა ის დიდი გამოცდილება, რაც მიღებული იქნა პეტერბურგის „საკონსულტაციო ბიუროებში“; ამან ხელი შეუწყო მოსახლეობის იურიდიულ მომსახურეობის კარგად დაყენების საქმეს.

პირველი „საკონსულტაციო ბიუროს“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და მუშაკი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

1902—1903 წლებში ნაფიც ვექილთა თანაშემწეების „მემარცხენე ფრთამ“ შექმნა „პოლიტიკური საქმეების დამცველთა“ ჯგუფი, რომლის აქტიური მონაწილე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო. მასვე ეკუთვნოდა ამ ჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატივა. ამ დროიდან ლუარსაბი სისტემატურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და მისი გამოსვლები პეტერბურგის ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

ლ. ანდრონიკაშვილის გადასვლა ნაფიცი ვექილის თანაშემწიდან დამოუკიდებელ სამუშაოზე ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ნაფიც ვექილად „კურთხევა“, დაკავშირებულია თავის დროზე მეტად გახმაურებულ „კუზიანის საქმესთან“. ეს ამბავი პეტროგრადში მოხდა. საოლქო სასამართლოს ერთ-ერთ წევრს, წოდებით „სტატსკი სოვეტნიკს“, სახლში მოსამსახურედ ჰყოლია ერთი უთვისტომო ებრაელი, რომელიც კუზიანი ყოფილა, თვით პატივცემული „სტატსკი სოვეტნიკი“ და მისი ოჯახის წევრები მოსამსახურეს სხვანაირად არ მიმართავდენ თუ არა: „ქეციანო ურია“ — „жид порхатый“ ან

„ტილიანო კუზიანო“ —„вшивый горбун“. დაკინვა და დამ-
ცირება იმდენად განუსაზღვრელი იყო, რომ ერთ დღეს „კუ-
ზიანის“ მოთმინების ფიალა აიესო და მან თავისი პატრონი
სამზარეულოს დანით მძიმედ დაჭრა. მიღებული დაზიანები-
დან „სტატსკი სოვეტნიკი“ გარდაიცვალა და, რასაკვირველია,
შკვლელი სამართალში მისცეს. იმის გამო, რომ მოკლული
მაღალი წოდების პიროვნება იყო, საქმეს საოლქო სასამარ-
თლო არჩევდა და ამან თავისთავად გაზარდა საზოგადოების
ინტერესი ამ საქმისადმი. „კუზიანის“ ბედი წინასწარ იყო გან-
საზღვრული, მას სიკვდილით დასჯა ელოდა. ამ საქმეზე ერთ-
დაგვარი „მეურვეობის“ გაწევა იკისრა პეტროგრადის ადვო-
კატთა კორპორაციამ, რომელმაც დაადგინა „კუზიანისათვის“
უფასო ადვოკატის გამოყოფა და პროცესში ჩაბმა. ლუარსაბის
უშუალო ხელმძღვანელის ვატისოვის მოთხოვნით პროცეს-
ში მონაწილეობის მიღება ანდრონიკაშვილს დაევალა. ამ პე-
რიოდში მზადდებოდა საკითხი ლ. ანდრონიკაშვილის თანამემ-
წიდან ნაფიც ვექილად გადაყვანის შესახებ და იგი აუცილებ-
ლობის წინაშე დადგა. პროცესში გამარჯვებული უნდა გამო-
სულიყო ან, საერთოდ, მიეტოვებია არჩეული პროფესია. მრა-
ვალი წლის გასვლის შემდეგ, თავის მოწაფეებთან საუბარში,
ლუარსაბს არაერთხელ გაუხსენებია ეს პროცესი, რომელმაც
მას დამსახურებული სახელი მოუხვეჭა. ლუარსაბი მთელი პრო-
ცესის განმავლობაში თავს დამარცხებულად თვლიდა. ბრალ-
დება იმდენად უდავო და მძიმე იყო, რომ დამცველმა ბოლო
წუთამდე, დაცვითი სიტყვის რაიმე გარკვეული ვეგმის შემუ-
შავება ვერ შეძლო. ზოგიერთ მომენტში იმასაც კი ფიქრობ-
და პროცესი მიეტოვებინა, მაგრამ ვერც ეს გააკეთა. პროკუ-
რორის სიტყვის შემდეგ, სწორედ იმ მომენტში, როდესაც
მას მიეცა დაცვითი სიტყვის წარმოთქმის უფლება, ლუარსაბს
დაებადა მეტად სახიფათო, მაგრამ ვაბედული და ორიგინა-
ლური აზრი. ლუარსაბმა სიტყვას წანუმძღვარა დიდი პაუზა;
შემდეგ წარმოთქვა აუცილებლად მიღებული წინადადება: „პა-
ტივცემულნო ბატონო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო“.
ისევ პაუზა,მაგრამ ამჯერად უფრო გრძელი, ვიდრე პირველად.
პაუზის შემდეგ ისევ ის სიტყვები და ასე ვანუწყვეტლივ, რა-

მაც დარბაზში ჩოჩქოლი გამოიწვია. როდესაც ლუარსაბმა მეთერთმეტეჯერ წარმოთქვა იგივე „ღრმად პატივცემულნო ბატონო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო!!, სასამართლოს თავმჯდომარემ ნერვიულად დასტაცა ზარს ხელი, დაანარცხა ძირს და ისტერიულად შესძახა: „თავადო ანდრონიკოვ, მე .თქვენ ჩამოგართმევთ სიტყვის უფლებას და შესაძლებელია ჩამოგართვათ წოდებაც!!!“

ლუარსაბის ჩანაფიქრი სწორედ ამისკენ იყო მიმართული. თავმჯდომარის წონასწორობიდან გამოყვანა ერთგვარ გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. როდესაც დარბაზი დაწყნარდა, ლუარსაბმა თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ: უდიდეს მართლმსაჯულს, სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც იგი მიმართავდა მხოლოდ და მხოლოდ უაღრესი პატივისცემის და მაღალი ღირსების გამომხატველი სიტყვებით, არ ეყო ნებისყოფა 5 წუთი მაინც ესმინა ეს სასიამოვნო და აღმაფრთოვანებელი სიტყვები. თავმჯდომარემ მას ზარი ესროლა, რომელიც საბედნიეროდ აცდა. თავმჯდომარე წოდებისა და მოქალაქეობის აყრით დაემუქრა და ა. შ. ლუარსაბმა ამაზე ააგო ღრმა შინაარსიანი ფსიქოლოგიური დაცვა. ამ დაცვის ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ ფიზიკური სიმახინჯის მქონე ადამიანს მთელი ათეული წელიწადი ამცირებდნენ მისი ბუნებრივი ნაკლის გამო, ფეხქვეშ თელავდენ მის ღირსებას, არ თვლიდნენ ადამიანად და სხვა. ლუარსაბმა მეცნიერულად დაასაბუთა მახინჯ ადამიანთა ფსიქოლოგია, მათი ავადმყოფური დამოკიდებულება ფიზიკური ნაკლისადმი და მაქსიმალური აფექტურობა, რომელიც მცირე გაღიზიანებით შეიძლება ფსიქიურ აშლილობაში გადაიზარდოს.

ლუარსაბის სიტყვამ წარმოუდგენელი ეფექტი მოახდინა. ნაფიცი მსაჯულნი ოც საათზე შეტ ხანს ბჭობდნენ და საბოლოოდ გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს.

1902 წელს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მონაწილეობს ბათუმის მუშათა დემონსტრაციის მონაწილეთა დაცვაში, რომლებიც სამართალში იყვნენ მიცემული და რომელთა დასაცა-

ვად პეტროგრადიდან გამოვიდა ადვოკატთა ჯგუფი, მათ შორის ლუარსაბიც.

ბათუმის 1902 წლის მუშათა დემონსტრაციას რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში საპატიო ადგილი უკავია. დემონსტრაციის სულისჩამდგმელი იყო რსდმპ-ს კავკასიის ორგანიზაცია. წამოიწყეს იგი როშტილდის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნის მუშაკმა, რომლებსაც მხარი დაუჭირა ბათუმის მთელმა პროლეტარიატმა და გამოეხმაურა რუსეთის მთელი პროგრესიული ძალები. თვითმპყრობელობა დემონსტრაციას ვერაგულად გაუსწორდა, მაგრამ პროლეტარიატში ბრძოლის უნარის სურვილი ვერ ჩაახშო. „მარტის სისხლისღვრის წლისთავზე,—იგონებს როტშილდის ქარხნის ძველი მუშა პავლე დუმბაძე,—ჩვენ მოვაწყეთ დაღუპულ მეგობრების ხსოვნის აღსანიშნავი დემონსტრაცია. დემონსტრაცია დაემთხვა, მარტის აპბების მონაწილეთა სასამართლო პროცესის დამთავრებას. ბათუმის მუშებმა პროცესში მონაწილე ბათუმის დემონსტრაციის მოწინავე მუშების დამცველებს სპეციალური გაცილება მოუწყვეს. ბატარეიბლის გასვლის დროს წითელი დროშა აფრიალდა. მატარებელი გაჩერდა, წარმოთქმული იქნა ბევრი რევოლუციური სიტყვა, იფანტებოდა პროკლამაციები. დემონსტრანტებმა წითელი დროშით ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოიარეს“.[1]

პროცესის დამთავრების შემდეგ ლუარსაბი და სხვა ჩამოსული დამცველები მუშებმა სადგურამდე ხელში აყვანილი მიიყვანეს. სადგურზე შემდგარ სახელდახელო მიტინგზე, სიტყვა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმაც წარმოთქვა და თავის სიტყვაში მოუწოდა მუშებს დაწყებულ საქმისათვის ხელი არ შეეშვათ, უფრო მეტად დარაზმულიყვნენ და შეუპოვარი ბრძოლით მიეღწიათ თავიანთი უფლებების განხორციელებისათვის.

ბათუმის პროცესის შემდეგ საქართველოდან დაბრუნებულ ადვოკატებს ერთდაგვარი ანგარიშის მიცემა მოუხდათ პეტროგრადის მოწინავე ინტელიგენციის წინაშე. ცნობილ ოჯახებში, „ჟიქა ჩაიზე“ მიწვეული ადვოკატები აცნობდენ საზოგადოებას ბათუმის პროცესის ხსვლელობას და ამ პროცე-

1 „ბათუმის 1902 წლის დემონსტრაცია“, კრებული, გვ. 85.

სისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულებას. ერთ-ერთ ასეთი შეკრების შესახებ, სადაც ლ. ანდრონიკაშვილი იყო მიწვეული, მოგვითხრობს თავის მოგონებებში ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი.

„ერთი ახალგაზრდა ქართველი ტექნიკოსის—გრიგოლ რევიშვილის ბინაზე იკრიბებოდნენ ქართველები: ივანე ჯავახიშვილი ექიმი ობუხოვის საავადმყოფოსი, სპირიდონ ვირსალაძე—შემდგომში ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ვიქტორ კანდელაკი—გურევიჩის გიმნაზიის მასწავლებელი, სიმონ ჟორჟოლაძე, ნიკო თავდგირიძე. ხანდახან მოდიოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მაშინ ახალგაზრდა ვექილი. იგი იყო ჩვენი ინფორმატორი მთავრობის შესახებ, პლევეს შესახებ, რომლის წინაშე თრთოდა იმ დროს მთელი რუსეთი...

1902 წლის მარტის ამბების გამო ბათუმში, საბრალმდებო სკამზე იჯდა როტშილდის ქარხნის მრავალი მუშა, რომელთა დამცველად გამოდიოდა 12 ვექილი, იმ დროს რუსეთში ცნობილი მურავიოვის მეთაურობით.

ცხრაას სამში, პეტერბურგში, ბასეინის ქუჩაზე საიდუმლო კრება იყო პოლონოვის ბინაზე. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოხსენებას აკეთებდა ბათუმის მუშების გასამართლების შესახებ, რომელთაც ცხრაას ორში მოუხდათ ჯართან სისხლიანი შეტაკება; მოხსენებას დაესწრო მოწინავე ლიტერატორები, ვექილობა, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები...“[1]

ბათუმის პროცესის შემდეგ, 1903—1905 წლებში ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას ღებულობს რუსეთის რიგ მნიშვნელოვან პროცესებში და ყალიბდება, როგორც პოლიტიკურ საქმეთა ერთ-ერთი უოლიერესი დამცველთაგანი. მაგალითად, ლუარსაბი 1903 წელს იცავს მუშათა გაფიცვების და პოლიტიკური დემონსტრაციების მონაწილეებს: დონის როსტოვში, დიდუბის რკინიგზელებს თბილისში, ბაქოში, ნოვოროსიისკში, კუნძულ ელბაზე, რიგაში, მიტავაში, მინერალურ წყლებზე და სხვა. იცავდა შავი ზღვის მეზღვაურთა ერთ დიდ

---

1 დავით კლდიაშვილი, „მოთხრობები, პიესები და მოგონებები“, სახელგამი, 1947 წელი, გვ. 791, 896.

ჯგუფს, რომელმაც ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით მოაწყეს აჯანყება მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი მონაწილეობდა აგრეთვე 1905 წლის მუშათა დეპუტატების საბჭოების წინააღმდეგ აღძრულ საქმეში.

პრინციპიალური და გაბედული, თვითმპყრობელობისა და მისი მართლმსაჯულების სასტიკი მამხილებელი იყო ლუარსაბი სასამართლო პროცესებზე, რასაც ადასტურებს ზოგიერთი რეპლიკა. მაგალითად, დონის როსტოვის მუშათა დემონსტრაციის პროცესზე სასამართლოს თვითნებობით აღშფოთებული ლუარსაბი სასამართლო შემადგენლობას ესვრის ასეთ რეპლიკას: „რას სჩადიხარო ბოლოს და ბოლოს. რის გაკეთებას აპირებთ? ეს ხომ ყველა პროცესუალური წესის დარღვევაა. თქვენი მოქმედება, საერთო კანონების ისეთი იგნორირებაა, რომელიც პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ პრაქტიკაშიც არ დაიშვება...„[1] არანაკლებ საინტერესოა ლუარსაბის განცხადება კრეისერ „ოჩაკოვის“ მეზღვაურთა აჯანყების მონაწილეთა დაცვის დროს. „ბატონო მოსამართლენო,—განაცხადა ანდრონიკაშვილმა,—შეხედეთ თქვენს თავს და დაუფიქრდით ვინ ზის საბრალმდებლო სკამზე. სინამდვილეში პატიმრობაში თქვენ იმყოფებით. ასეთი რკინის გალიაში რამდენიმე წელი პუგაჩოვი იჯდა, მაგრამ მას ასამართლებდნენ, თქვენ კი როგორღა მოხვდით ისეთივე გალიაში, როგორშიც პუგაჩოვი იჯდა... ჰოდა, ეხლა მე არ ვიცი ვინ დავიცვა. ისინი, ვინც ღობურის იქით სხედან (მხედველობაშია სასამართლო შემადგენლობა) თუ ისინი ვინც სხედან თავისუფლად და უშიშრად და არავის უკან არ იმალებიან“[2]. აქ აუცილებელია პატარა განმარტება. იმისათვის, რომ საბრალმდებლო სკამზე ორასამდე მეზღვაური იჯდა და სასამართლო შემადგენლობას ეშინოდა რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო, დარბაზი გაყოფილი იყო ორად, დიდი რკინის ღობურით და იქმნებოდა

---

1 Василенко С., „После боя“ (Суд над участниками демонстрации в Ростове на Дону) стр. 45

2 „Революционное движение на Черноморском флоте“. Москва, 1925 год. стр. 124.

შთაბეჭდილება, რომ პატიმრობაში მეზღვაურები კი არ იყვნენ, არამედ სასამართლოს შემადგენლობა.

როგორც ცნობილია მეფის მთავრობამ I სახელმწიფო სათათბირო განდევნა. სათათბიროს სოც. დემოკრატიულ ფრაქციის წევრები, სათათბიროს განდევნის მეორე დღეს 1906 წლის 9(22)ივლისს, შეიკრიბენ ქალ. ვიბორგში და გამოსცეს ცნობილი „ვიბორგის მოწოდება“.

მთავრობამ მოწოდების შემდგენნი სამართალში მისცა. სასამართლო პროცესში ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, იცავდა დეპუტატთა ჯგუფს, რომელთა შორის იმ დროისათვის უკვე ცნობილი ქართველი იურისტი იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილიც იყო. (ამ პროცესზე უფრო დაწვრილებით იქნება აღნიშნული ნარკვევში ბარათაშვილის შესახებ).

საეინკოვი, მაკაროვი და სხვები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სევასტოპოლის გრადონაჩალნიკის გენერალ ნეპლიუევის მოკვლის მცდელობა; სოც. რევოლუციონერები შტიფარტი და გრონსკი, რომლებმაც მოკლეს პეტროგრადის გრადონაჩალნიკი ლაუნიცი; ილინსკის, ციავლოვსკის და სერებრიაკოვის მებრძოლი ჯგუფი, რომლებმაც სახელმწიფო საბჭოს წევრი იგნატიევი მოკლეს; ცურკინი (სენიავსკი), ნაუმოვი და სხვები, რომლებმაც მოამზადეს იმპერატორ ნიკოლოზ II მკვლელობა; სტუდენტი-ბოლშევიკები იანოვეცკი, სუხლევი და სოკოლოვი, რომლებმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და კიდევ მრავალი პირი, რომლებიც ორწვინვალედ დაიცვა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა და სულ მოკლე დროში დაიმსახურა პეტერბურგის ერთ-ერთი გამოჩენილი ადვოკატის სახელი.

ლუარსაბის პოპულარობის შესახებ ლაპარაკობს ასეთი ფაქტი: 1921 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რევოლუციური საბჭოს მიერ პროფ. ბალვა ნუცუბიძე მივლინებული ყოფილა მოსკოვში იქ დარჩენილი ქართველი მეცნიერების საბუნაოდ საქართველოში ჩამოსაყვანად. მოსკოვიდან წამოსულთა შორის იყო ლ. ანდრონიკაშვილიც; ქართველებს მთლიანად დაკავებული ჰქონიათ ორი ვაგონი. ერთი მათგანი იყო სა-

ვსე წამოსულთა ქონებით. ვორონეჟში ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რატომღაც მატარებელი დააკავა და გაიცა განკარგულება ამ ორი ვაგონის მოხსნის შესახებ. შ. ნუცუბიძის და სხვათა მოთხოვნა, განემარტათ მათთვის რატომ დააკავეს და საერთოდ რაში იყო საქმე, არ დაკმაყოფილეს. სადგურზე გამოვიდა ლ. ანდრონიკაშვილი, რომელიც იცნეს. ვიღაცამ დაიიახა: „ეს ჩვენი ანდრონიკოვია ჩვენი!.. .“ ეს საკმარისი გახდა, რომ ყოველგვარი გაუგებრობა გარკვეულიყო და მატარებელი თავის გზით წასულიყო.

სამწუხაროდ ჩვენამდის არ მოაღწია ლ. ანდრონიკაშვილის მიერ წარმოთქმულ დაცვითი სიტყვების ჩანაწერებმა, მაგრამ როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, ლუარსაბი მაღალი ორატორული ნიჭის პატრონი იყო. მას აგრეთვე ხელს უწყობდა კანონების, სასამართლო წარმოების და გამოძიების ზედმიწევნით კარგი ცოდნა. ლუარსაბი ვამოძიების მიერ ყველა დაშვებულ შეცდომას ააშკარავებდა და ადვილად იყენებდა ბრალდების გასაქარწყლებლად. არა ერთი შემთხვევა ყოფილა ლ. ანდრონიკაშვილის პრაქტიკაში, როდესაც მას მეტად მძიმე მდგომარეობის დროს კანონის ფორმალური დარღვევა ისე მოხდენილად გამოუყენებია, რომ მისი დაცვის ქვეშ დახვრეტას გადაურჩენია, ან როგორც იტყვიან „ჩამოსახრჩობი კაცისათვის კისრიდან ბაწარი მოუხსნია“. მაგალითად, ასე მოხდა უკვე ნახსენები სავინკოვის საქმეზე, რომლის ბედი გარკვეული იყო და ლუარსაბი რომ არ ყოფილიყო მას სახრჩობელა არ აცდებოდა. 1906 წლის 14 მაისს სევასტოპოლის გარნიზონის ჯარის აღლუმის დროს სოც. რევოლუციონერთა ტერორისტთა ჯგუფს უნდა განეხორციელებინა ციხის კომენდანტის გენერალ ნეპლიუევის მოკვლა. განზრახვა ვერ იქნა მოყვანილი სისრულეში, ნეპლიუევს გასროლილი ტყვია არ მოხვდა. ამ საქმეზე დაპატიმრებული იყო რამდენიმე კაცი, მათ შორის სტუდენტი სავინკოვი (ესერი). პროცესში მონაწილეობას იღებდნენ პეტროგრადიდან ლ. ანდრონიკაშვილი (იცავდა მაკაროვს) და ნ. ი. ფალეევი და მოსკოვიდან პ. ნ. მილიანტოვიჩი. საქმეს სამხედრო სასამართლო არჩევდა. პროცესი მიმდინარეობდა დახურულ კარებში და მეტად და-

ცაბულ ბდგომარეობაში. საბრალმდებლო სკამზე მყოფ პირთა მშობლებს ისინი გამოტირებული ჰყავდათ, რადგან ყველას დაპატიმრების დროს ალმოაჩნდათ იარაღი და ყუმბარები, რაც უტყუარ მტკიცებას წარმოადგენდა და მკაცრი განაჩენის გამოსატანად საკმარისი იყო.

საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცა ოდესის გენერალ-გუბერნატორის კაულბარსის ბრძანებით, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. სამოქალაქო პირთა საქმის სამხედრო სასამართლოზე დაქვემდებარების განსაკუთრებული უფლება სპეციალური ბრძანებულებით, პირადად ადმირალ ჩუხნინს ჰქონდა მინიჭებული. ჩუხნინი იმ დროს მკვდარი იყო და ამიტომ საქმის სამხედრო სასამართლოზე განწესების უფლება არავის არ შეეძლო. როგორც წესი, იგი უნდა სამოქალაქო სასამართლოს გადაცემოდა. საქმის დაქვემდებარების საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამოქალაქო სასამართლო ბრალდებულებს ჩამოხრჩობას ვერ განუსაზღვრავდა, შეუნარჩუნდებოდათ სიცოცხლე. კაულბარსმა თვითნებურად წარმართა საქმე სამხედრო სასამართლოში. ნაფიც ვექილმა ფალეევმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აღძრა შუამდგომლობა საქმის ქვემდებარეობის შეცვლის შესახებ. შუამდგომლობაზე მას უარი უთხრეს. ამის შემდეგ სიტყვა აიღო ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა. „ლ. ანდრონიკაშვილმა,—აღნიშნავს ბრალდებულის დედა, სოფო სავინკოვა,—იშვიათი სიმშვიდითა და სიბეჯითით მიუთითა მსაჯულთ კანონის აშკარა დარღვევაზე. მაკაროვს ჰქონდა მინიჭებული ორი კვირის ვადა რათა გაესაჩივრებია სასამართლო პალატის დადგენილება, ხოლო იმ მომენტისათვის გასული იყო მხოლოდ 4 დღე, რითაც აშკარად დარღვეული იყო ბრალდებულის უფლება. როდესაც ლ. ნ. ანდრონიკაშვილმა დასაბუთებული განცხადება შეიტანა და კანონით გათვალისწინებულ ვადის შესრულებამდე საქმის გადადება მოითხოვა, მე შევხედე პროკურორს და მის სახეზე წავიკითხე, რომ... ასეთ იერიშს იგი არ მოელოდა, იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა[1]... ლ. ანდრონიკაშვილის შუამდგომლო-

1 ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი № 2, 1926 წელი, თბილისი, გვ. 154

ბის საფუძველზე სასამართლო იღულებული შეიენა საკენე გადაედო. სოვინკოვმა ამით ისარგებლა, შეძლო ციხიდან გაქცევა და თებერვლის რევოლუციამდე ემიგრაციაში იმყოფებოდა.

ლ. ანდრონიკაშვილის პოლიტიკური მრწამსი არ ისაზღვრებოდა მხოლოდ სოციალ-რევოლუციონერებისადმი სიმპათიით და მათი სასამართლო პროცესებში დაცვით. იგი თვით ეკუთვნოდა სოც. რევოლუციონერთა რიცხვს და მეფის მთავრობის მხრიდან დევნას განიცდიდა. 1903—1905 წლებში ლ.ანდრონიკაშვილი ორჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში: პირველად—ნავთის მწარმოებელთა ყრილობაზე გამოსვლის დროს, თვითმპყრობელობის დამხობის მოწოდებისათვის და მეორედ—ადვოკატთა იმ კავშირის წევრობისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წესწყობილების დამხობას.

პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის საარქივო ფონდის დოკუმენტალურ მასალებში, სრულიად რუსეთის ნაფიც ვექილთა ყრილობის საქმეში, პეტერბურგის 1905 წლის გაზეთებში („ნოვოე ვრემია", „სინ ოტეჩესტვა", „ბირჟევიე ვედომოსტი") არის შემდეგი ცნობები:

1905 წლის 24 მარტს პეტერბურგის ოლქის ნაფიც ვექილთა საერთო კრებაზე, შედგა წარმომადგენლების არჩევნები სრულიად რუსეთის ნაფიც ვექილთა ყრილობისათვის. არჩეული იყვნენ 7 ნაფიცი ვექილი და 10 ნაფიც ვექილთა თანაშემწე. ნაფიც ვექილთა შორის არჩეული იყო ლ. ნ. ანდრონიკაშვილი.

მიუხედავად ზომებისა, რომლებიც პოლიციამ მიიღო 1905 წლის 28—30 მარტს, პეტერბურგში შედგა ნაფიც ვექილთა ყრილობა. ამ ყრილობაზე მიღებული იქნა დადგენილება შექმნილიყო რუსეთის ადვოკატურის „კავშირი". ადვოკატურას მთავრობისათვის „კავშირის" შექმნა არ დაუმალავს.

„კავშირის" ძირითადი მიზანი იყო — მატერიალური და მორალური მხარდაჭერა ყველა პარტიებისადმი, რომლებიც ებრძოდნენ თვითმპყრობელობას. ამ მიზნით „კავშირმა" დაადგინა:

1) მასების პოლიტიკურად აღზრდისათვის ეწარმოებია პროპაგანდა, როგორც ცოცხალი სიტყვით, ასევე ბროშურების გამოცემით, კონსტიტუციური საკითხების გამომუშავების თვალსაზრისით;

2) ხელი შეეწყო მოსახლეობის ორგანიზებული ჯგუფების შეიარაღებისათვის;

3) მოსახლეობაში ეწარმოებინა პროპაგანდა ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

1905 წლის 28 მარტს კავკასიის ადვოკატურის წარმომადგენელმა ლ. ნ. ანდრონიკაშვილმა ნაფიც ვექილთა ყრილობაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც განავითარა ზუსტი გეგმა ბიუროკრატიული თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლის და პასიური წინააღმდეგობის გაწევის.

ნაფიც ვექილთა ყრილობამ აირჩია ბიურო, რომლის შემადგენლობაში ლ. ნ. ანდრონიკაშვილიც შევიდა[1].

1909 წლამდე ლ. ანდრონიკაშვილი აქტიურ მუშაობას ეწეოდა ე. წ. „მუშათა ჯგუფში". ამ ჯგუფის დავალებით გამოვიდა ის, როგორც კერძო ბრალმდებელი შავრაზმელ იუსკევიჩ-კრასნოვსკის წინააღმდეგ, რომელმაც მოკლა სახელმწიფო სათათბიროს წევრი გერცენშტეინი.

საინტერესოა რიგი ლიტერატურული საქმეებისა, რომლებიც ლ. ანდრონიკაშვილმა დაიცვა. კოროლენკო, ელპატიევსკი, სტრუვე, სასამართლოში მიცემული იყვნენ მათი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, რომლებშიც მეფის ცენზურამ დაინახა არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ გალაშქრება. ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა აგრეთვე ლ. ნ. ტოლსტოის გამომცემლებს ბიტნერს, გერციკსა და სხვებს, რომლებსაც ღმერთის დაგმობაში სდებდენ ბრალს.

მეტად საინტერესო პროცესები ჩაატარა ლ. ანდრონიკაშვილმა აგრეთვე ადვოკატ ზარუდნის და სხვების საქმეზე, რომლებსაც გაფიცვებში მონაწილეობას აბრალებდნენ, და სო-

---

1 ლენინგრადის სახ. ისტორიული არქივი, ფ. 1326, ო. პ. ხ. საქმე 22.

კოლოვისა და სხვების საქმეზე, რომლებმაც ბეილისის პროცესის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს.

პეტერბურგის მეცნიერული წრე-„კონფერენცია“ წარმოიშვა 80-იან წლებში. ამ წრეს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდენ ისეთი გამოჩენილი იურისტები, როგორიც იყვნენ ვ. დ. სპასოვიჩი, ი. ს. პასოვერი, ნ. გ. ტურჩანინოვი და სხვები. 1906 წელს „კონფერენციის“ ხელმძღვანელად ლ. ანდრონიკაშვილი აირჩიეს და ამის შემდეგ იგი 12 წელი დარჩა მისი ხელმძღვანელად, რადგან ყოველ წელიწადს წრის წევრები მას ირჩევდნენ.

„პოლიტიკურ საქმეთა დამცველთა“ ჯგუფის უმრავლესობა „კონფერენციაშიც“ მოღვაწეობდა. ამ ჯგუფმა კონფერენციის წევრებთან ერთად დიდი მუშაობა ჩაატარა ცალკეული იურიდიული დისციპლინის თეორიული საფუძვლების დასამუშავებლად.

ლ. ანდრონიკაშვილის აქტიური მონაწილეობით დამუშავდა საკითხი მასიური დანაშაულის შემადგენლობის შესახებ, რომელშიც სასტიკად უნდა გაკრიტიკებულიყო სენატის პრაქტიკა. ჯგუფის მიერ დამუშავებულ თეორიულ დებულებებს მეცნიერული ღირსება დღემდე არ დაუკარგავს.

ლ. ანდრონიკაშვილი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა დამოუკიდებლადაც. 1901 წელს გზათა სამინისტროს წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის შეკვეთით დაამუშავა „წყალთა მეურნეობის ამხანაგობათა“ დებულება; 1905 წლიდან 1917 წლამდე იგი სახელმწიფო სათათბიროს „შრომის ჯგუფს“ უკეთებდა კონსულტაციას, საკანონმდებლო საკითხებზე: თებერვლის რევოლუციის შემდეგ მონაწილეობა მიიღო დროებითი მთავრობის საკანონმდებლო კომისიაში, რომელიც აწარმოებდა 1903 წლის სასჯელთა დებულების („ულოჟენიეს“) გადამუშავებას. ამ მუშაობამდე გარდა ლუარსაბისა დროებითი მთავრობის მიერ ჩაბმული იყვნენ ცნობილი იურისტები: ტაგანცევი, კონი, ლიუბლინსკი და სხვ.

18 წლის განმავლობაში 1917 წლის ბოლომდე ლ. ანდრონიკაშვილი ირიცხებოდა პეტერბურგის სასამართლო პალატის ნაფიც ვექილად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი თავს ანებებს ადვოკატის პრაქტიკას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მეცნიერულ, პედაგოგიურ და იურისტის სხვა პროფესიულ საქმიანობას ეწევა.

1919-1920 წწ. ლ. ანდრონიკაშვილი ქ. ტულის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლის პედაგოგია და ამავე დროს საკრედიტო ამხანაგობის იურისკონსულტი, 1920-21 წწ. მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს იურისკონსულტი. 1921-25 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტიკური ინსტიტუტის პროფესორი და ამიერკავკასიის ფედერაციის ცაკ-ის იურისკონსულტი, შემდეგ წლებში იგი რჩება თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად და ამავე დროს ითავსებს იურისკონსულტის თანამდებობას სხვადასხვა დაწესებულებებში.

ლ. ანდრონიკაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც. მან რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა უცხოელ ავტორთა მეცნიერული შრომები: კუნო-ფიშერის „ახალი ფილოსოფიის ისტორია", დეკარტი, ენეკცერუსის „გერმანული სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოს" ორტომეული, ო. მაიერის „გერმანული ადმინისტრაციული სამართალი" და რედაქტირება გაუკეთა დერნბურგის პანდექტების I ტომის ქართულ თარგმანს.

გარდა ამისა ლ. ანდრონიკაშვილმა პირადად შექმნა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილების მოკლე კურსები და სისტემატიურად უკეთებდა რედაქტირებას იმ იურიდიულ ლიტერატურას, რომელიც ქართულ ენაზე გამოდიოდა.

ლ. ანდრონიკაშვილის როგორც პედაგოგის მოღვაწეობა შემოფარგლული არ იყო ერთი რომელიმე დისციპლინის ვიწრო სპეციალობით. იგი სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა: სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, საავჭრო სამართლის, კრიმინალისტიკის, სამართლის თეორიის და სხვა მრავალ საკითხზე.

ლ. ანდრონიკაშვილს აღზრდილი ჰყავდა მთელი ალეადა საუკეთესო იურისტებისა, რომლებიც ამჟამადაც განაგრძობენ ნაყოფიერ მუშაობას და აგრძელებენ სახელოვანი პედაგოგისა და მოღვაწის მდიდარ ტრადიციებს.

ფართო ერუდიცია, დიდი ნიჭი და დაუცხრომელი ენერგია, ლუარსაბს საშუალებას აძლევდა შეხებოდა და მრავალმხრივი შემოქმედებითი კვალი დაეტოვებინა კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. არსებობს შასალები და ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ მის ფილოსოფიურ აზროვნებას, მის განსწავლულობას სოციოლოგიაში, მეევრმეტყველებაში, ხელოვნებაში, ხელოვნებათა მცოდნეობაში და. ა. შ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, როგორც საერთოდ ხელოვნების თაყვანისმცემელი შესანიშნავად ერკვეოდა სახვითს, მუსიკალურ და თეატრალურ ხელოვნებაში, ხელოვნების ამ დარგების თეორიულ საკითხებში.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღრმა ინტერესი მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში ლუარსაბი დაეწაფა პუშკინის, ლერმონტოვის, ჰაინეს და ბაირონის პოეზიას. შემდეგ შექსპირის, შილერის, გორკის, ჩეხოვის დრამატურგიამ გაიტაცა და საფუძვლიანად გაეცნო კლასიკური ლიტერატურის სხვა ღირსშესანიშნავ ქმნილებებს. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებების შესწავლამ გააფართოვა მისი ცოდნა, აამაღლა მისი მხატვრული გემოვნება და ესთეთიკური მოთხოვნილებები...

კულტურის დიდმა კერამ პეტროგრადმა, სადაც ლუარსაბი ორ ათეულ წელზე მეტი ცხოვრობდა, — თავისი დიდი ისტორიით, მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლებით, მუზეუმებით და თეატრებით, ლიტერატურული, თეატრალური და მუსიკალური სამყაროს ღირსშესანიშნავი წარმომადგენლებით,—ამ სახელგანთქმულმა ქალაქმა კიდევ უფრო გაუძლიერა ინტერესი ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ხელოვნებისადმი და საშუალება მისცა ღრმად ჩაწვდომოდა მას.

თანამედროვენი იგონებენ, რომ ლუარსაბს ხშირად ნახულობდნენ ერმიტაჟში, სადაც იგი საათობით იდგა და სწავლობდა: ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, მიქელანჯელოს,

რუბენსის, რემბრანდტის და რენესანსის პერიოდის სხვა წარმომადგენელთა უკვდავ ქმნილებებს. იგი კარგად ერკვეოდა იმავე ერმიტაჟში, რუსულ მეზეუმში, პეტრეპავლეს თუ ისაკის ტაძრებში წარმოდგენილი რუსული მხატვრული კულტურის არსებულ კოლექციებში, ცნობილი მხატვრების: ბრიულოვის, აივაზოვსკის, ფედოტოვის, შიშკინის, რეპინის, სურიკოვის, ზარუდინის და სხვა სურათებში, არქიტექტურაში, ხატოვან მხატვრობაში, მათ განუმეორებელ ხელოვნებაში.

1894—1897 წლებში საზღვარგარეთ ყოფნის დროს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი გაეცნო ევროპის ღირსშესანიშნავ მუზეუმებს, არქიტექტურის და სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვან ძეგლებს, თეატრალური კულტურის და ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ ხელოვნების საკითხებით ასეთ დაინტერესებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მისი ლექციები და მოხსენებები პეტროგრადში ხელოვნების და კულტურის სხვა საკითხებზე დიდი პოპულიარობით სარგებლობდა და მას ისმენდნენ იმ დროის მოწინავე ინტელიგენცია და გამოჩენილი ადამიანები.

ჩვენი საუკუნის დამდეგს პეტროგრადში მოქმედებდნენ თეატრები: მარინის ოპერისა და ბალეტის, ალექსანდრეს დრამისა და კომედიის, მიხაილოვსკის—ფრანგული დრამისა და კომედიის, სახალხო სახლის, ლიტერატურულ—მხატვრული საზოგადოების (შემდგომში მცირე თეატრად წოდებული), იბორგის მხარის და სხვა. 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში შეიქმნა ისეთი ახალი ტიპის კოლექტივები, როგორიც იყო: ვ. ფ. კომისარჟევსკაიასი, მოძრავი დრამატიული და სხვა. ამ თეატრებში მუშაობდნენ იმ დროის საუკეთესო შემოქმედებითი და აქტიორული ძალები: ე. ფ. ნაპრავნიკი, ო. ა. პეტროვი, ფ. ი. სტრაფინსკი, მ. ი. და ნ. ნ. ფიგნერები, ვ. ი. ერმოვი, მ. ა. სლავინა, ფ. ი. შალიაპინი, ა. პ. პავლოვა, ვ. ფ. ნეჟინსკი, ნ. გ. და ს. მ. ლეგატები, მ. მ. ფოკინი, ა. ს. არენსკი, ლ. ი. ივანოვი, მ. ი. პეტინა. ვ. ა. მიჩურინა-სამოილოვა, ი. მ. იურევი, რ. ბ. აპოლონსკი, კ. ნ. იაკოვლევი, ბ. ა. გორინი—გორიანოვი, ნ. ნ. ხოდატოვი, ე. პ. კორჩაგინა—ალექსანდროვსკაია და სხვები.

ამავე პერიოდში პეტროგრადში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რუსული ნახატვრული სიტყვის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც არიან: ვ. ვ. ვერესაევი, ი. ა. ბუნინი, ნ. გ. გარინ-მიხაილოვსკი, ა. ი. კუპრინი, ლ. ნ. ანდრეევი, ა. ა. ბლოკი, ვ. ი. ბრიუსოვი. ისინი იკრიბებიან გამომცემლობა „ზნამიას“ ირგვლივ, რომელსაც მ. გორკი მეთაურობდა. „ზნამია“ აგრძელებდა და ანვითარებდა რუსული კლასიკური ლიტერატურის დიდ ტრადიციებს.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს უშუალო ნაცნობობა და კავშირი ქონდა პეტროგრადის ლიტერატურულ, თეატრალურ და ნახატვრულ შემოქმედების სხვა დარგის გამოჩენილ წარმომადგენლებთან.

ნაფიც ვექილთა „მემარცხენე ფრთის“ წევრები, რომელზეც ადრევე იყო ლაპარაკი, ფაქტიურად პეტროგრადის იურისტთა კორპორაციის მოწინავე ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა, არ კმაყოფილდებოდნენ ვიწრო პროფესიული საქმიანობით. ისინი აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. იყვნენ დაკავშირებული მწერლებთან, მოწინავე ჟურნალისტებთან, ნახატვრებთან, თეატრალურ მოღვაწეებთან, კომპოზიტორებთან. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი წლების მანძილზე აქტიურად გამოდიოდა ხელოვნებაში ფორმალისტურ-დეკადენტური მიმდინარეობის, უიდეო და უფერული ნატურალიზმის წინააღმდეგ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მისთვის ჩვეული ინტერესით და გულმოდგინეობით თვალყურს ადევნებდა ჩვენი ნაციონალური კულტურის განვითარებას და თავისი წვლილი შეჰქონდა მასში. განუყრელი მეგობრობა არსებობდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილსა და ქართული სცენის და ხელოვნების სხვა დარგების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეთა შორის როგორიც იყვნენ: კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე, დავით კლდიაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და უბანგი ჩხეიძე. ლუარსაბი თეატრის, სახელოვანი დაწესებულებების, აგრეთვე ქართული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატების ოჯახების ხშირი სტუმარი იყო. ლუარსაბის მეიდრო კავშირი ამ წრესთან ემყარებოდა ხელოვნების და ლი-

ტერატურის საკითხების მის მიერ ღრმა ცოდნას და სიყვარულს; ახალი საბჭოთა ლიტერატურის, თეატრალური და სახვითი ხელოვნების, ნაციონალური მუსიკის განვითარებით მის დაინტერესებას.

კოტე მარჯანიშვილი ლუარსაბის შენიშვნებს განსაკუთრებულ ფასს და მნიშვნელობას ანიჭებდა. „ეშინოდა“ კიდეც მისი კრიტიკის. კოტე ლუარსაბს თვლიდა ყველაზე მცოდნე და მოურიდებელ კრიტიკოსად, რომლის აზრი მისთვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე „ყველა თეატრისმცოდნეებისა ერთად აღებული“.

„როდესაც ლუარსაბი თეატრში მოვიდოდა,—იგონებს ჩვენი რესპუბლიკის უხუცესი მსახიობი დაეით ჩხეიძე,—კოტე შესამჩნევად ღელავდა. მღელვარება მთელ დასს გადაეცემოდა ხოლმე და ფარდა რომ აიხდებოდა ყველას თვალი ლოჟისკენ ეჭირა, სადაც ლუარსაბი იჯდა. თუ ის სპექტაკლს დაძაბული უყურებდა, იმისი შანიშნებელი იყო, რომ მოსწონდა და საქმეც კარგად წავიდოდა. თუ თავს ჩაღუნავდა, საქმე ცუდად იყო და კოტე სპექტაკლის დახვეწაზე კიდევ ბევრს გვამუშავებდა...“.

ლუარსაბს თეატრში ყოველთვის მოწიწებით ეპატიჟებოდნენ, რასაც იგი სათანადო თავაზიანობით პასუხებოდა. აი ერთი წერილი, რომელიც ლუარსაბმა მიწერა დ. ჩხეიძეს, როდესაც ამ უკანასკნელმა კ. მარჯანიშვილის დავალებით მიიწვია ლუარსაბი თეატრში ერთ-ერთ დადგმაზე:

„25.XI—1925 წ.

პატივცემულო ძვირფასო დავით!

არ ვიცი, როგორ გადავიხადო თქვენი ესოდენ ყურადღება ჩემდამი. ეს თქვენს დიდ ბუნებას უნდა მიეწეროს, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. მე დიდი მოხარული ვარ თქვენი გამარჯვებით. ჩემი მეგობრის კოტეს დიდი ნიჭი და მისი შემოქმედება თქვენი და თქვენი ამხანაგების დახმარებით ყველასათვის გასახარებელია. მით უფრო ჩემთვის, მიგულეთ ყოველთვის თქვენ მეგობრად.

გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს.

თქვენი მუდამ პატივისმცემელი ლ. ანდრონიკაშვილი“.

ლუარსაბი განსაკუთრებით დიდი მცოდნე იყო შექსპირის და მისი თეატრისა. კოტე მარჯანიშვილის მიწვევით მას მრავალი ლექცია წაუკითხია მსახიობებთან და თეატრალურ მუშაკებთან, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ ლუარსაბის როგორც ცოდნით, ამავე დროს მისი ორატორული და აქტიორული ნიჭით. ლუარსაბი შექსპირს არა მარტო კითხულობდა, თამაშობდა კიდეც. პირველი ასეთი ლექცია მარჯანიშვილის დასისათვის ლუარსაბმა წაიკითხა 1924 წლის 7 მარტს. წერილი გაგზავნილია ისევ დავით ჩხეიძის მისამართით.

„5.III—1924 წ.
თბილისი

დიდათ პატივცემულო
ბატონო დავით!

მე დიდი მადლობელი ვარ დაპატიჟებისათვის და უსათუოდ გეახლებით. მე თანახმა ვარ 7 მარტს, როგორც თქვენ გსურთ 8 საათზედ. მე გეახლებით, მაგრამ ვერ შევძლებ თქვენი სურვილი დავაკმაყოფილო, მე ხომ არ ვარ სპეციალისტი, თქვენთან პროფესიონალებთან გავბედო შექსპირზე ბაასი. შემიძლია მსჯელობაში მივიღო მონაწილეობა. დიდი მადლობელი ვიქნები თუ შეწუხდებით და მინახულებთ. ველი თქვენგან პასუხს.

თქვენი დიდათ პატივისმცემელი ლ. ანდრონიკაშვილი".

თეატრალური ხელოვნებისადმი და საერთოდ ხელოვნებისადმი ლუარსაბის დამოკიდებულებაზე, აგრეთვე, ნათელ წარმოდგენას იძლევა ხელოვნების მცოდნე შალვა კვასხვაძის მოგონებები. კვასხვაძე იგონებს: „საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ლექციებს გვიკითხავდენ: აწ განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორები—ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი და სხვები. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები თავისი სურვილით ისმენდნენ პროფესორების: კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძისა და გრიგოლ წერეთლის ლექციებს. იმ-

დროინდელ ახალგაზრდობაში, ზემოხსენებული პირნი განსაკუთრებულ ინტერესს აღვიძებდნენ ლიტერატურისა, სახვითი ხელოვნებისა და თეატრისადმი. ამ ლექციებიდან მიღებული შთაბეჭდილებანი დღემდე რჩებიან წარუშლელად, მაგრამ განსაკუთრებით დარჩა ჩვენს მეხსიერებაში ის სიყვარული, რომელსაც პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი შთააგონებდა და უღვიძებდა ახალგაზრდობას თეატრალური და სახვითი ხელოვნებისადმი. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ხოლმე ახალი დროის სახვითი ხელოვნებისა და საბჭოთა თეატრის პრობლემებს.

სტუდენტობაც ხშირად დადიოდა თეატრებსა და სურათების გალერეიაში. აქ გავიგონეთ პირველად ლუარსაბ ანდრონიკაშვილისაგან სახელი მხატვარ ანდრონიკაშვილისა, მაგრამ დღევანდლამდე არც ამ მხატვრის ვინაობაზე და არც მისი მემკვიდრეობის შესახებ, გარდა ჯანდიერის ერთადერთი პორტრეტისა არავისათვის არაფერი არაა ცნობილი...

1927 წლის გაზაფხულზე, უნივერსიტეტიდან რუსთაველის პროსპექტით მივდიოდი, მინდოდა პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან შევსულიყავი ბინაზე. იგი მაშინ საპიორის (აწინდელი ინელაძის) ქუჩაზე ცხოვრობდა. როცა სასტუმრო „თბილისის“ შენობას (მაშინ პროფკავშირების სასახლე) მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ პროფესორი აღმართით ამოდიოდა. მივესალმე, მან ჩვეული თავაზიანობით და ყურადღებით მიმიწვია სურათების გალერეიაში. ნაშუადღევი იყო... მარჯვნივ, ლაღიძის წყლების წინ, ჩალის სავარძელში ჩამსხდარი ხალხი მოსჩანდა, ქუჩაში შედარებით უმნიშვნელო მოძრაობა იყო... მე პროფესორს მივყვებოდი მორიდებით, იგი ნელა მიდიოდა, გატაცებით მიამბობდა ქართველ რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთ დადგმაზე. განსაკუთრებით აღტაცებით ლაპარაკობდა უშანგი ჩხეიძეზე... როცა გალერეიის ფართო, გაშლილი საფეხურები ავიარეთ და დარბაზში შევედით, როცა უკან დარჩა კავკასიის ომებში ნადავლ ზარბაზანთა ლულები, რომლებიც შენობის წინ, სკვერში აქეთ-იქით იყო გამოდებული, შევნიშნე, რომ პროფესორი მოწიწებით მიესალმა სავარძელში მჯდომ ხანდაზმულ ჯმუხი ტანის მამა-

კაცს. ამ მამაკაცში მაშინვე შევიცანი ცნობილი ქართველი მოღვაწე და მწერალი ნიკო ნიკოლაძე. ადრე არსად, არასოდეს არ მენახა და სურათით ვიცნობდი.

ლ. ანდრონიკაშვილმა გულთბილი საუბარი გაუმართა. ლაპარაკი ჩამოვარდა თეატრზე, მხატვრობაზე, ლიტერატურაზე, სახელმწიფო უნივერსიტეტზე.

მოსაუბრენი შენობის მაცრხენა მკლავში იდგნენ... ლ. ანდრონიკაშვილმა ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტს მიაქცია ყურადღება, რომელიც გიორგი მაისურაძის მიერ იყო წესრულებული და მხატვარი ანდრონიკაშვილიც ახსენა რატომღაც. სიჩუმე ჩამოვარდა. ნ. ნიკოლაძე ჩაფიქრდა, მსუქანი, ღონიერი ხელის თითები შეათამაშა, თვალები მიაპყრო იმ ბხარეს, სადაც ა. ბაგრატიონის პორტრეტი ეკიდა და ალბათ ცდილობდა რაღაცის მოგონებას, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა: „მაისურაძე... გიორგი ივანიჩ,—ასე ვეძახდით მას გიმნაზიელები,.. ეს იყო ქუთაისში... ბავშვობისას იგი გვასწავლიდა ხატვას, ხაზვასა და სუფთა წერას... გიორგი ივანიჩი გიმნაზიის გახსნის დღიდან მუშაობდა. მას ჰქონდა ქუთაისურთა პორტრეტები, გიმნაზიაშიც ეკიდა მისი ნახატი... ქართველმა ახალგაზრდობამ აუცილებელია იცოდეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ისტორია, არამედ ისიც, თუ როგორ და საიდან შეადგენდნენ ამ ისტორიას...“[1]

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ ხელოვნების საკითხების ღრმა ცოდნამ თავისი გამოსახულება ნახა მის ლექციებში, რომლებსაც იგი კითხულობდა მრავალი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. იგი გარდა სპეციალური საგნებისა, რომელსაც კითხულობდა როგორც ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტზე, აგრეთვე, კითხულობდა ისეთ დისციპლინებს, როგორიც იყო: სიტყვის კულტურა, მხატვრული ენა, ორატორული ხელოვნება, დამნამავის ფსიქოლოგია შექსპირის დრამატურგიაში და სხვა.

---

1 შ. კვასხვაძე, „გიორგი მაისურაძე ქართული რეალისტური ფერწერული პორტრეტის სათავეებთან“, ახალგაზრ., 1958 წ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სულოვნებათამცოდნეობის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენდა მისი სიტყვა წარმოთქმული კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე გამართულ საღამოზე. ამ სიტყვაში ლუარსაბმა მოკლედ, მაგრამ სრულყოფილად გააშუქა კოტე მარჯანიშვილის დიდი შემოქმედება და მისი როლი საბჭოთა თეატრის განვითარებაში. ამავე დროს ლუარსაბმა შეტად მოსდენილი ანალიზი გაუკეთა მსოფლიო კულტურის განვითარების ისტორიაში ხელოვნების მნიშვნელობას, მის როლს ადამიანის ესთეტიკური აღზრდის საკითხში...

გამოჩენილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ნიკოლოზისძე ანდრონიკაშვილის მრავალმხრივი შემოქმედება განუყრელად არის დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიასთან და შეიცავს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არიან, საჭიროა მათი სათანადო გამოკვლევა და გაღრმავება.

ხოხო ნანეიშვილი

გიორგი ნანეიშვილი

1894—1937

გიორგი (ზოზო) ნანეიშვილი აღიზარდა თავისი დროის სათვის მეტად განათლებულ და მოწინავე ოჯახში. მისი მამა ალექსანდრე. მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართულ ლიტერატურაში „ნალის“ ფსევდონიმით ცნობილი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უახლოესი მეგობარი იყო. იგი საკმაო დროის განმავლობაში ილიასთან ერთად მუშაობდა, როგორც გამომცემელი რედაქტორი. ზოზომ საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო და უმაღლესი განათლების მისაღებად 1911 წელს პეტერბურგში გაემგზავრა.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდის რუსეთში, ჰუმანიტარული დარგების მეცნიერთა შორის, წამყვან ადგილს იკავებენ პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორები: პეტროჟიცკი, თავისი „სამართლის ფილოსოფიით“ და ტუგან-ბარანოვსკი. ლექციების ციკლით, პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. პეტროჟიცკიმ და ტუგან-ბარანოვსკიმ თავისი „ახალი“ ფილოსოფიური და მეცნიერული კონცეფციებით დაინტერესეს რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი.

ბურჟუაზიული იურისტი ლევ იოსების ძე პეტროჟიცკი (1867—1931 წწ.), რომლისთვისაც მიუღებელი იყო ახალი სახელმწიფოებრივი სისტემა, 1918 წელს ემიგრაციაში წავიდა. პეტროჟიცკიმ თავის შრომებში—„სწავლება შემოსავლის შესახებ“, „სააქციონერო საზოგადოება“, „სამართლის თეორია“, „ნარკვევები სამართლის ფილოსოფიის შესახებ“, „შესავალი სამართლისა და ზნეობის შესწავლისათვის“, და „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ზნეობასთან კავშირ-

ში“—განავითარა რეაქციული ფსიქოლოგიური სწავლება სამართლის შესახებ და ამტკიცებდა, რომ სამართალი – ეს არის ემოციების ფსიქიური მოვლენა, რომელთა შედეგად თითქოსდა ადამიანს ექმნება წარმოდგენა სახელმწიფო ხელისუფლებაზე და სამართალზე და ისინი სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის გარეშე არსებობენ. მთავარი აზრი პეტროჟიცკის მთელი სწავლებისა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ჩქმალავდა სამართლის კლასობრივ შინაარსს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პეტროჟიცკი სამოქალაქო სამართლის დიდი სპეციალისტი იყო. მან ამ დარგში მსოფლიო აღიარება მოიპოვა, რაც აძლიერებდა ინტერესს მისი პიროვნებისადმი.

ბურჟუაზიული იურისტი იყო აგრეთვე მიხეილ ივანესძე ტუგან-ბარანოვსკი (1865—1919 წწ), რომელიც ითვლებოდა ე. წ. „ლეგალური მარქსიზმის წარმომადგენლად“, ხოლო შემდეგში გადაიქცა მარქსიზმის ერთ-ერთ თავაღებულ კრიტიკოსად. მეკხრამეტე საუკუნის დასასრულის და მეოცე საუკუნის დასაწყისის რუს ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შორის ტუგან-ბარანოვსკი გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით და განსაკუთრებული განსწავლულობით რუსეთის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის საკითხებში. თავის შრომებში ტუგან-ბარანოვსკი გამოდიოდა, როგორც კაპიტალიზმის აპოლოგეტი და მარქსიზმს უპირისპირებდა ე. წ. ავსტრიულ სკოლას, ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში შესაძლებელია, წარმოების განვითარებისა და მოხმარეიის მიუხედავად სიმდიდრის განესაზღვრელი დაგროვება. იგი გამოდიოდა კრიტიკით კლასთა ბრძოლის თეორიის წინააღმდეგ და ანვითარებდა ვულგარულ თეორიას საზოგადოების „ეთიკოფსიქიურ ფაქტორის“ განვითარების შესახებ, ამაღლებდა მალტუსიანელთა მოძღვრებას და ბუნების კანონების ვულგალური იდეალიზაციით უარყოფდა ექსპლოატატორული საზოგადოების არსს. შემდგომში ტუგან-ბარანოვსკის „თეორიები“ გამოიყენეს დასავლეთ ევროპის რევიზიონისტებმა მარქსისტული მოძღვრების გაყალბებისა და ვულგარიზაციისათვის.

პეტროჟიცკის და ტუგან-ბარანოვსკის მეცნიერულ წრეებში გაერთიანებული იყვნენ პეტროგრადის უნივერსიტეტის

ჰუმანიტალური დარგის სტუდენტების და ახალგაზრდა სპეციალისტების დიდი ნაწილი. ამ წრეებში, აგრეთვე, აქტიურად იყო ჩაბმული ზოზო ნანეიშვილი, რომელიც პეტროგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა 1912 წლიდან. 1916 წელს ნანეიშვილი არჩეული იქნა პეტროჟიცკის სამართლის ფილოსოფიის წრის თავჯდომარედ და აღნიშნული წრის მეცნიერულ მუშაობას ხელმღვანელობდა უნივერსიტეტის დამთავრებამდე, საქართველოში დაბრუნებამდე. პეტროგრადის უნივერსიტეტის 1915—1917 წლის ანგარიშებში მოიპოვება მასალები,რომლებიც ადასტურებენ, რომ ზ. ნანეიშვილს ამ წრეში წაუკითხავს მრავალი მოხსენება სამართლის ფილოსოფიისა, კანტის და ჰეგელის ფილოსოფიურ აზროვნებაზე, სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ და სხვა. უნივერსიტეტი ნანეიშვილმა დაამთავრა 1917 წელს და იქვე იყო დატოვებული საპროფესოროდ მომზადებისათვის. ნანეიშვილი უნივერსიტეტში დატოვებული იქნა პეტროჟიცკის მოთხოვნით, რადგან პეტროჟიცკი ახალგაზრდა ნანეიშვილში ხედავდა დიდი მომავლის მქონე მეცნიერს. ნანეიშვილს პეტროჟიცკის ხელმძღვანელობით მუშაობა დიდ ხანს აღარ გაუგრძელებია. 1917 წლის დამლევს საქართველოში დაბრუნდა და თბილისის უნივერსიტეტში იქნა დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. მიუხედავად ამისა, პეტროჟიცკის ყურადღება ნანეიშვილისადმი შემდგომშიც კარგა ხანს არ ზენელებულა.

ემიგრაციაში მყოფი პეტროჟიცკი ვარშავის უნივერსიტეტის სამართლის ფილოსოფიის კათედრას განაგებდა. 1924 წელს მან პარიზში მყოფ ზოზოს წერილი მისწერა, რომელშიც სთხოვდა ჩასულიყო ვარშავაში და ემუშავნა მასთან[1]. პეტროჟიცკის ეს წინადადება უარყოფილი იქნა. ნანეიშვილის მიერ ამ ხელსაყრელი და მეტად მომხიბვლელი წინადადების უარყოფა შეპირობებული იყო იმით, რომ იგი ევროპაში წარგზავნილი იყო მისი ერის მიერ. სამშობლოსთან

1 ეს წერილი დაკარგულია, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მისი მეუღლე, პატივცემული ლ. შენგელაია.

კავშირი ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია და არასოდეს არ ჰქონია მიზნად მისთვის ზურგი შეექცია. ნანეიშვილის მიზანი იყო მეცნიერების დაუფლება და შემდეგ მისი ქვეყნისათვის სამსახური, რაც მან კეთილსინდისიერად შეასრულა. გარდა ამისა, თუ ნანეიშვილი წლების განმავლობაში გატაცებული იყო თავისი მასწავლებლის პეტროჟიცკის სწავლებით, ამ დროისათვის მას იდეურად დაშორდა და დაუპირისპირდა კიდეც.

1919 წლის შემოდგომაზე იმ დროს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, ზოზო ნანეიშვილი მივლინებული იქნა საზღვარგარეთ სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. 1921 წლამდე იყო ქალაქ ფრაიბურგში, ისმენდა ფილოსოფიის კურსს პროფესორ ედმუნდ ჰუსერლის კათედრაზე, ხოლო შემდეგ, 1923 წლამდე ბერლინის უნივერსიტეტში ცნობილი იურისტების ხელმძღვანელობით ეუფლებოდა სამართლის სხვადასხვა დარგებსა და ფილოსოფიას. ბერლინიდან ნანეიშვილი პარიზში გადავიდა, სადაც აგრძელებდა თავისი მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას.

აქ საგულისხმოა ერთი დეტალი. 1921 წელს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, პირველ პერიოდში საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფ პირთ და, მათ შორის ზოზო ნანეიშვილს, სტიპენდიების გაგზავნა შეუწყდათ. ზოზოს არავითარი საარსებო საშუალება არ გააჩნდა და იგი კარგაბანს იძულებული იყო ფრაიბურგში და შემდეგ ბერლინში სხვადასხვა ქარხნებში შავ მუშად ემუშავნა. მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, მას სწავლა არ შეუწყვეტია და მის მიერ მეცნიერების დაუფლებისადმი სწრაფვა არ შენელებულა.1926 წლის სექტემბერში იგი სამშობლოში დაბრუნდა და დაიწყო ლექციების კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე. 1928 წლიდან, როდესაც ეს ფაკულტეტი რეორგანიზებულ იქნა, იურიდიული ფაკულტეტის დოცენტად იყო შიწვეული და კითხულობდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წყობილების კურსს, სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილს

და სამეურნეო სამართალს. იგი კარგახანს გახდებდა სამოქალაქო სამართლის კათედრას.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ზოზო ნანეიშვილი ეწეოდა დიდ კვლევით მუშაობას. მის მიერ შექმნილია საკმაო რაოდენობის მნიშვნელოვანი ორიგინალური მეცნიერული შრომებისა, რომელთა შორის უადგილო არ იქნება დავასახელოთ ისეთი შრომები, როგორიც არიან: „ადმინისტრაციული მმართველობის შესახებ“, „სამართლის სუბიექტის შესახებ“, „სამართლის ნამდვილობა, ნორმატიული ფაქტები“, „ფსიქოლოგიური თეორიის ემოციონალურ-აპრიორული საფუძვლები“, „ხალხის ცნება ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიაში“, „სახელმწიფო იდენტიურობის და რევოლუციის პრობლემა ნეოკანტიანელთა ფილოსოფიაში“, „ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის აპრიორული საფუძვლები რეინახის სამართლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით“, „ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები“, „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიულ ფაქტების დასაბუთებისა“, სერია წერილების სსრკ ახალი კონსტიტუციის და ბურჟუაზიული კონსტიტუციების შესახებ, წერილები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე დაწერილი ქართული დიდი ენციკლოპედიისათვის და სხვა.

ამ შრომების უმრავლესობა დაბეჭდილია და თავის დროზე სათანადო შეფასება მიიღეს. ნაწილი შრომებისა დაბეჭდილი არ ყოფილა, დღეისათვის დაკარგულია და, სამწუხაროდ, მათი აღდგენის საშუალება არ არსებობს.

დაბეჭდილ შრომებიდან კაპიტალური შრომაა 1929 წელს გამოცემული „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, რომელმაც ზ. ნანეიშვილს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოუპოვა. ამ შრომამ თავის დროზე დიდი დავა გამოიწვია, მაგრამ იგი ნანეიშვილის სასარგებლოდ გადაწყდა. საქმე იმაშია, რომ ნანეიშვილის მეცნიერული აზროვნების მომწიფება 14 წლის განმავლობაში ხდებოდა ბურჟუაზიული მეცნიერების ისეთი იდეოლოგების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ: პეტრაჟიცკი, ტუგან-ბარანოვსკი, ჰუსერლი, შტამლერი და ევროპის

სხვა გამოჩენილი ბურჟუაზიული მეცნიერები, რასაც არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა მის აზროვნებაზე. ნანეიშვილი ბრუნდებოდა რა საზღვარგარეთიდან საქართველოში, მტკიცეთ ჰქონდა შეგნებული ახალი სოციალური სისტემის უპირატესობა, მისი დიდი მომავალი, სჯეროდა მომხდარი სოციალური ცვლილებების კანონზომიერება, მაგრამ მას არ შეეძლო ერთბაშად განტვირთულიყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის იმ დიდი მარაგიდან, რომელიც მან დააგროვა მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. ზ. ნანეიშვილის შრომებს უდავოდ ჰქონდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა და იდეალისტური მიმართულება, მაგრამ ეს არ ყოფილა მისი მეცნიერული აზროვნების გამოსავალი წერტილი. გარკვეულ პერიოდში მან განიცადა ევოლუცია, მისი აზროვნება თანდათან გამოვიდა იდეალისტური ბურუსიდან. „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ და ამასთან ერთად უფრო გვიანი პერიოდის შრომები: „ემოციონალური აპრიორიზმი და სოციალური თანხმობის იდეა ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიაში“, „ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ეთიური დასაბუთება ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიაში“ და სხვა.—არიან შრომები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ზ. ნანეიშვილი გაერკვია იდეალისტურ ფილოსოფიის ყალბ მეცნიერულ საფუძვლებში, მის რეაქციულ და ანტისაზოგადოებრივ მიმართულებაში.

მაგალითად, ი. ბოჭორიშვილის რეცენზიაში (1936 წ. 13 მაისი) შრომაზე „ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ეთიური დასაბუთება ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიაში“, ნათქვამია, რომ: ამ შრომაში „ავტორი იხილავს ბურჟუაზიული სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ არსებულ ტიპიურ იდეალისტურ შეხედულებებს. პროფ. ნანეიშვილი თვითონ იდგა ამ იდეალისტურ პოზიციებზე, წარმოდგენილი შრომა კი პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს იმ მარივ, რომ ავტორი სრულიად ახალ, ე. ი. მარქსისტულ—ლენინური პოზიციებიდან აკრიტიკებს ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფიურ კონცეპციას. იდიალისტურ შეხე-

დულებათა სიყალბე იმდენად ნათლად აქვს ავტორს წარმოდგენილი, რომ ის მოცემულ კრიტიკის დროს, თუ შეიძლება ითქვას, არ განიცდის რაიმე ტკიცილებს. ამ უკანასკნელს კი ძალიან ხშირად ვამჩნევთ იმათ ნაწერებში, რომელთაც მოახერხეს იდეოლოგიური განიარაღება, მაგრამ გული კიდევ შესტკივათ იმაზე, რაზედაც ხელი აიღეს".

ზ. ნანეიშვილის წიგნი „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიულ ფაქტების დასაბუთებისა" წარმოადგენს ღრმა მეცნიერულ ნაშრომს სამართლის ფილოსოფიის დარგში. ქართული იურიდიული ლიტერატურა სამართლის ფილოსოფიის საკითხზე მეტად ღარიბია. ოცდაათიან წლებში, იმ დროს, როდესაც ეს შრომა შეიქმნა, იგი მით უმეტეს ღარიბი იყო. ამიტომ ნანეიშვილის წიგნი უდაოდ დიდ მოვლენას წარმოადგენდა ქართული იურიდიული მეცნიერების სფეროში. როგორც შრომის ერთ-ერთი რეცენზენტი პროფ. შალვა ნუცუბიძე აღნიშნავდა, შრომა „საინტერესო და საგულისხმოა არა მარტო სპეციალ-იურიდიულის, არამედ საერთო ფილოსოფიური თვალსაზრისითაც..."[1]

ამ შრომაში ზ. ნანეიშვილი შეეხო და მეცნიერულად დაამუშავა ისეთი საკითხები, როგორიც არიან: სამართლის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები, სამართლის ნორმები და ნორმატიული ფაქტების პრობლემა, სახელმწიფო ხელისუფლების არსი, სამართლის ისტორიის საგანი, სამართლის ფილოსოფია და სხვა. ამ საკითხების დამუშავების დროს ზ. ნანეიშვილი გამოვიდა კრიტიკით: სამართლის ნორმატიული სკოლის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს, რომ სამართლის მეცნიერება უნდა დაკმაყოფილდეს ანალიზით, სამართლის მოქმედი კლასიფიკაციით, იურიდიული ცნებების და კონსტრუქციების დაჯგუფებით, იმის გარკვევის გარეშე თუ რა სოციალ—ეკონომიური, ფსიქოლოგიური და, რაც მთავარია, პოლიტიკურ საფუძველს ემყარებიან ისინი. ნორმატივისტები არ ცნობენ იმას, რომ იურიდიული კანონები თა-

---

1 რეცენზიები ზ. ნანეიშვილის შრომების შესახებ სახეზეა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში.

ვის შინაარსს ნახულობენ გარკვეულ ეკონომიურ ან საწარმოო პირობებში, რომლებიც საზოგადოებაში არიან გაბატონებული. მეოცე საუკუნის ნორმატივისტული სკოლის მამამთავრის გერმანელ პროფესორის ჰანს კელზენის და მისი მიმდევრების აზრით, სამართლის შესწავლის დროს არ შეიძლება გამოყენებული იქნას ის მეთოდი, რომლითაც შეისწავლება სინამდვილე. მათი მეთოდი იგივეა, რაც დოგმატივისტთა იურიდიული მეთოდი, „დამყარებული" წმინდა იდეალისტურ ფილოსოფიურ არგუმენტაციაზე, ნასესხები ნეოკანტიანელებისგან და ისეთი ფილოსოფიურ მიმართულებებიდან, როგორიც არიან: მახიზმი, ჰუსერლიანობა და სხვა. ნანეიშვილმა თავის შრომაში სათანადოდ გააკრიტიკა ნორმატივისტული სკოლის რუსი წარმომადგენლები და განსაკუთრებით თავისი მასწავლებელი პეტროჟიცკი.

გარდა ნორმატივისტული სკოლისა, ზ. ნანეიშვილმა ღრმად დაამუშავა საკითხი სამართალში პოზიტივიზმის შესახებ. „პოზიტივისტები", როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, — „უბადრუკ ფოფას წარმოადგენენ, შუაგულის საზიზღარ პარტიას ფალოსოფიაში, რომელიც ყველა ცალკე საკითხში მატერიალისტურ და იდეალისტურ მიმართულებას ურევენ ერთმანეთში. ცდა ამ ორ ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებიდან ამოხტომისა არაფერს შეიცავს, გარდა „შემრიგებლური შარლატანობისა"[1]. თავის შრომაში ზ. ნანეიშვილს დაყენებული საკითხების გადაჭრის დროს არ შეეძლო გვერდი აეარა საკითხზე სამართალში პოზიტივიზმის შესახებ და მან საკმაო დამაჯერებლობით დაამტკიცა, რომ პოზიტივიზმი წარმოადგენს ცალკე ფაქტების რეგისტრაციას, მათ ფორმალურ ლოგიკურ ანალიზს, რომ პოზიტივიზმი არ ხსნის საკითხს სამართლის არსის შესახებ, გვერდს უვლის მას და ამტკიცებს თითქოსდა იგი შეუცნობელია და მისი შეცნობის საჭიროება არ არსებობს.

პროფ. შ. ნუცუბიძე აღნიშნავდა, რომ: „ზ. ნანეიშვილის წიგნში ორი თემაა და თითოეული მათგანი, ე. ი. როგორც

---

1 ვ. ი. ლენინი, თხუზულებანი, ტ. 14, IV, გამოცემა, გვ. 434.

სამართლის ნამდვილობის პირობა, ისე ნორმატიული ფაქტების საკითხი ი'შვიათი გონებამახვილობით, დაკვირვებით არის შესრულებული. თავისი აზრების მიმდინარეობას ავტორი არ ამძიმებს სხვა 'შეხედულებათა ციტატით და მიმართავს ამ უკანასკნელს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი დებულების ნათელყოფა აუცილებელ'ყოფს სხვათა 'შეხედულებების გაკრიტიკებას....

ავტორის მიერ წარმოებული დისტანციები სინამდვილის და ფაქტის ცნებისა სავსეა ფილოსოფიური გამ'ჭრიახობით. ჩვენ დროში, როდესაც.,. ფილოსოფია და იურისპრუდენცია დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ი'ურიდიული აზროვნებისათვის ისეთი ნაშრომი, რომელიც იურიდიული მსჯელობის გვერდით არა მარტო ახერხებს ფილოსოფიური საკითხების ადეკვატურ გაგებას და დაყენებას, არამედ მთელ მათ მამოძრავებელ ძარღვს სწვდება ი'შვიათი ინტუიციით".

შრომას ასევე მაღალი შეფასება მისცა პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა და მთელმა სამეცნიერო საბჭომ, რომელმაც 1930 წლის 11 აპრილს მიანიჭა მის ავტორს იურიდიული მეცნიერების დოქტორის ხარისხი.

ზოზო ნანეიშვილის ორიგინალური გამოკვლევა „ემოციონალური აპრიორიზმი და სოციალური თანხმობის იდეა ბურჟუაზიულ სამართლის ფილოსოფია'ში" მიზნად ისახავდა, პეტროჟიცკის სამართლის ფილოსოფიასა და მარქსისტულ მეცნიერებას შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობის დასაბუთებას. ამ შრომა'ში ნანეიშვილმა შეძლო დამაჯერებლად გაერკვია, რომ პეტროჟიცკი ბურჟუაზიული სამართლის ნორმებს მარადიულ ადამიანურ ნორმებად ასაღებს, რომ მისი სწავლება უკიდურესად იდეალისტურია და რომ იგი მარქსიზმის დაუოინებელი მტერია.

ზოზო ნანეიშვილის იურიდიული და ფილოსოფიური აზროვნება ემყარებოდა მაღალ ინტელექტუალურ საფუძვლებს. მისი ფართო მეცნიერული დიაპაზონი იყო შედეგი, უდავოდ ნიჭიერი კაცის მიერ, ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა

დარგების სრულყოფილად დაუფლებისა და მათი თეორიული და პრაქტიკული გამოყენების.

ზოზოს კარგად ესმოდა ესთეტიკის საკითხები, იცნობდა მსოფლიო და ეროვნული ლიტერატურის ღირსშესანიშნავ ნიმუშებს, თეატრს, მხატვრობას, მუსიკას და თავის ლექციებში ფართოდ იყენებდა ამ ცოდნას, მსმენელებში აღვივებდა ესთეტიკურ გემოვნებას. მისი ბინა (ლერმონტოვის ქ. № 15) წლების განმავლობაში გადაქცეული იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მომღერლები, მხატვრები, კულტურის დარგის სხვა მუშაკები და აქ „ჭიქა ჩაისთან" ვლინდებოდა ის დიდი მონაპოვარი, რაც კაცობრიობის აზროვნებას შეუტანია მისი არსებობის დიდ მანძილზე. ზოზო ნანეიშვილის და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სჯა-ბაასში მოისმენდით ღრმა შინაარსიან საუბარს: მოსკოვის კაზმულ ნაკეთობათა მუზეუმის, პეტროგრადის ერმიტაჟისა, დრეზდენის, ლუვრის და სხვა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლებზე, მუსიკაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე და ფილოსოფიაზე. ერთ-ერთ ასეთ საუბარში ზოზოს დაებადა ორიგინალური აზრი და მან შეკმნა მეტად საინტერესო მონოგრაფია — გამოკვლევა მოთა რუსთველის ფილოსოფიურ და იურიდიულ შეხედულებათა შესახებ, რომელშიც ღრმა ფილოსოფიური დასაბუთებით განხილული იქნა „ვეფხისტყაოსანში" არსებული სამართლის საკითხები.

ზოზოს სშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი მხატვრები: ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი, რომლებთან ერთად მას კარგახანი პარიზში მოუხდა ცხოვრება, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვები.

ზიზო ნანეიშვილის მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დეტალურ შესწავლას მოითხოვს. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ახალგაზრდა იურისტებს, ფილოსოფოსებს და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებს.

ოსიკო ბარათაშვილი

იოსებ ბარათაშვილი

1874-1937

ვექილი იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილის სახელი მეტად გავრცელებული იყო ჩვენში თავის დროზე და ძნელად მოინახებოდა ისეთი ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც თუ თვით არა ჰქონია მასთან ნაცნობობა — სხვისგან მაინც არ გაეგონა, რომ ის საქართველოს ერთ-ერთი ბრწყინვალე ადვოკატი იყო.

იოსებ ალექსანდრეს-ძე ბარათაშვილი 1893 წლიდან, მის მიერ იურევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ვიდრე 1937 წლამდე ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ბოლშევიკურმა პარტიამ პრაქტიკულად განახორციელა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და შეძლო უზრუნველეყო რევოლუციის მონაპოვართა ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება, ბოლშევიკური პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიების უმრავლესმა წევრებმა მთლიანად დაგმეს თავიანთი შეხედულებები, რამაც ამ პარტიების დაშლა გამოიწვია. ოსიკო ბარათაშვილიც იმ პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომელმაც შეიცვალა თავისი პოლიტიკური შეხედულებები და თავის ერთან ერთად ჩაება სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. 1922 წელს ოსიკოს უშუალო მონაწილეობით სოც. ფედერალისტების პარტია საქართველოში ოფიციალურად დაშლილად იქნა გამოცხადებული და ამ პარტიამ შემდგომში თავისი მოქმედება შეწყვიტა.

ადრევე აღნიშნული იყო, რომ მეფის მთავრობამ ოსიკო სამართალში მისცა, როგორც „ეიბორგის ბოწოდების“ მონა-

წილე. ვიბორგის ისტორიაში ოსიკო მოხვდა, როგორც I სახელმწიფო სათათბიროს წევრი. იგი დეპუტატად თბილისის ოლქიდან იყო არჩეული.

1906 წლის 8 (21) ივლისს მეფის მთავრობამ სათათბირო განდევნა, რამაც მთელი რუსეთის აღშფოთება გამოიწვია. სათათბიროს განდევნის მეორე დღესვე სოც. დემოკრატიული ფრაქციის 200-დე წევრი, მათ შორის ოსიკო ბარათაშვილიც, ფინეთის ქალაქ ვიბორგში შეიკრიბა და შეადგინეს „ვიბორგის მოწოდება", რომელშიც მთავრობის ამ უკანონო მოქმედებაზე პროტესტი იყო გამოცხადებული.

მოწოდების შედგენაში ბოლშევიკური ფრაქციის წევრებს მონაწილეობა არ მიუღიათ. „ვიბორგელები" მხოლოდ პასიური წინააღმდეგობის ღონისძიებებით კმაყოფილდებოდნენ, რაც ბოლშევიკების მოთხოვნას შეიარაღებული აჯანყების შესახებ—ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად „ვიბორგის მოწოდების" შემრიგებლური შინაარსისა, მეფის მთავრობამ მისი შემდგენნი და გამავრცელებლები სამართალში მისცა. საქმე განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატამ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელმაც ვიბორგელებს შემდგომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და სხვა პრივილეგიები აჰყარა და სამ-სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

საქართველოდან „ვიბორგის მოწოდებას", ო. ბარათაშვილის გარდა ხელს აწერდნენ შემდეგში მენშევიკური მთავრობის ლიდერები: ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი და აგრეთვე, ი. გომართელი, ს. წერეთელი და ს. ჯაფარიძე.

„ვიბორგელების" პროცესი ჩატარდა 1907 წლის დეკემბერში. პროცესზე ო. ბარათაშვილმა მეტად გაბედული და შინაარსიანი დაცვითი სიტყვა წარმოთქვა. მოგვყავს ამ სიტყვის შემოკლებული ამონაწერი სასამართლოს სხდომის ოქმიდან: „ვიბორგის მოწოდება ჩვენ ბრძოლის საშუალებად მიგვაჩნდა. ეს უბრალო ფრაზა არ არის... მოიგონეთ საქართველოს დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილები. განა იქ ოდესმე სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ და განა იქ ვინმე რეკრუტებს აყენებდა? არა. ეს უდავო ფაქტია. ჩვენთან დამყარებული წესრიგით, უფრო კი უწესრიგობით, მთელი მოსახლე-

ობა წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობამდე არის მიყვანილი. და აი, როგორც ბრძოლის პირველი საფეხური, აუცილებელი შეიქმნა პასიური წინააღმდეგობა. თუ თქვენ გასაცოდავებულ ქართველი გლეხის ქოხში შეიხედავთ, მაშინ მიხვდებით, რომ იგი ყოველივეს მედგრად იტანს, მისი უკანასკნელი ავლადიდება, უკანასკნელი ქვაბი და ტანსაცმელი გამოაქვთ მისი სახლიდან და ამას იტანს იმიტომ, რომ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. როდესაც სახელმწიფო სათათბირომ თავისი მოწოდება გაბოუშვა, მაშინ მან ბოლოდ ხალხის უფლება დაადასტურა. ჩვენ, სახალხო წარმომადგენლები, ძალებელი ვიყავით ცხოვრების სინამდვილის თვალსაზრისსე დავმდგარიყავით, ბრძოლა გვეწარმოებინა და ამით თავიდან აგვეცილებინა უფრო უარესი, რაც რომ ამის შედეგად შესაძლებელი იყო მოეხდარიყო. ამ მხრივ ჩვენი ვალი მოვიხადეთ

ბატონო მოსამართლენო და წოდებრივო წარმომადგენელნო! მე დღეს გამოვცხადდი არა როგორც ბრალდებული, არამედ როგოროც ბრალმდებელი და ამ მხრივ...

თავმჯდომარე: თქვენ სიტყვა მოგეცათ არა როგორც ბრალმდებელს...

თავადი ბარათოვი: ჩვენ თავისუფლებისაკენ მივისწრაფვოდით. ერთადერთი მიზანი და სწრაფვა რუსეთის კეთილდღეობა იყო. 8 ივლისს კი ჩვენ დავინახეთ, რომ სურთ ამის ვანადგურება. განა პატიება შეიძლება?... რასაკვირველია არა. ჩვენს ბედზე, ჩვენი მისწრაფებების განადგურება, მათი ჩაკვლა ისევე, როგორც მზის ჩაქრობა, არავის ძალუნს, არავის შეუძლია. მე მჯერა, რომ ოდესმე ამ სკამებზე ვიხილავ თავისუფალი რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც მოძალადეებს მსჯავრს თვით დასდებენ... დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველა მოქალაქეებთან ერთად მანდ ვიჯდებით (უთითებს მოსამართლეების სკამებზე) და ჩვენს მოძალადეებს გავასამართლებთ"...[1]

ო. ბარათაშვილი სისხლის სამართლის საქმეთა საუკეთესო მცოდნე სპეციალისტი იყო და, როგორც ადვოკატს, დიდი

---

[1] იხ. Депутаты I Гос. думы под судом. Составлен В. Н. Классоном, 1908 г. Петербург.

პრაქტიკა ქონდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოსიკო ბარათაშვილის დაცვითი სიტყვები მის მიერ ჩატარებულ პოლიტიკურ პროცესებში და მკვლელობის საქმეებზე.

1906 წლის 14-20 თებერვალს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ გაასამართლა სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი—ტერორისტი არსენ ჯორჯიაშვილი, რომელმაც ყოფ. ბარიატინის ქუჩაზე ეტლით მიმავალი კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი გრიაზნოვი მოკლა.

ჯორჯიაშვილის ინტერესებს ოსიკო ბარათაშვილი და თბილისელი ადვოკატი მიხეილ კლანკი იცავდნენ[1].

წაყენებულ ბრალდებაში არსენა ჯორჯიაშვილი თავს დამნაშავეთ არ ცნობდა. დაცვა მხარს უჭერდა რა ბრალდებულის პოზიციებს, შეეცადა გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთებისათვის დაეკარგა თავიანთი მნიშვნელობა. გარდა ამისა, დაცვა მაზნად ისახავდა, რაც შეიძლება ხელი შეეშალა განაჩენის გამოტანისათვის და საქმის განხილვა გაეჭიანურებინა. უნდა ვიფიქროთ, რომ საქმის გაჭიანურების სურვილი ორი გარემოებით აიხსნებოდა. პირველი—პარტიას შესაძლებლობა მისცემოდა მოეწყო ჯორჯიაშვილის საპატიმროდან გაქცევა. მეორე—იყო იმედი, რომ მთავრობა რევოლუციური ძალების ზეგავლენით იძულებული გახდებოდა გაევრცელებინა პოლიტიკურ პატიმრებზე შეღავათები და თუ ამნისტიის გამოცემამდე საქმე გაჭიანურდებოდა, ჯორჯიაშვილს სიკვდილით დასჯა ასცილდებოდა.

ბარათაშვილმა განავითარა აზრი, რომ სამხედრო მსაჯურები ვიქტორ ციცერსკი და ნიკოლოზ ადმანოვი, რომლებმაც ჯორჯიაშვილი შემთხვევის ადგილზე დააკავეს და ბრალდების მთავარი მოწმეები იყვნენ, ჯორჯიაშვილთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. წამოყენებული იყო აზრი, რომ ციცერსკიმ და ადამოვმა მიითვისეს საათი, რომელიც მათგან ჯორჯიაშვილმა 3 მანეთად იყიდა, ფული გადაუხადა და ნივთი ვერ მიიღო. მკვლელობა მოხდა იმ მომენტში და იმ ადგილის ახლოს (ალექსანდრეს, ამჟამად 26 კომისრების ბაღ-

---

[1] ცენტრალური სახ. ისტორიული არქივის ფონდი 92, საქმე 75.

თან), სადაც არსენა ციცერსკის და ადგანოვს ფულის დაბრუნებას თხოვდა და რომ იგი თავიდან მოეშორებინათ მათ ისარგებლეს მომენტით და არსენა დააკავეს როგორც მკვლელი. ამ განცხადების და არსენასთვის კიდევ სხვა სასარგებლო გარემოებების დასადასტურებლად ოსიკომ მოითხოვა რამდენიმე მოწმის დაკითხვა, რომელთა ადგილსამყოფელის დადგენა, როგორც ეტყობა, შეუძლებელი იყო. ეს ხერხი გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ დროის მოგების მიზნით, პროცესის გადასადებად, საქმის განხილვის გასაჭიანურებლად. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღძრული შუამდგომლობები და ჯორჯიაშვილს მსჯავრი დასდო. მაგრამ არა სრულყოფილი მასალებით, ისეთი მტკიცებების საფუძველზე, რომლებიც დაცვამ მეტად საეჭვო მდგომარეობაში ჩააყენა და დაუკარგა მათ დამაჯერებლობა. მართალია დაცვამ არსენას გადარჩენა ვერ შეძლო, მაგრამ თვით პროცესით შებღალულ იქნა საჭვდრო სასამართლოს ავტორიტეტი—შეიქმნა საზოგადოებრიობის აზრი, რომ გამოტანილია უსამართლო განაჩენი, აღნიშნული კი გამოყენებული იქნა არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აგიტაციისათვის. არსენა ჯორჯიაშვილის პროცესის გამოყენება პოლიტიკურ აგიტაციისათვის გამონაკლისს არ წარმოადგენდა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ხშირად იყენებდნენ მასიური აგიტაციისათვის, როგორც თვით სასამართლო ტრიბუნას, აგრეთვე პრესას, სასამართლო პროცესების გაშუქებით, რეაქციული იუსტიციის შაებნელი საქმიანობის გამოსაშკლავნებლად. პერიოდულ გამოცემებში მრავალად მოთავსებული ქრონიკული ნასალა მოწმობს, რომ პირადად ო. ბარათაშვილს არა ერთხელ გამოუყენებია სასამართლო ტრიბუნა პოლიტიკური აგიტაციის საწარმოებლად და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

არსენა ჯორჯიაშვილის პროცესის შესახებ გვაქვს თვით ოსიკო ბარათაშვილის ასეთი ჩანაწერი:

„არსენა ჯორჯიაშვილზე ბევრი ითქვა. ბევრი დაიწერა, მე მინდა შევეხო ერთ გარემოებას, როგორც მაყურებელი.

ამ პროცესით ყველანი იყვნენ დაინტერესებულნი. იმ დროს გრიაზნოვი წარმოადგენდა დიდ პიროვნებას. და მისმა სიკვდილმა მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაცია ფეხზე დააყენა. იმ დროს ხშირი იყო ტერორისტული აქტები, მაგრამ გრიაზნოვის მკვლელობას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. იგი ორგანიზაციულად იყო მოწყობილი...

არსენა ჯორჯიაშვილმა ესროლა რა ყუმბარა და დაინახა რა, რომ მიზანს მიაღწია. იგი არ შეშინდა, არ დაიბნა, მოტრიალდა და ალექსანდროვის ბაღისაკენ გაეშურა.

ბარიატინსკის ქუჩაზე მეზობლად იმყოფებოდნენ გარადავოები და აკალოდოჩნი ნადზირატელი, მით უმეტესათ რომ იქვე იყო მოთავსებული ნამესტნიკის მოადგილეს კანცელარია და ბინა მალამასი—ნამესტნიკის მოადგილის. თავზარდაცემული გარადოვოები და აკალოდოჩნი ნადზირატელები ჯორჯიაშვილს ვერ დაიჭერდნენ; თუ ერთ უცაბედ შემთხვევას არ ეენებოდა ადგილი. ამ დროს ქვეიდან მოდიოდა ერთი ოკოლოდოჩნი ნადზირატელი, რომელმაც გადაუღობა გზა. ჯორჯორჯიაშვილმა ამოიღო რევოლვერი, უნდა ესროლა მისთვის, მაგრამ ამ დროს უკნიდან წაატანეს ხელი და დაიჭირეს. აღსანიშნავია, რომ ჯორჯიაშვილი იქნა დაპატიმრებული რევოლვერით ხელში.

დაკითხვის დროს ჯორჯიაშვილმა არ სცნო თავი დამნაშავედ და მისი პასუხი საერთოდ იყო მოკლე და მოჭრილი.

სამხედრო სასამართლოს დარბაზი იყო სავსე ხალხით, სავსე იყო აგრეთვე გენერლებით და ოფიცრებით.

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ წაიკითხა საბრალმდებო ოქმი (საბრალმდებო დასკვნა) და კითხა, იცის თუ არა ჯორჯიაშვილმა თუ რა ბრალდებას უყენებენ მას და რას იტყვის გასამართლებლად. მან უპასუხა: „მე არ ვცნობ თავს დამნაშავეთ, მე მივდიოდი და დამიჭირეს“. ამაზე მეტი მას არაფერი არ უთქვამს, ეჭირა თავი მედიდურათ, პასუხი იყო ნათქვამი მაღალი ხმით და სიმტკიცით, არავითარი დაღვრემილობა, არავითარი მონანიება. ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო, რომ იგი დგას სიკვდილის კარებთან, მაგრამ მისი მოქმედება ჩვენ, დამცველებს გვამხნევებდა.

პროცესის დროს, როცა მოწმეები ამხილებდნენ მას, იგი

არ ცდილობდა თავის გამართლებას და დაცინვის ღიმილით უყურებდა მათ.

დაცვის მიზანი იყო, თუ შესაძლებელი იყო, ჯორჯიაშვილი სიკვდილის ბრვყალებიდან გამოგვეგლიჯა და მეორე, საქმისათვის მიგვეცა პოლიტიკური სახე...

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სიკვდილით დასჯა. ჯორჯიაშვილმა განაჩენი მოისმინა წარბშეუხრელად, ერთი წამი იყო სიბრაზით გაუბრწყინდა თვალები, შემდეგ მისცა სახემ მიიღო ჩვეულებრივი სიმშვიდე.

დედ-მამამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყეს ტირილი. ჯორჯიაშვილი მიუბრუნდა მათ და უთხრა: „რას ჩადიხართ რათ სტირით, სატირელი არაფერი არა გაქვთ. მე შევასრულე ჩემი მოვალეობა". კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ მცველებმა-ჯარისკაცებმა არ დააცალეს და წაიყვანეს".

ო. ბარათაშვილი დიდი განცდების და მაღალი გრძნობების გამომხატველი პიროვნება იყო, რის შედეგადაც იგი თავისი სიტყვით მსმენელებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა. ამ გარემოებას, აგრეთვე ხელს უწყობდა ოსიკოს არტისტული ნიჭი, რომელიც მის გამოსვლებს მეტად ალამაზებდა და მაღალ პათეტიურ ელფერს ანიჭებდა. დაცვით სიტყვებში მძაფრ ფსიქოლოგიურ ელემენტების გამოყენებას და მათ გარეგნულ ეფექტიურობას დიდი შედეგის მოტანა შეეძლო სასამართლოებში, სადაც საქმეები წოდებრივ წარმომადგენელთა ან ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იხილებოდა. წოდებრივი წარმომადგენლები და ნაფიცი მსაჯულები ხალხის ე. წ. „წარმომადგენლებს" წარმოადგენენ და ხშირად მათი ინტერესები არ ეფარდებოდა სასამართლოს მოხელეთა ინტერესებს. ისინი არ წარმოადგენდნენ „გრძნობა და სულ ამორთმულ" მოსამართლეებს, რომლებიც მხოლოდ სამსახურებრივი ვალდებულების მაღალი პრინციპებიდან გამომდინარეობდნენ და ხელისუფლების ინტერესების დაცვას კანონის ფორმალურად და მისი მთელი სიმკაცრით, გამოყენებით ანხორციელებდნენ. წოდებრივი წარმომადგენლების და ნაფიც მსაჯულთა მეტად კრელი შემადგენლობა (აქ შეიძლება ყოფილიყო: თავადი და გლეხი, აზნაური და ვაჭარი, მღვდელი და ათეისტი, დემოკრატი და ანარქისტი) ხშირად მათ ადამიანურ გრძნო-

ბებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა და ადვოკატს ერთგვარ გასაქანს აძლევდა. მართალია წოდებრიები წარმომადგენლების და ნაფიც მსაჯულთა როლი სასამართლო პროცესში შეზღუდული იყო, მაგრამ მათზე ზეგავლენას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვექილი მათ მხარდაჭერას მიაღწევდა ეს უდავოდ გამარჯვებას ნიშნავდა.

ოსიკო ბარათაშვილის თანამედროვენი იგონებენ, რომ მეხშევიკური ხელისუფლების დროს ოსიკო ერთ საკვლელობის საქმეს იცავდა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულია. ოსიკოს დაცვის ქვეშ მყოფ ახალგაზრდა ვაჟს თავისი შეყვარებულის და მოუკლავს, იმისათვის, რომ იგი ჩათვალა მისი მიზნის განხორციელებაში ხელის შემშლელ პიროვნებად.

ოსიკოს ისეთი ამაღელვებელი დაცვითი სიტყვა წარმოუთქვამს, რომ ნაფიც მსაჯულთა მთელი შემადგენლობა — 12 კაცი აუცრემლებია და ისეთი სიმპათიით გაუმსჭვალავს ესინი ბრალდებულის მიმართ, რომ მსაჯულებს ერთხმად მისი გამართლება გადაუწყვეტიათ.

ოსიკოს დაცვითი სიტყვის ძირითადი ხაზი, ფსიქოლოგიურ ზეგავლენაში გამოიხატა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა რწმენა, რომ — „საზოგადოებისათვის საკმარისია ერთი გაუბედურებული დედა და მეორე დედის გაუბედურება, რომლის შვილმაც დანაშაული ჩაიდინა, არ არის მიზანშეწონილი“.[1]

საბჭოთა პერიოდში ოსიკოს არა მარტო თავისი პოლიტიკური შეხედულებების გადასინჯვა მოუხდა, მას აგრეთვე დასჭირდა თავისი პროფესიონალური მოღვაწეობის მთლიანად გარდაქმნა, და მისთვის ახალი მიმართულების მიცემა. ეს გარდაქმნები ოსიკოსათვის ადვილად დასაძლევი აღმოჩნდა.

დიდი გამოცდილება, პროფესიული ალღო და ნიჭი ბარათაშვილს საშუალებას აძლევდა სწრაფად ჩამდგარიყო იმ ადვოკატთა რიგებში, რომლებმაც სწორად გაიგეს საბჭოთა მართლმსაჯულების მნიშვნელობა სოციალისტური სახელმწი-

---

1 ადვოკატი დ. ი. დიდებულიძის მოგონებიდან.

ფოს მშენებლობაში და თავისი წვლილი შეიტანეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ოსიკო ბარათაშვილი ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია არა მარტო როგორც იურისტი, მას იცნობენ, როგორც დიდ სცენისმოყვარეს, ქართული ხელოვნების მცოდნესა და პროპაგანდისტს. ოსიკოს საუკეთესო ხმა აღმოაჩნდა. 1928 წლის თებერვალში მან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეასრულა ტონიოს პარტია ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზებში". რითაც ააღფრთოვანა მოწინავე ქართველი საზოგადოება.

დიმიტრი პოლუმორდვინოვი

1906 1952

ცხოვრების არც თუ ისე ვრცელი მანძილი განვლო „პროფესორ დიმიტრი ივანეს ძე პოლუმორდვინოვმა. მაგრამ ისი შრომები „დისპოზიტიურობა და შეჯიბრების პრინციპი, როგორც სოციალისტური სამოქალაქო პროცესის საფუძველი". „სასამართლო გადაწყვეტილების მოტივები", „სასამართლოს უფლება გასცდეს სასარჩელო ფარგლებს". და სხვა. საბჭოთა იურიდიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს, და განსაკუთრებით აღრმავებენ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესს.

დიმიტრი პოლუმორდვინოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. 1928 წლიდან, ათი წლის მანძილზე პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა. ირიცხებოდა ადვოკატთა კოლეგიის რიგებში. მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში იურისკონსულტად და ეკონომისტად. ხოლო 1937 წელს დაინიშნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგედ. 1938 წლიდან იგი მიწვეული იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ამ დროიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეწეოდა პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას.

დ. პოლუმორდვინოვმა 1940 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „მხარის აღიარება სამოქალაქო პროცესში", რისთვისაც მიენიჭა იურიდიული მეცნიერების კანდიდატის ხარისხი. ხოლო 1948 წელს შრომისათვის „სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალა", მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დიმიტრი პოლუმარდვინოვი

სადოქტორო შრომა დ. ი. პოლუმორდვინოვმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში ყოფნის დროს მოამზადა. ამავე დროს ის მთავრობის კომისიაში იყო შეყვანილი და მუშაობდა კოდექსების პროექტების შედგენაზე. კომისიის დავალებით მან პირადად შეადგინა სსრკ სამოქალაქო სამართლის პროცესის კოდექსის პროექტის რამდენიმე ნაწილი.

1949 წლის სექტემბერში დ. ი. პოლუმორდვინოვს პროფესორის წოდება მიენიჭა და ამ დროიდან იგი განაგებდა სამოქალაქო პროცესის კათედრას სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ამ სტრიქონების ავტორს პირადად მოუსმენია დიმიტრი პოლუმორდვინოვის მიერ წაკითხული სამოქალაქო სამართლის პროცესის კურსი და აღსანიშნავია, რომ მისი ლექციები გამოირჩეოდა თეორიული საკითხების უშუალოდ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაც სტუდენტებს უადვილებდა საგნის გაგებასა და ათვისებას.

დიმიტრი პოლუმორდვინოვი თავის მეცნიერულ მოღვაწეობაში ფართოდ იყენებდა სასამართლო პრაქტიკას, რამაც განსაკუთრებით აამაღლა მისი შრომების მნიშვნელობა და მოუპოვა მათ დამსახურებული აღიარება. მისი სადოქტორო შრომის შესახებ დაწერილ რეცენზიებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამ შრომის დიდ ღირსებას წარმოადგენს საბჭოთა სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკის ფართოდ გამოყენება. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი შ. ა. გურევიჩი თავის რეცენზიაში წერდა: „ეჭვს გარეშეა, რომ ავტორმა ჩაატარა დიდი მუშაობა, რის შედეგადაც სადისერტაციო შრომის ყველა მნიშვნელოვანი თავი ილუსტრირებულია მდიდარი სასამართლო პრაქტიკით, როგორც ზემდგომი სასამართლოების (სსრკ უმაღლეს სასამართლოსი, რსფსრ-სა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების), აგრეთვე სახალხო და ოლქის სასამართლოების პრაქტიკით“.

პოლუმორდვინოვის სადისერტაციო შრომა „სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალა“ ეხება სამოქალაქო პრო-

ცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც დაუმუშავებელი იყო, როგორც საბჭოთა ასევე რევოლუციამდელი რუსეთის იურიდიულ მეცნიერებაში და ამ შრომით შეივსო ის დიდი ხარვეზი, რომელიც მანამდე არსებობდა. თემის დამუშავების დროს მის ავტორს მოუხდა ძირითად საკითხთან ერთად დაემუშავებინა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესის რიგი პრობლემებისა, რომლებიც უშუალო კავშირში არიან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხთან და ამრიგად მიეღწია დაყენებული საკითხის ღრმა მეცნიერულ გაგებამდე. დ. ი. პოლუმორდვინოვმა მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის სწორად გამოყენებით, სამოქალაქო სამართლის პროცესში არსებული ბურჟუაზიული სკოლების და თეორიების ღრმა ანალიზით ამომწურავად გააშუქა საკითხი, თუ რას წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალის ინსტიტუტი, რა როლი ენიჭება მას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების განხორციელებაში. ამავე დროს მან შრომაში მკაცრად გააკრიტიკა რიგი ბურჟუაზიული მეცნიერები, (სავინი, ზაუერი, პაგენშტეხტერი, ჰელვიგი, გოლდშმიდტი და სხვები), ამხილა მათი თეორიების რეაქციული ხასიათი, რომლებსაც საფუძვლად იდეალისტური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უდევს. შრომაში ფართოდ არის გაშუქებული რევოლუციამდელ რუსეთში გავრცელებული სამოქალაქო პროცესის სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებანი და საბჭოთა სამოქალაქო პროცესის ძირითადი მეცნიერული წყაროები.

შრომის შესადგენად ავტორს მოუხდა დიდი რაოდენობის ლიტერატურის შესწავლა და დამუშავება. გარდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების იმ შრომებისა, რომლებიც ეხებიან სახელმწიფოს და სამართლის სახელმძღვანელო საკითხებს, პოლუმორდვინოვმა დაამუშავა 105 სპეციალური რუსული და 137 უცხოური (გერმანული, ფრანგული და ინგლისური) დასახელების ლიტერატურა. გარდა სამოქალაქო პროცესის საკითხებზე შექმნილი სპეციალური ლიტერატურისა, მის მიერ გამოყენებული იქნა ლიტერატურა სამოქალაქო და

სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამართლის ისტორიის და სხვა საკითხებზე. როგორც პროფესორი გურევიჩი აღნიშნავდა, ავტორის მიერ შესწავლილი და დამუშავებული ლიტერატურა ადასტურებს მის მიერ საკითხის „ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას და მის სწრაფვას საკითხი გაეშუქებია ამომწურავი სისრულით“.

მაღალი შეფასება მისცეს შრომას იურიდიული მეცნიერების დოქტორ-პროფესორებმა: ნ. პოლიანსკიმ, ა. კლეიმანმა, ს. ბრატუსმა, და ა. პაშერსტნიკმა. მაგ. პროფ. ბრატუსი აღნიშნავდა, რომ: პოლუმორდვინოვის შრომა არის სერიოზული წვლილი საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში და მომავალში ვერც ერთი საბჭოთა პროცესუალისტი ვერ შეძლებს მას ვერდი აუაროსო. რეცენზენტების მიერ გამოთქმული აზრი მთლიანად იყო გაზიარებული სამეცნიერო საბჭოს მიერ, რომელმაც პოლუმორდვინოვს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება ერთხმად მიანიჭა.

დიმიტრი პოლუმორდვინოვის იურისპრუდენციით დაინტერესება და შემდეგ ამ დარგში ნაყოფიერი პრაქტიკული და მეცნიერული მოღვაწეობა შემთხვევითობას არ წარმოადგენდა. იგი იყო შვილი ცნობილი ქართველი ლიტერატორის და იურისტის ივანე ტიმოთეს ძე პოლუმორდვინოვისა. ივანე პოლუმორდვინოვი, რომელიც სპეციალობით იურისტი იყო, (1903 წელს დაამთავრა იურევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი) მუდმივად ქალაქ თბილისში ცხოვრობდა და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ძირითადად ეწეოდა პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. გარდა ამისა, ივანე პოლუმორდვინოვი წლების განმავლობაში ეწეოდა ადვოკატის პრაქტიკას, ასრულებდა ცენზორის მოვალეობას და სხვა. ივანე პოლუმორდვინოვს პირადი ნაცნობობა და ახლო კავშირი ჰქონდა ლიტერატურის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან როგორიც იყვნენ: მაქსიმ გორკი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები. იმდენად ახლო კავშირი არსებობდა ივანე პოლუმორდვინოვსა და მაქსიმ გორკის შორის, რომ

გორკიმ ქართული კლასიკური ლიტერატურა პოლუმორდვინოვის საშუალებით გაიცნო[1] ივანე პოლუმორდვინოვი რუსული მხატვრული ლიტერატურის ქართულად თარგმნის საუკეთესო სპეციალისტი იყო. მან ქართულად თარგმნა რუსული კლასიკური მრავალი საუკეთესო ნიმუში. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ ქართულად ნათარგმნი ჩეხოვის „ოთხრობების კრებული (საიუბილეო გამოცემა 1944 წელი) ჩეხოვის „ოთხრობები" (გამოცემული 1953 წელს).

ივანე პოლუმორდვინოვს დიდი გავლენა ჰქონდა მის შვილზე დიმიტრიზე, რამაც შეაპირობა დიმიტრის დაინტერესება ლიტერატურისადმი და შემდგომში მისი ამ დარგში ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა.

---

1 იხ. ლ. ჩარკვიანის წერილი გორკის შესახებ. გაზ. „კომუნისტი" 1951 წლის 17 ივნისი.

შალვა მესხიშვილი

შალვა მესხიშვილი

1882—1960

შალვა გამოჩენილი ქართველი სახალხო მსახიობის ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის შვილია, რომლის დიდმა საზოგადო მოღვაწეობამ უდავოდ ზეგავლენა იქონია შალვას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და საერთოდ მის მომავალზე.

თბილისში საშუალო განათლების მიღების შემდეგ შალვა ოდესაში მიემგზავრება და საბუთები უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შეაქვს, მაგრამ აქ დიდ ხანს არ რჩება, გადადის იურიდიულ ფაკულტეტზე.

რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის გამო შ. მესხიშვილმა უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება მან შეძლო მხოლოდ 1909 წელს, ხარკოვში.

რევოლუციურ მოძრაობაში შალვა ოდესაში ჩასვლისთანავე ჩაება. 1903 წელს ოფიციალურად შედის სოციალ-რევოლუციონერების ესერთა პარტიაში და ხდება ოდესის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი.

„1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას, — აღნიშნავს შ. მესხიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში, — ოდესაში შევხვდი. თვითმპყრობელობამ თავი მოუყარა შავრაზმელ ძალებს და პოლიციასთან ერთად ებრაელების დარბევა დაიწყო. მე როგორც „კოალიციონური კომიტეტის წევრი სათაეში ჩავუდექი ებრაელების დარბევის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციას“.

შ. მესხიშვილი მონაწილეობს შავი ზღვის მეზღვაურთა გაფიცვაში, რისთვისაც მან შემდგომში დევნა განიცადა და იძულებული შეიქნა ოდესიდან გაქცეულიყო.

1906 წლის თებერვალში შალვა პეტერბურგში დააპატიმრეს, სადაც იგი აღაპოვის გვარით ცხოვრობდა. მის საქმეს ცნობილი ჟანდარმი პონომარიოვი აწარმოებდა, რომელმაც ბრალდების დამამტკიცებელი საკმაო საბუთები ვერ შეკრიბა და შალვა სამართალში მხოლოდ სხვისი პასპორტით ცხოვრებისათვის მისცა.

შალვა აღაპოვ-მესხიშვილის ინტერესებს სასამართლოში ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა.

1906 წლის შემოდგომაზე შალვა კვლავ ოდესაში დაბრუნდა. მაგრამ 1907 წელს იძულებული იყო კვლავ გაქცეულიყო, რადგან დაპატიმრებული იქნა ოდესის სოც. რევოლუციონერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და პატიმრობა შალვასაც ელოდა.

1909 წლის შემოდგომაზე ოხრანკამ იგი თბილისში დააპატიმრა და ეტაპით ოდესაში გაგზავნა.

1910 წლის 14 იანვარს სამხედრო სასამართლომ გაარჩია შ. მესხიშვილის საქმე. მას ბრალად ედებოდა სოც. რევოლუციონერთა ც. კ. შემადგენლობაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა. ამ პროცესში შალვამ თავდაცვის შესანიშნავი უნარი გამოიჩინა. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ჩინებულად გამოიყენა და იგი სასამართლომ ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაამართლა. ასეთ დასკვნამდე სასამართლო შემადგენლობის სამი წევრი მივიდა ორის წინააღმდეგ და საქმე შალვას სასარგებლოდ გადაწყვიტა.

1910 წლიდან შალვა მუშაობას იწყებს ნაფიც ვექილის თანაშემწედ და ამ დროიდან მის პროფესიას ადვოკატობა წარმოადგენს.

შალვამ 1910-1914 წლებში დაიცვა ქართული ჟურნალ-გაზეთების მთელი რიგი რედაქტორ-გამომცემლები, რომლებიც რუსეთის საიმპერატორო ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა სხვადასხვა დროს პასუხისგებაში მისცა იმპერატორის, მთავრობის და არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ მიმართული სტატიების, ფელეტონების, პამფლეტების და

სხვა მასალების დაბეჭდვისათვის. ამ პერიოდში მალვამ დაიცვა: გაზეთ „გლეხის“ რედაქტორი ცნობილი მწერალი მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი), გაზეთ „ხალხის“ რედაქტორი ზაქარია საფაროვი, „თანამედროვე კალენდარის“ გამომცემელი მიხეილ მჭედლიშვილი, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორი მიხეილ კურდღელაშვილი, „სახალხო ფურცლის“ გამომცემელი დავით ჯორჯაძე და სხვათა ინტერესები, რომლებიც სამართალში სისხლის სამართლის დებულების 128 და 129 მუხლებით იყვნენ მიცემული.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რა მასალების დაბეჭდვისათვის აძლევდენ სამართალში რედაქტორ-გამომცემლებს, უადგილო არ იქნება აქვე აღინიშნოს, რომ მაგალითად მიხეილ ჯავახიშვილი სამსჯავროს წინაშე წარსდგა გერმანელი სოციალისტის კ. ლიბკნეხტის სტატიის „ობობები და ბუზების“ დაბეჭდვისათვის. ამ სტატიაში კ. ლიბკნეხტი ამხილებდა ექსპლოატატორულ კლასს და მათ მუშათა კლასის სისხლის მწოველებს უწოდებდა, ობობებს ადარებდა და ჩაგრულ ხალხს სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. გარდა ამისა ჯავახიშვილმა დაბეჭდა ე. წ. „გლეხთა წერილები“, რომლებშიც მხილებული იყო რუსეთის იმპერატორი, როგორც მდიდრების ინტერესების დამცველი და უდიდესი ექსპლოატატორი. საფაროვმა დაბეჭდა ლექსი „იდუმალი ხმა“. რომელშიც გატარებული იყო აზრი არსებული წყობილების წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. მჭედლიშვილმა 1908 წლის „თანამედროვე კალენდარში“ დაბეჭდა სტატია. რომელშიც მხილებული იყო მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკა პატარა ერების მიმართ და ქართველი ერის ეკონომიური დაუძლურება იმ ძარცვის შედეგად, რომელსაც რუსეთის მთავრობა საუკუნის განმავლობაში აწარმოებდა.

რედაქტორ-გამომცემელთა საქმეებზე ბრალდების მასალების კონკრეტულად მეტად ართულებდა მათი ღაცვის საკითხს, მაგრამ მაინც ოვისი ნიჭით და რევოლუციური მუშაობის საკმაო გამოცდილებით აღწევდა სასურველ შედეგს. ბრალდებულთა მოქმედების გასამართლებლად, რომელიც

მათი მაღალი, ჰუმანური და დემოკრატიული მისწრაფებების შედეგი იყო, შალვა ყოველთვის პოულობდა საჭირო გამამართლებელ მოტივებს.

1911 წელს შ. მესხიშვილი შედის სოც. ფედერალისტების პარტიაში, რომელმაც იგი შემდგომში აირჩია ქ. თბილისის თვითმმართველობის ხმოსნად.

შალვა მესხიშვილს მრავალ სასამართლო პროცესში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ, როგორც ნაფიც ვექილის მოღვაწეობის პირველი პერიოდი, ძირითადად, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობით აღინიშნება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ შალვამ, როგორც პოლიტიკურ საქმეთა საუკეთესო დამცველმა, უდავოდ დიდი სახელი და ნდობა მოიხვეჭა, რადგან მისი დახმარებით ისეთი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც სარგებლობდნენ, რომლებიც ფედერალისტურ პარტიას არა თუ თანაუგრძნობდნენ, არამედ ებრძოდნენ კიდეც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ბოლშევიკური პარტია, რომლის არა ერთი წარმომადგენელი ყოფილა შალვა მესხიშვილის დაცვის ქვეშ.

1912 წლის დასაწყისში კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ განიხილა აზნაურ სიმონ (შამშე) ლეჟავას საქმე. შამშე ლეჟავას ბრალად ედებოდა რაჭის მაზრაში რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ორგანიზაციის, რომელიც მიზნად ისახავდა არსებულ წყობილების დამხობას და მის ნაცვლად დემოკრატიულ სახელმწიფოს დამყარებას. 1905-1906 წწ. რაჭის მაზრაში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. ამ დროს პარტიის დავალებით შამშე ლეჟავა მოსახლეობაში აგროვებდა სახსრებს, ეწეოდა სააგიტაციო მუშაობას და აწყობდა ხელისუფლების წარმომადგენელთა დევნას. მან პარტიის ც. კ.-ს დავალებით, წინადადება მისცა მაზრის უფროსს — თოფურიძეს დაეტოვებინა თანამდებობა და რაჭიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო. შ. ლეჟავას ბრალად ედებოდა აგრეთვე პროკლამაციების და სხვა არალეგალურ ლიტერატურის გავრცელება.

იმავე წლის ივნისში თბილისის სასამართლო პალატამ განიხილა ი. გ. ბადრიძის საქმე, რომელიც 1905 წლიდან იყო

რსდმპ წევრი. ისევე როგორც შ. ლეჟავას საქმეში, აქაც ბრალდების ძირითადი ფორმულა არსებული წყობილების დამხობის და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის სურვილი იყო. წინასწარი გამოძიება დადასტურებულად თელიდა, რომ ბადრიძის ფეხსაცმელების სახელოსნო არალეგალური ლიტერატურის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ფარულ საწყობს წარმოადგენდა, საიდანაც დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა გაზეთი „ისკრა“, სხვადასხვა პროკლამაციები და აკრძალული ბროშურები, ინახებოდა საბეჭდი მანქანის შრიფტი და ასაფეთქებელი და ალებადი ნივთიერებანი.

ორივე საქმეს და ამ პერიოდში სხვა მრავალ ანალოგიურ საქმეს შ. მესხიშვილი იცავდა. შალვას სასამართლო გამოძიება იმდაგვარად მიყავდა, რომ წინასწარ გამოძიების მიერ შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთები ხშირ შემთხვევაში საეჭვო ხდებოდა.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის განსაკუთრებული აღმავლობა 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში მოხდა, რაც მთავრობის გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევდა. საქართველოს მთელ რიგ მაზრებში წლიდან-წლამდე სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. დამსჯელი რაზმების, ჯარის და პოლიციის ნაწილების საშუალებით მეფის მთავრობა აწიოკებდა მშვიდობიან მოსახლეობას, წვავდა და აოხრებდა სოფლებს და მრავალ უკანონობას ჩადიოდა. აქტიურად მოქმედებდნენ სამხედრო ტრიბუნალები და საველე სასამართლოები.

შალვას რამდენიმე სასამართლო პროცესში აქვს მონაწილეობა მიღებული, სადაც იგი რევოლუციონურ-გლეხთა წარმომადგენლებს „წითელ რაზმელებს“ იცავდა.

1913 წლის ივლისის თვეში სამხედრო სასამრთლომ-მსჯავრი დაადო ზაქა გასიშვილს, ნიკოლოზ მეშვინდიშვილს, კატორღიდან გამოქცეულ ალექსი ბეღელურს, კონსტანტინე ციციშვილს და სხვებს, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ჯარის და პოლიციის ნაწილების წინააღმდეგ. მსჯავრდადებულები ცნობილი იყვნენ „ცხინვალელების“ სახელწოდებით (რსდმპ-ს ცხინვალის ორგანიზაცია), ჰქონდათ საკუთარი იარაღის საწყობები, პროპაგანდისტული ლიტერა-

ტურა, კონსპირაციული ბინები და სხვა. ორგანიზაციას ჰყავდა საბრძოლო რაზმი „წითელი ასეულის“ სახელწოდებით, რომლის წევრები გადიოდენ სათანადო წვრთნას. რაზმი საკმაო ბრძოლის უნარიანი გამოდგა, რის შედეგადაც რამდენიმე წელი იარსება და მისი განადგურება შეუძლებელი გახდა.

ამ საქმეზე ბრალდებულთ შ. მესხიშვილი იცავდა, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა დაცვა.

1915 წელში შ. მესხიშვილი მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვში ქალაქთა წარმომადგენლობის ყრილობაზე, სადაც მან მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა და გაილაშქრა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. შალვას სიტყვა „რუსკოე სლოვომ“ დასაბეჭდად გაამზადა, მაგრამ იგი ვერ დაბეჭდა. გაზეთში დაიბეჭდა მხოლოდ სათაური „სიტყვა მესხიშვილის“. სათაურის ქვეშ დატოვებული იყო ცარიელი ადგილი, რომელიც ამ სიტყვას უნდა დაეკავებია და რომელიც ცენზურამ არ გაუშვა. გაზეთის ნომერი სტამბიდან ამ სახით გამოვიდა. რამაც მკითხველთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

1914-1915 წლებში აღიძრა რიგი საქმეებისა ბათუმის ოლქის ართვინის მხარის მცხოვრებთა: ფაუტ-ბეკ ათაბეგოვის და სხვათა ბრალდების გამო 76 კაცზე, ყარსის ოლქის არდაგანის მხარის მცხოვრებთა: აზიზ მამედ-ოღლის, ასლან ჯიბო-ოღლის და სხვათა ბრალდების გამო 26 კაცზე და რამდენიმე ანალოგიური საქმე ბათუმის ოლქის მცხოვრებთა აჭარლების მიმართ, რომელთა ინტერესებს შალვა მესხიშვილთან ერთად ოსიკო ბარათაშვილი და პარმენ გედევანიშვილი იცავდნენ.

აღნიშნული საქმეები აღიძრა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებით და განხილულ იქნა მოქმედ არმიის სამხედრო სასამართლოების მიერ (მიხაილოვის ციხის სამხედრო სასამართლოს, თურქესტანის არმიის II კორპუსის სამხედრო სასამართლოს და სხვ.), რადგან მათი „განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო“ საერთო სასამართლო ქვემდებარეობიდან ამოღებული იქნენ. სასამართლოში მიცემულთ ბრალად საშობლოს ღალატი ედებოდათ. 1914 წლის შემოდგო-

მაზე და 1915 წლის გაზაფხულზე, როდესაც თურქეთის ჯარების შემოტევის შედეგად რუსეთის ჯარი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ყარსის და ბათუმის ოლქების ზოგიერთი მხარეები, მოსახლეობის ნაწილი შეუერთდა ჩეტნიკებს და იარაღით ხელში ეწეოდა ბრძოლას რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. სამართალში მიცემული პირები ეწეოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვას და განსაკუთრებით რუსი, სომეხი და ბერძენი მოსახლეობის დარბევას.

სასამართლო პროცესებზე გამოირკვა, რომ სამართალში მიცემულთა ძირითადი მასა უსაფუძვლოდ იყო პასუხისგებაში მიცემული, ხოლო ნაწილს დანაშაული მართლაც ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ არა იმ პოლიტიკური შინაარსისა, რასაც საგამომძიებლო ხელისუფალნი ცდილობდნენ მიეწერათ მათთვის.

ყველა ეს პროცესი უჩვეულო ვითარებაში მიმდინარეობდა, რადგან ბრალდებულთა სიჭარბე მეტად ართულებდა კონკრეტული გარემოებების დადგენას. გარდა ამისა, მაჰმადიანთა და გამაჰმადიანებულ აჭარელთა გვარების მამის სახელით აღნიშვნის შედეგად, ერთი და იგივე სახელის და გვარის მქონე ბრალდებული ზოგჯერ რამდენიმე ათეული იყო და როგორც სასამართლოს შემადგენლობას, ისევე დაცვას ერეოდა, თუ ვინ რისი ჩამდენი იყო. ზოგჯერ მოწმეები და ბრალდებულები ერეოდნენ ერთმანეთში და იქმნებოდა დიდი გაუგებრობა. ბოლოს დაცვის წინადადებით ბრალდებულები დაჰყვეს სოფლების მიხედვით, და ამ წესით შეძლეს კონკრეტული პიროვნებების განსაზღვრა.

რსდმპ-ს ბოლშევიკური ფრაქცია შალვა მესხიშვილს, როგორც ადვოკატს, ყოველთვის ნდობით ეპყრობოდა. ამას ადასტურებს უკვე დასახელებული საქმეები და გარდა ამისა საქმეები ცნობილი რევოლუციონერის ტერ-პეტროსიანის (კამოს) მიმართ 1916—1917 წლებში. შალვა მესხიშვილს კამოს ორ საქმეში აქვს მიღებული მონაწილეობა.

პირველად შალვამ მონაწილეობა მიიღო სასამართლო პროცესში კამოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან გაქცევის საქმეში, რომელიც კ. ცინცაძემ და კამოს დებმა ჯაეაირა ხუტუ-

ლაშვილმა და არუსიაკა პეტროსიანმა მოაწყეს. საავადმყოფოს თანამშრომელის, ბრაგინის, დახმარებით.

ბრაგინი, ცინცაძე და კამოს დები სამართალში მიეცნენ: საქმე ამიერკავკასიის სასამართლო პალატამ განიხილა. შალვა იცავდა კამოს დებს. დაცვა მიმართული იყო იქითკენ, რომ სრულიად გაემართლებინათ ბრალდებულები, მაგრამ სასამართლომ ყველანი დასაჯა: გასაჩივრების შემდგ, სენატმა ჯაჯაიარა და არუსიაკა იმ საფუძველზე, რომ მათ ნათესაური გრძნობა ამოქმედებდათ და არა პოლიტიკური, ისინი პატიმრობიდან გაანთავისუფლა.

მეორე საქმე, რომელშიც შალვამ მონაწილეობა მიიღო, განიხილა სამხედრო სასამართლომ. სამართალში, თვით კამოს კუპრაშვილი, მათიაშვილი და სხვები იყვნენ მიცემული. რომლებმაც კოჯრის ქუჩაზე ექსპროპრიაცია გაუკეთეს ფოსტას და დიდი რაოდენობის თანხა გაიტაცეს, პარტიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას სამხედრო ქუჩაზე ჰქონდა კონსპირაციული ბინა და სხვებთან ერთად, პასუხისგებაში მიცემული იყო ბინის პატრონი ნინო მაისურაძე, რომელსაც მესხიშვილი იცავდა.

საქმე განიხილა ტრიბუნალმა გენერალ-ლეიტენანტ იგნატოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც პროცესზე ბრალდებულებისადმი მეტად მტრული განწყობილება გამოავლინა. იგი არ მალავდა, რომ კამოს დიდი სიამოვნებით დახვრეტდა. იმ პერიოდში გამოსული იყო ამინისტია, რომელიც დროებით ზღუდავდა დახვრეტას და კამო სიკვდილს გადარჩა, სასამართლომ კატორღა განუსაზღვრა.

მაისურაძის გასამართლებლად შალვა მესხიშვილმა გამოიყენა დაცვისთვის უჩვეულო ხერხი. ბრალდებულებთან შეთანხმებით გაატარა აზრი, თითქოს მაისურაძე ცუდი ყოფაქცევის ქალი იყო, ხოლო მისი ბინა მამაკაცებთან ინტიმური შეხვედრის ადგილი. მართალია, თავისი გამოსვლით შალვამ მაისურაძის ქმრის აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ თავის მიზანს მიაღწია. სასამართლომ მაისურაძე გაამართლა.

მენშევიკური მთავრობის საქართველოდან გაქცევის მომენტში იგი იმყოფებოდა ბათუმში. შალვას წინადადება მისცეს საზღვარგარეთ წასულიყო, მაგრამ მან ეს წინადადება

უარყო და დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე გამოვიდა სიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ „ემიგრაციაში წასვლა არის ერის ღალატი და რომ ასეთი მოვარობა სამშობლოში ვერასოდეს ვერ დაბრუნდება“.

საბჭოთა ადვოკატურის ჩამოყალიბების დღიდან შალვა მის რიგებში ირიცხებოდა. 35 წლის განმავლობაში ემსახურებოდა სოციალისტური კანონიერების სწორად განხორციელების საქმეს. შალვა მრავალი წლის განმავლობაში უცვლელად ირჩეოდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის შემადგენლობაში და აქტიურ მონაწილობას იღებდა კოლეგიის ხელმძღვანელობის საკითხში. შალვას ხელმძღვანელობით რამდენიმე ათეული ახალგაზრდა ადვოკატი აღიზარდა, რომლებმაც სათანადო ადგილი დაიკავეს საბჭოთა ადვოკატურის რიგებში.

ალექსანდრე ჯაფარიძე

1901—1944

ალექსანდრე (ალიოშა) ილიას ძე ჯაფარიძემ იურიდიული განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. რომლის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი მ.ს. 1928 წელს დაამთავრა.

ჯაფარიძე, როგორც პრაქტიკოსი იურისტი, გახდა ცნობილი 1937 წლიდან, მისი ადვოკატურის რიგებში შესვლის მომენტიდან. ამის შემდეგ მან სულ მცირედი წელი იცოცხლა. მაგრამ დროის ეს მცირე მონაკვეთიც საკმარისი აღმოჩნდა. რომ მის ნიჭს სახოგადოების ყურადღება მიექცია.

1941 წელს, როდესაც ეზადდებოდა უდიდესი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის მკვლელის ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი, საქართველოს ადვოკატების წინაშე დაისვა საკითხი. თუ ვის უნდა დაეცვა პროცესში ბრალდებულის ინტერესები?! ეს სასამართლო პროცესი არ წარმოადგენდა ჩვეულებრივს. რომელშიც ყველა ადვოკატი შეძლებდა მონაწილეობის მიღებასა და კანონით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას. სასამართლო პროცესისადმი მთელი ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება, საზღვრავდა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ადვოკატს ეკისრებოდა. ამ პასუხისმგებლობას აძლიერებდა ის არახელსაყრელი მდგომარეობა, რომელშიც დაცვა იმყოფებოდა ბრალდებულის მიმართ საზოგადოების არაკეთილ განწყობილებასთან დაკავშირებით, საზოგადოებას სწორად უნდა გაეგო დაცვის როლი სასამართლო პროცესში, რომ დაცვა მხარს კი არ უჭერს და კი არ ამართლებს ილია ჭავჭავაძის მკვლელს. არამედ იგი იცავს .მოლაქალის პროცესუალურ უფლებას. რომლიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტი-

ალექსანდრე ჯაფარიძე

ტუციით, ეხმარება საბჭოთა სასამართლოს სოციალისტური კანონების სწორად განხორციელების საქმეში.

დიდი ილიას მკვლელის სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებას შეძლებდა მხოლოდ ისეთი ადვოკატი, რომელიც კარგად იცნობდა ილიას პიროვნებას, მის შემოქმედებით გენიას, მის როლს ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში და ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სწორად ესმოდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რომელშიც ილიას უხდებოდა მოღვაწეობა და იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს თვითმპყრობელური ხელისუფლება, გადაედგა ნაბიჯი ილიას ფიზიკურად მოსპობისათვის. გარდა ამისა, პროცესში მონაწილეობის მიღებას შეძლებდა ადვოკატი, რომელიც სწორად გაიგებდა იმ ადამიანის ფსიქოლოგიას, რომელმაც თავისი ერის წინაშე ასეთი დიდი სიბოროტის ჩადენა შეძლო.

ადვოკატი, რომელიც ყველა ამ პირობებს აკმაყოფილებდა, ალიოშა ჯაფარიძე იყო და მან სასამართლო პროცესზე საბჭოთა ადვოკატურის ღირსება ბრწყინვალედ დაიცვა.

ჯაფარიძის სიტყვა იმდენად ღრმაშინაარსიანი და ამაღელვებელი აღმოჩნდა, რომ დამსწრე საზოგადოებამ სწორად გაიგო საბჭოთა ადვოკატურის როლი და ადგილი სასამართლო პროცესის სწორად წარმართვის საქმეში.

„დაცვით სიტყვაში ალ. ჯაფარიძე აღნიშნავდა „..... მე მხვდა წილად ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობა, როგორც სასამართლოს თანაშემწეს და როგორც ბრალდებულ ბერბიჭაშვილის დამცველს და მეტად კმაყოფილი ვიქნები დ. შესრულებულად ჩავთვლიდი მოვალეობას, თუ შევძლებ ოდნავ მაინც დავეხმარო სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში.

მე მოვისმინე პროკურორის მეტად შინაარსიანი საბრალდებლო სიტყვა და მე მას ბევრ რამეში სავსებით ვეთანხმები და საპასუხო არაფერი მაქვს. მაგრამ ამან მაინც მთლიანად არ გამანთავისუფლა მოვალეობისაგან და ვერ შეამსუბუქა ჩემი როლი....

ბრალდებული გ. ბერბიჭაშვილი, მისივე აღიარებით, მკვლელობის ფაქტიური მონაწილეა... და, ალბათ, ზოგიერთის

წინაშე საკითხი ისმის — მკვლელობა ფაქტია, მიუტევლობა უდავო, ბერბიჭაშვილი დამნაშავეა და რაღა საჭიროა მისი დაცვა. დაცვითი სიტყვა, განა აქვს რაიმე სათქმელი დაცვას?...“

ალ. ჯაფარიძემ თავისი სიტყვით დაამტკიცა, რომ დაცვა ჩვენს სინამდვილეში აუცილებელი ყოფილა.

მის მიერ წარმოთქმული დაცვითი სიტყვით დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა. ალ. ჯაფარიძემ შეძლო მეტად დამაჯერებლად გაეცა პასუხი, თუ რა საჭირო იყო ბერბიჭაშვილისათვის დაცვა. რომ დაცვას სისხლის სამართლის პროცესში განსაზღვრული ადგილი უკავია და იგი სასამართლოში ფორმალურ დამატებას კი არ წარმოადგენს, არამედ არის პროცესის სრულუფლებიანი და მეტად სასარგებლო მონაწილე.

ალ. ჯაფარიძეს მრავალ სასამართლო პროცესში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამეურნეო დანაშაულთან დაკავშირებით აღძრულ საქმეებში, რადგან იყო ეკონომიური და ფინანსიური დარგების კარგი მცოდნე, რაც ადვოკატის საქმიანობაში დიდ დახმარებას უწევდა.

მისი დაცვითი სიტყვები გამოირჩეოდა განსაკუთრებული კონკრეტულობით და საქმის მასალების ღრმა ანალიზით. ამავე დროს ალ. ჯაფარიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, თუ რას წარმოადგენდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება. როდესაც რწმუნდებოდა, რომ ბრალდებულს ჩადენილი ჰქონდა დანაშაული, მაგრამ შესაძლებელი იყო მისი გამოსწორება, ცდილობდა დაერწმუნებია ამაში სასამართლო და ამით მიეღწია საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგისათვის.

სწორედ ამაზე ლაპარაკობს ა. ჯაფარიძის დაცვითი სიტყვა ბრ. ანთაძის მიმართ, რომელსაც ბრალად სახელმწიფო თანხების მითვისება ედებოდა. შან. ასე მიმართა სასამართლოს:

„ის არ არის იმ საზღვრამდე მისული, რომლის გამოსწორებაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდეს... გაბარებთ რა თქვენ მის მომავალ ბედს, ვრჩები ღრმად დარწმუნებული იმაში,

---

[1] ი. ოდიშვილი „წიწამურის ტრაგედია“. სახელგამი. 1953 წ., გვ. 70.

რომ თქვენი ჰუმანიურობა, მართებელი გასაჩენით, მისცემთ მას მოძავალი მისი ცხოვრებისა და მოქმედების სწორ გეზს, მისცემთ გამოსწორების საშუალებას და აქცევთ მას ჩვენი ოავისუფალი საზოგადოებისათვის და სამშობლოსათვის სა-სარგებლო პიროვნებად....".

საინტერესო დაცვითი სიტყვა წარმოსთქვა ალ. ჯაფარიძემ ედუარდ ოგანეზოვის საქმეზე. ოგანეზოვს შემთხვევით გაუვარდა ცეცხლმსროლელი იარაღი, რომელსაც უნებარიოდ ინახავდა და შემოაკვდა განუყრელი მეგობარი, ბავშვობიდან მასთან ერთად გაზრდილი მამიკონიანი. დიდი ტრაგედია, საბედისწერო შემთხვევის შედეგად მოხდა, რამაც საზოგადოებაში მრავალი და ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო თვალსაზრისი შექმნა. დანაშაულის შემადგენლობა, როგორც იურისტები იტყვიან, მისი კვალიფიკაცია სასამართლოსათვის ვარკვეული იყო, მაგრამ სირთულეს წარმოადგენდა საკითხის ვადაჭრა თუ რა სასჯელი უნდა განსაზღვროდა ოგანეზოვს.

ალ. ჯაფარიძემ სასამართლოს ჰუმანიურობისკენ მოუწოდა და მოითხოვა ისეთი სასჯელის განსაზღვრა, რომელიც პატიმრობასთან არ იქნებოდა დაკავშირებული. ალ. ჯაფარიძემ თავისი თვალსაზრისი ასე დაასაბუთა:

„მოსამართლენო, რაც არ უნდა მიუსაჯოთ თქვენ ოგანეზოვს, თუნდაც წარდგენილი მუხლის სანქციით გათვალისწინებული მაქსიმუმი, მაინც ეს ვერ შესცვლის, ვერ შეამსუბუქებს, ვერ განკურნავს მის სულიერ ტანჯვას. დადგენილია, რომ სამართალში მიცემული ედუარდ ოგანეზოვი და განსვენებული ვილი მამიკონიანი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ბავშვობიდანვე ერთად გაზრდილნი. მუდამ ერთად იყვნენ, ერთსა და იმავე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ, საქმეში გახლავთ მონაცემები, რომ ისინი მომავალში ოჯახურადაც ვანუყრელი მეგობრები იქნებოდნენ.

მე წარმოდგენილი მაქვს, რომ უზარმაზარი ლოდი მწარე განცდებისა აწევს მის გულს, რა უდიდესი სასჯელია მისთვის. ასეთი ბრმა და უაზრო შემთხვევის შედეგად, თავისივე ხელით მოსპობა განუსაზღვრელად საყვარელი მეგობრისა?!

მე დარწმუნებული ვარ, რომ მის გულსა და მეხსიერებას სამუდამოდ დაეუფლა 1938 წლის 25 ოქტომბრის ტრაგედია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ედუარდ ოგანეზოვის სევდიან თვალებს აჩრდილივით მუდამ თან სდევს საყვარელი ვაჟკაცური იერი განსვენებული მეგობრისა, რომელსაც ამოჰფარებია სიკვდილის სიმბოლო-შესაზარი ჩონჩხი... მისივე...

მოგახსენებთ, რომ დრო ყველაფერსა ღრღნის, სჭამს, არარად აქცევსო... ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ნათქვამია ისეთ მოვლენებზე, რომლებიც საუკუნეებსა სწვდებიან. ადამიანის სიცოცხლე კი ისოდენ მოკლეა, რომ ოგანეზოვის სულიერი ტანჯვა, შენელდება შეიძლება, მაგრამ მის სიცოცხლეში მაინც არ გაქრება, არ წაიშლება...

დღეს ეს დარბაზი მჭიდროდ არის დასახლებული. აქ არიან ორი ვაჟკაცის, ორი გოგონას, ოჯახების წევრები, აქ არიან მათი ნათესავები, ახლობლები, მეგობრები —...

შეიძლება გულში ვინმემ მისაყვედუროს, როგორც ოგანეზოვის დამცველს: ეს რომ გებრალება, ის, ის ხომ სულ მოსწყდა ამ წუთისოფელსო, ის ხომ სამუდამოდ დაიღუპაო...

უგულო. უტვინო, და არარაობა უნდა იყვეს ის ადამიანი, რომელმაც უდიდესი მწუხარებით არ მოიგონოს, ჩვენი ქვეყნის ახალთაობის სიყვარული, უკვე დავაჟკაცებული მამიკონიანი და არ ინანოს ასე უმართებულოდ და ბრმა შემთხვევის შედეგად მისი დაკარგვა... მაგრამ უძლურნი ვართ სიკვდილის წინაშე და მისდამი სიძულვილში დაბადებულია ადამიანთა სურვილი, რომ იქ, სადაც სიცოცხლისა და სიკვდილს შორის დავაა, იქ სიცოცხლემ უნდა გაიმარჯვოსო![1]...“

ალ. ჯაფარიძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა ადვოკატთა შორის და ხშირად მას რჩევისათვის მიმართავდნენ არა მარტო ახალგაზრდა, არამედ დიდი გამოცდილების და პრაქტიკის მქონე იურისტებიც. სჯეროდათ მისი და ანგარიშს უწევდნენ იმიტომ, რომ იგი მოქმედ კანონმდებლობაში კარგად ერკვეოდა, ჰქონდა უნარი მოთმინებით მოესმინა და გარემარტა ყველა საინტერესო საკითხი.

---

[1] მასალები გადმოღებულია ალ. ჯაფარიძის არქივიდან.

ალ. ჯაფარიძის ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი მოღვაწეობა იმის უტყუარ დასაბუთებას წარმოადგენს, რომ ძველი თაობის ადვოკატებს ღირსეულად ამოუდგა გვერდში ახალგაზრდა თაობის სპეციალისტები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში და იბრძვიან სოციალისტური მართლმსაჯულების ცხოვრებაში სწორად გატარებისა, მისი განმტკიცებისათვის.

სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალდებო სიტყვები

სიტყვა, თქმული გუბაზ მეფეს მკვლელთა გასამართლებაზე[1]

ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია ამისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი ეიზღოს. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმტკიცებას. ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული, თუმცა ჩვენი სიტყვა მარტივი და გაუმართავი იქნება და, შესაძლებელია, ჩადენილი ბოროტმოქმედების მნიშვნელოვნობა მან ვერც კი გადმოგცეთ. რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრებისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელთაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს? მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომაელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული.

უკუღმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით, სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენი ქვეშევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო, ნაწილს შევადგენთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგო-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა", ტ. III, 1936 წ., გვ. 129.

მარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალ-ღონე. თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას. რადგან ყველაფერ ამის ჩამდენნი ისინი არიან, ამიტომ გეუბნებიან: ამ — თუმცა საშინელს — **საქმეს კი ნუ** უყურებთ,არამედ მხოლოდ ის განსაზღვრა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაც ვსელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი—თითქოს სინამდვილის შესაფერისი — საბუთების საშუალებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისათვის მიყენებული. ასეთ ტყუილებს ყბედობდნენ ისინი ხშირად სამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობდნენ, რომ ბევრს შეაცდენდნენ. თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებებს წამოაყენებენ, დე იცოდნენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომაელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკელელების მიერ შეთხზული. შეუწყნარებელია ამის ატანა: თვითონვე აშკარად ამბობენ, რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუიან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეებს. როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერომანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურეველნი. მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი.

თუკი მათ ზრახვებს გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, აქაც ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად. სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად; ასე რომ საკადრისიც არ არის ამ სისხლის მსმელებს რომლების სახელით ვიხსენიებ-

ლეთ, ან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ვიქონიოთ მათთან, როგორც თვისტომებთან: ისინი უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს ბატრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნების კანონმა. თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა; მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობს ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდ ჩავთვალოთ ის, ვინც იმას აკეთებს ბალისი[1] რაც მოწინააღმდეგეებს ესიამოვნებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ეხლა ისინი ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი. ტირანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართლობამდე მიიყვანენ, რომ განსვენებულს აბრალებენ მედიზმსაც. საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისაგან. და ეხლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობაში ედება ბრალი, რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდებაც? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც; ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ეხლა კი, როდესაც თავის გამართლება სჭირდებაო, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში. საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად და არა ისე, როგორც ეხლა მოსდა: როდესაც ისინი თვით არიან ბრალდებულნი, საპასუხო ბრალდებას აყენებენ. თუ ეს ყველასათვის ნებადართულია, რა გვიშლიდა ხელს ჩვენც საკუთარი ხელით მოგვეკლა ეს სისხლის მსმელები? ჩვენც, სამართალში მიცემულნი, მათ, უკვე მიცვალებულთ, ბრალდე-

---

[1] სამშობლოს (ბიზანტიის) ღალატი. მტრის (მიდიელთა) მხარეზე გადასვლა.

ბად წავუყენებდით მაგ მიერ წინათ ჩადენილ შეცდომებს, და ამით შევეცდებოდით სრულიად სამართლიანად, სამაგიერო შეგვეცოდა. ჩვენ ხომ ძალიან აღელვებული ვართ წინათ მათ მიერ აშკარად ჩადენილი საქციელით და სამართლიანად ვიძიებდით შურს! დავაც წესიერად წარიმართებოდა, მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა, ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ქლეტას დაიწყებს და გაქლეტილი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ვეღარ შესძლებთ სასჯელის დადებას. უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ.

თუმცა-ამბობენ ისინი,-განა უბედურებაა ის, რომ ერთი კაცის, ისიც მოღალატის, მოკვლით ყველა მოკავშირე უფრო გონიერად მოიქცევა? მოღალატეთა მართლაც რომ დიდი რაოდენობა იქნეს მოსპობილი, თუმცა ამით არავითარი სხვა სარგებლობა არა აქვს მკვლელებს, მაგრამ თვით მოვლენა ამგვარი ხალხის მოკვლისა საკმაოდ სასარგებლოა. მაგრამ, თუ კი, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეობა დამტკიცებული არაა, ერთბაშად აქრობენ და ჰკლავენ ერთ-ერთ უაღრესად წარჩინებულ კაცს, თითქოს ის აშკარა ბოროტმოქმედებაში დაეჭიროთ, რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულებათა დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნიან, რომ, თუ თქვენიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ლმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრელია, რომ ერთგულნი დარჩებით უცხოელთა და გარეშეთა მიმართ, რომლებთანაც მხოლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ ურთიერთობა. მაგრამ თქვენ არ მიგიღიათ

მონაწილეობა მკვლელთა გეგმაში, არც მთელ რომაელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, კერძოდ ჩადენილი ამათ მიერ; ამათი ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არსებულ აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ თქვენ ერთგულნი ხართ თქვენი ქცევით და ურყევნი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლანდელ სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასოდეს არ გდომიათ კოლხებს ისეთი საშინელი ძალადობა განეცადათ. შესაძლებელია ეხლა ბევრის აზრი ხან აქით იხრებოდეს, ხან იქით, გაურკვეველი და მერყევი იყოს, მაგრამ, მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მალე მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქნება, რომ თქვენ (რომაელები) თავისიანების მოღალატენი კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი.. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, სიტყვით თავს იცავენ, მაგრამ საქმით საკუთარი თავის გამმტყუნებლებად გამოდიან და აღიარებენ ამ მკვლელობის სისაძაგლეს. მეფის წერილი ხომ უბრძანებს სტრატეგოსებს ბიზანტიონში მიჰგვარონ გუბაზი, ჯერ დაიყოლიონ ის ბიზანტიონში წასვლაზე, ხოლო თუ არ დაემორჩილება მათ განგებ და წინააღმდეგობას გაუწევს, ძალით გააგზავნონ. მისი მოკვლა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სანამ ის საბოლოოდ არ გაუდგებოდა რომაელებს და მტრულ მოქმედებას არ დაიწყებდა. ესენი კი არც სტრატეგოსები ყოფილან, არც ნება მიუცია მათთვის ვინმეს ჩაედინათ ის, რაც მოესურვებოდათ, უცბად მოეკლათ საცოდავი გუბაზი ისე, რომ არც წინასწარ ეთხოვნათ მისთვის ბიზანტიონში წასულიყო და არც ეცადათ იმის გასინჯვა, უდიერად შეხვდებოდა ის მეფის განკარგულებას თუ არა. თუმცა ისინი ამაყობენ და ტრაბახობენ იმით, თითქოს შეასრულეს მეფის დავალება, მაგრამ, პირიქით, როგორც ჩანს, მათ გვერდი აუარეს მის სურვილს, წინასწარ თავხედურად შეხანხლეს ვუბაზის წინააღმდეგ ყალბი ბრალდებები და. წინააღმდეგ მათთვის მეფისაგან მიცემული განკარგულებისა, საკუთარი სურვილის მიხედვით დაღუპეს კაცი; და, რაც ყველაზე უფრო უკანონოდ

უნდა ჩაითვალოს, არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ.

ნუთუ, ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვალა ნამდვილ უბედურებად და უსასიზღრეს მკვლელობად? ვინმეს მიმართ უსამართლობის ჩადენა ხომ აკრძალულია და ჩვენც უნდა ეერიდებოდეთ მის ჩადენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უსამართლობა ეხება მეგობარსა და კეთილისმსურველს, იმ ადამიანს, რომელიც ხშირად გაბმულა საფრთხეში მახლობელთა გულისათვის. ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა. შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ, კანონებო, სად არის სამართალი! მას აბრალებენ მედიზმს, ტირანობას, რომაელთა მოღალატეობას! ის მოკლეს რუსტიკემ და იოანემ, ამ საძაგელმა და საზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინვე მოსპობილი, არამედ მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა და კოლხთა საერთო მეფეს, როგორც უდიდესსა და ყოველთა უძლიერესს, და სათანადო სასჯელი დაენიშნა. მაგრამ, ვინაიდან ამათ არ ჰქონდათ არავითარი კანონიერი საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო კი შურიანობით გამოწვეული უზომო მტრობა აღიზიანებდა მათ, ბოროტება ჩაედინათ, სათანადოდ არ მოიფიქრეს, გონიერი მოსაზრება არ მოიხმარეს და არც გაითვალისწინეს, თუ რა იქნებოდა სასარგებლო, და ამაყურ ქცევასა და შურის-

ძიებას რომ დაემორჩილნენ, ჩაიდინეს დიდი თვითნებობა. ის, რაც დიდი ხანია განზრახული და ზედმიწევნით დაგეგმილი ჰქონდათ, სისრულეში მოიყვანეს პირველ შესაძლებლობისთანავე ისე, რომ არც დროის ვითარებას მიაქციეს ყურადღება და არც კარგად მოიფიქრეს. რადგან ისეთ მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც კი რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით, რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივიწყებულია, — ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს; აი, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულობისა. ამიტომ, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა და ჩვენი საქმეები ყოველმხრივ ანგრეულია, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირსეული სასჯელი, რომლის გამოძებნასაც კი შეეძლებთ. თუ ჩვენ რომაელთა ერთგული ვართ ურყევად, არ იქნება სამართლიანი, მსაჯულო, რომ ამათ ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება.

აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა „სვანების“ პროცესზე [1]

პროკურორის ბრწყინვალე სიტყვის შემდეგ, რომელიც არა ბრალდებული თავადი თენგიზის მიმართ მეტად იყო გამსჭვალული მაღალი ჰუმანური გრძნობით, ვიდრე სამართალში მიცემულობის მიმართ, ერთის მხრივ, და ჩემი მხანაგი დამცველის თავშეკავებული, მაგრამ სამართლიანი და ჯანსაღი სიტყვის შემდეგ, მეორეს მხრივ, მე ჩემი კლიენტების ინტერესების დასაცავად მათ ნათქვამზე დასამატებელი ბევრი

---

[1] საქ. სსრ ისტორიული არქივის „მოამბე“, 1945 წელი (ქართულად თარგმნილი ჩვენ მიერ. ვ. ჟ.).

აღარაფერი მაქვს. როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ეს დაცვის საქციელში, მე დავიწყებ იმით, რითაც დაიწყო ბატონმა პროკურორმა, ე. ი. ბრალდებით, ანდა უფრო სწორად ზოგიერთი სამართალში მიცემულის დანაშაულის ცნობით... ბატონო მოსამართლენო, თქვენს წინაშე საბრალდებო სკამზე თავისუფალი სვანეთის, ამჟამად განადგურებული სოფ. ხალდეს მცხოვრებნი სხედან, რომლებიც ელიან თქვენს მოწყალე განაჩენს. მათ ბრალად ედებათ იარაღით ხელში ხელისუფლებაზე წინააღმდეგობის გაწევა, ზოგიერთ მათგანს კი, გარდა ამისა, თანამდებობის პირთა მოკვლა. ასე და ამრიგად, ისინი არიან ბოროტმოქმედნი, მათ ჩაიდინეს დანაშაული. მაგრამ რა არის დანაშაული? ეს ცნება არ არის რაიმე აბსოლუტური ჭეშმარიტება, არამედ არის შეფარდებითი და პირობითი. ზოგისთვის დანაშაულია და იდევნება ის, რაც სხვისთვის სასახელო და საგმირო საქმეა. მაგალითისათვის ავიღოთ თვით სვანები. მათ ადათად აქვთ პირველშობილი ბავშვის მოღრჩობა თუ იგი დედრობითი სქესისაა. ეს კეთდებოდა ადგილობრივი პირობების გამო. სვანები საჭიროებდნენ ძლიერ მშრომელ ხელებს, ვიდრე ქალის სუსტ ხელებს. და აი, აერთიანებდნენ რა ამ ანგარიშს ცრუმორწმუნეობასთან. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით დააშინებდნენ მოსალოგინებელ ქალებს და აიძულებდნენ მათ ეშვათ ვაჟები. ღა ყველაფერი ეს ხდებოდა არა იმიტომ რომ მათ ზიზღი ქონდათ ქალთა სქესისადმი. პირიქით, ქალები მათთან სარგებლობდნენ პატივისცემით. იგივე სვანები ქალის შეურაცხყოფას სთვლიდნენ დანაშაულად. ქალზე ხელის აწევას, თუ გინდ მას დანაშაული ჰქონოდა ჩადენილი, მათთან უდიდეს სამარცხვინო საქმედ სთვლიდნენ. და ესეც ადგილობრივი პირობებით აიხსნება. ქალთა სქესის ახლად შობილ ბავშვების მოსპობის შედეგად სვანეთში ქალები შემცირდნენ. სვანეთში, ქალთა სქესის თანასწორუფლებიანობა ყოველთვის არსებობდა და ამ საკითხში ეინმე ველური გურმაჩი ანდა ჯოხანი დიდი ხანია უფრო გაიზარდნენ. ვიდრე ჩვენ ემანსიპატორები. ჩვენ, რასაკვირველია, გავონებს არ ვანადგურებთ. ამავე დროს არაფერი ხელს არ გვიშლის მუდმივი დარტყმის ქვეშ გვყავდეს მომწიფებული ქალები.

დანაშაულის შესახებ, სხვადასხვა ხალხს, სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ. უდიდეს რეფორმატორებს, რომლებიც კაცობრიობის სიკეთისათვის იბრძოდნენ, კოცონზე სწვავდნენ. ეჭვს გარეშეა, ბატონო მოსამართლენო, რომ მსაჯულნი, რომლებიც ასეთ მკაცრ განაჩენს აღგენდენ, დარწმუნებული იყვნენ თავიანთ უმწიკლოებაში. მაგრამ, გავიდა საუკუნეები. შეიცვალა შეხედულებები და მომდევნო პერიოდმა განაჩენი თვით ინკვიზიტორებს გამოუტანა. ასეთია, დანაშაულთა უდიდესი ნაწილი. მაგრამ არის ისეთებიც. რომლებიც ყველა დროში და ყველა ხალხისათვის ერთნაირად სამარცხვინოდ ითვლებოდნენ. მათ რიცხვს აგრეთვე მიეკუთვნება მკვლელობაც. მოსამართლეთ არ ჰქონიათ შეწყალება მკვლელების მიმართ და მათ საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის მხარს უჭერდა. კაცის მკვლელის სახეზე საზოგადოება ყოველთვის ხედავდა შეჩვენების დაღს. რომელიც მათდამი სიძულვილს საყოველთაოდ იწვევდა... თქვენს წინაშეც, ბატონო მოსამართლენო, მკვლელები სხედან. მაგრამ საოცარი ამბავია. მათ მიმართ მსგავსს არაფერს განვიცდით. ამ სამ დღეში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ხალხი. ყოვლადგანათლებულთაგან დაწყებული და ყველაზე უვიცით დამთავრებული, ერთნაირ თანაგრძნობას გამოხატავენ მათი ბედისადმი..., ბატონო მოსამართლენო. მიუხედავად იმისა. რომ ჩვენგან უმეტესობა დიდი ხანი არ არის რაც იმყოფებოდა მათი ცეცხლის ქვეშ, მე თქვენ სახეებზეც კი ვხედავ მათდამი თანაგრძნობას და მათი ბედისადმი სინანულს... რით უნდა აიხსნას ეს? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა თვით დანაშაულის ჩადენას. არამედ მოტივებს, რომლებმაც იგი გამოიწვიეს, როდესაც მიზეზებს ბოროტი საფუძვლები აქვს, ისინი ჩვენში სიძულვილს იწვევენ. მაგრამ თუ ისინი წარმოიშვნენ საპატიო, გაუთვალისწინებელი და შემახვევითი. სიბრალისწერო და გადაუვალი გარემოებებით. მაშინ იცვლება ჩვენი დამოკიდებულებაც. რომელიც გადადის სინანულში და თანაგრძნობაში. სწორედ ასეთი იყვნენ თუ არა მიზეზები, რომლებმაც ჩაადენინეს სამართალში მიცემულებს დანაშაული? ამ საკითხის გადასაჭრელად ჩვენ უნდა მივმართოთ ამ საქმის გარემოებებს და ფაქტებს.

დანაშაულის მიზეზია დაბალი ადმინისტრაციის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკება. ჩავწვდეთ საქმის, როგორც ერთს, ასევე მეორე მხარეს. ის მაღალი მდგომარეობა, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, და ის სრული ნდობა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, ალბათ, ადასტურებს მათი განვითარების მაღალ გონებრივ და ზეობრივ დონეს. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ცივილიზატორები ამ გაუნათლებელი ხალხისა. მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ სვანებს, ბუნების შვილებს... რას წარმოადგენენ სვანები? „ყრუა, როგორც სვანი", ლაპარაკობენ მათზე კავკასიის სხვა ტომები, რასაკვირველია, მხედველობაში აქვთ რა მათი გონებრივი დონე. არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა, რომელიც ჩვენთან არაკად არის გადაქცეული. სამეგრელოს მთავართან, თავად დავით დადიანთან, სტუმრად იყვნენ თავისუფალი სვანეთის რამდენიმე წარმომადგენელი, ალბათ, თავის თანამემამულეთა შორის უფრო განათლებულები. მათ აჩვენეს სწავლული ლინგვინისტი, ბატონი ბორტენიევი, სვანებმა იგი დაათვალიერეს თავით ფეხამდე და მოისურვეს გაეგოთ, თუ რაში გამოიხატებოდა მისი განსწავლულობა და რა ენებს არის დაუფლებული. ჩამოუთვალეს რამდენიმე ევროპული ენა, მაგრამ ისინი უარყოფითად აქნევდნენ თავს. ბოლოს, თათბირის შემდეგ, მათ იკითხეს „იცის თუ არა მან ლეჩხუმური ენა?" როდესაც მიიღეს უარყოფითი პასუხი, დარწმუნდნენ მის უვიცობაში. ბატონო მოსამართლენო მე ამას ვლაპარაკობ არალამაზი სიტყვისათვის, არამედ სვანების სრული დახასიათებისათვის. მათ ეგონათ, რომ ქვეყანა თავდებოდა მათი მეზობელი ლეჩხუმის მაზრით...

თუმცა, არც ეს მაგალითია საჭირო. აი ამ მომენტშიც კი, ამ ადამიანებს, არ ესმით თუ რა განსაცდელის წინაშე იმყოფებიან, ანგარიში ვერ მიუციათ, რომ აქ ისმის საკითხი მათი ყოფნა-არყოფნის შესახებ. ისინი შეჰხარიან წითელ მაუდს და მოოქროვილ შანდლებს და ერთმანეთს ხუმრობით ხელს ჰკრავენ...

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ ერთ მხარეზე ადმინისტრაციას, უნდა ვიგულისხმოთ, დიდათ განსწავლულს, ხოლო მეორე მხარეზე—ბუნების ნამდვილ ბავშვებს. მეცამეტე საუკუნიდან,

იმ დროიდან, როდესაც საქართველო დაცემის გზაზე დადგა. სვანეთი მიტოვებული იყო თავის ბედის ანაბრად და ყველა იმისაგან, რაც მათ დაუტოვა საქართველოს იმდროინდელმა ცივილიზაციამ, შვიდი საუკუნის გასვლის შემდეგ, არ შერჩათ არაფერი, გარდა იმ კოშკებისა, რომელთა ნაწილი ცოტა ხნის წინ, თქვენს მიერ ასე მოხდენილად იქნენ განადგურებულნი...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. გთხოვთ გამოთქმებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ და ნუ მიმართავთ სიმკვახეს...

თ ა ვ ა დ ი ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. როგორც სამართლიანად აღნიშნა ჩემმა ამხანაგმა დაცვიდან, მათ მარტო რელიგია კი არ დაჰკარგეს, მათ დაჰკარგეს საკუთრი ენაც. ყოველივე ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მათ ჰქონდათ ასეთი სურვილი. პირიქით, ისინი თვითონ აცხობდნენ თავიანთ მღვდლებს, თავიანთ „პაპებსა“ და „ბაჰებს“, ურეკდნენ ერთმანეთში რელიგიას ქრისტიანულს, მაჰმადიანურს და წარმართულს და მრავალი ცრუმორწმუნეობის მიმატებით აიძულებდნენ მათ ამ წეს-ჩვეულების შესრულებას. არც გრძნობა და არც გონება ჩვენ არ გვაძლევს უფლებას ვუსაყვედუროთ მათ ეს ჩამორჩენილობა და ბრალი დავდოთ ამაში. საკმარისია ჩავკეტოთ ამ ქვაბურში ვინმე განათლებული ცივილიზატორი, და ათწლიანი ხანდაზმულობა საკმარისი იქნება, რომ მისგან მივიღოთ თუ მთლიანი არა — ნახევარსვანი მაინც... და შესაძლებლად სცნეს ამ ხალხის მიმართ ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე მოემარჯვებინათ 1864 წლის „სასამართლო დებულებები“. მე, ადამიანებზე კანონის ზემოდან მიცემის ერთადერთი მოხდენილი შემთხვევა ვიცი, როდესაც სინას მთაზე მოსემ ღვთისაგან ათი მცნება მიიღო. მის შემდეგ ასეთი მაგალითები არ შეიძლება განმეორებულიყვნენ. კანონებს საფუძვლად იმ ხალხის ადათი, და წესი უნდა ედოთ, რომლის მიმართაც გამოიყენებიან. სვანების მიმართ არაფერი ასეთი დაცული არ ყოფილა. რადგან ისინი ერთხელ შემოყვანილი არიან ჩვენს ოჯახში, რასაკვირველია, დაჰკარგეს უფლება ილაპარაკონ კანონის უცოდინარობაზე. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც ადმინისტრაცია ვალდებული იყო განემარტა მოსახელობისათ-

ვის კანონის შინაარსი და აზრი, და თავისი მოქმედებით კანონისადმი დამორჩილების მაგალითი მიეცათ. ეხლა ვნახოთ, როგორ დაემორჩილნენ კანონს, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე. იმის საფუძველზე, რაც სამსჯავრო გამოძიებამ გამოააშკარავა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონი ხელისუფლების მიერ სრულიად არ სრულდებოდა. სვანები კი პირიქით, კანონის წინაშე თუმც შეუგნებლად, მაგრამ მოწიწებას იჩენდნენ. გუშინ ჩოფლიანმა მოგითხროთ, თუ როგორ გადაუხადა მან სასამართლოს ბოქაულს გადასახდელი თანხა. ჩოფლიანმა ავადმყოფ მამასთან მოიწვია ექიმი, რომელიც ღამით სოფელში დარჩა და ცხენი გააგდო გარეთ საძოვრად. ცხენი მგლებმა დაგლიჯეს. არც რუსული და არც სვანური წესით, ამ უბედურებაში სახლის მეპატრონე არ არის დამნაშავე. ექიმი გაჩუმდა, მაგრამ, შემდეგ, ისარგებლა რა ჩოფლიანის იქ არ ყოფნით, წარუდგინა სარჩელი და იგი მომრიგებელში მოსამართლემ გამოიძახა. უწყებები ალბათ გაიგზავნა. ალბათ, შესდგა დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, ფორმები დაცული იყო. მაგრამ, ბატონო მოსამართლენო, თქვენ ხომ ისმინეთ გუშინ, რა წესით გაიგზავნა ბალდეში უწყებები. ისინი გადაეცა შემთხვევით გამვლელს, რომელსაც იგი შეეძლო გადაეცა და შეეძლო არ გადაეცა. როგორც ეს მოხდა ჩოფლიანის მიმართ. და თუგინდ ისინი პირდაპირ ყოფილიყვნენ გაგზავნილი, ვის შეეძლო მაინი წაკითხვა, გაგება, თუ რა ეწერა, როდესაც სოფელში არავინ იცის არა თუ რუსული, არამედ ქართული წერა-კითხვა? მიიღეს თუ არა უწყებები, ყველაზე დიდი, რისი გაკეთებაც სვანებს შეეძლოთ—გულმოდგინედ შეენახათ ისინი, ანდა მიეწებებინათ კედელზე, როგორც ჭრელი ქაღალდი. კარგა ხანი ადგილზე არ ყოფნის შემდეგ, დაბრუნდა თუ არა ჩოფლიანი. იგი, შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, გამოძახებული იქნა სასამართლოს ბოქაულის მიერ მეზობელ სოფელ კალაში, სადაც მას წარედგინა აღმასრულებელი ფურცელი და იგი ხმის ამოუღებლივ, ყოველგვარი დავის გარეშე აძლევს ბოქაულს მისჯილი 60 მანეთის ანგარიშში თოფს, რომელიც ღირდა არა ნაკლებ ამ თანხისა და დამატებით ძროხას და ხბოს.

ნუთუ ეს არ ლაპარაკობს სვანების მორჩილებაზე კანონის წინაშე?

ადმინისტრაციის მხრიდან ჩვენ ამის მაგვარს არაფერს არ ვხედავთ. ივი ყოველთვის თვით იძლეოდა კანონების დარღვევის მაგალითს. ამას ამტკიცებს ისტორია, რომელიც წინ უძღოდა პირველი აგვისტოს ამბებს.

ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი, თავადი თენგიზ დადეშქელიანის მოწვევით, გაუსწორდა „ურჩებს", დაბრუნდა ეწერში თავად თენგიზთან. აქ მე ვთვლი აუცილებლად ვთქვა, რომ ბუნება, რომელმაც ჩაკეტა სვანეთი ქვაბურში და მოუსპო ფართო გაქანების საშუალება, ახლაც საფლავის კიდემდე აგრძელებს მათ დევნას. მან შეუშალა ხელი დაცვის მოწმეების გამოწვევას. თუმცა სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ბრალდების მოწმეებმა გამონახეს მისი დაძლევის საშუალება. ეს შეტად საეჭვოა, მაშინ შესაძლებელია გამოვლინებულიყო ისეთი გარემოებები, რომლებიც საქმეს სხვა მიმართულებას მისცემდნენ. მაგრამ ვინაიდან ეს ასე არ მოხდა, მე მოკლებული ვარ საშუალებას ვილაპარაკო ყველა იმაზე, რაც ეწერში და ბეჩოში ხდებოდა, და საერთოდ, ყოველივე იმაზე, რაც სასამართლო გამოძიების მიერ არ ყოფილა გამორკვეული. და მე მრჩება მხოლოდ დავკმაყოფილდე ბრალდების მოწმეთა ჩვენებით რომელიც ნამცეცებითაც დაცვის არსებობა შეუძლებელია. მაგრამ მე მაინც მივუთითებ ზოგიერთ ნაწყვეტ ჩვენებებზე, ვიმედოვნებ რა ბატონო მოსამართლენო თქვენს გამჭრიახობაზე, რომელიც შეავსებს იმას, რაც არ ითქვა.

26 ივლისს. ეწერში, მაზრის უფროსი გრინევსკი წინადადებას აძლევს თავის თარჯიმანს ბაქრაძეს, შედგენილი იქნეს განკარგულება ბეჩოს ადგილობრივი რაზმის უფროს-მაიორ ლეუსის სახელზე, რაზმის ხალდეზე ლაშქრობის შესახებ. განკარგულებაში იგი ემყარება სასამართლო ხელისუფლების საჩივარს იმის შესახებ, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი არ ემორჩილებიან სასამართლო გადაწყვეტილებებს. თუმცა აღნიშნულ საჩივარს, ორბელის მომრიგებელ მოსამართლიდან იგი ღებულობს მხოლოდ 28 ივლისს, ეწერიდან ბეჩოში დაბრუ-

ნების შემდეგ ე. ი. მთელი ორი დღით ადრე წინასწარ საზღვრავს ბატონი მაზრის უფროსი, რომ იგი მიიღებდა ასეთ საჩივარს. რაზმი კი ლაშქრობაში გადის იმავე დღეს. რამდენად კანონიერია ასეთი ლაშქრობა თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ ბატონო მოსამართლენო, მე არ მაქვს ძისი განსჯის უფლება. მხოლოდ თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება რაზმთან ერთად თანმიმდევრულად 'მედიოდა სოფლიდან სოფელში, ბევრს აპატიმრებდა, ჩხრეკდა ხალხს მიუხედავად ამისა ისინი მოსახლეობის მხრიდან არსად არ ხვდებოდნენ რაიმე წინააღმდეგობას. ერთ სოფელში, ნაცვლად დასაძებნი შაგუბათ ქურდიანისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მისი ბავშვები დააპატიმრეს, და ისინი სხვა პატიმრებთან ერთად, ხელებშებორკილნი, დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში, ჯარის უკან თოკზე გამობმული, როგორც მაიმუნები...

თავმჯდომარე: მე თქვენ გთხოვეთ ყოფილიყავით ფრთხილი გამოთქმებში, სიმკვახე კარგს არაფერს მოიტანს.

თავადი აკ. წერეთელი. დამნაშავე ვარ. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ისინი ხუთი დღის განმავლობაში, ხელებშებორკილნი, ბაწარ გამობმულნი, დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში და ამრიგად მიაღწიეს სოფ. კალამდე. ასეთი დაპატიმრებების ამბავს, არ შეიძლება არ დაესწრო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის მათი ადგილზე ჩასვლამდე. კალადან, სადაც ისინი გაჩერდნენ, ხალდაში შუამავლებად იყვნენ გაგზავნილი მღვდელი და თარჯიმანი, მოთხოვნილებით გურმაჩის და ჩერგაზის ხელისუფლებაზე გადაცემის შესახებ. როგორც გამოირკვა, ისინი ადგილზე არ იყვნენ დ ხალდეელები თანახმა იყვნენ, მათ ნაცვლად დაეტოვებინათ მძევლად ექვსი კაცი, თუ კი სექტემბერში არ წარადგენდნენ გურმაჩს და ჩერგაზს. თქვენს მიერ გუშინ წამოყენებულ საკითხზე: რატომ დანიშნეს მათ სექტემბრის თვე და არა უფრო ადრე ვადა, პასუხი არ იყო გაცემული. პასუხის გაცემას მე შევეცდები. წლის განმავლობაში მათ აქვთ სულ სამი სამუშაო თვე: ივნისი, ივლისი და აგვისტო. მინდვრის სამუშაოები ამ თვეებში უნდა დამთავრდეს. თუ ისინი სექტემბრისათვის ვერ მოასწრებენ სამკალის აღებას, მოუსწრებს თოვლი და მთელი

წლის ნამუშევარი იკარგება. ნათელი საქმეა. გურმაჩი და ჩერ-გაზი მთებში იმალებოდნენ და სადევრად ხალდეელებს ისეთი დრო ესაჭიროებოდათ, როდესაც სამუშაოები დამთავრებული იქნებოდნენ, ე. ი. სექტემბერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ თავს და ოჯახებს სასიმშილოდ და გაჭირვებისათვის განწირავდნენ.

მაზრის უფროსმა მძევლები არ მიიღო. მოითხოვა, რომ ხალდეელები ყველა გამოცხადებულიყვნენ თავთავიანთი ოჯახებით კალაში, რაც ხალდეელების მიერ შესრულებული იქნა. მაგრამ, უახლოვდებოდნენ რა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ დაინახეს, რომ შაგუბათის ნაცვლად დაპატიმრებული არიან მისი ბავშვები, რამაც ისინი შეაშინა და არჩიეს უკან დაბრუნება. მათ მისდია რაზმმა, შევიდა სოფელში და ალყა შემოარტყა. ამან მთელ სოფელს უდიდესი შიში მოჰგვარა. მაიორი ბრძანებს ხიშტებზე ააგონ ორი უდანაშაულო სვანი.. აქ მე საჭიროდ ვთვლი განვმარტო საკითხი: სალდათებმა ააგეს ხიშტებზე სვანები, თუ სვანებმა პირველმა მიაყენეს სალდათებს ჭრილობები. ერთის მხრიდან ჩვენ გვაქვს სამართალში მიცემულთა ჩვენებები, რომლებიც საშიშროებისადა მიუხედავად რაც გააკეთეს ყველაფერს აღიარებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ სვანები პირველად იქნენ ხიშტებზე წამოგებული. იგივეს აჩვენებს თარჯიმანი ბაქრაძე. მეორეს მხრივ ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მეტად ცდილობდნენ გამოაჩინონ თავიანთი გმირობა. მაგალითად, კოტლიაროვის ჩვენებით, მაიორ ლეუსმა ბრძანა ორი სვანის დაკავება, რომლებმაც ვერ მოასწრეს კოშკში შესვლა და რომელთა წინაშე კარები დაკეტილი აღმოჩნდა. იმათგან ერთმა, თითქოს ხელი სტაცა თოფს, რომელიც თითქოს და კედელზე ეკიდა, გადაიკიდა მხარზე და ეცა კოტლიაროვს. რომელმაც შემოხვია მას ხელი და არ უშვებდა, სანამ სვანმა ხანჯლით არ მიაყენა მას ჭრილობა. ეს ჩვენება მე მიმაჩნია მცდარად.

თოფებს არავინ და მით უმეტეს სვანები კედელზე გარედ არ ჰკიდებენ. თუ სვანმა მართლაც სტაცა თოფს ხელი კოტლიაროვზე თავდასხმის მიზნით, მაშინ მას არ დასჭირდებოდა მისი მხარზე გადაკიდება. თუ იგი მართლაც შებოჭა კოტლიაროვმა, გაუკავა მას ორივე ხელები, მაშინ რომელი ხელით

შეეძლო მას ხმლის ამოღება? მეორე რიგოსანის — პლევნევის ჩვენება, მოცემული აქ სასამართლოში, ეწინააღმდეგება მის ჩვენებებს წინასწარ გამოძიების დროს. მაშინ მან აჩვენა, რომ კოშკებიდან დაიწყეს სროლა ორი სვანის მოკვლის შემდეგ. ახლა იგი ცდილობს ამტკიცოს საწინააღმდეგო. მე ვფიქრობ, მისთვის უფრო ადვილი დასამახსოვრებელი იყო მაშინ, როდესაც იგი ახლოს იყო მომხდარ ამბავთან, ვიდრე ახლა, საკმაო დროის გასვლის შემდეგ. ამიტომ, მოწმეთა არა სავსებით ზუსტი ჩვენებები არ უნდა სარგებლობდნენ ნდობით, ვიდრე სამართალში მიცემულთა ჩვენებები. თუმცა ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან კოშკებიდან ყველას შეეძლო დაენახა ხიშტებზე წამოგებული და აჩეხილი თანამესოფლენი. რაც შეეხება იმას, თუ იარაღი პირველმა ვინ ასწია კოშკებიდან ამის გარჩევა ძნელი იყო. სროლა ასტეხეს არა შურისძიების ნიადაგზე, არამედ შიშით, რომ იგივე მოელის დანარჩენ სვანებს და მათ ოჯახებს. მე იმათ არ ვამართლებ. ვიმეორებ, რომ მათ არ შეუძლიათ თავი იმართლონ კანონის უცოდინარობით. როდესაც კაცს ხელთ აქვს ხელისუფლება, ყველანი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მას, როგორი კანონსაწინააღმდეგოც არ იყოს მისი მოქმედება. ხელისუფლების წინააღმდეგ თავდაცვა არ არსებობს, არის მხოლოდ საშუალება მისი მოქმედება გაასაჩივრო. ამ თვალსაზრისით, სვანებს, რომლებიც ხიშტებზე აცვეს, წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ, რადგან მათ მაიორ ლეუსის მოქმედების გასაჩივრების უფლება რჩებოდათ. მაგრამ, განა ბევრია ქვეყანაზე ასეთი კატონები, რომლებსაც თვითგანწირვის უნარი შესწევთ? ისინი, ასეთივე წესით ესროდნენ პოლიციას, რომელიც ორი დღის განმავლობაში სდევნიდა მათ მთებში და ესროდა მათ. თუ რაოდენ დიდი იყო სვანების შიში, მოჩანს იქიდან, რომ ზოგიერთმა ჯარის ნაწილზე დამორჩილებას მათი კოშკებში ამობუგვა ამჯობინეს. მაგრამ შემდეგ როდესაც თავადმა გარდაფხაძემ და დადეშკელიანმა, წინასწარ მისცეს ფიცი (მეფისნაცვალთან წარდგენის შესახებ), დაარწმუნეს საწინააღმ-

დეგოში, ისინი ნებაყოფლობით გამოცხადდნენ და იარაღი აიყარეს.

ყოველივე, რასაც მე ვლაპარაკობ ეხება სრულწლოვან რალდებულებს. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებიც სხვადან საბრალდებო სკამზე, მე საერთოდ ზედმეტად ვთვლი რამე ვილაპარაკო მათი მართლებისათვის. ბავშვებს არცერთი ტყვია არ გაუსროლიათ, იარაღი არ ჰქონიათ და მათ არ შეეძლოთ ასეთი ჰქონოდათ. მთელი მათი ბრალი შესდგებოდა მასში, რომ დაინახეს რა საშიშროება, რომელიც მშობლებს მოელოდა, არ მოისურვეს მათთან დაშორება. ჩვენს შვილებს, რომ რაიმე ასეთი მოსვლოდათ, მათ ქებას ვერ აუვიდოდით.

ასე და ამრიგად, დანაშაულის ფაქტი ნათელია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ იგი იძულებით არის ჩადენილი. თქვენ უფლებამოსილი ხართ მიუყენოთ მათ კანონი, ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, რომელთა მხედველობაში მიღება კანონმდებლობას წინასწარ არ შეეძლო. კანონმდებლობას რომ შესაძლებლობა ჰქონდეს გაითვალისწინოს ცხოვრების ყველა ცალკეული შემთხვევები, ყველა განსაკუთრებული გარემოებები და წვრილმანები, კანონთა კრებულს დასჭირდებოდა არა ნაკლებ 20000 ტომისა. ამ შემთხვევაში დამტკიცებულია უამრავი გარემოებებისა, რომლებიც ამსუბუქებენ სამართალში მიცემულთა დანაშაულს. დამტკიცებულია, რომ მათი დანაშაული ჩადენილია იძულების შედეგად. აქედან გამომდინარე, თანახმად კანონთა კრებულის XXIV წიგნის 185 მუხლისა (1869 წ. გამოცემა). მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით, გამოიყენოთ ამ შემთხვევაში იგივე წიგნის 1234 მუხლი, — იშუამდგომლოთ მთავარსარდლის წინაშე სამართალში მიცემულთა ბედის შემსუბუქებისა და პატიების შესახებ. ასე და ამგვარად, თქვენ შეგიძლიათ კანონის სიმკაცრე სამართლიანობის და ჰუმანიურობის გრძნობას შეუფარდოთ. მითუმეტეს, რომ ამ მუხლს დიდი ხანია აქვს გამოყენება უზენაესი სიტყვებით: „დაე, მეფობდეს სასამართლოებში სიმართლე და მოწყალება!“

შ. ვ .მესხიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ს. ა. სტოლერმანის დასაცავად [1]

პატივცემულნო მოქ. მოსამართლენო!

სამიულ ალექსანდრეს ძე სტოლერმანს, 45 წლისას, ბრალი ედება მასი ი, რომ განიზრახა რა წინასწარ კანონიერი ცოლის ალექსანდრა ფედოტის ასულ სტოლერმანის მოკვლა, 192[illegible] წლის 15 იანვარს დილით თავის ბინაზედ, სასამართლოს ქუჩაზედ № 31, რევოლვერიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი. ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით. როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაზედ სტოლერმანმა განაცხადა, რომ არ უარყოფს ცოლის მკვლელობას, მაგრამ თავს დამნაშავედ არა სცნობს. სახელმწიფო ბრალმდებელმა, პატივცემულმა მოქ. რიჟამაძემ, ბრალდება სცნო დამტკიცებულად, იშუამდგომლა იცნოთ სტოლერმანი დამნაშავედ და მიუსაჯოთ კატორღა 15 წლის ვადით.

რომ სამუილ სტოლერმანმა მოკლა მძინარე ცოლი, ეს უდავოდ დადასტურებულია და არავითარი ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მარტო ფაქტი მკვლელობისა არ არის საკმარისი სტოლერმანის დამნაშავედ ცნობისათვის. თანახმად დებულების 91 მუხლისა სასჯელი ბოროტმოქმედებისათვის დაედება სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოროტმოქმედების ჩადენა უდავოდ არის დადასტურებული და ჩადენილი სამართალში მიცემულს უნდა ჩაეთვალოს ბრალად, ესე იგი, თუ შერაცხადმა პიროვნებამ შეგნებულად, ამ შემთხვევაში წინასწარ განზრახვით, ჩაიდინა ბოროტმოქმედება.

შერაცხადობა კი არის მხოლოდ გამოვლინება მიზეზობრივი კავშირისა ბრალდებულის შეგნებული ნებისყოფისა და ჩადენილ ბოროტმოქმედებას შორის.

---

[1] ეს სიტყვა გადმოგვცა პირადად შ. მესხიშვილმა 1958 წ. (ასლი ინახება საქ. სრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში. ე. ქ.)

ასე განმარტა სენატმა ჩერნილკინის საქმეზედ 1869 წლის ნომერ 368 დადგენილებით.

საქმის მასალების ანალიზი კი უდავოდ ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მკვლელობის არც წინასწარი და არც უეცარი განზრახვა არა ჰქონია.

სტოლერმანმა ცოლი მოკლა ისეთი უეცარი მძიმე სულიერი ავადმყოფობის დროს, როცა გონება და ნება სრულიად გამოთიშულნი იქნენ და სიშმაგის მდგომარეობაში მყოფი სტოლერმანი არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს, თუ რას ჩადის. რომ ეს ღებულება დამაჯერებელი და უდავო გახდეს, საჭიროა საქმის მასალების ანალიზი. ამისათვის კი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ ერთი უბედური ადამიანის შესახებ.

სტოლერმანმა გაიცნო 15 წლის წინათ მომავალი მეუღლე ციმბირში, სადაც მუშაობდა ლოტბარად. სტოლერმანის მეუღლე კი ახლად იწყებდა მსახიობის სასცენო მუშაობას. დაიწყეს ერთად ცხოვრება. განვლო წელიწადნახევარმა და ქალმა მოითხოვა, რომ სტოლერმანს ერთად ცხოვრება დაეკანონებინა. სტოლერმანმა მიიღო მართლმადიდებლობა და ჯვარი დაიწერა. დაქორწინების შემდეგ ცოლსა და ქმარს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რომელიც თანდათან უფრო ღრმავდებოდა. ამის მიზეზი იყო მეუღლეთა ხასიათის შეურიგებლობა და სხვაობა.

ქმარი იყო სუსტი ნებისყოფის კაცი, ჩუმი, გატაცებული მხოლოდ მუსიკით, სრულებით არ მცოდნე ყოველდღიურ ვარამისა, ჯანითაც სუსტი, სათუთი აგებულებისა. ცოლი კი იყო ჯანღონით სავსე, ძლიერი ნებით დაჯილდოვებული. ვერ იტანდა თავის სურვილების ვერავითარ წინააღმდეგობას, და როგორც ქმართან ისე უცხოებთან, იჩენდა თავის უხეშ ბუნებას. იგი ითხოვდა ქმრის უსიტყვო მორჩილებას. მთელი შემოსავალი მის ხელში იყო. ყიდულობდა ფასიან ქაღალდებს და შეჰქონდა ბანკში თავის სახელზედ. ქმარს კი ხშირად რამოდენიმე მანეთიც არა ჰქონდა. ალექსანდრა ფედოტის ასული

ერეოდა ქმრის საღოტბარო და სამუსიკო მოღვაწეობაში, თუმცა მუსიკისა თითქმის არაფერი იცოდა.

სტოლერმანი ებრაელია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორ მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები თვითმპყრობელობის დროს. მოკლებულნი იყვნენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. მათ სასტიკად სდევნიდნენ. საკმარისია მოიგონოთ კიშინიოვში, ოდესაში და სხვა ადგილებში მომხდარი რბევა და ხოცვა, ბეილისის აღმაშფოთებელი პროცესი, რომ ნათლად წარმოიდგინოთ სურათი ებრაელთა მდგომარეობისა თვითმპყრობელობის დროს.

მუშაობით დაქანცულ სტოლერმანს, რომელსაც, როგორც ებრაელს, ცხოვრება მაინც და მაინც არ უღიმოდა, ოჯახში უნდა ჰქონოდა საშუალება დასვენებისა. ნერვების დაწყნარებისა, ხელშეუშლელად მუშაობისა. ოჯახში უნდა ეგრძნო, რომ იგი ადამიანია და მას, როგორც ებრაელს, ზიზღით არ უყურებდნენ.

მაგრამ მეუღლემ სტოლერმანს ოჯახში ჯოჯოხეთი შეუქმნა.

ცოლი სტოლერმანს თითქმის ყოველღამე ეჩხუბებოდა და კიდეც სცემდა.

ხშირად უცხო პირების დასწრებით ლანძღავდა, ეძახოდა ქეციან ურიას, იდიოტს და სხვა ამგვარს. ეს მარტო ოჯახში არ ხდებოდა. ესენტუკის პარკში დიდი ჩხუბი გაუმართა და ქოლგით ხელში გამოუდგა სტოლერმანს გასალახავად.

1919 წელს თბილისის ოპერას ეწვია მომღერალი ქალი კოშიცი. ავადმყოფობის გამო სახლში მიიწვია სტოლერმანი, რომ „პიკის ქალი"-დან პარტია გაეშეორებინა. ეს არ მოეწონა სტოლერმანის ცოლს და ნება არ მისცა წასულიყო კოშიცის ქალთან. ამიტომ 29 დეკემბერს „პიკის ქალს" კოშიცის მონაწილეობით სტოლერმანის მაგივრად ლოტბარობდა კორშონი. როცა წარმოდგენის დაწყებისას გამოცხადებული იყო, რომ დირექციამ არ იცის რატომ სტოლერმანი არ ლოტბარობს, სტოლერმანის ცოლმა ოპერის დარბაზში საჯაროდ გალანძღა კოშიცის ქალი და უწოდა მას ინტრიგანი.

ყველაფერი ეს დადასტურებულია სტოლერმანის, ექიმ აბაკელიას, სტოლერმანის ბინის პატრონის ნადეჟდა ფილიპოვნას, ნატლია კუნეს და თეატრის კომისარის ალექსანდრე

წუწუნავას ჩვენებებით. რაც შეეხება კერძოდ მომღერალ კოშიცთან შეტაკებას, წუწუნავამ აჩვენა: „იმ დროს თეატრში არ ვიყავი. როცა ტელეფონით შემატყობინეს, მივედი თეატრში და სტოლერმანის ცოლი შემხვდა. ვუთხარი, რომ ასეთი საქციელი სახელმწიფო დაწესებულებაში დაუშვებელია. სტოლერმანის ცოლმა მიპასუხა, მე კარგად ვიცი რას ჩავდივარო. პარლამენტში ერთმანეთს სკამებს ესვრიანო".

წუწუნავამ აჩვენა, რომ მე გავეცი განკარგულება სცენაზედ უცხო პირნი არ შემოეშვათ. როცა კაპელდინერმა ქალმა სტოლერმანის ცოლს სცენაზედ შესვლის ნება არ მისცა, ისე მძლავრად ჰკრა ხელი კაპელდინერს, რომ იგი ავად გახდა.

სტოლერმანის ცოლი ხანდისხან შეიჭრებოდა ხოლმე სცენაზედ და ოპერის თანამშრომელთა და ორკესტრის მუშაკთა დასწრებით შეურაცხყოფას აყენებდა სტოლერმანს. ამას ადასტურებენ სასამართლოში დაკითხულნი მოწმენი: წუწუნავა, ევლახოვი, გურესი, სუხორუკოვი, ბელსკი.

რატომ სტოლერმანმა თავი არ დაანება ცოლს? 16 იანვარს დაკითხვის დროს სტოლერმანმა აჩვენა: ცოლი სისტემატურად მეჩხუბებოდა, სხვათა დასწრებით მცემდა. მოსკოვში ცოლის მოქმედებამ იქამდე მიმიყვანა, რომ გადავწყვიტე მისი თავის დანებება. გაზეთებიდან გაიგო, სად ვიყავი და გამოცხადდა ჩემთან. ახალი აურზაურების და შეურაცხყოფების შიშით. იძულებული ვიყავი მეცხოვრა მასთან.

ალექსანდრე წუწუნავამ აჩვენა: ჩვენ ვურჩევდით სტოლერმანს გასცილებოდა ცოლს. სტოლერმანმა გვიპასუხა, თქვენ არ იცნობთ იმას. აეროპლანით მოფრინდება იქ, სადაც ვიქნები და უარესს დღეს დამაყენებსო.

თქვენის ნებართვით, წავიკითხავ საბრალმდებლო აქტის რამდენიმე ადგილს:

„სტოლერმანი პოულობდა მუსიკაში არა მარტო ცხოვრების წყაროს, არამედ ხელოვნის უანგარო და უმაღლესს ესთეტურ სიამოვნებას. ცოლი კი მარტო ფულზედ ფიქრობდა და აიძულებდა ქმარს, მისდა უნებურად, მოეთხოვა ჯილდოს მომატება. აგარაკიდან ცხელ ზაფხულში ისტუმრებდა ქმარს კონცერტებით ფულის საშოვნელად, დაღალულ ლოტბარს ღამე არეცხინებდა იატაკს. ორი წლის წინათ სტოლერმანი ჩა-

მოვიდა თბილისში და დაიკავა სახელმწიფო თეატრში პირველი ლოტბარის ადგილი. სტოლერმანი დიდის ყურადღებით ეკიდება „აბესალომ და ეთერს.“ დიდი შრომა გასწია ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეზედ“. მალე აპირებდა „აბესალომის“ ლოტბარობას. ამის წინააღმდეგ ნამდვილი ომი გამოუცხადა მეუღლემ. მან შეიძულა ქართული ნაწარმოებები, უკრძალავდა ქმარს მათ შესწავლას, ეძახდა მათ სისაძაგლეს და ვირულ ოპერებს. ერთხელ კიდევ უთხრა ქმარს, თუ არ წაიღებ შინიდან „აბესალომის“ პარტიტურა [illegible] გიყვარ.

მინდა მოგაგონოთ სტოლერმანის ჩვენება გამოძიებაზედ. როცა ეუთხარი, რომ ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეპყროთ ქართველ ხალხს, ცოლმა ირონიით მიპასუხა: ჩქარა მოელენ დენიკინელები და გასწმენდავენ მთელ საქართველოსო. საერთოდ, იგი რეაქციონერი იყო. განვაგრძობ საბრალდებო აქტიდან კითხვას:

„1920 წლის 14 იანვარს სტოლერმანი ლოტბარობდა მომღერალი ზალიპსკის საბენეფისოდ დადგმულ ოპერა „ფრადიაველოს“. შინ რომ დაბრუნდნენ, ცოლმა დიდი ჩხუბი აუტეხა იმის ნიადაგზე, რომ ყველანი ბენეფისებს მართავენ, დიდძალ ფულებს იღებენ, მას კი არ შეუძლია ამის მოწყობა. დაუკაწრა ხელები, გადაუგდო საწოლ ოთახიდან ბალიში მისაღებ ოთახში და თითონ დაწვა დასაძინებლად. სტოლერმანს გაუხდელს ჩაეძინა. დილით ადრე გაიღვიძა, მოინდომა ცოლის ძილით ესარგებლნა და გადაშალა „აბესალომის“ პარტიტურა, რომელშიაც აღმოჩნდა რამოდენიმე ფურცელი დახეული. რევოლვერიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი. რევოლვერი რამოდენიმე დღის წინათ ცოლის თანდასწრებით ამოიღო თეთრეულიდან და თან ატარებდა“.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო, რომ თბილისის ოპერის თეატრში მუშაობის დროს სტოლერმანი დაუახლოვდა ქართველი ერის სიამაყეს მუსიკის დარგში ზაქარია ფალიაშვილს. ძალიან აფასებდა „აბესალომის“ მუსიკას და, მიუხედავად ცოლის წინააღმდეგობებისა, თავს არ ანებებდა „აბესალომის“ პარტიტურაზე მუშაობას.

უნდა ხაზი გავუსვა, რომ „აბესალომის“ პარტიტურა ხელთნაწერი და ერთადერთი ეგზემპლარი იყო.

პროკურორმა მოგახსენათ, რომ სტოლერმანმა ლაჩრულად მოკლა ცოლი და ეხიზელისათვის სროლაც ვერ გაბედა.

სწორედ ეს აღასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა არა ჰქონია. როდის უნდა აღძვროდა სტოლერმანს განზრახვა ცოლის მოკვლისა? ან უკვე დიდი ხნით ადრე უნდა გადაწყვიტა ცოლის მოკვლა, ან მკვლელობის წინა ღამეს უნდა აღძვროდა განზრახვა. თუ განზრახვა დიდი ხნით ადრე ეღძრა, სტოლერმანი უფრო ადრე მოკლავდა ცოლს, რომელიც სისტემატურად სტანჯავდა მას.

თუ მკვლელობის წინა ღამეს აღეძრა, უეჭველად ჩხუბის შემდეგ, ეძინებამდე, ესროდა მოსაკლავად. როცა მოკვლა გადაწყვეტილი გაქვს, იარაღი ხელმისაწვდომია, აფთარი დედაკაცის შიში ვერ შეგაჩერებს სროლისგან.

თუ იმ ღამეს გადაწყვიტა, რომ მძინარეს მოკლავდა, სტოლერმანი არ დაიძინებდა და უთვალთვალებდა ცოლის დაძინებას, რომ მძინარე მოეკლა.

სტოლერმანმა დაიძინა და დილით, რომ გაიღვიძა, ცოლს კი ეძინა, რევოლვერს კი არ მოკიდა ხელი, არამედ პარტიტურას. რომ დაშვიდებით ემუშავნა. ეს ზუსტად დადასტურებულია და ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უდავოდ ამტკიცებს, რომ სტოლერმანს არა ჰქონდა ცოლის მოკვლის განზრახვა. მაშ რა მოხდა? საჭიროა დაკვირვება და ანალიზი სტოლერმანის ფსიქიურ მდგომარეობისა, რომ შეცდომა არ იქნეს დაშვებული.

როცა სტოლერმანმა დახეული პარტიტურა ნახა, უეცრად მოჰყვა ისეთ სულიერ მდგომარეობაში, როცა გონება და ნება გამოთიშულნი იქნენ და უეცარი სულიერი ავადმყოფობის დროს, რომლის შედეგი იყო სიშმაგე, მოკლა ცოლი.

ექსპერტიზმის დასკვნით სტოლერმანი დაავადებულია ნევრასტენიის მძიმე ფორმით.

მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ მრავალი წლის განმავლობაში იგი განიცდიდა მძიმე შეურაცხყოფას და იტანჯებოდა ცოლის სისტემატურად უხეში და დამამცირებელი მოქმედებით. სტოლერმანში უკმაყოფილების გრძნობა თანდათან იზრდებოდა. მკვლელობის წინა ღამეს ცოლმა დიდი ჩხუ-

ბი აუტეხა, მძიმე შეურაცყოფა მიაყენა და ხელები დაუკაწრა.

სტოლერმანმა დილით „აბესალომ და ეთერის“ ხელთნაწერ პარტიტურას ერთადერთ ეგზემპლარის დახეული ფურცლები რომ ნახა. ეს იყო ის ბიძგი, რომელმაც გამოიწვია უეცარი მძიმე სულიერი ავადმყოფობა, რომლისთვისაც ნიადაგი დიდი ხანია მზადდებოდა სტოლერმანის ფსიქიკაში.

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაქციო პროფესორ სიკორსკის ცნობილ შრომაზედ „თეორიული და კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები სასამართლო ფსიქოლოგიის მოკლე ნარკვევით“.

პროფესორი სიკორსკი აღნიშნავს, რომ ყველაზედ დიდ სასამართლო-ფსიქიატრიულ ინტერესს ექსპერტიზისათვის და სასამართლოსათვის იწვევენ ისინი, უმეტეს შემთხვევებში, მძიმე ბოროტმოქმედებანი, რომელნიც ჩადენილნი არიან უეცარი შეტევის დროს, რიცა ადამიანი ფსიქიურად დაავადებული არ არის, მცირე ხნის, მაგრამ მეტად ბოროტი ფსიქიური არანორმალობის დროს, რომლის შემდეგ სუბიექტს უბრუნდება ჩვეულებრივი საღი მდგომარეობა. მეცნიერებაში ასეთ მოვლენებს უწოდებენ პათოლოგიურ აფექტს. კანონმდებლობაში ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია დებულების 92 მ. 3 პუნქტით. რითაა გამოწვეული ძალა, გამანადგურებელი და სრულიად ბრმა ხასიათი მოძრავ რეაქციებისა? პროფესორ სიკორსკის აზრით, განსაზღვრულ მდგომარეობაში მაღალი ფსიქიური ცხოვრება, რომელშიც არის გონება, გრძნობა და ნება, უეცრად ჩერდება და მის ადგილს იჭერს უფრო დაბალი ფსიქიური ცხოვრება, ინსტიქტების ცხოვრება.

ინსტიქტი, რომელიც აღარ არის შეზღუდული გონებით და ნებით, გამოვლინდება მისთვის დამახასიათებელ სტიქიურობით და სიბრმავით. თუ სუბიექტი ხანდახან შეგნებას სრულიად მოკლებული არ არის, შეგნება მეტად სუსტია დაბალი ფსიქიზმის ფონაზე და საქმე გვაქვს არა ფიზიოლოგიურ აფექტის პათოლოგიურ აფექტად გადასვლასთან, არამედ უმაღლესი ფსიქიზმის უეცრად შეჩერებასთან და ინსტიქტების მათი სიბრმავით და ძლიერებით გამოვლინებასთან.

მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო იმას, რომ პათოლოგიურ აფექტის აღძვრისას სრულებით საჭირო არ არის, რომ მას ფიზიოლოგიური აფექტი უძღოდეს წინ. სწორედ ასეა სტოლერმანის შემთხვევაში. შეიძლება საჭიროც არ იყო პროფესორ სიკორსკის აზრის მოყვანა.

პატივცემულმა ექსპერტებმა, ექიმებმა: დავით გედევანიშვილმა, სიკოლოზ ჯავახიშვილმა და ვლადიმერ ციციშვილმა ჩემს მიერ დასმულ კითხვებზედ წერილობითი პასუხები გასცეს.

პატივცემულმა დავით გედევანიშვილმა მოახსენა სასამართლოს, ექსპერტების მიერ ერთხმად დადგენილი დასკვნა, რომ ბოროტმოქმედების ჩადენის დროს სტოლერმანი იმყოფებოდა პათოლოგიურ აფექტის მდგომარეობაში. სასამართლოს და მხარეთა მრავალ შეკითხვებზედ, ექიმმა გედევანიშვილმა ექსპერტების აზრი მეცნიერულად დაასაბუთა.

მე უდავოდ დადასტურებულად მიმაჩნია, რომ სტოლერმანს ცოლის მოკვლის განზრახვა არა ჰქონდა. დილით „ალესალომი"-ს პარტიტურის ფურცლები დახეული რომ ნახა, უეცრად მეტად მძიმე ხანმოკლე ფსიქიურ დაავადების დროს, სიშშაგის მდგომარეობაში, ჩაიდინა მკვლელობა. თანახმად დებულების 92-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ჩადენილი არ უნდა ჩაითვალოს ბრალად, თუ ბოროტება ჩადენილია ავადმყოფურ შეტევების დროს, რომელთა შედეგია სიშშაგე ან მეხსიერების სრული გამოთიშვა. თუ არ ჩაითვლება ბრალად, არც სასჯელი დამნაშავედ ცნობა. ამიტომ სტოლერმანი უნდა იქნეს გამართლებული.

პატივცემულმა პროკურორმა, მოქ. რიჟამაძემ იშუამდგომლა, მიუსაჯოთ სტოლერმანს კატორღა 15 წლის ვადით. სტოლერმანმა 15 წლის კატორღა უკვე მოიხადა ცოლთან ცხოვრების დროს.

პროკურორს ღიმილი მოუვიდა.

არა, მე შეღავათს არა ვთხოულობ.

უდანაშაულო სტოლერმანისათვის შეღავათი დაუშვებელია: მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე.

ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე დადასტურებულად იცნოთ, რომ სტოლერმანმა ცოლი მოკლა პათოლოგიურ აფექტის მდგომარეობაში და გამოუტანოთ მას გამამართლებელი განაჩენი.

ა. კ. ჩიქვანაიას მიერ წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე [1]

ამხანაგო მოსამართლენო

კიწყებ რა საბრალდებო სიტყვას საქმეზე, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივ — პოლიტიკური მნიშვნელობა, მე მინდა პირველ ყოვლისა შევაჩერო თქვენი ყურადღება ამ ბოროტმოქმედების ერთ განსაკუთრებულ თვისებაზე, სხვა საქმეებთან მის განმასხვავებელ თვისებაზე.

ცნობილია, რომ მეფის მთავრობას, მის დამქაშებსა და ჟანდარმერიას არა ერთი და ასი ათასი საუკეთესო ადამიანი ჩაულპია ციხეებსა და კატორღებში, არა ერთი და ათასი რევოლუციონერი, ხალხის მეგობარი და მოსარჩლე, ხალხის იდეებისათვის და მისი საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლი დაუხვრეტია, ჩამოუღრჩვია როგორც აშკარად, ისე ფარულადაც. მაგრამ, რომ ცარიზმს მისთვის საშიშ ატმოსფეროში ასე მოხერხებულად ესარგებლოს, თავიდან ადვილად მოეცილებიოს, მზის სინათლეზედ მოეკლას თავისი მტერი და ეს ბოროტმოქმედება მოეწყოს ისე, რომ ხალხის პარტიასა და თვით ხალხს დაბრალებოდეს მკვლელობა, ამის გამო პარტიები და მასები ერთმანეთისათვის გადაეკიდებიოს, დაექსაქსოს და თავისი ბნელი საქმეების გაჩარხვისათვის ხელი მნიშვნელოვნად შეეწყოს. ჩვენს პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა.

1907 წლის 30 აგვისტოს სოფ. საგურამოს მახლობლად წიწამურის ხეობაში ვერაგულად მოჰკლეს დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, ხალხის უანგარო ჭირისუფალი და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის დაუღალავი მებრძო-

---

[1] სიტყვა ჩვენ გადმოგვცა პირადად ა. კ. ჩიქვანაიამ (ვ. ჟ).

ლი. იგი შეუბრალებლად ვამოსტაცეს ქვეყანას იმ დროს, როცა რუსეთის ცარიზმის ბნელი ძალები სულს უხუთავდა მშრომელ ხალხს და უმკაცრესი რეაქციის ბრჭყალებში აქცევდა დამონებულ ერებს. იგი მოჰკლეს ხალხის უბოროტესმა მტრებმა, მეფის ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა ავაზაკებმა, ქვეყნის ნაძირალებმა. არ დაინდვეს დიდი პოეტი, ხალხის სულიერი წინამძღოლი, ვისაც: —

ერის წყლული აჩნდა წყლულად,
ეწოდა მის ტანჯვით სული.
მის ბედით და უბედობით,
ედაგოდა მტკიცედ გული.

გაბოროტებულმა ავაზაკებმა ტყვიით განგმირეს მოხუცი მწერლის ‘მუბლი და მკერდი, თოფის კონდახით დაალურჯეს იგი, გრძნობის დაკარგვამდე სცემეს მის ცოლს და იქვე მოჰკლეს ერთგული მისი მსახური. ნაძირალებმა გაძარცვეს მათი მსხვერპლი: წაართვეს ოქროს საათი, სამკაულები, ფული და სხვა.

ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას ეს შემზარავი ამბავი. საშინელი გლოვის ხმად გავრცელდა ილიას ვერაგული მოკვლის ცნობა საქართველოში, გადასცდა მის საზღვრებს, ავიდა რუსეთში და იქიდან ევროპაშიც. ილიას გლოვა ნამდვილ სახალხო გლოვად გადაიქცა. ერი რისხავდა და წყევლა-კრულვით იხსენიებდა ქვეყნის გესლიან მოღალატეებს, რომლებმაც სისხლიანი ხელი აღმართეს ხალხური სიბრძნის ამოუწურავი საუნჯის წინააღმდეგ, რომელმაც მარად უკვდავი ნაწარმოებებით გაამდიდრა კაცობრიობის მხატვრული შემოქმედება, რომელმაც დაგვიტოვა უჭკნობი „აჩრდილი“, „კაცია ადამიანი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „გლახის ნაამბობი“, „დიმიტრი თავდადებული“, „კაკო ყაჩაღი“ და სხვა, რომლებშიაც გამოხატა დუხჭირი ცხოვრებისა და უკეთესმართი სოციალ-პოლიტიკური პირობების შეცვლისა და გარდაქმნის უკვდავი იდეალები.

და აი დღეს ერთი საზიზღარ ავაზაკთაგანი, რომლებმაც მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენს წინაშე იმყოფება. საბჭოთა სასამართლოს წინაშე ურცხვად დგას იგი, სასტიკ პასუხს

აგებს დღეს გამარჯვებული, თავისუფალი და ბედნიერი ხალხის წინაშე იმ შავ-ბნელი საქმისათვის, რომელიც მან ჩაიდინა 34 წლის წინათ. იგი მიიღებს საკადრის სასჯელს იმ ხალხისგან, ვისაც წაართვა მან მისი უკეთესი წარმომადგენელი. დაუვიწყარი და ერთგული შვილი. სიცოცხლე მოუსპო ქართველი ერის დიდ მოჭირნახულეს, სახელოვან რუს ადამიანების: ბელინსკის, ნეკრასოვის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ტრადიციებზე აღზრდილსა და მათ იღეებით გამსჭვალულს, თავისი ბინძური ხელებით მოჰკლა ჩვენი კლასიკოსი ილია ჭავჭავაძე, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე ასე თავდავიწყებითა და ნაყოფიერად ემსახურა მრავალტანჯულ ჩვენს სამშობლოს...

ჩვენს წინაშე ისმება საკითხი: ვინ იყო ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. რომლის სისხლში გასვრილი აქვს ხელები ჩვენს წინ მდგარ ბრალდებულ ბერბეჭაშვილს და მის დამქაშებს მეფის ოხრანკის დაქირაებულ ნაძირალებს.

რატომ ვამოასალმეს წუთისოფელს ეს დიდი გამოჩენილი პოეტი და მოაზროვნე. ამის მიზეზები ადვილი გასაგები გახდება. თუ გავითვალისწინებთ ი ლ ი ა ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხასიათს, ილია ჭავჭავაძე, როგორც უდიდესი კლასიკოსის ავტორიტეტს და როგორც ხელმძღვანელს საქართველოს ეროვნულ-ნაციონალურ მოძრაობისას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ილია ჭავჭავაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის გასული საუკუნის 60-იან წლებში და სათავეში უდგება მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. იგი გვევლინება ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების უდიდეს ორგანიზატორად. ის ხდება მეთაური ახალი ქართული მწერლობისა და აზროვნების, მეთაური ქართული თვერდადგომულების, მესამოცე წლების მოღვაწეებისა. რომელთა შორის აღსანიშნავია: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგი მესხი და სხვები.

ილია ჭავჭავაძის როლი ქართველი ხალხის ბრძოლაში მომავლისათვის იმდენად გრანდიოზული და მრავალმხრივია, რომ მეტად ძნელია ერთი ამომწურავი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. არ დარჩენილა არც ერთი დარგი ჩვენი ხალხის სა-

ზოგადოებრივ ცხოვრებაში, ლიტერატურაში, აზროვნებაში, რომელზედაც თავისი ბუმბერაზული კვალი არ დაეტოვებინოს ილია ჭავჭავაძეს, მესამოცე წლების მოღვაწეთა ამ მეთაურს. ილია ჭავჭავაძეს, შემოაქვს საქართველოში ახალი პროგრესულ-დემოკრატიული იდეები და გაბედულად მიდის ხალხში ამ იდეების დასანერგავად....

ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობა. მისი როლი ქართველი ხალხის წინაშე განუზომელია.

ი ლ ი ა იყო საქართველოს ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ბატონყმობის და თვითმპყრობელობის დახვეწებული ინსტიტუტის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს „უგვირგვინო მეფე“, რომელმაც შემოიკრიბა თავის გარშემო საქართველოს ყველა ახალგაზრდა, ყველა პატიოსანი და მოწინავე ძალები, რომლებიც „არასასურველ“ ატმოსფეროს ქმნიდნენ ცარიზმისა და იმპერიალიზმისათვის.

ეჭვს გარეშეა, ჟანდარმერიამ კარგად იცოდა ყველაფერი ეს, ამიტომ განიზრახა ილიას ფიზიკურად მოსპობა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ძვირფასი გული განგმირა იმავე რეაქციულმა ძალამ, რომელმაც დიდ რუს ხალხს მოუკლა გენიალური პუშკინი, ლერმონტოვი და სხვა მრავალი სასიქადულო შვილი.

ჟანდარმერია მუდამ თვალყურს ადევნებდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც თვითმპყრობელობას მეტად საშიშ პიროვნებად მიაჩნდა...

დღეს აქ ერთმა მოწმეთაგანმა, 83 წლის მოხუცმა, დუშეთის მაზრის ყოფილმა უფროსმა, ყარამან ფ ა ღ ა ვ ა მ სასამართლოს მოასსენა:

„როდესაც მე მაზრა ჩავიბარე და შიფრის გასაღები მომცეს, საიდუმლო საქმეებში ვნახე საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მომართვა მაზრის უფროსისადმი, რომ მაზრის უფროსმა პირადი საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იყოლიოს თავადი ი ლ ი ა გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“-ო.

ამ ცნობას, ე. ი. იმას, რომ ილია ჭავჭავაძე მეფისთვის არა საიმედო კაცი ყოფილა, ადასტურებს აგრეთვე თბილისის

ჟანდარმთა სამმართველოს რიგი დოკუმენტები... ყველა პირუთვნელი ადამიანი, რომელიც ღრმად გაეცნობა ილიას ცხოვრებას, მოღვაწეობას და შემოქმედებას, გაეცნობა აგრეთვე ილიას მკვლელობის ირგვლივ დაგროვილ და სასამართლოს განკარგულებაში არსებულ უამრავ მასალას და ილიას ფიზიკურ მკვლელობის ბიოგრაფიას, აშკარად დარწმუნდება იმაში, რომ ქართველი ხალხის ეს დიდი მოაზროვნე და მოღვაწე, კლასიკოსი და დიდბუნოვანი ადამიანი, მოკლა მეფის მთავრობამ; ნიკოლოზის ჟანდარმერიამ ეს ბინძური საქმე უშუალოდ გააკეთებია ე. ი. ილია ფიზიკურად მოაკვლევინა ოხრანკის დაქირავებულ აგენტებს და აგრეთვე ილიას მკვლელობაში მიაღებინა მონაწილეობა, ე. ი. ბრმა იარაღად გამოიყენა აგენტები. მკვლელები ორ ჯგუფად განიყოფებიან: — დიმიტრი ჯაში, ივანე ინაშვილი და გიგლა ბერბიჭაშვილი მეფის ოხრანკის დაქირავებული აგენტები იყვნენ, ხოლო ხიზანიშვილი, ფშავლიშვილი (იგივე აფიციაური) ლაბაური, ფეიქრიშვილი და სხვები, ბრმა იარაღები იყვნენ. მოკლედ დავახასიათებ თვითეულ მათგანს:

მიუხედავად იმისა, რომ ღ. ჯაშს დიდი კლასიკური ცოდნა არ ჰქონდა, მას მხოლოდ ჩოხატაურის სამკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და ვერც გარეგნული შეხედულებით შეატყობდით მას, რომ ეს კაცი, თუ რამეს წარმოადგენდა. ან მოახერხებდა. იმდენად მშერმეტყველი და გამჭრიახი იყო, რომ თავისი მოქნილი ენით დაწერილ ქება-დიდებას განცვიფრებაში მოყავდა როგორც კავკასიის მეფის მოადგილე. აგრეთვე მისი თანამოაზროვნენი.

ლიტერატურის მატიანეში (წიგნი —1—2) დაბეჭდილია ლუარსაბ ხელაძის მოგონება, რომელიც წერს: „ერთ გაზაფხულის საღამოს მოვიდა ჩემთან უბნის ზედამხედველი და მითხრა, რომ პოლიცმეისტერი გიბარებს და ამ საათშივე უნდა გამოცხადდეო. მაშინ პოლიცმეისტრად იყო ზასიპკინი, მან მითხრა: „თქვენ, როგორც ციხეში მოსამსახურე, ღ. ჯაშს უნდა იცნობდეთ, როგორმე უნდა იპოვნოთ და გამომიგზავნოთ საჩქაროთ“. მეორე დღეს ვნახე ჯაში და გაუგზავნე. გავიდა დრო, რამოდენიმე დღის შემდეგ შემხვდა ჯაში და, როგორც დაინტერესებულმა, ვკითხე.

რაზე დაგიბარა პოლიცმეისტერმა მეთქი, ცოტათი შეყოყმანდა თითქოს არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაბმეორების შემდეგ მითხრა. „პოლიცმეისტერმა მითხრა, რომ მეორე დღეს, 12 საათზე, გამოვცხადდე აუცილებლად ნამესტნიკთან, ვორონცოვ-დაშკოვთან, მე ძალიან შევეფიქრიანდი,—სთქვა მან,—მაგრამ რა უნდა მექნა, წაუსვლელობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ტანისამოსი არაფერი მქონდა შესაფერისი და ძალიან მაწუხებდა. ბოლოს გადავწყვიტე ქირით ამეღო მაღაზიიდან. იმ ხანებში ამსგავსი მაღაზიები არსებობდა. მეორე დღეს გამოვეწყვე და მივედი სასახლეში, მაგრამ შესვლა არ გინდა! ავედი კიბეზე, შევიხედე მისაღებ ზალაში და თვალები ამიჭრელდა სხვადასხვა სანახაობებით. კანცელარიის დირექტორმა ალბად იცოდა ვინც ვიყავი. რა ვიყავი და მომცა ადგილი, სადაც უნდა ვმდგარიყავ. მე გაოცებული ვიყავი ამ სანახაობით. ჩემ დღეში არ ვყოფილვარ დიდრონ პირებთან და არც ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავ. ზალაში იდგნენ გაყოფილი ორ რიგად: ერთ მხარეს სამხედრო პირები იყვნენ ჩამწკრივებული და მეორე მხარეს სამოქალაქო ჩინის პირნი. მე ვიდექი ზალის შუა ადგილას, მაგრამ ვღელავდი და სულ ვკანკალებდი. ამ დროს გამოდის ზალაში მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი, თავის ამალით და ყველას ესალმება იქეთ-აქეთ. ამ დროს კითხულობს „სად არის ჯიგიტი“ (ფსევდონიმი ჯაშის), რომ უჩვენეს ჩემზე. წამოვიდა მეფის ნაცვალი ჩემსკენ მოსასალმებლად და მე, როგორც გამოუცდელმა, არ ვიცოდი დიდრონ პირებთან შეყრის წესრიგი, დაუჩოქე და თაყვანი ვეცი. თუმცა ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. მეფის მოადგილე მომიახლოვდა, მხარზედ ხელი დამადო და მითხრა: „ჯიგიტი თქვენა ხართ მოსკოვის და პეტერბურგის უწყებებში, რომ სწერთ ჩემზე“ მე დაუდასტურე და შემაქო: „ყოჩაღ, სამშობლოს ერთგული კაცი ყოფილხარ“ და სხვა, მთხოვა განმეგრძო მუშაობა დიდი რუსეთის საკეთილდღეოდ. მომაგონა აგრეთვე გაზეთ „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი ფელეტონი „ჯიგიტის“ ფსევდონიმით, რომელიც შეეხებოდა, სხვათა შორის, თათრების მიერ ჩვენი სახელმწიფო საზღვრების შერყევას“...

ეს უნებლიეთი ჩემი „ვიზიტი“ დამთავრდა. წამოსვლისას

მოვიდა ჩემთან კანცელარიის დირექტორი და მითხრა: „დღეს ჩვენი სტუმარი ხართ და გთხოვთ მობრძანდეთ რესტორან „ანონაში“ საღამოს 5 საათზე“. მე სირცხვილით უარი ვერ ვუთხარი, მივეცი სიტყვა.

წავედი სახლში, გამოვიცვალე ფრაკი და პატრონს ჩავაბარე. საღამოს ჩამოველი „ანონაში“, დავიარე ყველა კუთხე რესტორანისა, მაგრამ იქ ვერავინ აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი ცალკე ოთახი იყო, სადაც ლაქიებმა არ შემიშვეს, მითხრეს: აქ დიდი პიროვნებები არიან, შენი აქ შესვლა არ შეიძლებაო. რა მექნა, დავაპირე უკან წასვლა, რადგან უკვე დაგვიანებული იყო. ამ დროს მეფის მოადგილეს კანცელარიის მოსამსახურეთა ერთ-ერთმა მოსადილეთაგანმა კარი გააღო და ოფიციანტს დაუძახა, აქ ერთი სტუმარი უნდა მოსულიყო ჩვენთან და სად არისო. მაშინვე დაბიძახეს და საყვედური მითხრეს. რომ დავიგვიანე, თუმცაღა ჩემი ბრალი არ იყო. ოფიციანტებმა ჩემი სტუმრობა მათთან სირცხვილად მიიჩნიეს ასე თუ ისე შევუდექით პურის ჭამას. ჩამოვარდა ლაპარაკი სწავლა-განათლების შესახებ. მე მომიბრუნდა მეფის მოადგილეს კანცელარიის დირექტორი და მეკითხება — რომელი უნივერსიტეტი დაასრულე. ჩოხატაურის უნივერსიტეტი მეთქი, ვუპასუხე მე. დირექტორი ცოტა არ იყოს გაშტერდა, როგორც უმაღლეს კურს დამთავრებულს ჯერ ამ სახელწოდების უნივერსიტეტი მას არ გაუგონია და ხელმეორედ მეკითხება: უკაცრავად, ვერ გავიგონე რომელი უნივერსიტეტი დაასრულეთ. მე ველარ მოვითმინე. გამეცინა და ვუთხარი: ჩოხატაურში არავითარი უნივერსიტეტი არ არის, მხოლოდ სამკლასიანი სოფლის სკოლაა, რომელიც ჩემთვის უნივერსიტეტიც იყო და სკოლაც. ამაზედ ბევრი იცინეს, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ, თუ მე მხოლოდ სამკლასიანი ვიყავი. ბევრი ხუმრობის და სიცილის შემდეგ გავათავეთ პურის ჭამა და დავიშალენით. იმ ხანებში მუდმივი მეთვალყურეობა იყო დაწესებული გერმანელთა კალონიებისა (ეკატერინოფელდი, ლიუქსემბურგი, ელენენდორფი) და მქონდა მოცემული წინადადება ფხიზელი ყურადღება მიმექცია მათთვისო“.

გარდა ზემოაღნიშნულ ხელაძის მოგონებისა, დიმიტრი ჯაშის მოღვაწეობის დასახასიათებლად ჩვენ გვაქვს ბევრი მასალა, როგორც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი, აგრეთვე დღეს აქ გამოძახებულ მოწმეების ჩვენებანი... მაგალითად, დუშეთის მაზრის ყოფ. უფროსმა ფაღავამ, როგორც წინასწარ გამოძიების დროს, ისე სასამართლოს პროცესზე აჩვენა:

„1907 წელს ქალაქში ჩამოვედი, მივდიოდი ანტონ ფურცელაძესთან. დავინახე, რომ ჟანდარმერიიდან გამოვიდა დიმიტრი ჯაში. მივდივარ და ვფიქრობ, ეს მთავრობა ილია ჭავჭავაძეს უყურებს, როგორც მტერს და მისი მოურავი კი ჟანდარმერიიდან გამოვიდა, როცა ამას ვფიქრობდი და მცხეთის ჟანდარმერიის უფროსიც მოვიდა, მე ვკითხე ამ ჟანდარმს „მითხარი, გეთაყვა, იმ კაცს თქვენი კანცელარიიდან რომ გამოვიდა, თქვენ იცნობთ“, ამაზე მან მიპასუხა, როგორ არა, იგი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მამულის მოურავია, გვარად ჯ ა შ ი“. ცოტა ხანს შეჩერდა და მერე დაბალი ხმით დაუმატა, „იგი ჩვენთან აგენტად ითვლება“ (იხ. ს. ფ. 84, 86, 128).

„შემდეგ. როცა დამკითხა,—განაგრძობს ფაღავა,—მქონდა ხელთ დ. ჯაშის ოხრანკის აგენტობის დამამტკიცებელი ოფიციალური საბუთი. ვახმისტრ დომშენკოს მეშვეობით მივიღე, ოხრანკის საიდუმლო თანამშრომელთა სია, რომელშიაც ჯამაგირის მიღებაზე ხელს აწერდა დიმ. ჯაში“.

დიმ. ჯაშის ძმამ უშანგი ჯაშმა სასამართლოს აჩვენა, რომ დიმიტრი ჯაში ადრე გაასამართლეს და მაშინ იქ გამოაქვეყნეს მეფის ოხრანკის ჯაშუშების სია, რომელშიდაც იყვნენ დიმიტრი ჯაში, პესტრულინი, ანდღულაძე და სხვები.

მენშევიკების დროს მოწყობილ სასამართლოს სხდომაზე გამორკვეული იქნა, რომ თვითონ დიმ. ჯაშმა ვერ უარყო მეფის აგენტობა, რადგან მას უჩვენეს საბუთი ოხრანკიდან 600 მანეთის მიღების შესახებ, რომელზედაც ხელს აწერდა.

გარდა ამისა დიმ. ჯაშის ყოფ. მეუღლემ დარია ჯაშმა, როგორც წინასწარ გამოძიებას, ისე სასამართლოს უჩვენა:

„დიმიტრი ჯაში ძალიან მიღებული იყო მაშინდელ მთავრობაში, დანამდვილებით ვიცი, რომ იყო და მუშაობდა „ოხ-

რანკაში". გარდა ამისა 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ დიმიტრი ჯაში მენშევიკებმა დააპატიმრეს, როგორც ჯაშუში, (იგი ჯაშუშთა სიაში აღმოჩნდა) რამდენიმე ხანს იჯდა და შემდეგ გაანთავისუფლეს. 1921 წელს კვლავ იქნა დაპატიმრებული ბაქოში და მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ აქიდანაც პროტექციით იქნა განთავისუფლებული (ის. ს. ფ. 3, 121, 122).

საგულისხმიეროა ის გარემოებაც, რომ დიმიტრი ჯაშის საბრალმდებლო სკამზე დასმის წინააღმდეგ ოფიციალურ ჩვენებით გაილაშქრა ყანდარმერიამ, რის გამოც დ. ჯაში იმდენად გათავხედდა, რომ სასამართლოში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზედ უბრალო მოწმეთაც არ გამოცხადდა, ხოლო როცა სხვა ბრალდებულთა დამცველმა [illegible] [illegible], რომ მე აქ მთავარ ბრალდებულს საბრალდებო სკამზე ვერ ვხედავ, მეფის სასამართლოს თავმჯდომარემ თითის დაჭნევით მიიხმო დამცველი და რაღაც წასჩურჩულა ყურში, რის შემდეგ ჯაშზედ ერთი სიტყვაც არ თქმულა.

ამრიგად, დოკუმენტურად საკმაოებით დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ დიმიტრი ჯაში იყო „ოხრანკის" მნიშვნელოვანი და დაფასებული აგენტი.

დიმიტრი ჯაშის დასახასიათებლად საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ მას სისხლის სამართლის ბევრი ქმედობანი აქვს ჩადენილი. მაგალითად, საქმე არსებულ მასალებით და თანამედროვეების ჩვენებით სასამართლოს პროცესზედ დიმიტრი ჯაშმა სხვა ამხანაგებთან ერთად გაიტაცა ფული სამეურნეო ბანკიდან; გატაცებული ფულიდან მას ერგო 5.000 მანეთი, რითაც ინახავდა, როგორც თვითონ მისმა ყოფ. ცოლმა დარია ჯაშმა განაცხადა, ოჯახს. დიმიტრი ჯაშმა გააკეთა რკინიგზის ყალბი ბილეთები, რისთვისაც ის დაიჭირეს, მაგრამ შემდეგ მეფის მთავრობამ აპატია მას დანაშაული, როგორც „ოხრანკის" ძვირფას და საჭირო აგენტს. დიმიტრი ჯაშს ვხედავთ ჩვენ ყალბი ფულების მომჭრელის და გამსაღებლის ნიჭიერ როლში. დიმიტრი ჯაშმა, როგორც პროვოკატორმა და აგენტმა შეცდომაში შეიყვანა ბევრი გამოუცდელი მებრძოლი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მონაწილეობა მიაღებინა ბომბების გაკეთებაში, დააჭერინა მონაწილენი, გააციმბირა და

თვითონ ამით კიდევ მეტი კაპიტალი შეიძინა ოხრანკის თვალში. ამ გაიძვერა და პოროტი ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მოახერხა „ოხრანკის“ საიდუმლო აგენტობასთან ერთად შეეთავსებია პროგრესიული ადამიანებთან კარგი ერთიანობა, სანამ ამ ვეებერთელა ზღვაში, ისე თავისუფლად მოსავარდე ადამიანი პატარა ღელეს არ დააღრჩო და მისმა ცოლის ძმის ტყვიამ რაღაც კაბიკებისაკენ არ განგმირა...

ლიმ. ჯაშთან შედარებით, ვანო ინაშვილი ბატარა მასშტაბის პროვოკატორია. მაგრამ თავისი ენერგიით ის გავს ჯანს იმდენად, რამდენად ესეც ასერხებს ერთის მხრივ, აქა იქ გასწიოს კიდეც პროპაგანდა ფეოდალების წინააღმდეგ და მეორეს მხრივ, იყოს მთავრობის ერთგული მამასახლისი, რომელიც უბრალო ცნობების გაცემაში ტყავს აძრობს გლეხებს და ლაქიობს მეფის მოხელეებთან. მოწმე ტატიშვილმა დღეს სასამართლოს ეჩვენა, რომ ინაშვილი სტრაფნიკებს ყავდა გადაცემული და მათ ეხმარებოდაო.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეანდრიერიისათვის ძვირფას აგენტები: ჯაშის, ინაშვილისა და ბერბიჭაშვილის მონაწილეობა იმდენად ნათელი იყო, რომ ყველასი დაუჯელობა ადვილად გამოააშკარავებდა „ოხრანკის“ საქციელს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი აგენტი ჯაში გაანთავისუფლა. ჯაშზედ ბევრად არა ნაკლებად ძვირფას ბერბიჭაშვილს შეუქმნა პიროპები ხალხის რისხვისაგან თავის არიდებისათვის და დამალვისათვის, ხოლო ინაშვილს უთხრა გაიქეცი, გააქცია და მოკლა.

გიგლა ბერბიჭაშვილს, რომელსაც დღეს ვასამართლებთ უპატრონოდ აღიზარდა. მას ადრე მოუკვდა მშობლები, ბიძებთან იზრდებოდა, ისინი გიგლას გაზრდას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და გიგლა თვითნება კაცი დაიზრდა. მაგარი მკლავისა და კარგი ჯანის მქონე გიგლა ხან ტყეშია, ხან ქალაქს ჩადის, ნახშირს ყიდის, ხან ქურდობს, ყაჩაღობს და თავს იოლად ირჩენს. 1901 წელს ის სალდათად მიჰყავთ. სამი წლისა და რეა თვის განმავლობაში იწრთვნება თოფის კარგად გასროლაში და 1905 წლისათვის ბრუნდება ის თავის სოფელში, სადაც ყვინჩილაობითა და ავკაცობით თავზარს სცემს მთე-

ლი მაზრის მშრომელ მოსახლეობას. ბან იმდენად შეაწუხა გლეხობა, რომ სოფლის კრებამ განაჩენი გამოუტანა და გაუგზავნა კიდეც ბაბრის უფროსს. ჟანდარმერიამ გაციმბირების მიზნით, დაიჭირა კიდეც ბერბიჭაშვილი, მაგრამ ხანმოკლე ტყვეობის შემდეგ ის თავის აგენტად გაიხადა და გამოუშვა. ბერბიჭაშვილი ცდილობს დაამტკიცოს აქ, რომ ის იყო წითელი პარტიზანი და რომ ის მთავრობამ დაიჭირა, მაგრამ გატეხა ციხე და გაიქცა. აქ ბერბიჭაშვილს პატარა „ლიაპსუსი" მოსდის და როგორც სპარსეთის რევოლუციის წლები არ იცოდა და ამიტომ მოტყუვდა, რომ განაცხადა ეშვანის, რეშტის და თეგერანის აღებაში მონაწილეობა მივიღეო და შემდეგ გადათქვა მხოლოდ იმისათვის, რომ იმ ქალაქების აღება არ დაემთხვა სპარსეთში მისი განცხადებითვე „ყოფნის" ხანას, ეს ასევე შეცდა, როცა რევოლუციის სუსხისა და პოლიციელების დაფრთხობის ხანაში 1905 წლის ბოლოსა და 1906 წლის დასაწყისში მისი დაპატიმრება ახსნა ვითომ და მისი პარტიზანელობით, როცა ნამდვილი რევოლუციონერები და რევოლუციის ლიდერებიც კი თავისუფლად დასეირნობდნენ, რევოლუციით დამფრთხალ მეფის მთავრობის თვალწინ. ხსენებული ხანა იყო ხალხის „პრიგოვორობით" ხალხის შემწუხებელთა და ქურდ-ბაცაცების დაჭერის ხანა და აკი ამ „პრიგოვორში", როგორც საქმეში არსებულ მასალებიდან ჩანს, ჩავარდა კიდეც ავაზაკი ბერბიჭაშვილი, რომელმაც მთავრობისათვის სამსახურის გაწევის შეპირებით და აგენტებით იხსნა თავი.

ბერბიჭაშვილი ცდილობს დაგვარწმუნოს აქ, რომ მას პარტიზანელების წიგნაკი ჰქონდა, რომ ამ წიგნაკს ის სულ ინახავდა 15 წლის განმავლობაში მთელ შავბნელ პერიოდის მანძილზე. რეაქციის ხანაში შენახული, ეს ისტორიული წიგნაკი არ შეინახა მან ესლა, რევოლუციის დროს, როგორც ძვირფასი განძი და სატრაბახებელი დოკუმენტი. ყველაფერი ეს კარგადაა მოგონებული, მაგრამ აქაც ერთი ეშლება.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე: — წითელ რაზმელობის თქვენს მანდატს ვინ აწერდა ხელსო. მან უპასუხა. ხელს აწერდა ნაცვლიშვილი და კობახიძეო.. ამით მან დაამტკიცა, რომ მას არა თუ არ ჰქონია პარტიზანობის მანდატი

და ისიც უნდა არ უტარებია 15 წლის განმავლობაში, არამედ არ უნახავს არასოდეს სავის ხელშიაც კი, თორემ ეცოდინებოდა, რომ პარტიზანელების მანდატს საერთოდ არასოდეს არავინ არ აწერდა ხელს და არც შეეძლო ვინმეს მოეწერა ხელი. არამედ დასმული ჰქონდა სათანადო ბეჭედი. გ. ბერბიჭაშვილი სტყუის აგრეთვე იმაში, რომ ის თითქმის 1907 წლიდან 1919 წლამდე 13 წლის განმავლობაში სპარსეთში იმალებოდა. ეს ტყუილი მტკიცება, ერთის მხრივ, ექსპერტ-პროფესორ ი. აბულაძის გამორკვევით, რომ ბერბიჭაშვილმა სპარსული ენა არ იცის. მეორეს მხრივ, მოწმე ხიჩინაშვილის ჩვენებიდან. საიდანაც სჩანს, რომ 1910 წელს ბრალდებული ბერბიჭაშვილი მის ჩიშნობაში ყოფილა სოფ. მეჯვრისხევში. მესამეს მხრივ, მოწმე წამალაშვილის ჩვენებიდან დასტურდება. რომ ის 1918 წელს ალექსანდროვის ბაღში ყოფილა. ფაღავას ცნობით, ბერბიჭაშვილი შირაქში იმალებოდა და სხვა ბერბიჭაშვილს ეს ტყუილი დასჭირდა იმისათვის. რომ დაეფარა მეფის მთავრობის მიერ მისთვის შექმნილი პირობები: — „აქ დაიმალე. ხალხის რისხვას მოერიდე და ჩვენ არ გდევნითო“.

გ. ბერბიჭაშვილი იმდენად უტიფარია, რომ მან ისიც კი უარყო. რომ ილია ჭავჭავაძის მსახურის ტყვია მოხვდა ფეხში ილიას მკვლელობის დღეს. საჭირო შეიქმნა სპეციალური ექსპერტიზა, რომ მისი სიცრუისათვის ფარდა აგვეხადა, თუმცა ამას წინათ წინასწარ ჩვენებებში და თავის განცხადებებში არ უარყოფდა. ყველაფერ ამის შემდეგ აბა რა გასაკვირველია ბერბიჭაშვილის ყოვლად წარმოუდგენელი მტკიცება იმის შესახებ, რომ მას ილიას შესახებ სრულიად არაფერი გაეგონა, არასოდეს ენახა ილია, მაშინ, როდესაც ილია წლების განმავლობაში მისი სოფლიდან სამ კილომეტრზედ ცხოვრობდა და არა თუ მეზობელი გლეხები იცნობდნენ ილიას. არამედ შორეული კუთხეების და. კერძოდ დუშეთის მაზრის თემ-სოფლების წარმომადგენელი გლეხები ესწრებოდნენ ყოველ წლიურად მოწყობილ ილიობას. დაუჯერებელია. აგრეთვე ისიც. რომ არც მკვლელობის შემდეგ გაუგია ბერბიჭაშვილს რა კაცი იყო ილია. რომელიც მან მოკლა. არც ის გაუგია მას. რომ 1937 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა და მთელმა საბჭოთა კავშირმა ილიას დაბადე-

ბიდან 100 წლისთავი იზეიმა. არ გაუგია არაფერი ეს მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში არც თუ უბრალო ადგილი ეჭირა მას და ერთმა მისმა შვილმა დაამთავრა თბილისში პირველი საშუალო სკოლა, რომელიც მოთავსებულია იმ შენობაში, რომელშიდაც ილია სწავლობდა, ხოლო მეორემ მისმა შვილმა დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მესამე სკოლა...

ილია ჭავჭავაძის მიმართ წარმოებულმა გაცხარებულმა და ხშირად ყალბმა პოლემიკამ, მეფის აგენტების მიერ ილიას სახელის გასატეხად გამოგზავნილმა მოჭორილმა და ცილისწამებლურმა საგაზეთო წერილებმა, შეცდომაში შეყვანილ ზოგიერთ რედაქციისა და ამა თუ იმ ჟურნალისტის დაუშვებელმა კილომ შექმნეს საკმაო არაჯანსაღი ატმოსფერო ილია ჭავჭავაძის ირგვლივ და დაბადეს შესაძლებლობანი ილიას მოსაკლავად ბრმა იარაღის გამოყენებისა. ხიზანიშვილი, ლაბაური, ფშავლიშვილი (აფიციაური) და სხვები სწორედ ასეთი ბრმა იარაღები არიან. მათი დაქირავება და მათი მოსყიდვა ამ ბინძურ საქმისათვის ადვილი შეიქმნა და დასაშვებია, რომ ის კარგი საქმის გაკეთების სახელითაც კი გასაღდა.

დაქირავებული ბანდიტები არიან ხსენებული პირები. მათ არც კი ესმოდათ თუ რა საძაგლობას სჩადიოდნენ და ვის წისქვილზედ ასხამდნენ წყალს.

ამით ვამთავრებ მე ამ ბოროტმოქმედებაზედ და ავაზაკებზედ ლაპარაკს.

ვინ მოკლა ილია და როგორ?!

ჩვენ ზევით მოვიყვანეთ ზოგიერთი საბუთი იმის ნათელსაყოფად, თუ რა საშიშ პიროვნებად თვლიდა მეფის ჟანდარმერია საქართველოს „უგვირგვინო მეფეს“ ილია ჭავჭავაძეს. „ოხრანკამ“ ილიას ფიზიკურად მოსპობის ადგილობრივ ორგანიზაცია დაავალა ჯაშს, ინაშვილსა და ბერბიჭაშვილს. მკვლელობის აქტის მოხდენის შემდეგ არც ერთი ამათგანი საბრალმდებო სკამზე არ დასვა, არ გაასამართლა. ნამდვილ დამნაშავეების და, უმთავრესად ოაეისი თავის, ე. ი. ჟანდარმერიის, მონაწილეობის დასაფარავად, კვალის ასაბნევად

მკვლელობის ძებნის ობიექტად გურია გახადა. ძიება თვალის ასახვევად ჩოხატაურში გადაიტანა. ილიას მოკვლის შემდეგ ერთი დღეც არ გასულა, გამოძიება ჯერ არც დაწყებულა და არც არავინაა დაჭერილი, როცა თბილისის გუბერნატორი დეპეშით ატყობინებს კანცელარიას პეტერბურგში შემდეგს:

„30 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე, საგურამოდან ოთხ ვერსზე დუშეთის მაზრაში ოთხ ბოროტმოქმედმა თოფიდან გასროლით მოკლეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია. დაჭრილია კონდახით თავში თავადის მეუღლე. ყველანი გაძარცული არიან. მიღებულია სასწრაფო ზომები, ნაგულისხმევია, რომ თავადი მოკლულია ადგილობრივი გლეხების მიერ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია“.

კომენტარები ზედმეტია, გუბერნატორმა წინასწარ იცოდა ვის უნდა მოეკლა ილია და ვისთვის უნდა დაებრალებია ეს საზიზღარი საქმე. მეფის მთავრობას უნდოდა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა, ერთის მხრივ, საშიში პიროვნება ილია ჭავჭავაძე მოეკლა და, მეორეს მხრივ, ამ მკვლელობით ხელიც მოეთბო და პარტიები და ცალკეული პირები ერთმანეთისათვის გადაეკიდებია. მაგრამ, მიუხედავად დროებითი და მოჩვენებითი მიღწევებისა, ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ვერც ერთ მიზანს მიაღწია და ვერც მეორეს. — ილია არასოდეს მოკვდება და ფიზიკურად ილიას მოსპობის ნამდვილი სახე გამოაშკარავებულია, საზიზღარი ქმედობა ნიღაბახდილია. ცარიზმის საზიზღარ ინსტიტუტიდან დარჩენილი ერთი აგენტ-თაგანი, რომელიც იმდენად მოხერხებული და გაქნილი აღმოჩნდა, რომ 1922 წელს შესძლო პარტიის მოტყუებაც კი და პარტ-ბილეთი მიიღო. ივი დღეს საბრალმდებლო სკამზე ზის. ამ საზიზღარ ადამიანს კარგად ესმის, თუ რა დანაშაულია პარტიის მოტყუება, თავის წარსულის დამალვა და ამიტომ იყო, რომ დაპატიმრების პირველ ხანებში ასე უტიფრად უარყოფდა თავის რაიმე მონაწილეობას ილიას მკვლელობის საქმეში.

მაგრამ შემდეგ, როცა ეს მეორე ტყუილი არ გაუვიდა, ეხლა იძახის: — მე მარტო თავს იმაში ვგრძნობ დამნაშავედ, რომ 1922 წელში, როცა მანდატის მიღება მინდოდა, პარტიას დავუმალე ჩემი წარსული. **მხოლოდ მეორე თავის საზიზღარ საქმეს. დიდი ილიას მოკვლას ეხლაც არ ნანობს,** ეგ შუბლგარეცხილი ჯიუტი, უტიფარი კაცუნა. მეფის ოხრანკის საზიზღარი აგენტი აგენტათვე რჩება და სინდისის ქეჯნას ოდნავადაც არ განიცდის. ხელსაყრელ პირობებში, როგორც აქ ბევრმა დაადასტურა, ტრაბახობდა კიდეც: „აი ამ მარჯვენამ ჩააძაღლა ილია ჭავჭავაძე"-ო.

ბრალდებულ ხიზანიშვილმა, ინაშვილმა და ლაბაურმა 1908 წელს სასამართლოს უჩვენეს: პირველად ილიას ტყვია ბერბიჭაშვილმა ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრაო, ეხლა ეს ავაზაკი, რომელიც მუდამ დროის შესაფერისად მოქმედებს და ლაპარაკობს, სტყუის და უტიფრად აცხადებს:—მე ძალით წამიყვანეს ჭავჭავაძის მოსაკლავად, მაგრამ ტყვია მისთვის პირდაპირ არ მისროლია, ჰაერში ვისროლეო... ილიას მოკვლის შემდეგ მისი სათვალეები და კოლოფი, რომელშიდაც ბეჭდები და ღილები იყო, ავიღე და ინაშვილს მივაწოდე ჯაშისათვის გადასაცემადო, განა ეს ვისმეს რამეს მიაწოდებდა...

ფაქტიურად ამ ყველაზედ უკეთესი მსროლელის ბანდიტ ბერბიჭაშვილის ტყვია მოხვდა ილიას გულში, ამავე ბანდიტმა ჩამოგლიჯა საყურეები ყურებიდან ილიას მეუღლეს ოლგას და კონდახით გაუტეხა თავი მას და ცხრა ჭრილობა მიაყენა თავის არეში. აქ კი აცხადებს: — თავი ვინ გაუტეხა არ დამინახავსო-ო, სათვალეები დაინახა და აიღო, რომელიც იქვე ეტლთან ეგდო და ეტლში მჯდომ ქალს თავში კონდახი ვინ დაარტყა—ვერ დაინახა, რაც მან ჩაიდინა ის ვერ დაინახა. დაუჯერეთ ეხლა ამ ბანდიტს, რომ მას ძალით მიაღებინეს მონაწილეობა, სხვისი დამშინებელი თვითონ დააშინეს და ამხანაგებმა აქაოდა არ გამლახონ. მხოლოდ ამიტომ ვესროლე ტყვია და ისიც ჰაერში. ჯერ კიდევ 1908 წ. ხიზანიშვილმა და ლაბაურმა სცნეს რა თავი დამნაშავედ, განაცხადეს: — თავადი ილია ჭავჭავაძის ცოლი იჯდა ეტლში, მაგრამ როცა მას

ბერბიჭაშვილმა გაარტყა კონდახი, იგი დაეცა ეტლზე. ამის შემდეგ ჩემოდანი წაიღო ფშავლიშვილმა, მანვე, ბერბიჭაშვილმა, თავადის ცოლს ოლღას ყურეებიდან მოგლიჯა საყურე, თითებიდან წააძრო ბეჭდები".

გარდა ამისა ბრალდებულ ინაშვილმა ბოქაულ მარკოვიჩთან საუბარში 1908 წელს განაცხადა: მე, დუშეთის მაზრის უფროსის განკარგულებით, ქ. თბილისში დავაპატიმრე სოფ. ახალციხის მცხოვრები პავლე ფშავლიშვილი, რომელიც მე თვითონ სტრაჟნიკებთან ერთად წავიყვანე, — აცხადებს ბოქაული მარკოვიჩი. ქ. დუშეთში, სადგურ წილკანში კერძო წესით დაკითხეს ფშავლიშვილი მცხეთის საგუშაგოს სტრაჟნიკის გიგო გაბარაშვილის თანდასწრებით. ამ დროს ფშავლიშვილმა ძიებო შემდეგი: შარშან მან სოფ. ახალსოფლის მცხ. ვანო ინაშვილთან, სოფ. არაბანში მცხოვრებ გიგლა ბერიჭაძვილთან, იგივე თანდილაშვილთან, გადასწყვიტეს მოეკლათ თავადი ჭავჭავაძე, რის გამოც ისინი მოგროვდნენ სოფ. წიწამურთან ახლოს და იცოდნენ რა, რომ თავადს უნდა გამოეელო გზაზე, ჩასაფრდნენ ბუჩქებში, როცა კი გაძოინდებოდა თავად ჭავჭავაძის ეტლი. რამოდენიმეჯერ მოისმა გასროლა და მან დაინახა, რომ მისკენ მორბოდნენ ინაშვილი, ბერბიჭაშვილი და იმერელი. ერთ-ერთ მათგანს ეჭირა სელში ჩემოდანი. სასელდობრ, ვის. ეს არ მახსოვს, შემდეგ ყველა ისინი წავიღნენ ზედაზენის გზით სოფ. ავჭალაში. ფშავლიშვილმა მე მეტი არაფერი არ მაჩვენა, ხოლო ქ. დუშეთში ჩასვლისას მან ზუსტად განუმეორა თავის ჩვენება პოდპოლკოვნიკ სტროევს. რომელმაც დაჰკითხა იგი მაზრის უფროსის თანაშემწის თავად ფალავას თანდასწრებით. რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფ. ახალსოფელში დაკავებული იქნა სოფ. წიწამურის მცხოვრები ხიზანიშვილი. რომელიც მცხეთაში ჩამოყვანისას დაკითხული იქნა ჩემს მიერ სოფ. მცხეთის მცხ. გარსევანოვის, მილიციის ურიადნიკის ფარესოვისა და სტრაჟნიკის თანდასწრებით. რომლის დროსაც მან მაჩვენა შემდეგი:

— ეს იყო მგონი აგვისტოს თვეში. სოფ. წიწამურში ვანო ხიზანიშვილის სახლში მივიდნენ ვანო ინაშვილი, პავლე ფშავლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი. აქ მათ ისაუზმეს. ინაშვილმა სთქვა, რომ უნდა მოეკლათ თავადი ჭავჭავაძე. იმის გა-

მო, რომ იგი ავიწროებს გლეხებს მიწის მხრივ. მთელი ღამე ისინი ისხდნენ წიწამურში. შემდეგ კი დილით ადრე ყველანი წავიდნენ ტყეში და ჩაუსაფრდნენ... მოისმა რამოდენიმეჯერ სროლა და როცა ჭავჭავაძე გადმოვარდა ეტლიდან, იმავე დროს ბუჩქებიდან გამოცვივდნენ ინაშვილი, ფშავლიშვილი, ბერბიჭაშვილი. მათში ბერბიჭაშვილი მივარდა თავადის მეუღლეს, გაარტყა მას თოფის კონდახი თავში, რის გამო ქალი დაეცა. თავადის თანამგზავრმა, მისმა ლაქიამ, ისროლა ერთხელ და გაიქცა ბუჩქებისაკენ, ყველა ისინი გამოეკიდნენ ლაქიას და ბუჩქებში რამოდენიმეჯერ მოხდა გასროლა. შემდეგ, როცა ისინი ბუჩქებიდან გამოცვივდნენ, ბერბიჭაშვილი მივარდა თავადის ცოლს და ყურიდან მოჰგლიჯა მას საყურე, ხოლო ინაშვილმა წაიღო თავადის საათი, შემდეგ ისინი გაიქცნენ ბუჩქებისაკენ და როცა მათთან მივიდნენ, მათ ხელში ეჭირათ ჩემოდანი, მაგრამ ვის ეჭირა ეს მას, ხიზანიშვილს. არ ახსოვს. შემდეგ გაემართნენ ზედაზნის გზით, ფშავლიშვილი შეიარაღებული იყო სახაზინო ნიშნების რევოლვერით ე. ი. იმ რევოლვერით, რომელიც მოტაცებული იქნა თავად ჭავჭავაძის მოურავის მოკვლისას. ინაშვილს და ბერბიჭაშვილს ჰქონდათ ბერდანის თოფები.

ხიზანიშვილის ჩვენება მე შევიტანე მოკვლევის ოქმში, ხოლო ფშაველიშვილის ჩვენება ოქმში არ შემიტანია, ვინაიდან იგი მე დავკითხე გზაზე კერძო წესით. ფშავლიშვილისა, ინაშვილისა და ბერბიჭაშვილის ძებნას მე ვაწარმოებდი დუშეთის მაზრის უფროსის წინადადებით, რომელიც ემყარებოდა ბ-ნ თბილისის გუბერნატორის მოწერილობას. მოწერილობაში მე წინადადება მეძლეოდა მემოქმედა არა მარტო მაზრის, არამედ გუბერნიის ფარგლებში. გარდა ამისა, მე ვაწარმოებდი ხიზანიშვილისა და ფეიქრიშვილის დაძებნას, რომლებიც მონაწილენი იყვნენ ებრაელ თავაქაშვილის ძარცვაში სოფ. ზაქარაში და სოფ. ნავდარიანკარში მცხ. ანტონ ნავდარაშვილის სახლზე ყაჩაღურ თავდასხმაში. თბილისში ჩასვლისას ჩემთან მყოფ კერძო აგენტების მითითებით, ჩემს მიერ დაპატიმრებულ იქნა მაზმანაშვილი, რომელიც გამოტყდა რა ზემოდხსენებულ დანაშაულთა ჩადენაში, თავადი ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე მიამბო შემდეგი: კარსის ციხიდან იგი

ჩამოვიდა ქ. თბილისში, სადაც შეხვდა ფშავლიშვილს, რომელმაც უთხრა მას, რომ თავად ჭავჭავაძის მკვლელობა ჩაიდინა მან ინაშვილთან და ბერბიჭაშვილთან ერთად, თანაც მან პორტმანიდან ამოიღო და აჩვენა მას გატეხილი ოქროს სათვალეები, ხოლო იქვე მყოფმა ფეიქრიშვილმა წინადადება მისცა ფშავლიშვილს გადაეცა ეს სათვალეები თავის დისთვის, უკანასკნელი კი სათვალეებს გადასცემს ხელოსანს, ხელოსანი კი გააკეთებს ბეჭედს...

მისივე მითითებით დავაპატიმრე ფშავლიშვილი და ფეიქრიშვილი. როცა პატიმრები მიმყავდა მცხეთაში, ფეიქრიშვილმა მითხრა მე. რომ ფშავლიშვილმა მას უთხრა, რომ თავადი ჭავჭავაძის მკვლელობა ჩადენილია მის მიერ ინაშვილთან და ბერბიჭაშვილთან. ფეიქრიშვილი ჩავაბარე დუშეთის მაზრის უფროსს.

დაკითხული იქნა აგრეთვე სტრიჟევი. 1908 წლის 28 მარტს, რომელმაც ძიებას უჩვენა:

მე. ივანე მაქსიმეს ძე სტრიჟევი. 44 წლის. სანაპირო დაცვის ზაამურის ოლქის ცალკე კორპუსის პოდპოლკოვნიკი მოვლინებული მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კავკასიაში მოადგილეს განკარგულებაში. დუშეთის მაზრის უფროსი მოვ. აღმსრ. მართლმადიდებელი. სასამართლოს და გამოძიების ქვეშ ვყოფილვარ. თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე გიპასუხებთ შემდეგს:

1908 წ. 10 თებერვალს დაპატიმრებულ ლადო ჩირიკაშვილმა (იგივე ფეიქრიშვილმა) აჩვენა. რომ იგი ცხოვრობს თბილისში. ნაძალადევში, ნადიროვას მამულში. როცა მოვიდა ჩემთან ფშავლიშვილი. იმ დღეს მე ვიყავი დუქანში. სადაც ვსაუზმობდი. მე მას ვკითხე. — საიდან მოდი მეთქი. მითხრა, რომ განჯიდანო. მე ის მაშინ ჩემთან წავიყვანე დასაძინებლად. როცა ღამე სტრაჟნიკები მოვიდნენ მის დასაპატიმრებლად. მე ვკითხე მას.—რა საქმე ირიცხება შენზე მეთქი, რათ დამღუპე მეთქი, მან მიპასუხა: „ალბათ მე დამიჭირეს ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზეო“. მაშინ მე ვკითხე. მაშ. შენ მონაწილეობა მიგიღია; მან მითხრა—„კი“. მე ვკითხე.—სხვები ვინ იყვნენ. მან მიპასუხა. ჩემთან იყვნენ გიგლა ბერბიჭაშვილი. ვანო ინაშვილი.

პავლე ფშავლიშვილმა (იგივე აფცალაურმა) აჩვენა: ბერბიჭაშვილი, ინაიშვილი და ერთი იძერელი ხემსვდსეს და წიხადადება ბომცეს წავეოლოდი მათ საგურამოდი ქავქავაძის მოსაკლავად. „წავიდეთ ერთად, თუ არ წამოხვალ—შენ მოგკლავთო“ და მეც წავედი. მცხეთაში ჩავედით საბარგო მატარებლით, ძემდეგ ფეხით წავედით, როცა მათ ჩაიდინეს მკვლელობა. მე რომ მესროლა ვალიარებდი, ვინაიდან, რომ რაკი მკვლელებთან ვიყავი ვისროლე,თუ არ ვისროლე, სულერთია სასჯელი

ერთი და იგივეა, როცა მე მითხრეს ილია ჭავჭავაძე მოვკალიო.

გარდა აღნიშნული პირებისა თავად ჭავჭავაძის მკვლელობაზე ჩემს მიერ დაკითხული იქნა 18 თებერვალს ფილიპე მაძმანაშვილი, რომელიც ადასტურებს 17 თებერვალს მისი ბოქაულ ბარკოვიჩისათვის მიცემულ ჩვენებას, რომელი ჩვენებაც ამ ბაქოელმა ჩაწერა განცხადების ოქმში. მაძმანაშვილის სიტყვით, იგი ნოემბრის თვეს გამოიქცა ვიატკის გუბერნიიდან, ჩამოვიდა თბილისს, ის შეხვდა თავის ნაცნობებს: პავლე ფშავლიშვილს და ლადო ფეიერიშვილს, რომლებმაც მას უთხრეს, რომ მათ ვანო ინაშვილთან, გიგლა ბერბიჭაშვილთან და თომა ხიზანიშვილთან, იცოდნენ რა, რომ თავად ჭავჭავაძეს უნდა ჩამოევლო თავის მამულისაკენ, მოაწყეს ჩასაფრება სოფელ წიწამურთან ახლოს, სადაც ელოდებოდნენ რამოდენიმე დღეს, ხოლო, როცა თავადი თავისი ცოლით და ლაქიით მიემგზავრებოდნენ, მათ აუტეხეს სროლა. მოჰკლეს თავადი და ლაქია. ბერბიჭაშვილი ლაქიის მიერ დაჭრილი იყო ფეხში, თან სთქვა ფშავლიშვილმა თავადის ოქროს სათვალეები აჩვენა მაძმანაშვილსაო. ფეიერიშვილმა უთხრა პავლე ფშავლიშვილს მომეცი მე სათვალეები, მათ გადავსცემ ჩემს ცოლს, უკანასკნელი ამ სათვალეებიდან ბეჭედს გააკეთებსო. როცა მაძმანაშვილმა ჰკითხა მას, თუ რატომ მოჰკლეს თავადი, უპასუხებს, რომ მან გლეხებს ჩამოართვა სახნავი მიწა, გარდა ამისა მაძმანაშვილმა განაცხადა, რომ თავადისაგან წამოღებული „მაუზერის“ სისტემის რევოლვერი ინაშვილმა წაიღო. შემდეგ მაძმანაშვილმა მე პირადად მელაპარაკა, რომ თუ მას გამოუშვებენ, შეუძლიან მოსძებნოს ინაშვილი და ბერბიჭაშვილი, რომ ბერბიჭაშვილი იმალება თბილისში, ხოლო ინაშვილი განჯაში გაემგზავრაო.

აკრეთვე იგივე ფაღავა 1908 წელს თავის მოხსენებაში მიწერილ წერილში თბილისის გენერალ გუბერნატორის სახელზე სწერდა, რომ საიდუმლო ცნობები აქვს. რომ „წერალი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი არიან დიმიტრი ჯაში, ბერბიჭაშვილი და სხვები.

ბერბიჭაშვილი წინათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობით ტრაბახობდა და ამ სახიზღარ საქმეს თავის რევოლიუციონურ წარსულად თვლიდა. მაგრამ მის „ძემდეგ. რაც ილიას „შესახებ იწყება გარდატეხა მის შეფასებაში ბერბიჭაშვილი სდუმს.

თუმცა საკმაოდ და დიდი რაოდენობის ადამიანები კიდევ დაადასტურებენ, რომ ბერბიჭაშვილი ხშირად ლაპარაკობდა და ტრაბახობდა, რომ ამ მარჯვენამ ჩააძაღლა ილია ჭავჭავაძეო. სასამართლოზე შეკრებილი მასალები და ამ მიმართულებით ჩვენებანი საკმარისია.

ტატიშვილი გიორგი (ვანო) ალექსის-ძე თავის მოგონებაში 1937 წ. სასამართლოს პროცესზე მოგვითხრობს:

„თუ ვინ მოკლა ილია და ვინ შეახო თავისი მურტალი ხელები. მე მის კვლევა-ძიებას შეუდექი, შევქენი ხუთი კაცისაგან კვლევა-ძიების კომისია.

შეკრებილი მასალებიდან სინამდვილეში დადასტურდა შემდეგი:

ილია ჭავჭავაძის მოკვლის მთავარი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ილიას ახლად მოყვანილი მოურავი დიმიტრი ჯაში. მკვლელობაში მონაწილეობა მიეღოთ ოთხ კაცს: ვანო ინაშვილს, როგორც ჯაშის მოსყიდულს, მეორე პავლე ფშავლიშვილს, მესამე გიგლა ბერბიჭაშვილს, მეოთხე გიორგი ხიზანიშვილს, მეტი სახელით ლომა...

მოკვლის დროს წაეღოთ ილიას ოქროს საათი, ქაღალდის ფული 600 მანეთი, ვერცხლის ფული 100 მანეთი, ფეხსაცმელები და ჩემოდანი ქაღალდების; ილიას ლაქია იაკობ თარაშვილის, რომელიც იქ მოკლეს, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ვერცხლის საათი და რევოლვერი ჟანდარმის სისტემისა. მოურავი ჯაში თურმე გზაში ელოდა. როცა გაეგო ილია მოკლეს, ცხენით გაქანებულიყო, მკვდარი ილიას ჯიბეებიდან ოთახის გასაღები ამოეღო, საგურამოში ცხენით გაქცეულიყო,

ყველა ოთახების კარებები გაეღო და ძვირფასი ნივთები და საიდუმლო ქაღალდები გამოეტანა, შეუხვევია და სოფელ ჯიღაურში ნათესავ მახარაშვილებთან ცხენით გადაუტანია.

არც თვით ბერბიჭაშვილი უარყოფს მკვლელობის ფაქტს და გამოძიებას უჩვენებს, რომ:

„1907 წ. თვე და რიცხვი არ მახსოვს, ზაფხულში მე ქალაქში მივდიოდი ჩემი სოფლის ახატნის ტყიდან, სადაც საერთოდ ვიმალებოდი, ქალაქში უნდა მეყიდა ტანსაცმელი და ჩუსტები. როდესაც კამარის ხევთან მივედი, გზის პირიდან ვიღაცეებმა გადმომძახეს „მობრუნდიო". მეც მივბრუნდი და ვნახე, რომ ორი მათგანი პავლე ფშავლიშვილი და სანდრო ხიზანიშვილი იყვნენ ჩემი ნაცნობები, მესამე კი უცნობი პიროვნება იყო და, როგორც შემდგომ გავიგე, იყო ლადო ფეიქრიშვილი... მე მათ წამიყვანეს ტყე და ტყე და ამიყვანეს საგურამოს ტყეში ილია ჭავჭავაძის საბლის მახლობლად, იქიდან ხიზანიშვილი დაეშვა გურამიაანთ კარში და რამოდენიმე ხნის შემდეგ ამოიყვანეს დიმიტრი ჯაში, ვანო ინაშვილი, თედო ლაბაური და თან ამოიყვანეს თერთმეტი გლეხი. დაიწყეს აგიტაცია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ჯაში და ინაშვილი მოგვიწოდებდნენ. რომ უნდა მოისპოს თავადი ილია ჭავჭავაძე, თორემ გლეხებს არ გაახარებს.

ამ ტყეში გადავწყვიტეთ ი. ჭავჭავაძის მოკვლა, რაზედაც შევეკითხეთ მეეტლე ლაბაურს, თუ როდის ამოიყვანდა იგი თბილისიდან ილია ჭავჭავაძეს. ლაბაურმა მისცა დასტური. რომ ილიას ამოიყვანდა ხვალ ე. ი. მეორე დღეს, ამის შემდეგ გლეხები წავიდნენ, ხოლო ჩვენ კი: მე, ფშავლიშვილი, ხიზანიშვილი და ფეიქრიშვილი დავრჩით იმ ღამეს ტყეში. ინაშვილი, ჯაში და ლაბაური კი წავიდნენ სოფელში. მეორე დღეს ამოვიდნენ ჯაში და ინაშვილი. ინაშვილმა მე ამომიტანა რევოლვერი № 12. ნაშუადღევს დაახლოებით სამ საათზე გაგვიძღვა წინ ინაშვილი და ჩამოგვიყვანა წიწამურის გზის პირზე, სადაც ჩავსაფრდით დაბურულ ტყეში. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ეტლის ხმა და როდესაც მოატანა ჩვენს მახლობლად ლაბაურმა შეანელა ცხენების სიარული, როდესაც ჩვენთან ეტლი მოახლოვდა. პირველად „ბერდენკიდან" ხიზანიშვილმა ესროლა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც გადმოვარდა ეტლიდან,

შემდეგ ესროლა ფეიქრიშვილმა და როდესაც ლაქია იაკოფამ ამოიღო რევოლვერი, მაშინ — მე ბერბიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ინაშვილმა ვესროლეთ იაკოფას, რომელიც იქვე, ჯაგებში გადავარდა, და მოკვდა.

მკვლელობის შემდეგ მე ავიღე ოქროს სათვალეები და კარობკა, რაშიდაც იყო 5 ოქროს ბეჭედი, ფეიქრიშვილმა ამოიღო ჩემოდნიდან ოქროს საათი. ხიზანიშვილმა წაიღო ბოხჩა. სადაც იყო ტანსაცმელები. ყველაფერი ეს ავიტანეთ იმ ტყეში, საიდანაც წამოვედით და იქ ჩაიპარა ინაშვილმა".

არც სასამართლო პროცესზე უარყო ბერბიჭაშვილმა ჩადენილი დანაშაული, დაადასტურა თავისი მონაწილეობა დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის და სახალხო მოღვაწის მკვლელობაში...

სასამართლოს პროცესზე ბრალდებული ბერბიჭაშვილი აცხადებს „თავი გადამერჩინა და თუგინდ ხუთ კაცს მოვკლავდიო".

ამგვარად, 30 აგვისტოს ნაშუადღევის ღაახლოებით 1 საათზე, წიწამურში საგურამოდან ოთხ კილომეტრის მანძილზე მეფის „ოხრანკი"-ს აგენტებმა მოკლეს ილია. ამ დიდბუნოვან ადამიანს ტყვიით განუგმირეს თავის სამშობლოსმოყვარული გული და მაღალი სპეტაკი შუბლი. კონდახით გაუტეხეს თავი ილიას მეუღლეს ოლღას, მოკლეს ილიას მოყვარული მსახური იაკობი, ავაზაკებმა გაძარცვეს მოკლულები და მიიმალნენ. დაგლოვდა ქართველი ერი. ხელიდან გამოეცალა მისი მოჭირნახულე, მოკლეს გლეხებისა და ახალგაზრდობის მოამაგე. მოყვარული, ჩვენი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ადამიანი. რომელიც ეუბნებოდა ყველას: „კაცად მაშინ ხარ ნაქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველდღესა შენთავს ჰკითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე".

მოკლეს ის ფიზიკურად, მაგრამ განსვენებულის სიტყვებით, რომ სთქვა:

„არ არის მკვდარი. ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვდრათ იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია"...

ილია ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს ვიდრე ჩვენი ქვეყანა ცოცხლობს. მადლიერი ქართველი ერი სასტიკ პასუხს აგებინებს მას, ვინც ფიზიკურად მოუსპო ჩვენს ქვეყანას თავისი საამაყო შვილი.

მე ვამთავრებ, დასასრულს მინდა დავსვა რამდენიმე საკითხი. როგორც წინასწარ გამოძიებამ და სასამართლოს პროცესმა დაამტკიცა, ილიას მკვლელობაში ყველა ბრალდებულს ერთნაირი ხარისხისა და სიმძიმის დანაშაული არ აქვს ჩადენილი.

დამტკიცებულია, რომ ბოროტმოქმედთა ერთ ჯგუფს, სახელდობრ ჯაშს, ინაშვილს და ბერბიჭაშვილს, როგორც მეფის ოხრანკის" საიდუმლო აგენტებს, შეგნებულად და შეღეგის გათვალისწინებით ჩადენილი აქვთ მეტად მძიმე დანაშაული. ხოლო ხიზანიშვილს, ლაბაურს, ფშავლიშვილს, ფეიქრიშვილს და სხვებს დანშაული ჩადენილი აქვთ, როგორც ბრმა დაქირავებულ ბანდიტთა ხროვას. დამტკიცებულია ბრალდება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მე-13 ნიშნით ბრალდებულ ბერბიჭაშვილის მიმართ. დანარჩენ ბოროტმოქმედთა ქმედობაც დამტკიცებული და ნათელია, მაგრამ ვინაიდან ისინი ცოცხლები არ არიან, ამიტომ მათთვის სასჯელის განსაზღვრისათვის არაფერს ვამბობ.

ბრალდებულ ბერბიჭაშვილის მიმართ ბრალდება დამტკიცებულია თვით ბრალდებულის და მოწმეთა ჩვენებებით, როგორც წინასწარი გამოძიებით, ისე სასამართლოს პროცესზე.

დამტკიცებულია ბრალდება, აგრეთვე სამედიცინო და სხვა ხასიათის ექსპერტიზებით, დამტკიცებულია ბრალდება სასამართლოზე წარმოდგენილ ნივთმტკიცებებით და 1907—1908, 1909 და სხვა წლების საარქივო მასალებიდან ცნობებისა და დამამტკიცებელი დოკუმენტების ამოკრეფით.

დადასტურებულია, აგრეთვე, რომ ბერბიჭაშვილი მოტყუებით შევიდა 1922 წელს პარტიაში, წინასწარი განზრახვით დაუმალა პარტიას თავისი ბინძური წარსული. დადასტურებულია, აგრეთვე ისიც, რომ ბერბიჭაშვილს დღესაც არ უნ-

და შეიგნოს, ილიას მოკვლის ბრალდების სიმძიმე და არც გულახდილია პარტიისა და საბჭოთა სასამართლოს წინაშე.

ბრალდებულ ბერბიჭაშვილის ბრალდება დამტკიცებულია 1907 წლის, 1908 წლის და 1909 წლის ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ და გასამართლებულ პირთა ჩვენებებით.

ამრიგად, ბრალდებული გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის მიმართ, ბრალდება გათვალისწინებული ზემო დასახელებულ მუხლით სავსებით და მთლიანად დამტკიცებულია.

სასამართლოს აქვს ყველა მასალა და სრული შესაძლებლობა თავის განაჩენში ჩაწეროს, რომ ბრალდება ბრალდებულ ბერბიჭაშვილის მიმართ გათვალისწინებული ს. ს. კ. 58 --- 13 მუხლით დამტკიცებულია.

ზემოთ აღნიშნულისა გამო ისმება კითხვა: — რა სასჯელის ღირსია ბრალდებული ბერბიჭაშვილი, ამ კითხვაზე საბჭოთა სასამართლოს უეჭველია ერთი პასუხი ექნება, ეს პასუხი იქნება სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება დ ა ხ ვ ‘ რ ე ტ ა...

მე. როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ვთხოვ სასამართლოს გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილს მიუსაჯოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა...

სიტყვები წარმოთქმული
ლიტერატურული გასამართლებების დროს

აკაკი წერეთლის სიტყვა,

წარმოთქმული ლიტერატურული გასამართლების დროს, ა. ი. სუმბათაშვილის პიესის „ღალატის“ გმირის ზეინაბის დასაცავად [1]

ბატონო მსაჯულებო!

დამნაშავეთა სკამზე ზის და მოელის თქვენგან გასამართლებას. ერთ დროს: საქართველოს დედოფლად ყოფილი თამარ და შემდეგ კი ზეინაბად გადაქცეული. წოდებული აღმოსავლეთის ვარსკვლავად და თანამეცხედრე ძლევამოსილ სულეიმან ხანის ოცი წლის განმავლობაში. — ბრალმდებელისა არ იყოს, თუ ჩვენც ისე შევხედავთ ზეინაბს. როგორც ჩვეულებრივ დედოფალს და უბრალო ქალთა სქესის წარმომადგენელს, რასაკვირველია. საზიზღარი იქნება ჩვენს თვალშიაც: ქალს მოუკლეს ქმარი, ქმარი—ძეფე. გაუსრისეს შვილი—შვილი ტახტის მემკვიდრე (სულეიმანს ხომ ეგონა?). აუოხრეს სამეფო. ახადეს დედოფლობა და გაიხადეს მონად — ხასად და ისიც ამდენ შეურაცხყოფას არა თუ იტანს., თვით სულეიმანსაც კი ამეტებს სიმკაცრეში და განცვიფრებაში მოჰყავს მტარვალი. მეტყვიან სიყვარულიო? სიყვარულს ყოლიფერი შეუძლიაო... —დიახ. მაგრამ სიყვარული ორგვარია: ხორციელი და სულიერი. და თუ ხორციელი სიყვარულით არის გატაცებული თამარი, მართლა რომ საზიზღარია და არც არის გასამართლებელი!.. მაგრამ ამას ჩვენ უნდა შევხედოთ სულ სხვა თვალებით

---

[1] ეს სიტყვა აღმოაჩინა სახალხო პოეტმა ი. გრიშაშვილმა. როდის არის წარმოთქმული სიტყვა დადგენილი არ არის. გადმოღებულია აკაკი წერეთლის თხუზულებათა სრული კრებულის X ტომიდან (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959 წელი, გვ. 447—451).

და ამისათვის მივმართოთ ჩვენ წინაპრებს, გამოვიკვლიოთ მათი წარსული, გავითვალისწინოთ ისტორია....

როცა რომელიმე ცხოვრების მოვლენებსა გონებით ვეღარ მივსწვდებით, ის ყოველთვის საკვირველება, სასწაული გვგონია და ერთი ამგვარი საკვირველება მიუძღვის ჩვენს ისტორიას: VIII საუკუნიდან რომ მსოფლიო სარბიელზე არაბები გამოვიდნენ, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ მაჰმადიანობას და მთელ საქრისტიანოს გაავლეს მუსრი... მაშინ შემოესიენ ყოველის კუთხით საქართველოსაც; ამ პატარა საქრისტიანო სამეფოს აზიაში, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდენ, მაგრამ ვერ შემოიტანეს ისლამი საქართველოში! ხალხი ხმლით და ჯვარით ხელში, მომგერებლად გასული საზღვრის პირებად თავსა სდებდა სამშობლოსათვის სიტყვით: „პირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“

ბევრი გასაჭირი აუტანიათ, ცხოვრების ხეს ბევრჯერ შტოები დაცვენია, მაგრამ ფესვი კი მაინც არ გამხმარა და ამოუყრია და გაახლებულა საქრისტიანო სამეფო. საკვირველებად მიაჩნდათ ეს მაჰმადიანებს და ქრისტიანებს შორის განსხვავებულად ისსენიებდნენ ქართველებს, როდესაც ქრისტეს საფლავი ჩაიკვდეს ხელში, ყოველ-გვარ ქრისტიანებსა ჰქონდათ აკრძალული იერუსალიმში შესვლა უბაჟოთა და იარაღით, გარდა ქართველებისა. ქართველები კი იარაღ აუყრელნი უბაჟოდ წითელ ბაირახით (?) შედიოდენ ქალაქში, აი როგორ ამსხვავებდენ თვით მტრებიც კი ქართველებს მათის საოცარის ვაჟკაცობისათვის!

დიდი იყო მათი ისტორიული მნიშვნელობა და ეს მნიშვნელოვანი ეკუთვნოდათ მარტო მამაკაცებს, თუ ღედაკაცებიც ერიენ მათში?

თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო ... ისინი არიან თავის ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტარიისის, და

იმ ზემო მოყვანილ ისტორიულ საოცრებაში არა თუ წილი უძევსთ ჩვენ დედებს, კიდეც აკარბებენ მამაკაცებს... ისინი იყვნენ მათი აღმზრდელები; უხსოვარი დროიდანვე, ჯერ კიდევ კერპობის დროს სახელგანთქმული იყვნენ ქართველი ქალები, მაგალითად: მედია მთელი საბერძნეთისაგან გრძნეულად მიღებული და ლეგენდარული პირი, და ქრისტიანობამ მთლად დააგვირგვინა ქართველთა ქალის უფლება.

საქრისტიანო ლეგენდა გვეუბნება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრიაო!

ქრისტიანობა ქალმა შემოიტანა საქართველოში... წმინდა ნინომ მოჰფინა ნათელი, ტახტი აამაღლა ქალმა. მეფემ და მოწამეთა გუნდი გაანათლა ქალმა, ქეთევან დედოფალმა და ამ სამთა ზექალთა მაგალითი, შარავანდსა ჰფენდა ქართველ ქალებს, და ჩვენ დედებსაც ღირსეულად ეჭირათ დროშა. დედის რძესთან ერთად თან აწოვებდენ რჯულისა და ეროვნობის სიყვარულს. აკვანს რომ ურწევდენ მამა-პაპათა საგმირო საქმეებს უმღერდნენ და მით აჩვევდნენ საგმირო საქმეებს და ვაჟკაცობის დროს და ძმას ამხნევებდა, ცოლი ქმარს და დედა შვილს. ასე რომ მანქანად იმ საკვირველებისა, რომელიც ჩვენმა მამა-პაპებმა ჩაიდინეს, იყვნენ ქალები.

იმ გაჭირვების დროს ქართველი ქალები ორ გუნდათ გაიყოფოდნენ, ერთი გუნდი რჩებოდა საქართველოშივე გმირების აღმზრდელად და მეორედ მოფენილი იყო მთელი აზიის ჰარემები, ტყუილს კი არ ამბობს უცხოელი გეოგრაფი, რომ აზიის ტიპი ქართველ ქალებმა გადააკეთესო!

ისინი მოსსლეტილი სამშობლოს, ყოველივე სამშობლოზ ხელაღებული, ჰარემებში გამომწყვდეულები, თავს ამიღი ინუგეშებდნენ, რომ წმინდა გულზე აკვარობად პეშვი მიწა ედვათ და ღღედაღამ საქართველოზე ოცნებობდნენ!.. ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ მათგან მოხიბლულ მტარვალებს, შეეყვნიბიოსთ გულის წყრომა, და საქართველოსაღმი მტრობის ალი შეეცვალოთ!

ბევრი მაგალითები, რომ არ მოვიტანოთ, ერთიც საკმაოა. მარიამ დეღოფალი, ლევან დადიანის და, სვიმონ გურიელის ნაცოლარი, მითხოვდა როსტომ მეფეს იმ განზრახვით, რომ სულიცა და ხორციც სამშობლოსათვის შეეწირა.

როსტომ მეფე იყო სპარსელი. რჯულით მაჰმადიანი და ღრმა მოხუცი, ამას შეუყვარდა ახალგაზრდა, მშვენიერი მარიამ და ითხოვა ცოლად. მარიამიც გაჰყვა. მაგრამ ვერავინ ვერ შესწამებს, რომ ის გაეტაცებიოს რამე ხორციელ ფუფუნებას. ის ზექალი ხელმძღვანელობდა მხოლოდ უმაღლეს სულიერ მოთხოვნილებით. დაუმორჩილა ყოველივე ხორციელი მიყრუებულ თათარს. მიინდო, გაიმეგობრა და ისე მოკსიბლა, რომ, ის კაცი, რომელიც გამოგზავნილი იყო საქართველოში მეფედ იმ განზრახვით, რომ ქრისტიანობა ამოეგდო, თვითონ გახდა მათ მოყვარედ და მათი სარწმუნოების ხელის შემწყობლად: ამაგრებდა დაქცეულ ციხეებს (მაგალითად, გორის ციხე), აშენებდა ხელახლა ეკლესიებს (სამთავისი) და სხვანი. ძვირათ რომელიმე ქრისტიანს მეფეს იმდენი სიკეთე მოუტანია საქართველოსათვის, რამდენიც იმას!.. ეს სულ ნეტარხსენებულ მარიამ დედოფლის მეოხებით იყო! და ვინ არის ეს მარიამ დედოფალი თვისის განძრახვებით თუ არ იგივე „ზეინაბი“.

ახლა გადავიდეთ პირდაპირ „ზეინაბზე“ —

ერთ მშვენიერ, ან უმჯობესია ვსთქვათ, ერთ უბედურ დღეს სპარსეთით გადმოსულმა ხანმა სულეიმანმა დაამარცხა საქართველო: მოჰკლა მეფე თეიმურაზ, გაასრესია ცხენს ფეხით ჩჩვილი მემკვიდრე (იმას ასე ეგონა), თამარს აჰხადა დედოფლობა, შემოიტანა საქართველოში ისლამი და ყოვლად გაუბედურებული დედოფალი თამარ გაიხადა მონად... ხასად!.. ამას ყოლიფერს საოცარის თვალთმაქცობით იტანდა თამარ. დაივიწყა რჯული, ნათესაობა, სისხლ-ხორცი, თავისიანები, ხალხი და კიდეც აჭარბებდა სულეიმან. მკაცრობით!.. ამას ყოლიფერს ჩადიოდა ოცის წლის განმავლობაში. ვერავინ ვერას ატყობდა და სულეიმან(ი) დარწმუნდა მის სინამდვილეზე.

რა იყო მიზეზი თამარის ასე ჩქარა გადარჯულების? თუ მარტო ფუფუნების მოყვარეობა და დიაცური კეკლუცობა, მაშინ საზღვარი არა აქვს ამის დანაშაულობას და საზიზღარ-— შესაჩვენებელია ყველასაგან, ვისაც კი მცირეოდენი გრძნობა-გონება მიუძღვის! მაგრამ არა!.. მას სხვა რამე ახელმძღვანელებდა. ის საიდუმლო, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში ყველასაგან ჰფარავდენ მხოლოდ სამნი: თვით დედოფალი,

ისასარ. მოკლული შვილის დედა და გლასა ანანია, მემკვიდრის შვილად აღმზრდელი. მხოლოდ ამ სამმა იცოდენ და მოელოდენ მოთმინებით საქართველის მზის ახლად ამობრწყინებას!..

სხვებისაზე უფრო მძიმე და მწარე იყო ხვედრი დედოფლის. იმას ყოველიფერი ძალი მიხდილი ჰქონდა. თვინიერ სილამაზისა აღარა ეპირა რა ხელში და მოინდომა ამ იარაღის გამოყენება შურის საძიებლად. მიინდო მტარვალი, ჰხიბლავდა დღითი-დღე და განცვიფრებაში მოჰყავდა თვის გამოცხადებულ მოქმედებით და საიდუმლოდ კი სამზადისს უწყობდა ხელს.

ოცი წელიწადი მოუნდა გულის თქმის განხორციელებას და როცა საქმე დამწიფდა, მაშინ გაუტყდა მის ადრინდელ ნაეზირალ ოთარბეგს, და ისიც, როცა შენანებულ და სასოწარკვეთილ შვილის დაკარგვის გამო, ოთარბეგს „სათუ-არაოს" სასწორზე ედვა თავი, გონიერის სიფრთხილითა და გამოანგარიშებით მოქმედებდა ზეინაბ, იტანჯებოდა და აჩქარებით სათუოში არ ვარდებოდა. მაგრამ თვითონ ვათქმევინოთ თავისი აღსარება ამ მრავალ-ტანჯულს!.. როცა ოთარი თვალ-ცრემლიანი შეეკითხება: დედოფალო?—წმიდაო მოწამე! ნუ თუ დრო ვერ შეურჩიე. რომ მოგეკლა მტარვალიო? — რაო — უპასუხებს გაოცებული დედოფალი. — სულეიმან ერთი ვიღაც სპარსეთით გამოსული, უნდა მომეკლა მერ?.. მაგისთანა რამდენი ჰყავს სპარსეთს და მაგის მაგიერს სხვას გამოგზავნიდენო, და განა ეგ იქნებოდა სამაგიეროს გადახდაო? არა! მე ვუცდიდი და ველოდი იმ დროს. როცა ყოველ მონა ქართველში გაიღვიძებდა თავისუფალი ქართველი და თავისუფლების მოყვარულობით გამსჭვალული ახალი მოდგმა!.. ახალი თაობა, როგორც მთიდან გადმონაქანი ნაკადული სტიქიონურად აქუხებდა და მოზღვავდებოდა, რომ სამაგიერო გადაეხდევინებია დროებით ძალმოსილ ისლამისათვის და კვალადვე აღედგინა სამარადისო ქრისტიანობა. და აი დგება ეს დრო!..

ისევ გადმოქართველებული ოთარ ერისთავი ჩაერევა საქმეში...შეთქმულობა ფეხს იკიდებს საიდუმლოდ და საქართველოს მზეც ამობრწყინდეს უნდა. მაგრამ სად არის სრული ბედნიერება? სიყვარული ჩაერია და არივ-დარია საქმე.

იმ სიყვარულმა, რომელიც ზეცამდე აამაღლებს ადამიანს

და ქვესკნელშიაც ჩაიტანს, თუ უკუღმართ გზით წავიდა, რუქაიას სახით გამსჭვალა ტახტის მემკვიდრე და გარდაქმნა მოღალატედ... ეს იყო უკანასკნელი მეხი, რომელიც დაატყდა მრავალ-ტანჯულ ზეინაბს, მაგრამ ამან, როგორც ზექალმა, გამოიჩინა სულის სიმაღლე: რუქაია, რომ შემოიჭრება და მიაძახებს სულეიმანს: „ღალატი! ღალატი!“. ზეინაბი მიაძახებს: სტყუი გარყვნილო!.. სად არის შენი სიყვარულიო? „რუქაიას შემოაყავს ირაკლი მემკვიდრე და უჩვენებს: აი ეს!.. ეს არის დღეს ჩვენი მხსნელიო.

ეს წამი იყო ზარდამცემი და მწარე, მაგრამ საოცარის სიმხნით პასუხს აძლევს: არა, ეს ჩემი შვილი არ არის! ჩემი შვილი სამშობლოს არ უღალატებდაო. მიუბრუნდება შვილს და ეტყვის: ვსთქვათ, რომ შეგაცდინა სიყვარულმა.. გაიძეცე დედა... მაგრამ როგორ უღალატე შენს წამებულ სამშობლოს? და რა პასუხს გასცემ ქრისტიანობას, რომლის ნიშანსაც, ჯვარს, გულით ატარებ? წადი! გესმის შენი მოძმეები ჩხუბობენ... ჩაერიე. ერთად-ერთი გზა გრჩება და სიკვდილით გამოიყიდე შეცოდება!...

ირაკლი გარბის. მეტეხი ინგრევა, ქართველები სჯობნიან თათრებს. დათო მიუძღვის მეომრებს, შემოიჭრებიან და შეიპყრობენ სულეიმან ხანს — დათო დასცემს და გულზე აჭერს მუხლს. ამ დროს შემოაქვთ მკვდარი მემკვიდრე, მაგრამ დედოფალი არცკი შეხედავს მას... ძლევამოსილობით გაბრუებული.

„ზეინაბ. შენ მაჯობე... მაგრამ შენი შვილი მოღალატეა“— მიუთითებს მკვდარზე...

„სტყუი, ძაღლო!.. მიაძახებს ზეინაბ.— დედოფალი არ მოატყუებს მის ხალხს!.. მართალია, სიყვარულმა მოატყუა — შეიცდინა ბავშვი, მაგრამ მან სიკვდილით შეინანა შეცდომა“. მერე მიბრუნდება შვილისკენ: „აწი რაღა ვარ მე უნუგეშოდ და უსაგნოდ,-პფიქრობს გუნებაში — მხოლოდ მოვესწარ ჩემი მისწრაფების სისრულეში მოყვანას! ხელ-ახლად აღმობრწყინდა მზე ქრისტიანობის!.. მაგრამ პირადად მე?! მემკვიდრის დამკარგავი, მოღალატის დედა, რაღა სადედოფლო ვარ?! ახლა სხვა დრო დგება და თავისუფალმა ქვეყანამ თვითონ აწარმოოს სამეფო!.. იმას უწინამძღვრებენ ხალხის ძუძუთი

ანანია გლახების გამოხრდილი დათოებიო!! და მე კი".. დაიცემს ხანჯალს და დააკვდება შვილს. ორ უაღრეს გრძნობის შეტაკებაა, როგორ გაუძლო გულმა და არ გასკდა? მაგრამ ბევრი შეუძლია მაღალ ბუნებას, რომლითაც უხვად იყო დაჯილდოებული ზეინაბ!.. ეკლესია შენდობას აძლევს საბა ბერის პირით ორივეს: განისვენეთ მშვიდობით, სიკვდილითა ცოდვის დამთრგუნველო! უფალი მოგელისთო!.. და ჩვენც მეტი აღარა გვრჩებაგრა. რომ თაყვანი ვსცეთ ზეინაბს. როგორც იდეალს გადასულ დედებისას! ვაშა! ჩვენი ძველი დედების სახსოვარს და აგრეთვე ვაშა იმ მრავალ ქართველ ქალებს, რომელნიც ეცდებიან მათ მიმბაძობას!

ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება" (1910 წლის № 12) თავის მკითხველებს აცნობა:

„სამშაბათს, 16 მარტს, ეკ. გაბაშვილის თაოსნობით გამართულ საღამოზე ქართულ თეატრში გაასამართლეს „სამშობლოს"-ს გმირნი ქ. ლიონიძე და ლ. ხიმშიაშვილი. მსაჯულთა თავმჯდომარე იყო ილ. ზურაბიშვილი, მისი ამხანაგნი შ. მიქელაძე და ნ. ლორთქიფანიძე; ნაფიც მსაჯულთ ბ[illegible]ისი კ. ზ. მაყაშვილი, ბრალდებულნი: ქეთევანი — თამარა გოგოლაშვილი, ლევან ხიმშიაშვილი — სვ. ყიფიანი. დამცველნი: იოსებ მაჭავარიანი და ალ. მდივანი. ბრალს დებდა ვექილი შალვა მესხიშვილი. ნაფიც მსაჯულთ ქეთევანი და ლევანი გაამართლეს, რამაც საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია...

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იოს. მაჭავარიანისა და შ. მესხიშვილის სიტყვებმა..."

„ბრალმდებლის (შ. ალექსი-მესხიშვილის)

ს ი ტ ყ ვ ა.

ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! ნათლად რომ გამოვარკვიოთ დაბნაშავენი არიან თუ არა ბრალდებულნი, უფლება რომ გვქონდეს გადაჭრითა ვსთქვათ ან ერთი ან მეორე, საჭიროა განსაზღვრული საზომი — საერთოდ ვინ ითვლება დამნაშავედ? მართალია, ამის შესახებ ბევრი აზრი

იყო მეცნიერებაში გამოთქმული, მაგრამ დღეს ეს საკითხი ასე წყდება. საკითხი შესდგება ორი მომენტისაგან, პირველი — თუ ბრალდებულს ესმოდა რას სჩადიოდა, წარმოდგენილი ჰქონდა შედეგი თავის მოქმედებისა და იცოდა მისი უკანონობა ან დღეს ჩვენ საქმეში, უპატიოსნობა თავის. საქციელისა, ჩვენ უფლება გვაქვს პასუხისგებაში მივცეთ, მსჯავრი დავსდოთ მის მოქმედებას, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. საჭიროა ამა თუ იმ მოქმედების ჩადენა და თავის საქციელით განსაზღვრული შედეგის გამოწვევა. როცა ეს ორი მომენტი ნტკიცდება საქმის გარჩევიდან, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ: დამნაშავეა. ამ საზომით მე ვიხელმძღვანელებ ბრალდებულთ მოქმედების დაფასების დროს.

გადავაგლოთ თვალი ჩვენს საქმეს. მე აღარ გავიმეორებ ფაქტიურ მხარეს, რადგანაც საასამართლოს გამოძიებამ ნათლად გამოარკვია საქმე. მე მოკლედ დავახასიათებ გარეშე პირობებს, რომელშიაც ბრალდებულთ უხდებოდათ მოქმედება, თქვენს წინაშე, ბ-ნო მსაჯულნო, ჩვენება მოგვცა სვიმონ ლიონიძემ, თქვენ გაიგონეთ დიაკვანი გოგიას სიტყვები, ნახეთ მოხუცი ქალი, რა საზარელ სურათს გვიხატავენ ისინი! შაჰ-აბასმა გააოხრა, მიწასთან გაასწორა საქართველო. სისხლით მორწყო მტარვალმა მთელი არე-მარე. ჯალათების წამებას ვერ დაასწია თავი ვერც უსუსურმა ბალღმა, ვერც მოხუცმა, ვერც ქალმა, ვერც კაცმა, ხალხი გმინავდა, ხალხი იტანჯებოდა. საუკეთესო მამულიშვილნი ძალღონეს იკრეფავდნენ მტარვალთ მოსასპობად. ხანდახან ვეღარ აიტანდა ხოლმე ტანჯვას თავისუფლებას ნაჩვევი გული, ბოღმა ამოხეთქავდა და კერძო პირნი შურს იძიებდნენ, როგორც ეს მოხუცმა ქალმა ჩაიდინა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, საჭირო იყო შაჰ-აბასის დედა-ბუდიანად აღმოფხვრა, საჭირო იყო ერის განთავისუფლება, აი პირობები, რომელშიაც უხდებოდათ მოქმედება ბრალდებულთ. ამ საზარელ ხანას ლევან ხიმშიაშვილმა შეიყვარა თავისი გულითადი მეგობრის სვიმონ ლიონიძის მეუღლე ქეთევანი, რასაკვირველია გარეშე პირობებს სიყვარულის აღგზნებაზე გავლენა არაა აქვს. ამისთანა ზღუდე

ვერ დაიმაგრებს ამ დიად გრძნობას, მაგრამ როდესაც სამშობლო განსაცდელშია და ამ დროს გიყვარს შენი მეთაურის ცოლი, ვალდებული ხარ ყოველივე გრძნობას ჩაუფიქრდე. იხმარო ყოველივე ღონისძიება და გამოარკვიო თავისი მოქმედება. რასა ვხედავთ. ერთი წელიწადი უყვარდათ ერთმანეთი ლევანს და ქეთევანს, სარგებლობდენ ყოველივე შემთხვევით ფარულად დამტკბარიყვნენ თავისი გრძნობით და ერთხელაც არ გაუელვნია იმათ თავში აზრს გამოეძღვანებინათ თავისი სიყვარული. პირბადე აესადოთ იმისათვის და მოტყუების ნაცვლად პირდაპირ გაემხილათ სვიმონ ლიონიძისათვის. მე ბრალს არა ვსდებ ხიმშიაშვილს და ქეთევანს. რათ შეუყვარდათ ერთმანეთი!.. არა! სიყვარული დიადი გრძნობაა, ვიმეორებ, იმისათვის ზღუდე არა სუფევს, როცა გიყვარს ღიმილით შესცქერი მზეს, მთა-ბორს, ბუნებას, ადამიანთ. ყოველივე ძარღვი შენის არსებისა ბიმნს უმღერის ბუნების სიდიადეს, სიცოცხლეს, სილამაზეს. მაგრამ ამ მძლავრ და წარმტაცებელ გრძნობას ერთი დიადი თვისება აქვს. იგი უნდა იყვეს პირბადე ახდილი. იგი ნათლად უნდა უყურებდეს ყველას, უნდა იყვეს თავისუფალი. განუყოფელი.

თუ ამ გრძნობას ართმევენ და თვითონვე ფეხ-ქვეშ ჰქელავენ, ამ თვისებას. იგი სიყვარული არ არის. იგი უბრალო გარყვნილებაა. განა შეიძლება გიყვარდეს და საყვარელ არსებას უსიარებდე მეორეს? განა შეიძლება სიყვარულით ქურდულათ დატკბობა? არასოდეს! იქნება ბრალდებულნი ამას ვერ გრძნობენ? მოიგონეთ ბ-ნნო მსაჯულნო, ლევანისა და ქეთევანის სიტყვები, როცა ისინი სვიმონ ლიონიძის სახლში ამაზე ლაპარაკობდნენ: „რა ტანჯვაა, გიყვარდეს ერთი და მეორეს კი ეკუთვნოდე“,—ამბობს ქეთევანი. „რა სულმდაბლობაა ქურდულად მოტყუება მეგობრისა და იმის ცოლის საყვარლად გახდომა“, — ამბობს ხიმშიაშვილი. მაგრამ მაინც თვალთმაქცობდნენ. მაინც ატყუებდნენ ლიონიძეს. შემთხვევაც ჰქონდათ გამომტყდარიყვნენ, მაგრამ ვერ გაბედეს. სანამ ლიონიძემ თითონ არ გამოსტეხა ისინი. ხომ არ ეშინოდა ხიმშიაშვილს. რომ თავის გულახდილობით ავნებდა სამშობლოს განთავისუფლების საქმეს? თქვენ თვით გაიგონეთ. ბ-ნნო მსაჯულნო, ლევანის ჩვენება, რომ ეგ დარწმუნებული იყო სვიმონის სულის სიდი-

ადეში, რომ სვიმონ პირადის საქმისათვის საერთო საქმეს არ უღალატებდა. ეს ასეც მოხდა. მაშ რათ არ გამოტყდნენ, რათ გაჰქელეს სიყვარულიც და მეგობრობაც? მე გიპასუხებთ: სულით ლაჩარნი იყვნენ ბრალდებულნი და იმიტომ. ყველა ამ გარემოების გამო მე ბრალს ვსდებ ლევან ხიმშიაშვილს და ქეთევან ლეონიძისას, მათ ვერ გამოიჩინეს იმდენი სულის სიმტკიცე, რომ ეღიარებინათ თაყისი გრძნობა. ხიმშიაშვილმა დაჰგმო მეგობრობის კავშირი და ორივემ კი ფეხქვეშ გასთელეს სიყვარული.

ჩაუკვირდეთ ქეთევანის შემდეგ მოქმედებას. სიყვარულისა და არა სიყვარულის გადასარჩენად, ქეთევანმა მიჰმართა იმისთანა საზიზღარ საშუალებას, როგორიც არის შეთქმულთა გაცემა. როცა აღელვებული ლიონიძე სახლიდან მუქარით გავიდა, მოვკლავ შენს საყვარელსო, ქეთევანი უკან დაედევნა. იმას ეშვი ჰქონდა, რომ ლიონიძე შეთქმულია და მართლაც შეთქმულთ კრებას თავს წაადგა. შემდეგ ქეთევანი მიდის შაჰ-აბასთან და ძალით ოწვევს შაჰს სალაპარაკოთ თავისი სიტყვებით: „დარწმუნებულნი ხართ, რომ ხვალინდელი დღე გაგითენდებათ?“ ქეთევანმა ძალდაუტანებლივ გასცა შეთქმულება, ადგილი საცა შეთქმულნი უნდა შეკრებილიყვნენ და ნიშანი ბატონიშვილის დავითის შემოსვლისა. მართალია შეთქმულთ სახელები შაჰმა წამებით ათქმევინა, მაგრამ განა არ იცოდა ქეთევანმა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო. უსუსური უნდა იყვეს ადამიანი, რომ არ იცოდეს, საჭიროა მტარვალს მის წინააღმდეგ შეთქმულება გაუმჟღავნო და დანარჩენს თვითონ გათქმევინებს, ვისაც გამოუცდია, მტარვალთა ხელში ყოფნა, ეს ძალიან კარგად იცის. იქნება ქეთევანი არა გრძნობდა თავის თავს, რას სჩადიოდა? მართალი არის, ბ-ნნო მსაჯულნო, ისკანდერ ბეგმა გვითხრა, რომ ქეთევანი აღელვებული იყოო, მაგრამ ეს ადვილად ასახსნელია და აღელვება სიგიჟეს არა ნიშნავს. დახელოვნებული ჯაშუშიც კი გულგრილად ვერ გასცემს უდანაშაულო ადამიანთ. მოიგონეთ, ბ-ნნო მსაჯულნო, ქეთევანის სიტყვები: „ვიცი, რასაც ვჩავდივარ — საზიზღრობაა“, დააკვირდით შემდეგ ფრაზას: „ისარგებლეთ ჩემის სიგიჟით, ის თქვენ სიცოცხლეს მოგანიჭებსო“, და თქვენ დარ-

წმუნდებით, რომ ქეთევანი ანგარიშს აძლევდა თავის თავს, იცოდა რას სჩადიოდა, არ არის გიჟი ადამიანი, რომელიც თითონ ლაპარაკობს თავის სიგიჟეზე და ესმის თავის საქციელის საზიზღრობა. მე მეტყვიან: ქეთევანს სამშობლო არა ჰქონია, მამულისადმი სიყვარული არ გამოუცდია და ამიტომ შეთქმულთა გაცემა დანაშაული არ არისო. ბ-ნო მსაჯულნო! განა შეთქმულთა მტარვალების ხელში მიცემა იმიტომ არის საზიზღრობა, რომ შენს სამშობლოსა სცემს? არასოდეს! სამშობლოს გაცემა ფსიქოლოგიურად უფრო ძნელი ჩასადენია, მაგრამ ყოველივე გაცემა, ვისიც უნდა იყოს, საზიზღრობაა; მით უმეტეს, რომ ქეთევანმა გასცა პირადად თავისთვის სრულიად უდანაშაულო პირნი, გასცა ერის განთავისუფლების საქმე.

განა ეს საქციელი შემაძრწუნებელი არ არის?! განა, იმის პატიება შეიძლება? არასოდეს! რა სულმდაბალი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავის საყვარლის გადასარჩენად დაღუპოს თუ გინდ უცხო ერის განთავისუფლების საქმე, ცეცხლის კოცონზე გაგზავნოს მამულიშვილნი, ეს საქციელი შეუნდობელია, რისთვისაც უნდა იყოს ჩადენილი. მერე რით ამართლებს თავის საქციელს ქეთევანი? „მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლო სიყვარულია-ო“, რას ნიშნავს ეს? იქნება ქალი რაღაცა განკერძოებული ქმნილებაა, იმას ადამიანური არაფერი აქვს? შეიძლება ქალის არსს შეადგენს მხოლოდ სიყვარული? მოიგონეთ, ბ-ნო მსაჯულნო, ქეთევან, მაგრამ ეს კი არა, ქეთევან წამებული, მოიგონეთ უფრო ახლო ხანს საერთო საქმითვის მებრძოლნი ქალნი, რომელთაც მთელი ძალ-ღონე და თვით სიცოცხლეც შესწირეს თავის მიზნის განხორციელებას და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ქალი იგივე ადამიანია. იმას აქვს ყოველივე ადამიანური გრძნობა, ადამიანურ გრძნობას კი, მარტო ქალსა და კაცს შორის სიყვარული კი არ შეადგენს. მე აქამდინ ვერ დავამცირებ ქალს და სწორედ ამიტომ პასუხსა ვთხოვ ქეთევან ლიონიძისას შის საზიზღარ საქციელში. რა შედეგი მოჰყვა შეთქმულთა გაცემას? დამონავებული ერი უკანასკნელ ღონეს იკრეფავდა მტარვალთ დასაცემად. ყველაფერი ხელს უწყობდა და მზად იყო, მაგრამ იმის მაგივრად, რომ აზვირთებულ ხალხს ხმლის ტრიალზე დაეგუგუნებინა;

„სიკვდილი მტარვალთ, გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოსო“ უარესი ტანჯვა, უარესი გათელვა ერისა, წამება საუკეთესო მამულიშვილებისა.

ბ-ნნო ნაფიცნო მსაჯულნო! თქვენ, როგორც საზოგადოების სინიდისის გამომხატველნი, ვალდებულნი ხართ ჩაუკვირდეთ საქმეს, ამისთანა საზიზღრობას თქვენ ვერ აპატიებთ და მე იმედი მაქვს, რომ თქვენი განაჩენით დაუბრუნებთ სიყვარულს გულახდილობას, დაგმობთ მეგობრის მოღალატეს და საშვილიშვილოდ სამარცხვინო ბოძზე გააკრავთ ყველას, ვინც პირადის ვნებათაღელვისათვის საზოგადო საქმეს გასცემს“.

ვექილის —იოსებ მაჭავარიანის სიტყვა

ბ-ნნო მსაჯულნო და ნაფიცნო მოსამართლენო! დამცველის მოვალეობა საზოგადოთ და განსაკუთრებით კი ასეთს საქმეში მეტის-მეტად მძიმეა. ბრალდება ადამიანის ადვილია, ხოლო მართლება კი — ძნელი. ადამიანის პიროვნების გათელვა, იმის ტალახში ჩაგდება და გასვრა ადვილია. მაგრამ ტალახიდან ადამიანის ამოყვანა, იმის გაწმენდა და ფეხზე დაყენება კი მეტად ძნელი საქმეა, თუმც ეს საქმე უფრო ადამიანური, უფრო პატიოსანია. ნაკლს ადვილად შეამჩნევთ ადამიანს, მაგრამ უნდა აორკეცოთ ყურადღება, უნდა აორკეცოთ მხედველობა, რათა დაინახოთ ის ღვთიური ნაპერწკალი, მუდამ რომ ღვივა ადამიანის სულში, მუდამ რომ გამოჰკრთის, სანამ გული ცემას არ შესწყვეტს. ჩვენ უნდა ავხადოთ ამ საქმეში ჯვარსაბმელი და დაგანახოთ მთელი განუსაზღვრელი სიდიადე ქეთევანის სიყვარულისა. ჩვენ უნდა გადაგიშალოთ თავგანწირული ქართველი გმირის გული და დაგანახოთ სიყვარულის ცრემლი ზედ შხამად დაწვეთებული. აი, სიძნელე ჩვენის მოვალეობისა? ამას უნდა დავსძინოთ ის, რომ აგერ ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ქართველი ფემიდა, არამც თუ დაბრმავებული, დამუნჯებულია!.. ახლა იდგამს ენას... და ვით ახლად ენა ადგმულ ბავშვს ბევრი რამ ეპატივების, აგრე, თუ რამ სისუსტე შეგვნიშნოთ, ჩვენც გვაპატივებთ და დაგვეხმარებით, რათა საერთო ძალ-ღონით მოვნახოთ ამ საქმეში ის სიმართლე, რომელზედაც აგებულ უნდა იქნეს მართლმსაჯულების წმინდა

ტაძარი. მაშ, ვნახოთ, რა ბრალსა სდებენ ქეთევანსა და ლ. ხიმშიაშვილს?

ბრალმდებელი ამბობს: ქეთევანმა უღალატა ქმარს, ხიმშიაშვილმა მეგობარს იმ დროს, როდესაც სამშობლო განიცდიდა უსაშინელეს პოლიტიკურ კრიზისსაო: ქეთევანმა გასცა ქართველთა შეთქმულება და დაღუპა საზოგადო საერთო საქმეო. საზოგადო საქმე? მაგრამ ვისთვის იყო საერთო ეს საქმე? მხოლოდ ქართველთათვის. და განა ქეთევანი ქართველია? არა, ის არის სპარსელი ქალი, ირანში დაბადებული, სპარსულ აკვანში აღზრდილი... დედის ტკბილ ძუძუს მოჰგლიჯეს პატარა ქეთევანი და ტყვედ წამოიყვანეს. მართალია, ლიონიძემ გამოიყიდა, ტყვეობიდან იხსნა. მაგრამ განა გაანთავისუფლა. განა მის სამშობლოს დაუბრუნა ქეთევანი? არა, მან შეურაცხყო ბავშვის წმიდათა-წმიდა, უგმო ღმერთი, გამოაცვლევინა სარწმუნოება და დასტოვა თავის სასახლეში. არა მგონია, რომ მაშინ ლიონიძეს აღძვროდეს სურვილი იმის ცოლად შერთვისა. დასტოვა ისე, ვით გამოყიდული მონა, — მოახლე. დრომ გაიარა, ქეთევანი მოიზარდა. მისმა სილამაზემ, მისმა მშვენიერებამ მოხიბლა ლიონიძე. ლიონიძემ ინება დაქორწინება. მაგრამ ვერ შეირთო ქეთევანი. იგი შეიქნა კანონიერი ქმარი, და არა განუყრელად შეერთებული მეუღლე მისი. სვიმონის გულზე სიყვარულისაგან დანაკვესი ნაპერწკალი ვერ წვდებოდა ქეთევანის გულს და თუ ხანდისხან მისწვდებოდა ხოლმე, — ვერ ანთებდა ღვთიურ ცეცხლს სიყვარულის საკურთხეველზე. სვიმონის სიტყვა ქეთევანის სმენას არ ატკბობდა, ხორცი ახლო იყო, სული შორს გარბოდა. ლიონიძე ეალერსებოდა, უგალობდა თავის სამშობლოს სიყვარულს და განთავისუფლების ჰიმნს. მაგრამ ქეთევანს ამ დროს სპარსელი დედის ნანინა ტკბილ ჰანგებათ ეწვეთებოდა სულის სიღრმეში, ვით ნელი წვიმა მკვდარ უდაბნოში... სვიმონს ასულდგმულებდა. იმედებს უცისკროვნებდა მამულისადმი სიყვარული. ქეთევანი — კი მოკლებული იყო ამ ბედნიერებას; მან არ იცოდა, თუ რა არის ერის ლხენა, რა არის ჭირ-ვარამი. მას არა ჰქონდა სამშობლო! და კიდევაც ჰკვნესავდა მისი გული: „ჩემი სამშობლო სიყვარულიაო". ლიონიძემ კი ვერ შესძლო შეექმნა ქეთევანისათვის მეორე სამშობლო. ქეთევანს არასდროს არა

ჰყვარებია ლიონიძე. ლიონიძეს კი ეგონა, რომ კანონიერი ქორწინება თავისთავად წარმოშობს სიყვარულსაო. მაგრამ ეს ისეთივე ტლანქი უვიცობაა, ისეთივე სისულელეა, როგორც მტკიცება იმ აზრის, რომ, თუ მშვენიერ მინდორში შაქარი დასთესე, უსათუოდ შაქარ-ყინული უნდა ამოვიდესო. ლიონიძემ ვერ შესძლო აღგზნება სიყვარულის ცეცხლისა ქეთევანის გულში

— „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს
მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და
მოცალეობა"-ო

ამბობს უკვდავი რუსთაველი. ყოვლად შემკული, დიდებული მამულიშვილი არის სვ. ლიონიძე, მაგრამ არც „სიყმე" შესწევდა, არც „მოცალეობა" ჰქონდა... და ამიტომაც ვერ შესძლო ქეთევანის გამიჯნურება. საუბედუროთ, [illegible] წლის განმავლობაში ვერ მიხვდა ამას სვ. ლიონიძე.

აი, ამ მდგომარეობაში იყო ქეთევანი. როდესაც მის ობლობისაგან დამწუხარებულ გულს მოხვდა პირველი ისარი სიყვარულის ღმერთისა. პირველი სხივი ბედნიერების ჟამისა. ქეთევანმა ნახა ღირსეული მიჯნური და შეიყვარა ხიმშიაშვილი მთელი თავის ბუნების ძლიერებით. ვის შეუძლია სთქვას: „რათ ანათებს მზე", ვის შეუძლია უკიჟინოს ქეთევანს: „რათ შეიყვარე ხიმშიაშვილიო?" მზე ანათებს მისთვის, რომ არ შეუძლია არ ანათოს. ქეთევანმა შეიყვარა ხიმშიაშვილი მისთვის, რომ არ შეეძლო არ შეჰყვარებოდა. ასეთი სიყვარული ისეთივე აუცილებელია, როგორც სიკეთილი. ისეთივე კანონიერია და ისეთივე მძლავრი, ვით დედამიწის ბრუნვა. და თუ ვინმე გიჟმა მოინდომა ასეთი ძალის შეჩერება. ისე გაცამტვერდება, როგორც ცეცხლმოდებული თოფის წამალი! აი. სწორეთ ასეთი სიგიჟე ჩაიდინა ლიონიძემ. როდესაც მოიწადინა ქეთევანის გულიდან აღმოფხვრა იმ სიყვარულისა. როდესაც უთხრა ქეთევანს: მე შენს საყვარელს მოვკლავო. როგორ? ლიონიძემ უნდა მოკლას ხიმშიაშვილი? ეს მიჯნური. რომელშიაც მოთავსებულია სამშობლო. სარწმუნოება, ბედნიერება. თვით უკვდავება ქეთევანისა?! ოჰ!... ამ საშინელების წინაშე გაქვავდა გო-

ნება... და ამხედრდა მხოლოდ გამძვინებული ინსტიქტი ცხოველის თავის დაცვისა! თქვენ კარგად მოგეხსენებათ ქეთევანმა შემთხვევით გაიგო საიდუმლო შეთქმულებისა და, თითქმის ჭკუაზე შემცდარი, შეშლილი გაექანა შაჰ-აბასთან, რათა გადაერჩინა თავის სიცოცხლე, თავის ლევანი. მან ყოველი უამბო შაჰ-აბასს, მაგრამ, როდესაც თავისი ქმარი უნდა დაესახელებინა, უეცრად გამოირკვა, თითქოს რაღაც ძარღვი გაწყდა, კეთილშობილმა გონებამ გამოიღვიძა, ქეთევანმა უარჰყო თავის განზრახვა, დააპირა გაქცევა, — მაგრამ შაჰ-აბაზის მტარვალობამ მალე ისევ დაჩლუნგა, დაადუნა მისი გონება... „აწამეთ“,— ბრძანა შაჰმა... ქეთევანმა ვერ აიტანა წამება და გასცა თავის ქმარიც და მისი მომხრეებიც. აქედან ნათლად ჰხედავთ, ბ-ნო მსაუჯლნო, რომ ქეთევანმა თუ რამ დანაშაული ჩაიდინა, ჩაიდინა ან მაშინ, როდესაც თავის ჭკუაზე არ იყო, ან მაშინ, როდესაც წამების მუხრუჭს უჭერდნენ. ვერც პირველ შემთხვევაში, ვერც მეორეში, თქვენ იმას ვერ დასჯით, დანაშაული დანაშაულად რჩება, მაგრამ ამ დანაშაულისათვის არც ერთი კულტურული ერის კანონი ადამიანს არა სჯის. არ სჯის მიტომ, რომ პირველ შემთხვევაში შეშლილის დასჯა არ შეიძლება, მას ექიმობა სჭირია. მეორე შემთხვევაში კი არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს ნორმალურ ადამიანს: უსათუოდ გმირობა უნდა გამოიჩინო, უსათუოდ გმირი უნდა გახდეო. წამების ატანა, თავის სიცოცხლის შეწირვა გმირობა არის, მაგრამ ასეთი გმირობის უქონლობა დანაშაული არ არის, და, თუ დანაშაული არ არის, არც ქეთევანია დამნაშავე. რაც შეეხება ქმრის ღალატს, ვის შეუძლია ქეთევანის დასჯა, მაშინ, როდესაც თვით სვ. ლიონიძემ შეუნდო მას?! ლიონიძე თვითონ კარგად იცნობდა ქეთევანის სიყვარულს და ვინც მისსავით იცის თუ რა სასწაულთ-მოქმედია სიყვარულის ყოვლად შემძლებელი ძალა, ვინც მისსავით იცნობს სიყვარულს, ამ სიკვდილ-სიცოცხლის გამჩენელ ღმერთს, ის ყოველთვის შეუნდობს და გაამართლებს ქეთევანს.

ახლა ვნახოთ, რა ბრალს სდებენ ხიმშიაშვილს? ბ. ბრალმდებელი ამბობს: ხიმშიაშვილმა ვერ გამოიჩინა იმდენი სუ-

ლის სიმტკიცე, რომ გულახდილად ეღიარებინა ლიონიძის წინაშე: შენი ცოლი უნდა შევიყვარო; ამის მაგივრად მეგობრის გაუგებლად მან შეიყვარა, საყვარლად გაიხადა იმის ცოლი. მერე ყოველი ეს, დასძენს ბრალდებული, ჩაიდინა მაშინ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო. ასეთი ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა, ბრალმდებელი მსჯელობს, ისე, თითქოს სიყვარულის შოვნა, რეცეპტით გამოწერა შეიძლებოდეს. იმის სიტყვით, ხიმშიაშვილი სანამ შეიყვარებდა ქეთევანს — უნდა შეკითხოდაო თავის გონებას. უნდა გაეთვალისწინებინა, მისცემს თუ არა ქეთევანის შეყვარების ნებას მას ან სამშობლოს ინტერესი, ან მეგობრის კავშირი, და თუ მისცემს, რამდენი გრამი სიყვარულისა უნდა მიეღო, რომ მერე ეთქვა თავის მეგობრისათვის: ახლა კი შევიყვარე შენი ცოლიო. ერთი სიტყვით, ბრალმდებელს უნდა, რომ სიყვარული ემორჩილებოდეს ლოღიკას. მაგრამ ყველამ უწყით, რომ სიყვარული მოქმედებს ლოღიკის კანონების ფარგალს გარეშე, და თუ ლოღიკამ სიყვარული დაიმორჩილა, მაშინ თვით სიყვარული თავის სტიქიონური ელემენტებით ჰქრება. და იბადებიან სულ სხვა გრძნობანი. ბრალმდებელმაც მშვენივრად იცის ეს. მე დარწმუნებული ვარ ამაში. მაგრამ ის ამ კითხვას გვერდს უვლის. მის მსჯელობას სულ სხვანაირი სარჩული აქვს. ის სარჩული ბრალმდებლის გონების პატიოსანი პროტესტია. ის ამბობს: ეს არ უნდა იყოს ასე? ლოღიკა სიყვარულს არ უნდა მორჩილდებოდეს. სიყვარული თავის სტიქიონურ ბრძოლის დროს არ უნდა ანადგურებდეს, არ უნდა სთელავდეს სხვა ადამიანის კეთილშობილ გრძნობებს, რადგანაც ეს შეურაცხყოფს ადამიანის მეფურ ბუნებას. თანახმა ვარ. მაგრამ რას იზამ, რომ ბუნების კანონია. უთუოთ გალილეის ბრალმდებელიც არწმუნებდა მსაჯულებს, რომ დედამიწა არ უნდა ბრუნავდეს. ეს შეურაცხყოფაა ადამიანის სარწმუნოებისა, იმის გონების თავმოყვარეობისა და სხვა...ვინ იცის? შეიძლება მართლა უკეთესი იქნებოდა, რომ დედამიწა არ ტრიალებდეს: კუდიან ვარსკვლავს მაინც არ წააწყდებოდა სადმე. მაგრამ რას იზამთ, რომ „მაინც ბრუნავს და მაინც ბრუნავს“. უნდა დაემორჩილოს ბრალმდებელიც ამ ბრუნვის კანონს. მე ვამტკიცებ: ვერც ხიმშიაშვილმა, ვერც ქეთევანმა ვერ შენიშნეს ის მომენტი, ის

წამი, როდესაც სიყვარულმა შეაერთა მათი გულთა ცემა და დააყუჩა ყოველი სხვა გრძნობა. ყოველი მოსაზრება, ისინი მიეცნენ სიყვარულის ტკბილ ძალს და როცა რამდენიმე წუთით გამოიღვიძებდნენ ხოლმე. ქეთევანი ესვეწებოდა ლევანს: მომიტაცე, წამიყვანე სადმე. აღარ შემიძლია ასეთი მდგომარეობის ატანაო. ხიმშიაშვილიც სწუხდა, უნდოდა, ასეთი მდგომარეობის მოსპობა, მაგრამ სიყვარულის ტკბილი ძილი ისევ მალე უხუჭავდა გონების თვალებს. და სანამ ამ სიყვარულის ბურანიდან გამოერკვეოდნენ, უბედურებაც თავზე დაატყდათ. განა წარმოედგინა ლიონიძეს ან ფიქრობდა ქეთევანი, რომ მათი სიყვარული შეიქნებოდა მიზეზი ეთოველთა შეთქმულების გამეღვიძებისა? აბა, ვინ მოიფიქრებდა! ეს ისეთივე მოულოდნელი მოვლენა იყო,როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ მზიან ამინდში. მაშ თუ ყოველი ეს ჩაისახა და დაიბადა ქეთევანის და ლევანის ნების და სურვილის გარეშე, რა დანაშაულზე შეიძლება ლაპარაკი? დამნაშავე აწ არსად სჩანს! და თქვენ ქეთევანიცა და ხიმშიაშვილიც უნდა გაამართლოთ, მაგრამ ეს არ კმარა.

მე ვერ შევთისებივარ იმ მოვლენას, რომ ქართველებმა ხიმშიაშვილი დამნაშავის სკამზე დასვეს. ქეთევანმა წამება ვერ აიტანა. თუ თავის სიცოცხლე ქმარს და საზოგადოებას ვერ შესწირა, თუმც დამნაშავე არ არის, მაგრამ თუ მაინც გმირობა ვერ გამოიჩინა. ხიმშიაშვილი ხომ გმირია! ისეთი, რომ მისი სულის სიმხურვალე და ძლიერება ათბობს და ასულდგმულებს ერს.... მაგრამ ქართველებს ერთი წყეული ჩვეულება გვაქვს, თუ შევნიშნეთ არამც თუ გმირი. არამედ უბრალო კეთილი მამულიშვილიც კი, უსათუოდ ტალახი უნდა ვესროლოთ, და არ მოვისვენებთ მანამდის, სანამ ან ტყვიით არ გავუგმირავთ შუბლს, ან დამნაშავის სკამზე არ დავსვამთ. ეს ახირებული ჩვეულება რომ არა, რა უნდა ხიმშიაშვილს დამნაშავის სკამზე? ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ხიმშიაშვილმა თუ დაინახა, რომ სამშობლოსთვის ეს საჭირო არისო, თვით ქეთევანს დასცემს დანას გულში, თავის სიცოცხლეს შეწირავს მამულს იმ წუთშივე, რა წუთშიც სამშობლო ამას მოს-

თხოეს! ეს დამნაშავე, კი არა, ეს მამულიშვილის იდეალია გაუმარჯოს ასეთ ქართველ მამულიშვილებს! გამართლება კი არა, ქუდი მოიხადეთ და თაყვანი ეცით ლევან ხიმშიაშვილს.

აკაკის სიტყვა წარმოთქმული გიორგის სააკაძის დასაცავად [1]

„გული, ცნობა და გონება
ერთმანეთზედა ჰკიდიან;
რა გული წავა იგიცა
წავლენ და მისკენ მიდიან“, —

გვეუბნება „ვეფხის ტყაოსანი“, და ამ მცირეოდენ სიტყვებში დიდი მსოფლიო სიბრძნე გარეულია! აქ გული ნდომად და სურვილად აქვს ნახმარი .რუსთაველს. ადამიანი, რაც უფრო მაღალი ცნობისა და გონების პატრონია, სურვილიც მისი მაღალია, საზეო და მაღლიდან გადმოჰყურებს თანამედროობას. შორს წასულს, მაღალ საფეხურამდე ასულ კაცს დაბლიდან შეეყურებთ ჩვენ, პატარა კაცუნები და სავსებით არა გვყავს ეთვალისწინებული, პატარად გვეჩვენება; სიმართლით მისი აწონ-გაზომვა მაშინ შეგვეძლება, როცა ჩვენც იმის სიმაღლეზე ავალთ და გვერდში ამოვუდგებით... ავიღოთ გიორგი საკაძე, დიდ-მოურავად წოდებული. რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ იმაზე წინეთ არ ყოფილიყოს დაწერილი. ის თვით ცოცხალი ტარიელი გვეგონებოდა. გარეგნობა მისი, მცნება-გონება, ნდობა-სურვილი და მათი სისრულეში მოყვანა, დაუჯერებელი იყო!.. ზღაპრული... რაღაც საოცნებო! მტრებიც და მოყვარენიც თანასწორად გვიხატავენ. აი რას ამბობენ მისი მეისტორიენი:

1) „იყო კაცი ესე — ამბობს სომეხთა მეისტორიე არაქელი, სრული საქმითა, ძლიერი განძრახვითა, გონიერი ყველა საქმეში, წარმოსადეგი, ღონიერი, ტანადი, დიდი მებრძოლი, უძლეველი, შემმართებელი. და ვისაც იგი ბრძოლას გაუმართავდა, ის ყოველთვის იყო დამარცხებული და თავის მოპირდაპირე მხედრობას. ვითარმცა მხალსა და აღხოცდა და გაჰფანტავდა დედა-მიწაზე“.

---

[1] გასეთი „თემი“, 1915 წ., 8 თებერვალი, № 206.

„ფშვინავდა მრისხანების დროს, — ამბობს იგივე არაქელი, — ვითარცა ცხენი მებრძოლი და შესძახებდა ვითარცა ლომი, ვითარცა გენიის მფშვინავი ვეშაპი“.

2) „გარნა ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი უშიში“ ამბობს ვახუშტი.

3) იოსებ თბილელის სიტყვით: „ამისი ერთი შეხედვა არევდა და გაჰფანტავდა ჯარს“.

4) პეისონელის სიტყვით, „ის იყო დიდი დიპლომატი და ღრმად მცოდნე ადამიანის თვისებისა და გულისა“.

აი რას ამბობენ შინაური თუ გარეშე ისტორიკოსები! და ეს ყველაფერი საქმითაც დაამტკიცა სააკაძემ.

საკვირველია, ამისთანა პატარა სამეფომ, საქართველომ, როგორ წარმოშვა ასე გაუზომელი „ტარიელი“ გმირთა-გმირი? ჯერ სანამ ამაზე პასუხს მოგცემდეთ. ნება მიბოძეთ, რომ მივმართო ჩვენს ისტორიას და დავიწყო მეხუთე საუკუნიდან. ეახტანგ გორგასალმა ბევრი საგანძური შემოიტანა ჩვენს ისტორიაში და იმ საისტორიო მემკვიდრეობას ღირსეულად დაუხვდა მეთორმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელი: გაწმინდა შემოსულ მტრისაგან საქართველო და გაადიდ-გააძლიერა ის, და მიტომაც ხალხმა და ისტორიამ მას „აღმაშენებელი“ უწოდა. და იმიტომ კი არა, რომ ის აშენებდა ციხე-დარბაზებს, მონასტრებს, ხიდებს, გზებს და სხვათა. არამედ იმიტომ, რომ იმან ააშენა მთელი საქართველო და გაადიადა მთელი სამეფო. ქართული თქმულება: „მამა შვილისაგან უნდა ივსებოდესო“, ე. ი. რაც მამამ ვერ მოასწროს და დააკლდეს ,ის შვილმა უნდა შეავსოსო. და მართლაც, აღმაშენებელის ჩამომავლობა ასრულებდა ამ ნათქვამს: შვილი მამას ათავსებდა თანდათან უმატებდნენ ძლიერებას და ძალზე გაძლიერებული სამეფო გადასცეს თამარ მეფეს. ოჯახის სიმდიდრე ყოველთვის დიასახლისია. მამასახლისის კი გარეთ მოხვეჭა და შინ შემოტანა, ოჯახში შემონატანის შენახვა. მოვლა და გაწესრიგება დიასახლისის ვალია. ეს არის ცხოვრების ყოველდღიური საზოგადო კანონი. იმ ისტორიულ მამასახლისებსაც შესაფერ ისტორიულ დიასახლისად დაუხვდა თამარი; მოიხმარა და გააწესრიგა მამა-პაპათა მონაგარი. თამარ ორ-

ბუნებოვანი იყო: იმაში მარტო დიასახლისი კი არ ისახებოდა, ამავე დროს მამასახლისიც იყო და მამასახლისების შენაძენს ხმლით ხელში მრავალი შეპყრობა და ამიტომაც ქვეყანამ და ისტორიამ აღიარა ის მაშაკაცის წოდებით: თამარ — მეფედ და არა თამარ-დედოფლად. ასე თუ ისე მის ხელში საქართველომ მიიღო მსოფლიო მნიშვნელობა, გაძლიერდა, გადიდდა და ისეთი სამკვიდრო დაუდო შთამომავლობას, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თუმცა სულ უკან-უკან მიდის ყველაფერი... ირღვევა სამეფო, მაგრამ ჯერ მაინც არ გათავებულა და კიდევ ღაფავს სულს სასიცოცხლოდ.

თამარის სიკვდილის შემდეგ გაძლიერდენ პონღოლები, ადვილად დაიპყრეს მთელი აზია, ზარსა სცემდენ ევროპასაც და, როგორც პატარა, ურჩ საქრისტიანოს შემოესიენ საქართველოს.

დიდ განსაცდელში ჩააგდეს, მაგრამ სრულიად მოსასპობლად, რომ ვერას გახდენ მარტო ხმლით, გააყოლეს პოლიტიკაც. ქვეყნის ამრევი, შინაგანი განხეთქილების და მოღალატეობის... ეს პოლიტიკური ხრიკები გაუჯდა ნელ-ნელა ძვალსა და რბილში ქართველობას და მიიყვანა იქამდე, რომ საქართველოს ზედა-პირი გახუნდა. გარყვნილმა და გულ-გადაბრუნებულმა დიდკაცობამ: ერისთავებმა-დიდებულებმა და თავადებმა მიიყვანეს სამეფო მეთექვსმეტე საუკუნეში უფსკრულის კარამდე. ერთი ბიჯი კიდევ და საქრისტიანო სამეფო, ოდესმე დიდებული, ჩაინთქმებოდა სამარადისოდ .რა იყო ამ გახრწნილების მიზეზი და ან რამ გადაარჩინა ის განსაცდელს?...

იმ დროს საქართველოს დიდკაცობა ორად იყოფოდა:

1. სოფლელ თავად-აზნაურებად, რომელსაც აღარაფერი ძალა აღარა ჰქონდა, აღარაფერი გავლენა! და დაბალ წოდებასთან იყო გადაკავშირებული რჯულთა და შრომით.

2. სასახლის თავად-აზნაურობად. ესენი სასახლის კარზე იზრდებოდნენ, შედიოდნენ შაჰის ჯარის მოსამსახურედ და მით დიდკაცობდნენ და ამიტომაც ზნე-ჩვეულება, ხასიათი და ერთგულება სპარსელებისა ჰქონდათ. საქართველოს ეგულგრილებოდენ, ისე უყურებდენ მხოლოდ, როგორც საჭმოს და ქვეყნის მართვის სათავე კი იმათ ხელში იყო, ცხოვრების ჩარხსაც

ისინი ატრიალებდენ. რასაკვირველია, სპარსეთის პოლიტიკაც ხელს უმართავდა და ეს გადარჯულებული ხელმპყრობელი, დაჩაგრულ მეორე ნახევარ ქართველობას თავის ნებაზე ატრიალებდა. ეს თავაღებული დიდებულები მეფეს თავს აღარ უდებდენ და შფოთი ჰქონდათ ერთმანეთში. ხშირად გარეშე მტრები შემოჰყავდათ მომხრედ და აოხრებდენ საქართველოს. ის-ის იყო კინაღამ ბოლო მოეღო სამეფოს!.. თუ არა სასწაული რამ, ანუ საკვირველება, ვერ გადაარჩენდა რა! და კიდევაც მოეგონა საკვირველება! ეს იყო დიდი მოურავი საკაძე!...

ხანდასან ხე დაჭკნება და მაღალი შტოები უხმეცა. არა თუ ყვავილი და ნაყოფი აღარსად არის, ოთოლებიც კი სცვივიან. ერთი შეხედვით; თითქოს გამშმარია, მაგრამ არა! ხე კიდევ არ წაიქცევა, თუ კი ფესვები, ის ფესვები, უფრინ-**რად ღრმად** რომ არიან ჩამჯდარი მიწაში და ქვეშდან საარდოს აწოვებენ ხეს, არ დაზიანებულან. გამშმარ შტოს მაგიერ, ფესვების წყალობით ამოყრიან ახალი შტოები და ხე ისევ კალაპოტში ჩადგება. ასეა ცხოვრებაც... ცხოვრებას ხეს ეროვნების ძალას, როგორც ფესვები, ისე დაბალი წოდება შეადგენს თუ გაუხრწნელია. ისე მოუვიდა საქართველოსაც. იმ დროს, როცა ზედაპირი... მაღალი წოდება სრულიად გაბუნებული იყო. ქეედა-ბირი, ანუ დაბალი წოდება, ჭირსა და ვალებაში გამობრძნილი, გამოდოლადებული, მაგარზე იდგა, და მოელოდა ახალ შტოს, ახალ ნერგს, ნერგს თავის თავზე ამონაყარს და კიდევაც აუსრულდა სურვილი.

შუაგულ ქართლში ცხოვრობდა ერთი მცირე აზნაური, გვარად საკაძე და სახელად შიოში, რომელმაც გამოზარდა ოთხი შვილი. ერთი-მეორეზე უკეთესი. მაგრამ ერთი მათგანი გიორგი კი საკვირველება რამ იყო. ჯერ ისევ ბავშვი იწვრთნებოდა მეფე სიმონ დიდის რაზმში და საგმირო საქმეებით აკვირვებდა ქვეყანას და ოცდა ორი წლისას ხელი ეპყრა მთავარ-სარდლობა. ჯერ დღესაც კიდევ ბევრს დიდ რამედ მიაჩნია ჩამომავლობა და გვარიშვილობა, და რაღა უნდა ყოფილიყოს ის, მიუხედავად წლოვანებისა და გვარიშვილობისა თავში მოექცა ამ გაზვიადებულ თავად-დიდებულთ?! ამისთანა იყო ახალგაზრდა გიორგი საკაძე, რომელთან დაჯდომასაც

ვერ ბედავენ მისდა ნებადაურთველად დიდებულეები. სვიმონის სიკვდილის შემდეგ, მეფე გიორგიმ ის მიუჩინა მსახურად და მეგობრად ახალგაზრდა მემკვიდრეს ლუარსაბს. შაჰაბაზისგან მოწამლული გიორგი რომ მიიცვალა და მეფობა ახალ აბაზისგან მოწამლული გიორგი რომ მიიცვალა და მეფობა ახალგაზრდა, გამოუცდელ ლუარსაბზე გადავიდა, სამეფო საქმეები დიდ მოურავს ჩაუვარდა ხელში და ის საოცარი გამჭრიახობით განაგებდა ლუარსაბის სახელით.. დიდებულები ისე აღაგმა, რომ ერთი-მეორეს ვეღარას ერჩოდნენ და ემორჩილებოდნენ მეფეს. ერთი სიტყვით, მის ხელში დღით-დღე ძლიერდებოდა სამეფო.

ლუარსაბმა, სულითა და გულით მინდობილმა დიდ მოურავზე, მოინდომა მისი უფრო დაახლოვება და სთხოვა და, ცოლათ რომ შეერთო... შორსმჭვრეტელი მოურავი მიხვდა. თუ რაც უნდა მოჰყოლოდა საბოლოოდ ამას და უარზე დაღგა. სამჯერ გააწბილა მიგზავნილი მოციქულები: უბრალო ოჯახის შვილია ჩემი და, ან თქვენი რა საკადრისია, მეფის, ან ქვეყანა როგორ იკადრებს დედოფლადო და ეს უსიამოვნებას ჩამოაგდებს ჩვენშიო! მაგრამ, მეფე რომ აღარ მოეშვა და გადაჭრით უთხრა: „თუ არ შევირთე თავს მოვიკლავო“, მაშინ კი. მეტი გზა რომ აღარ იყო. ჩამოართვა ფიცი. როგორც მეფეს, ისე დედამისს—დედოფალსაც: რომ არც შენი და, როდესმე გაეიშორო და არც შენ რამე გაგიჭირვოო“. დაიწერა მეფემ ჯვარი და შეუდგა განცხრომას. ყველაფერი კეთილად მიდიოდა ჯერ. მაგრამ დრო რომ გავიდა. ტრფიალების სურვილიც მოიკლა ახალგაზრდა ლუარსაბმა, დიდებულთა შურმა და მიძინებულმა მტრობამ ისევ იჩინა თავი. ცოლები და ქალიშვილები ესაყვედურებოდენ ძმებსა და ქმრებს: „ჩვენ არ შეგვიძლიან. რომ ვიწამოთ დედოფალი და თაყვანი ვცეთ ვიღაც უგვაროს შვილსაო“. ისედაც გულჩათუთქულ დიდიკაცობას რაღა ეს ეჭირვებოდა?! შემოეხვივნენ მეფეს, დღითიდღე აწვეთებდენ ყურში მოურავისადმი სამტრო-საგინებელ სიტყვებს! ყველაზე უფრო შფოთავდა და სდილობდა იმ დროში განთქმული, ვერაგი, ლუარსაბის გამზრდელი შადიმან ბარათაშვილი. და დღეს-ხვალობით კიდეც მიაღწიეს მიზანს. მეფე ვეღარ გაუმაგრდა სამეფო კარის კაცებს და მოიშორა ცო-

ლი. ამან ჩამოაგდო უსიამოვნება მეფესა და მოურავს შორის. ამ უსიამოვნებას დაუბერა ყოველი კუთხით დიდ-კაცობამ. გაიზარდა მტრობა და იქამდე მიაღწია, რომ მეფემაც გაიმეტა მისი მოამაგე. რაც გინდათ, ის უყავითო. დიდებულებმა მიესიენ მოსაკლავად. ოჯახი აუოხრეს, ძმა მოუკლეს, დედა გაუუპატიურეს და ისიც უნდა მოეკლათ. მაგრამ ამ განზორციელებულმა ტარიელმა გადაირჩინა თავი. ცოლ-შვილით შეაფარა თავი სპარსეთს და იქ იწყო ახალი ცხოვრება. ტყუილად კი არ ამბობს ავთანდილზე როსტევან: „თუ შენი თავი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო". მოურავმა უცხოობაში იჩინა თავი: მოკლე ხანში ხელთ იგდო მთავარსარდლობა, დაუმონავა შაჰს მრავალი ქვეყნები, გადიდკაცდა, გაძლიერდა, გამღიდრდა და დაუმეგობრდა თვით დიდებულ შაჰაბასს. ერთი სიტყვით, რაც კი პირადობისათვის საჭიროა, ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ არ კმაყოფილდებოდა! ეს ყველაფერი მისთვის უცხო იყო და გარეშე! ერთი რამ ჰქონდა გულში ჩარჩენილი და ჩრჩილივით ჰრღნიდა საიდუმლოდ: ეს იყო მისი სამშობლო საქართველო, რომლის ერთი თვალის გადავლებას ანაცვლებდა მთელ მისს საპირადო ბედნიერებასა და აჰა, ამასაც, ბედი იყო თუ უბედურება მისი, მოესწრო.

ძველთაგან სპარსელები იჩემებდენ ქართლ-კახეთის ბატონობას... შაჰმა შეკყარა დიდძალი ჯარი გამოსაგზავნათ საქართველოში. ეს საიდუმლოება შაჰისა გიორგომ შეიტყო და მოეკიდა ცეცხლი. გადაწყვიტა გონებაში, რომ როგორმე ეშველა განწირული სამშობლოსათვის. მოახსენა შაჰს, რომ მე შეგისრულებ მაგ გულში ნადებსო, და წამოუძღვა ჯარს სხვა სარდლებთან ერთად და შვილი კი მისი, პაატა, დიახ გამოჩენილი კაცი სპარსეთში დატოვა მძეულად. ეს საიდუმლო მოურავმა გაანდო ორს კიდევ სხვასაც. ჯერ კიდევ ჯარი არ დაძრულიყო სპარსეთიდან, რომ საკაძემ მოსწერა წერილი კათალიკოზ ზაქარიას, გავლენიან პირს, და წილკნელ მირიმანოზს, რომ მას უნდა ახსნა საქართველოსი და მოსპობა სპარსთა ჯარისა. „მომეცით მხარი, გამიძღოლეთ თქვენი ლოცვა-კურთხევა და მიიღეთ ჩემგან ჩემი ხმალი, გული

და სიცოცხლეო". ეს საიდუმლო ჯერ-ჯერობით მარჯვე დრომდი იმარხებოდა ამ სამთა შუა. სააკაძე ჩამოპყვა სპარსელებს, როგორც მომხრე და განკარგულების მიმცემი. დაესაქსა, დანაწილა მთავარი ჯარი, აქა-იქ ვითომდა გზის შესაკრავად, რომ შუაში მომწყვდეულნი ქართველნი ვეღარ წაგვიდესო. ყველაფერი, რომ მოიმზადა, მერე გაუტყდა ზურაბ ერისთავსაც. ზურაბ ერისთავი იმ დროში იყო ერთი უძლიერესი დიდებულთაგანი. და ეპირა სპარსელების მხარი. როგორც ცოლის-ძმასა და მისგან გაზრდილ-გაწვრთნილს, აუხსნა გულში ნადები და ურჩია, რომ ეღალატნა სპარსელებისათვის და გამოეხსნა სამშობლო. ჯერ იტკიცა ზურაბმა და მიზეზად ის მოიდვა, რომ რატომ იქვე სპარსეთში არ გამიმხილე ეგ ამბავიო, რომ ცოლშვილი იქ არ დამეგდოო? მაგრამ როცა მოურავმა დააშოშმინა, რომ ჩემი საყვარელი პირმშო პაატა იქ დავაგდე მძლევლად და ვიცი, რომ სპარსელები ხეირს არ დააყრიან, მაგრამ რაღა მოსაგონია ან ცოლშვილი, ან სხვა რამე ქვეყნიური დიდება. როცა სამშობლო განსაცდელშია და შველას ითხოვს?! მართალია, შენ ცოლს დაკარგავ, მაგრამ სამაგიეროდ მე შეგრთავ ლუარსაბ მეფის დას და მაშინ შენ გახდები არა თუ მარტო სამეფო სახლის წევრად, ქართლის მემკვიდრეთაც კიო. ამისთანებით დაიყოლია ერისთავი და დაუდვა სპარსელების საღალატოდ, პაემნად ხარებადღე. იმ დილას უნდა შემოსეოდა და დარეოდა სპარსელებს ერისთავი.

მერე გადავიდა კახეთს, ვითომ, ყორჩი-ხანის ჯარების დასახედავათ; საიდუმლოდ ინახულა კახეთის გმირი ასლანიშვილი, ქვეყნისათვის თავდაებული, გამოუტყდა იმასაც და პაემნად დაუდო ხარება დღე. იმ დღეს უნდა მიშველებოდა მისი ჯარით. თვითონ კი მარტო ოთხი კაცით დარჩა ყოჩი-ხანის ჯარში. ესენი იყვნენ: მისი შვილი ავთანდილი, მესხი ელია ციასამიძე, პაატა ხერხეულიძე და პაპუნა ვაშაყაშვილი. ამ ხუთი ვაჟკაცით უნდა დაეწყო საქართველოს გამოხსნა. წინდაწინ ხმა დააყრევინა სააკაძემ, რომ თეიმურაზ მეფე მოდის იმერლებითა და რუსების დიდი ჯარითაო. ხარება დილა რომ გათენდა, ეს ხუთი შეთქმული ნიშანს ელოდა და გამოცქვიტეს

ყური. აჰა მოესმათ რაღაც უცნაური ხმაურობა. თურმე ზუ-
რაბს მიეცა პირში საყვირი ჯარისკაცებისათვის და ისინი აბა-
ხებდენ შორიდან. ამ ხმას ბანს აძლევდენ მთები და კლდე-
ები... იყო ერთი ზარი და ზათქი.

სპარსელებს თეიმურაზი ეგონათ რუსებითა და იმერლე-
ბით, შეშინდნენ და შემოეხვივნენ ააკაძეს. ქართველები, შე-
თქმულები, გაქვავებულსავით იღგნენ და როდესაც ყორჩი-
ხანმა ჰკითხა მოურავს: ეს რა უნდა იყოსო?—ი რაო-უპასუხა
მოურავმა და სასიკვდილოდ აძგერა შუბი. მაშინ ი'ნიშვლეს
ხმალი ქართველმა გმირებმა და თვალის დახამხამებამდი ფა-
ყრევინეს თავები, ერთად შეგრეგილ სარდლებს. ზარდაცე-
მული ჯარი, გონს ველარ მოვიდა. ეს ხუთი კაცი კი მუსრავდა
მტერს. მოასწრო ერისთავმაც მისი მთიულებით და საერის-
თაოთი და შეიქმნა ჟლეტა. მოვიდა ასლანიშვილიც, და მო-
ხდა ის, რასაც აგვიწერენ მეისტორიენი; ქართველები გონს
ვერ მოსულ მტრებს ჰკეპდენ, როგორც მბალს. აქ რომ სრუ-
ლიად ამოსწყვიტა სპარსელები. ააკაძემ მიაშურა სხვაგან
და სხვაგან მისკენვე დაყენებულ სპარსელებს და მოსრა-
ა. აიღო თბილისი, საიდანაც მხოლოდ სეიმონ მეფე, სპარსელე-
ბისაგან დაყენებული, გაექცა. ასე რომ, მცირე ხნის განმავლო-
ბაში, ისე გაუწყდა სპარსელები. რომ მათი ხსენებაც აღარ
იყო საქართველოში. ამ საოცარმა ამბავმა კიდევ უფრო აამაღ-
ლა დიდი მოურავი ხალხის თვალში. მიდიოდა მასთან და
გარს ეხვევოდა აბალგაზრდობა და დაბალი წოდება; იმისი
ხლება და იმასთან სიკვდილი მიაჩნდათ ნეტარებად. დღითი-
ღღე იზრდებოდა საქართველო.

გულდამშვიდებულმა შინაგან საქმეებს მიჰყო ხელი და
მოუშუშა წყლული საქართველოს. ქვეყანა აღიარებდა იმას
მეფეზედა უდიდესად. ერთი მის სურვილი და დიდმა მო-
ურავმა იცოდა, რომ ქართლ-კახეთის მეფობა მის ხელთ იყო.
ძაგრამ შორსმჭვრეტელმა გონიერმა დევ-გმირმა იცოდა, რო-
რაც ხალხს საუკუნეობით შეუთვისებია, შესისხლხორცებია
და რწმენად გადაქცევია, იმას ერთი წამის აღფრთოვანება
და აღტაცება ვერ გააჩრობს საბოლოოდ. — ქვეყანის სწრაფ-
მდა, რომ ბაგრატიონთა გვარი ზეცით იყო ნაკურთხი სამე-

ფოდ და ამიტომაც გადმოიყვანა სათათრეთში გადავარდნილი თეიმურაზ მეფე და ჩააბარა ქართლ-კახეთი. თვითონ ამოუდგა გვერდში და თეიმურაზის სახელით ადიდებდა საქართველოს. დადგა საუკეთესო ბედნიერი დრო საქართველოსი. ეს ყველაფერი გულს უკლავდა ვერაგ შაჰაბასს და ეძებდა მარჯვე დროს. და როცა იხელთა, გამოგზავნა საქართველოში პირვანდელზე უფრო დიდი ჯარი ჯავრის ამოსაყრელად. წელგამართულ ქართველობას ახლა აღარა უჭირდა რა და დაუხვდა შომგერებლად. სწორედ, ამ დროს მოკყვა მარაბდის ომი. — დღეები, სანამ გაჭირვება იყო, ყველაფერს სააკაძეს ეკითხებოდნენ და ახლა მისი წყალობით რომ წელში გაიმართნენ, დიდ-კაცობამ მიმართა ისევ ძველებურ ინტრიგებს. მოახსენეს მეფეს: მოიავარსარდალი თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ და თქვენ აძლევდეთ ომში განკარგულებასო! ვინ არის სააკაძეო? თქვენ წაგვიძეხით და მივესიოთ სპარსელებს ახლავეო! მეფემაც იკისრა. — ტყუილად აფრთხილებდა საკაძე: სიფრთხილე გვმართებსო! რა გვაჩქარებს? ეგენი. მოდიან ჩვენზე, და დეე ჩვენ დავხვდეთ სიმაგრეებში და საფრებშიო! დამხვდური... ჩასაფრებული ყოველთვის ერთი-ორად ძლიერია, მიმსვლელზეო! და ამისთანა პაპანაქებაში მაინც რა დროს ბრძოლაოო (ივლისი იყო). სპარსელები, როგორც ცხელი ქვეყნის შვილები, მიჩვეული არიან სიცხეს და ჩვენი მთიულები კი, როგორც სიგრილის შვილები, დათენთილები, ვეღარ იომებენო. არ დაუჯერეს და ასრულდა წინასწარმეტყველება: ერთი-სამად მეტმა სპარსელებმა შემოჰკრეს ირგვლივ დაღალული ქართველობა. თათრებს თანდათან ემატებოდათ ახალ-ახალი ჯარი და დაერიენ ქართველებს. საამაყოა მაშინდელი თავგანწირვა და ვაჟკაცობა, მაგრამ რაღას გააწყობდენ რიცხვმრავალ მტერთან... გაწყდა ქართველობა,. მოიკლა უკეთესი სარდლები, მათ რიცხვში გამოჩენილი ასლანიშვილი, ორი მღვდელმთავარი.. დასჭრეს ზურაბ ერისთავი, მაგრამ ბრძოლას მაინც არ ეღებოდა ბოლო. ამ დროს გავარდა ხმა, რომ თეიმურაზ მეფე მოჰკლესო. მაშინ კი გაუტყდა გული ქართველობას. მართალია მოკლული გამოდგა თეიმურაზ მუხრან ბატონი და არა თეიმურაზ მეფე, მაგრამ მაინც გული გაუტყდა ჯარს და ირგვლივ

შემოკრულნი, გასაქცევ გზას რომ ვეღარ ხედავდნენ, მიიღეს წმინდა ზიარება და ემზადებოდნენ ბერულად სასიკვდილოდ... მიმართა მოურავმა უკანასკნელ საშუალებას: მოიხმო ცოლის ძმა დათუნა ერისთავი და შვილი ავთანდილი, გაიშაგრა მხარი და გადავარდა სპარსელების რაზმში, შეჰკივლა, გააპო სისქე და გაუკეთა გზა გასასვლელი დაჭრილებს. გადარჩენ დაჭრილები სიკვდილს, მაგრამ მაინც მარაბდის ომმა ბოლო მოუღო ქართველობას. მეფე გაიხიზნა, დიდებულები ვინც კი გადარჩნენ, განზე გადგნენ და მიატოვეს ასაკლებად საქართველო. არ დამორჩილდა მხოლოდ საკაძე: იმას ასლდა სამოცი განთქმული ვაჟკაცი, პირადი მეგობრები და ახლა სხვა რომ აღარ მოხერხდებოდა რა, იერიშობას მიჰყო ხელი. ეცემოდა თავზე ხან აქ, ხან იქ სპარსელებს და არ აძლევდა მოსვენებას... გაუჭირვა მათ საქმე. შაჰაბასი ახლა ასე აღარ მრისხანებდა საქართველოზე, როგორც პირადად საკაძეზე. მოსჭრა თავი მის შვილს პაატას და ტომარაში გამოხვეული, გამოუგზავნა მამას.

საქართველოს დიდკაცობას დაუწყო ქალაჩუნობა და მეფესაც მოსწერა სამლიქვნელო წერილები: „მე მხოლოდ საკაძის დასჯა მინდა, და სხვას არას ვერჩიო". ეს ყველას ეჯერა, გარდა საკაძისა და ის არ ანებებდა თავს თარეშობას.

დღითი დღე იზრდებოდა და მატულობდა სათარეშო ჯარი და მარცხი მარცხზე მოსდიოდათ სპარსელებს. მოუსვენრობაში ჩავარდა საქართველო. მაშინ თბილისელმა მიტროპოლიტმა დიონისემ სთხოვა, გათათრებულს და სპარსელებისაგან მეფედ დასმულს, სვიმონ მეფეს: ნება მიბოძე, მე დავამშვიდო მოურავიო! წავიდა მოურავთან და თან იახლა ტროფილე მცხეთის მღვდელთმთავარი. მივიდნენ მოციქულები, დაიჩოქეს საკაძის წინ და სთხოვეს: „დიდი ხანია ვართ შეჩვეული სპარსთა მონობას და შენ დაგვანებე თავი, ნუ ებრძვი მათ, ნუ იწვევ ჩვენს თავზე მათ მრისხანებას... სადა გვაქვს ძალა, რომ იმათ გავუძლოთო?" მოურავმა უპასუხა: „მაშინ დავანებებ თავს. როცა საქართველოში სპარსელი აღარ იქნებაო". წყევლა-კრულვით გამობრუნდნენ მღვდელთმთავრები. რადგანაც მეფეც იმ აზრის იყო, მოხდა განხეთქილება: მთელი ქართვე-

ლი ორად გაიყო; ერთი მხრით, იდგა მეფე და დიდკაცობა მეორეთი, სააკაძე მისი თანამოაზრეებით ხელკეტიან დაბალი წოდებით. ამან გამოიწვია ბაზალეთის ომი. ამ „ბაზალეთის" ომს უნდა გადაეწყვიტა საქართველოს არსებობა თუ არ არსებობა? ძმა ძმის სისხლსა ღვრიდა სპარსელების სასარგებლოდ!... მოურავი გრძნობდა ამ ომის აუცილებლობას, მაგრამ იმავე დროს ეზარებოდა მოძმეთ სისხლში ხელის გასვრა და თვითონ აღარ გაერია ბრძოლაში; თავის მაგივრად შესვა თავის ცხენზე მესხი გოგორიშვილი, ახოვანი გმირი, ჩააცვა თავისი ტანისამოსი, აღჭურვა თავის იარაღით და შეუშვა ომში. რამდენიმე კაცს ზურაბის ჯართაგან პირი შეეკრათ, რომ ღალატი მოჰკლან მოურავი. მოურავი ეგონათ და მოჰკლეს ვოგორიშვილი. შეიქმნა ძახილი: „მოურავი მოკლესო!" და ამან დააყრევინა მოურავის მოსმრეებს იარაღი. მაშინვე იკადრა მოურავმა ომში შესვლა „ცოცხალი ვარო!", მიაძახა ჯარს და გაამხნევა მომხრეები და გადაეშვა საომრად, გააპო მტრის რაზმი და გაიყვანა თავისი დამარცხებული ჯარი. ამ დამარცხებამ ბოლო მოუღო საქართველოს და ამიტომაც მარტოდ დარჩენილი მოურავი გადავიდა იმერეთს. აქ მეფესა და მთავრებს აგულიანებდა, რომ არ ეშყოლოდნენ მეტად ომის გამზარახველ თეიმურაზს!

რომ არა გაუვიდა რა, იქიდან გადაიხვეწა სათათრეში იმ განზრახვით, რომ უკუ არ ეგდო თაჭისი სურვილები და თურქების შემწეობით მობრუნდებოდა ისევ საქართველოს. ხონთქარმა იცოდა მისი დევ-გმირობა და სიხარულით მიიღო და სააკაძემაც წინადადება მისცა: თუ ჯარს მომახმარ მე შეეავრთებ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და ორივე ერთად შენს მფარველობის ქვეშ იქნებაო ხონთქარი დაეთანხმა. მაგრამ შესჩივლა: ჯერ სანამ შინა მაქვს არეულობა და სპარსელებთანაც ომი არ შემწყდარა ახლავე არ შემიძლია და მოიცა ამაებს მოვრჩები, მაშინ კი შენი ნება იყოსო.

აჯანყებულებში თოხათელები ყველაზე უფრო საშიში იყვნენ. ვაშკაცობის გარდა სიმაგრეებიც ხელს უწყობდენ მათ. წელიწადნახევარი იდგა ნაზირ-ვეზირი დიდ-ძალი ჯარით და ვერა გააწყო რა მათთან. ხონთქარმა ჯერ პირდაპირ იქ გაგზავნა მო-

ურაგი მთავარსარდლად მისი თანმხლებელი ქართველებით — მოურავმა დაათვალიერა თოხათელეთის ციხე და ნახა, რომ მისი იერიშით აღება შეუძლებელი იყო.

მორთო ქართველები ვაჭრულად, შეაპარა ციხეში, გააღებია ციხის კარები, შეესია და აიღო [illegible] ლლის განმავლობაში. ამისთანა გმირობამ აღტაცებაში მოიყვანა სტამბოლი. ხონთქარმა შეუთვალა, რომ ბაღდადიც აიღო. მოურავმა ოთხი ათასი თურქით და თავის მსლებელ, ქართველი გმირებით, ათი ათასი სპარსელი გაფანტა და აიღო ბაღდადი და სულ მოკლე ხანში დაუმორჩილა ხონთქარს სხვა აჯანებულებიც. ამ გმირობამ გააოცა მთელი თურქობა და ხონთქარსაც მზე და მთვარე საააკაძეზე ამოდიოდა. მზად იყო, რომ ნებას მიჰყოლოდა საააკაძეს და მისი სურვილიც აესრულებია საქართველოს შესახებ. საქართველოს მზე ხელახლა უნდა ამოსულიყო. მაგრამ დახედეთ უბედურებას: ნაზიმ ვეზირი იყო, ხონთქარის სიძე, მისი ღვიძლი და ჰყავდა ცოლად. და გააფთრებულმა ქალმა შეუთვალა ქმარს „აღარ არის შენი სახელის ხსენებაო! დაგრჩდილა გურჯიმ და მოჰკალი როგორმეო“.

ჯერ უარზე იდგა ვეზირი. მაგრამ რომ აღარ მოეშვა ცოლი მოჰკლა ღალატით საააკაძე და მასთან ერთად გასწყვიტა ქართველობაც 1630 წ.

ასე დასრულდა ამბავი ამ საარაკო გმირისა. მისი სურვილი იყო ენახა საქართველო თამარის დროინდელ საქართველოდ, ამას შესწირა ყოველივე სოფლის დიდება: ოჯახი. ცოლშვილი, ჩაიგდო თავი განსაცდელში. იტანდა ყოველ ვასაჭირს 35 წლის განმავლობაში და ბოლოს საფლავში ჩაიტანა სურვილები!.. აი ამისთანა კაცს ვასამართლებთ დღეს. სასაცილოა!... დღეს, როდესაც ჩვეულებათა გვაქვს გადაქცეული ფეხზე წამოდგომით პატივი ვცეთ სრულიად უმნიშვნელო პირებს... ვასამართლებთ საამაყო დევგმირს, თავდადებულ მამულიშვილს და ერთმანეთს ვეკითხებით: მოღალატეა თუ არაო? ვაი ამისთანა დროს და უი ჩვენც ამ დროში ჩაცვენილებს!

პირთა საძიებელი

ა

აბაკელია 160.
აბაშიძე 15.
აბდუშელიშვილი კ. 65.
ადამაშვილი მ. 125.
ადმანოვი ნ. 112, 113.
ავალიშვილი ზ. 24.
ავთანდილ 215.
ათაბეგოვი ფ. 128.
აიეტი 38.
აივაზოვსკი 92.
ალექსანდროვი 4.
ამაღლობელი ს. 9.
ამარტოლი გ. 38.
ამირაღოვი ბ. ი. 4, 6.
ალექსეევი პ. 37.
ანდრე დ. 32.
ანდრონიკაშვილი ე. ლ. 4, 30.
ანდრონიკაშვილი ი. ლ. 4.
ანდრონიკაშვილი ლ. ნ. 4, 17, 27, 33, 77, 78-98, 107.
ანტონი 39.
ანტონიუსი მ. 31.
აპოლონსკი რ. 92.
არაქელი 211.
არენსკი ა. 92.
არისტოტელე 31.
არჯევანიძე ი. 4.
ასლანიშვილი 218.
აფხაიძე ა. 15.
აღაპოვი 124.
ახვლედიანი ე. 108.
ახმეტელი ს. 108.

ბ

ბაბუშკინი ი. 37.
ბაგრატიონი ა. 97.
ბაგრატიონი ვ. 7.
ბაგრატიონი თ. 41.
ბაირონი 90.
ბადრიძე 126.
ბაკური 38.
ბარათაევი 42.
ბარათაშვილი ი. 84, 109-107.
ბარათაშვილი ნ. 43.
ბარათაშვილი ბ. 7.
ბარნავი 32.
ბასილი 39.
ბაქრაძე თ. 4.
ბაქრაძე 153, 155.
ბედინი ვ. 4.
ბელსკი 54, 161.
ბებელი ა. 34.
ბელინსკი 36.
ბერბიჭაშვილი გ. 71, 132, 166-188.
ბერრიე 32.
ბეღელური ა. 127.
ბიტნერი 88.
ბლიუმი რ. 50.
ბოგომოლოვა პ. 4.
ბორტენიევი 150.
ბოჭორიშვილი 104.
ბრატუსი ს. 121.
ბრიულოვი 92.
ბულმაისის-ძე 39.

ბ

გაბაშვილი ე. 199.
გაბარაშვილი გ. 181.
გამრეკელი ა. 65.
გამსახურდია კ. 108.
განტოვერი 77.
გასვიანი გ. 54, 55.
გასიშვილი ზ. 127.
გარსევანოვი 181.
გედევანიშვილი 115.
გელასი 37.
გელაზარიშვილი 15.
გელოვანი ა. 7.
გელოვანი კ. 65.
გერცენი 36.
გერციკი 88.
გერცენშტეინი 86.
გველესიანი გ. 16.
გიორგი 49.
გიორგაძე გ. 72.
გიგია 10.
გოდუნოვი ბ. 24.
გორკი მ. 36, 91, 121.
გორინ-გორიანოვი 92.
გორგია 31.
გოგოლაშვილი თ. 199.
გოგორიშვილი 221.
გოლდშმიდტი 120.
გომართელი ი. 110.
გრაკხი 31.
გრიშაშვილი ი. 193.
გრინევსკი 54, 153.
გრონსკი 84.
გუბაზი 38, 141-146.
გუდიაშვილი ლ. 108.
გურესი 161.
გურევიჩი შ. 119.
გურევიჩი 82.
გურმაჩი 148.

დ

დავითი 49.
დათო 198.
დადეშკელიანი თ. 57, 58, 147, 153.
დადიანი 150.
დანტონი 32.
დებანჟი 32.
დეკარტი 90.
დემეტრე 39.
დემოსთენე 31.
დერნბურგი 90.
დიასამიძე ე. 218.
დიდებულიძე დ. 4, 6, 116.
დიუპონი 32.
დოლიძე ვ. 162.
დოლუხანოვი ი. 25.
დოდაშვილი ს. 41.
დრობიშჩევი 51.
დოსტოევსკი 36.

ე

ევლახოვი 161.
ევსტათი 49.
ეკალაძე ი. 8.
ელპატიევსკი 88.
ენგელსი ფ. 34, 36, 50.
ერისთავი გ. 43.
ერისთავი ზ. 217.
ერეკლე 40.
ერშოვი ვ. 92.
ექსინე 31.

ვ

ვატისოვი ი. 77, 79.
ვაშაყაშვილი ბ. 218.
ვაჩეიშვილი ა. 4, 94.
ვახტანგ VI 7.
ვახუშტი 211.
ვინავერი გ. 78.
ვირსელაძე ს. 82.
ვორონცოვ-დაშკოვი 171.

ზ

ზალიმოვი 37.
ზარუდნი 88.
ზარუდინი 92.
ზასიპკინი 170.
ზაფირი 120.
ზაქარაია 217.
ზეიჩაბი 193-198.
ზელინსკი 25.
ზერაბაშვილი ილ. 199.

თ

თავდგირიძე ნ. 82.
თავქაშვილი 182.
თამარი (მეფე) 49, 196, 212.
თარაშვილი ი. 185.
თარხნიშვილი გ. 6.
თარხნიშვილი ი. 37.
თაყაიშვილი ა. 9.
იბილელი 211.
თეიმურაზი 39, 196.
თოფურიძე 126.

ი

ივოლევი კ. 92.
ივნოვეცკი 84.
ივშვილი ბ. 104.
იგნატოვი 130.
ივანოვი ლ. 92.
ილინსკი 84.
ინაშვილი ვ. 173, 181, 183.
ითაბე 39, 49.
ირაკლი 198.
ისოკრატი 31.
იუზბაშევი 65.
იუსკევიჩ-კრასნოვსკი 88.
იყალთოელი ა. 39.

კ

კალანდაძე კ. 7.
კალინინი მ. 37.
კამო 127.
კანდელაკი კ. 15.
კანდელაკი გ. 25.
კანდელაკი ნ. 41.
კანდელაკი ვ. 82.
კარაბჩევსკი 27.
კარასიოვი ა. 70.
კარლო V. 35.
კატონი 31, 156.
კაუცკი კ. 26, 28.
კაულბარსი 86.
კაჩუხაშვილი ი. 25.
კვირკველია ბ. 65, 66.
კვირკველია დ. 25.
კვასხვაძე შ. 94.
კვეკელიძე ა. 94.
კელზენი 106.
კესარიელი ბ. 38
კეცხოველი ნ. 46, 48.
კოროვი ს. 37.
კლასსონი III.
კლანკი მ. 112.
კლეიმანი ა. 121.
კლდიაშვილი დ. 82.
კომისარჟევსკაია 92.
კონი 28.
კორჩაგინა—ალექსანდროვსკაია 92
კოროლენკო 88.
კორშონი 160.
კოტლიაროვი 155.

კოშენი 32.
კოშიცი 160.
კრემიე 32.
კრილოვი 15.
კუნო-ფიშერი 90.
კუნო 160.
კუიბიშევი ვ. 37.
კურდღელაშვილი 125.
კუპრაშვილი ბ. 130.

ლ

ლაბაური 180.
ლაბორი 32.
ლაიბტი 51.
ლასალი ფ. 34.
ლაუნიცი 4.8
ლაშო 32.
ლემეტრი 31.
ლენინი ვ. ი. 26, 37, 106.
ლეონკოვალო 117.
ლეონარდო დავინჩი 91.
ლეუსი 54, 155.
ლეონტი 49.
ლემანტი 92.
ლერმონტოვი 90:
ლიბანიოსი 36.
ლიკბნეხტი 125.
ლიკურგი 31.
ლიონიძე ს. 40,41, 199—209.
ლიტვინოვი 15.
ლომანოსოვი მ. 35.
ლომთათიძე ჭ. 15.
ლომბროზი 68.
ლოლუა ლ. 24, 51. 56, 61, 62.
ლორთქიფანიძე დ. 4, 50, 60—62.
ლორთქიფანიძე კ. 45, 168
ლორთქიფანიძე ნ. 15, 199.
ლუარსაბი (მეფე) 212, 216.

მ

მადათოვი 65,
მაკაროვი 84,85.
მამიკონიანი 135.
ძაისურაძე გ. 97, 130.
მალამა 114.
ძაიერი ო. 90.
ძარგველიანი 54.
ძარკოვიჩი 181,184.
ძარქსი კ. 4,34, 36.
ძარატი 32, 33.
ძარტია 10.
ბარკენფელდი 67.
ბარჯანიშვილი კ. 93. 98.
ბაყაშვილი კ. 199.
ბაჩაბელი ო. 8.
მაკავარიანი თ. 4, 60.
ბაკავარიანი ი. 25, 199—204.
მახარაძე ფ. 48.
მაძმანაშვილი 184
მედია 195.
მესხი ს. 66, 67, 168.
მესხიშვილი შ. 70, 123—131, 158, 199.
მეუნარგია კ. 15.
მეშვინდიშვილი ნ. 127.
მერჩულე გ. 39, 49.
ძთაწმიდელი მ. 39, 49.
ბილიანტოვიჩი ბ. 85.
მიქელაძე 54, 199.
მიქავა უ. 47.
მიქელ-ანჯელო 91.
ბირიმანოზი 217.
ბიჩურინა—სამოილოვა 92.
ბნათი ა. 39.
მოლენი 32
ბოსე 58, 151
ბროველი ლ. 39.
ბუხრან-ბატონი თ. 220.
მცირე ე. 39.

ნ

ნანეიშვილი გ. 90—108.
ნანეიშვილი ა. 99.
ნაპრავნიკი ე. 92.
ნაუმოვი 84.
ნიკოლაძე ნ. 45—47, 60—63, 97. 168.
ნეპლიუევი 84, 85.
ნეკინსკი ვ. 92.
ნიკოლოზ II 84.
ნინიძე კ. 15.
ხუციბაძე შ. 84, 85, 91, 105.

ო

ობუხოვი 82.
ოგანეზოვი 135.
ოთარბეგი 197.
ოდიშვილი ი. 71.134.
ორჯონიკიძე ს. 37, 48.
ორბელიანი 39, 40, 41.

პ

პავლოვა ა. 92.
პაგენშეხტერი 120.
პაშერსტნაკი ა. 121.
პასო

საფაროვი ზ. 125.
სვერდლოვი ი. 37.
სიდამონ-ერისთავი 24.
სიკორსკი 164.
სლავინა მ. 92.
სოკოლოვი 84.
სოლოვიოვი 89.
სენიავსკი 84.
სოლონი 31.
სერებრიაკოვი 84.
სერეპუტოვსკი 66, 67.
სპასოვიჩი 27, 28, 89.
სტალინი ი. ბ. 27, 37, 44, 46, 48.
სტრიეევი 181, 183.
სტრუვე 88.
სტანკევიჩი 34.
სტოლერმანი ს. 70, 158—165.
სტარფინსკი ფ. 92.
სუნი ი. 7.
სულხან-საბა 7.
სუმბათაშვილი 8, 193.
სურგულაძე ი. 24.
სურკოვი 92.
სულეიმანი 193—198.
სუხორუკოვი 161.
სუხლევი 84.
სქოლასტიკოსი 38.

ტ.

ტაბიძე ტ. 108.
ტარეე 32.
ტარიელი 211.
ტაიკისძე ი. 39.
ტატიშვილი მ. 25.
ტაციტუსი კ. 38.
ტერ-პეტროსიანი (ალმო) 127.
ტოლსტოი ლ. 36. 88.
ტრასიმაქი 31.
ტროფილე 221.
ტრონშე 32.
ტუგან-ბარანოვსკი 99, 103.
ტურიე 32.
ტურჩანინოვი 89.

უ

უგრეხელიძე გ. 7.

ფ

ფავრი ჟ. 32.
ფალიაშვილი ზ. 71,162.
ფარსმანი 38.
ფარტაზი 38.
ფალეევი 84.
ფარესოვი 181.
ფაღავა მ. 15, 25.
ფაღავა ყ. 169, 173.
ფედოტოვი 92.
ფეიქრიშვილი 170.
ფიგნერი 92.
ფილიპოვიჩი 160.
ფოკინი მ. 92.
ფრენკელი 68.
ფურცელაძე ა. 8.
ფროლოვა 4.
ფშაველა (ვაჟა) 8.
ფშავლიშვილი 170, 182—184.

ქ.

ქავთარაძე ბ. 25.
ქართველიშვილი შ. 24.
ქეთევან 135 — 209.
ქურდიანი შ. 154.
ქიქოძე მ. 15, 25.

ღ.

ღვამიჩავა მ. 25.

ყ

ყასჩელი ს. 24.
ყაუხჩიშვილი ს. 51.
ყიფიანი ს. 199.
ყორჩიხანი 218.

შ

შაჰ-აბაზი 72, 210—223.
შექსპირი 91, 97.
შილერი 91.
შიშკინი 92.
შმიდტი 83.
შლეტინსკი 51.
შტიფარტი 84.

ჩ

ჩარკვიანი ლ. 122.
ჩარჩხიანი ე. 29.
ჩერლინკინი 159.
ჩიქვანაია ა. 71, 166.
ჩიკვაიძე ა. 25.
ჩირიკაშვილი 183
ჩოპლიანი 152.
ჩერნიშევსკი 36
ჩხატარიშვილი პ. 39.
ჩეხოვი ა. 36, 91
ჩერქეზიშვილი ნ. 39.
ჩუბინიშვილი დ. 42.
ჩეხნინი 86.
ჩხეიძე დ. 93.
ჩხეიძე უ. 94.
ჩხეიძე კ. 49.
ჩხენკელი ა. 49.

ც

ციავლოვსკი 84.
ციტოვიჩი 53, 54.
ცინცაძე 129.
ციციშვილი ა. 127.
ცურკინი 84.
ციციშვილი ვ. 165.
ციცერსკი ვ. 112, 113.
ციცერონი 31,
ცხაკაია. ვ. 48.

ძ

ძერჟინსკი ფ. 87.

წ

წამალაშვილი 177.
წერეთელი ა. 8, 37, 45, 46, 47, 51, 55, 56, 64, 69, 70, 72, 99, 121, 147, 168, 193, 210.
წერეთელი გ. 45 — 47, 94.
წერეთელი ი. 49.
წერეთელი ს. 110.
წელუკიძე ა. 46, 48.
წულუკიძე ტ. 68, 69.
წუწუნავა 160.

ჭ

ჭავჭავაძე ი. 9, 37, 45 — 47, 71, 99, 121, 132, 166 189.
ჭავჭავაძე ა. 43.
ჭიმჭიმელი ი. 39.
ჭილაშვილი (ჭილაევი) 24.

ხ

ხალტურინი ს. 37.
ხახულელი ი. 39.
ხელაძე 170.
ხელთუფლიშვილი 24.
ხერხეულიძე პ. 218.
ხიზანიშვილი 170, 180.
ხიმშიაშვილი 199 — 209.
ხომიაკოვი 36.
ხოდატოვი 6. 92.
ხუტელაშვილი 129.

ჯ.

ჯავახიშვილი 6. 155.
ჯავახიშვილი ი. 82, 94, 102.
ჯანდიერი 94.
ჯაფარიძე ს. 25, 110.
ჯაფარიძე ა. 48,71, 132 138.
ჯაფარიძე კ. 16,25.
ჯაში დიმ. 170 — 189,
ჯაში უ. 173.
ჯაყელი ბ. 39,
ჯოხაძე ჩ. 54 — 58.
ჯოხანი 148.
ჯორჯაძე დ. 125.
ჯორჯიაშვილი ა. 112.
ჯუანშერი 49.

პ

პაინე 90.
პარიმანი 17 — 22.
პელვიგი 120.
პორტენზუსი 31.
• პუსერლი ე. 102,103.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. ავტორისაგან 3—4

II. სამოსამართლო მეკვირმეტყველების ისტორიიდან. 5—75

III. ნარკვევები

1. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი 77—98
2. გიორგი ნანეიშვილი 99—108
3. იოსებ ბარათაშვილი 109—117
4. დიმიტრი პოლუმორდვინოვი 118—122
5. შალვა მესხიშვილი 123—131
6. ალექსანდრე ჯაფარიძე 132—138

IV. სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალმდებო სიტყვები.

1. სიტყვა თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე 141—146
2. აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა „სვანების" პროცესზე 147—157
3. შალვა მესხიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა სტოლერმანის პროცესზე 158—165
4. ალექსანდრე ჩიქვანაის მიერ წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის ბერბიჭაშვილის საქმეზე 166—189

V. სიტყვები წარმოთქმული ლიტერატურული გასამართლებების დროს.

1. აკაკი წერეთლის სიტყვა სუმბათაშვილის პიესის „ღალატის" გმირის ზეინაბის დასაცავად 193—195
2. შალვა მესხიშვილის საბრალდებო სიტყვა „საშობლოს" გმირების ლიონიძის და ხიმშიაშვილის მიმართ 199—201
3. იოსებ მაჭავარიანის სიტყვა ლიონიძის და ხიმშიაშვილის დასაცავად 204—209
4. აკაკი წერეთლის სიტყვა გიორგი საკაძის დასაცავად 210—223

VI. პირთა საძიებელი 223—230

ВАХТАНГ ГРИГОРЬЕВИЧ ЖВАНИЯ

ГРУЗИНСКИЕ ЮРИСТЫ

(на грузинском языке)

Театральное Общество Грузии
Издательство „Хеловнеба"

Тбилиси—1961

რედაქტორი—ნ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

1

მხატვარი—ს. ღამბაშიძე
ტექნიკურ-ექტორი—ბ. ჯიჯეიშვილი
კორექტორი—ლ. სიხარულიძე

გადაეცა წარმოებას 1/XII-60 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III-61 წ
ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$.
ქაღალდის ზომა 54×84, პირობით ფორმათა რაოდენობა 10,16,
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 15,2.
შეკვეთა № 545. უე03477. ტირაჟი 5000.
ფასი 1 მან. 20 კაპ.

საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 64.
Типография издательства Министерства торговли Грузинской ССР,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе № 64